



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
 ბ. შიშქელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

K 15 130
 4

ქ ა რ თ უ ღ
 ხელნაწერთა აღწერილობა

VII

„მეცნიერება“
 1973

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ИНСТИТУТ РУКОПИСЕЙ ИМЕНИ К. КЕКЕЛИДZE



ОПИСАНИЕ ГРУЗИНСКИХ РУКОПИСЕЙ

КОЛЛЕКЦИИ S, БЫВШЕГО ОБЩЕСТВА РАСПРОСТРАНЕНИЯ
ГРАМОТНОСТИ СРЕДИ ГРУЗИНСКОГО НАСЕЛЕНИЯ

Том VII

Составили и подготовили к печати:

Т. М. БРЕГАДZE, М. Н. КАВТАРИА, Л. Р. КАДЖАИА, Л. И. КУТАТЕЛАДZE И
Ц. А. ЧАНКИЕВА

под редакцией Е. П. МЕТРЕВЕЛИ

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1973

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა

ყოფილი ქართველთა უორის წერა-კითხვის გამავრცელებელი
საზოგადოების (S) კოლექცია

ტომი VII

შეადგინეს და დასაბუქდად მოამზადეს:

თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ, ლ. ქაჩიამ, ლ. ქუთათელაძემ და ც. ჭანკიევმა

ელ. მიტრევილის რედაქციით

K 15-130
4

სპიზ-2000
შეოწმებულია



გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი

1973

002
ქ 279

S კოლექციის VII ტომის მასალა აღწერეს:

მ. ქავთარიამ 5004—5086 (1742—1801)

ლ. ქუთათელაძემ 5087—5165 (1802—1856)

ც. ჭანკიევმა 5166—5213 (1857—1896)

თ. ბრეგაძემ 5214—5290 (1897—1956)

ლ. ქაჯაიამ 5291—5378 (1957—1996)

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნით მთავრდება კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ერთ-ერთი უმდიდრესი კოლექციის ხელნაწერთა მეცნიერული აღწერილობა.

ყოფილი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერების ძირითადი ნაწილი აკად. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ აღიწერა მიმდინარე საუკუნის დამდეგს, დაისტამბა კიდეც ორი მოზრდილი ტომი სათაურით — „Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузин“. დასახელებული კოლექციის კატალოგი შეადგინა და გამოაქვეყნა დავით კარიჭაშვილმა სათაურით — „კატალოგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნსაცავისა“, 1905 წ., ხოლო მოსე ჯანაშვილმა შეადგინა ხელნაწერთა აღწერილობა, რომელიც არ გამოქვეყნებულა და ხელნაწერის სახით ინახება ინსტიტუტის ახალ კოლექციაში (Q—578 ა, ბ, გ).


ექ. თაყაიშვილის „აღწერილობა“ თემატიური პრინციპით იყო შედგენილი, მხოლოდ საერო შინაარსის ხელნაწერებს ეხებოდა, ამიტომ დასახელებული კოლექციის ყველა ხელნაწერის აღწერილობას არ მოიცავდა.

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ აღწერილობათა ტომებში აღწერილია უკლებლივ ყველა ხელნაწერი რიგის მიხედვით.

ამ ტომს ერთვის რამდენიმე ხელნაწერის აღწერილობა, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო თავის დროს ვერ გამოქვეყნდა.

აღმწერელთა კოლექტივისათვის ძირითადი სახელმძღვანელო იყო ხელნაწერთა აღწერილობისათვის მიღებული ინსტრუქცია, რომელიც აკად. ივანე ჯავახიშვილის ინიციატივითა და მონაწილეობით შემუშავდა 1939 წელს და საფუძვლად დაედო „აღწერილობათა“ ყველა ტომს. ეს ინსტრუქცია მიღებული გამოცდილებისა და იმ გაზრდილი მოთხოვნების მიხედვით, რომელსაც უყენებენ ამ ბოლო დროს ხელნაწერთა აღწერილობებს, თანდათან ივსებოდა და ზუსტდებოდა, რის გამოც, ვფიქრობთ, S ფონდის აღწერილობათა ტომებში მეტი სისრულითაა გახსნილი ხელნაწერთა შინაარსი, უფრო მდიდრად არის წარმოდგენილი თითოეული ხელნაწერის ისტორიის წარმოსაჩინებელი ცნობები, უფრო სრულია აღწერილობის ბიბლიოგრაფიული ნაწილი. მიუხედავად დიდი ცდისა, აღწერილობანი დაზღვეული ყოფილიყო შეცდომებისაგან, შეცდომები მაინც გაიპარა. ზოგი გასწორება ამ ტომს ერთვის, ზოგის გასწორება კი ვერ მოხერხდა.

„ხელნაწერთა აღწერილობის“ VII ტომი გამოსაქვეყნებლად გამომცემლობას გადაეცა 1967 წელს, ამიტომ უქანასკნელ წლებში გამოქვეყნებული სამეცნიერო





ნიერო ლიტერატურის მთლიანი გათვალისწინება აღწერილობაში **ვერსია**
 ხერხდა.

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის აღმწერელთა კოლექტივი იმე-
 დონებს, რომ კეთილისმსურველი მკითხველი მოაწვდის ინსტიტუტს თავის შე-
 ნიშვნებს და სურვილებს აღწერილი ტომების შესახებ, რათა მომავალში ეს
 შიძიე და საჭირო საქმე უკეთ წარიმართოს.

აღმწერელთა კოლექტივი

(1740)

5004

ქილილა და დამანა. 1747

II+268 ფ.; 20×31; ქაღალდი; დაზიანებული; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; შავი მელანი; სათაურები, ლექსების დასაწყისი სიტყვები — სინგურით; 1747 წ. (266v); გადამწერი ანჩისხატის დეკანოზი ალექსი (266v); დაუწერელია: 267r—268v, 1r—11v.

[ქილილა და დამანა]. — „დასაწყისი პირველი წიგნისა ამის, შესავალად თქმული ბრძნისა ანვარი სოილისა. — სრული სიბრძნე ამისად შემსგავსებულად საფუძველად დაუც და ყოველთ წიგნთა შინა მთქმელისა სახელი დიდად უსახელოვნებია... 1r—266v.

შენიშვნები: 1. ტექსტი სულხან-საბა ორბელიანის რედაქციისა, გამოქვეყნებულია. იხ. სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. II, აღ. ბარამიძისა და ელ. მეტრეველის რედაქციით, 1962 წ. ტექსტი მიყვება გამოცემას.

2. ტექსტში ილუსტრაციებისათვის დატოვებულია ადგილები და მიწერილია „დასახატავია“.

3. დასაწყისში აკლია ვახტანგ VI ლექსი: „მეც მივკეცე სპარსთა ზღაპრისა...“

ანდერძი (გადამწერისა): „დაიწერა კელითა კელიანის მღვდლის მხატვრის გრიგოლის ძის აჩნისხატის(!) დეკანოზის ალექსისათა. ვინათგან გვაიძულეს და უმეტეს ენებთ წიგნისა ამის თვისად ქონებად და ჩუენ-ზედაც კეთილ-გონების ქონებით იყუნენ, ამის გამო ჩუენცა არღარაა ურჩ ვექმნენით ამის აღწერად. ჩუენც მეცნიერ ვიყავით, მუნასიბი არ იყო ჩუენგან საეროს წიგნზე მოცალეზად და აღწერად, ამისთვის მხილველნი და ცოდნის მოყუარენი ნუ განქირდულ გვეყოფთ. ამის დაშრომასა ზედა შენდობას ვითხოვ, უფალო ჩემნო. დიდადცა უცალო ვიყავით საქმის და მოუცლევობისაგან, უფრორე ღამით ვწერდით და ამისთვის გულს მოღვინელ კაისქელად ვერ აღვწერეთ. სრულ ვყავით ენკენისთვის იჴ გასულს, ქრისტეს აქათათას შვიდას ორმოცდაშვიდასა, ქრს ულე“ (266v).

შინაწერები: 1. „წელსა 1828-ს, სეკდემბრის 9-სა სოლომონ წავიდა სპარსეთში. დმერთო, შენ ექმენ შემწე მგზავრობაში და იქ მყოფობაშია“ (1r).

2. „ეს ლექსიკონი, გულთა საკონი, ესრეთ სასურვი, ვით ვარდის კონი“ (11v),

(ამ ლექსთან დაკავშირებით იხ. ლ. ქუთათელაძე, ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, 1957 წ., გვ. 8—9).

(1741)

5005

ვახტანგ VI, სამართლის წიგნი. 1854

114 ფ.; 21×17; ქაღალდი; ნაჭერგადაკრული ხის ყდა; მხედრული; შავი მელანი; სათაურები სინგურით; 1854 წ. (114r); დაუწერელია: 114v.

„სამართლის წიგნი ესე ვახტანგ მეფისა. — ამას გვადრებთ და მოგახსენებთ მეფეთა და მსაჯულთა და ყოველს სამართალში მჯდომს კაცს“... 1r—114r.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია თ. ენუქიძის მიერ, (იხ. ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, 1955 წ.). გამოცემაში ხელნაწერი აღნიშნულია C ლიტერით. გამოცემასთან შედარებით ხელნაწერი იწყება 47-ე გვერდიდან (§ 1).

ანდერძი: „აღესრულა სამართლის წიგნი ესე, დიდება ღმერთსა, დასაბამით-გან კტახ, ხოლო განხორციელებითგან სიტყვისა ღვთისა ჩუნდ-სა წელსა, სეკ-დემბრის ვ ღღესა“. 114r.

(1742)

5006

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. XVIII

289 ფ.; 33×22; ქაღალდი; ტყავადაკრული ხის ყდა; ხელნაწერი ამოვარდნილია ყდიდან; მხედრული; შავი მელანი; სათურები და სტროფების დასაწყისი სიტყვები სინგურით; [XVIII ს.]; მინიატურები: 6r, 8r, 9v, 11r, 12r, 14r, 16r, 18v, 20r, 21r, 22v, 24r, 25ar, 26r, 28r, 32r, 35r, 36r, 38, 40r, 45r, 49r, 51r, 52ar, 53r, 55r, 58r, 61r, 64r, 66r, 71r, 73r, 74ar, 76r, 78r, 81r, 81ar, 83r, 86r, 88r, 89r, 91r, 92r, 95r, 96r, 98v, 101r, 102v, 103ar, 105r, 109r, 111r, 113r, 115r, 116v, 118r, 119r, 121r, 124ar, 125r, 129r, 130r, 134r, 142r, 148v, 151r, 156v, 166, 173r, 180r, 185r, 187r, 195r, 206r, 211r, 222r, 226r, 231r, 233ar, 235r, 238r, 242v, 243ar, 247v, 252r, 261r, 282r; დაუწერელია 273v.

„ამა ამბისა დასაწყისი პირველი, ამო და სასმენლად შევნიერი, სწავლისათვის მოშიირეთასა, ტარიელს და ნესტანდარეჯანს ვეფხისტყაოსნობით უწმობენ.

პირველ თავი დასაწყისი ნათქუამია იგი სპარსულად,

უწმობთ ვეფხის-ტყაოსნობით, არას შეიქს ჯორცსა სულად“... 1r—289v.

შენიშვნები: 1. ეს ხელნაწერი სპეციალურ ლიტერატურაში მრავალჯერ ყოფილა განხილული და აღწერილიც. ყველაზე სრულად მის შესახებ ცნობები თავმოყრილია სარჯის ცაიშვილის წიგნებში: „ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია“, 1957 წ., გვ. 56—64; „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორია, ტ. I, 1969 წ.

2. ს. ცაიშვილის აზრით „ხელნაწერი წარმოადგენს ვახტანგ VI გამოცემისა და მე-17 საუკუნის რომელიღაც ხელნაწერის პირს“ (გვ. 61).

3. ხელნაწერი დათარიღებულია ს. ცაიშვილის შრომის მიხედვით (გვ. 61).

2. ს. ცაიშვილის აზრით „ხელნაწერი წარმოადგენს ვახტანგ VI გამოცემის „ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია“, წიგნი II, 1970 წ., გვ. 38—39.

შინაწერი: „როგორც ჩანს, ამ წიგნში ყოფილა სულ ოთხმოცდა შვიდი სურათი. ამათგან სამოცდაჩვიდმეტი შიგვეა ჩართული, ათი კი ცალკეა, ამოხეული წიგნიდან. დ. კარიჭაშვილი“ (ზედა სავაგი ფურცელი).

(1743)

5007

ღვთისმშობლის შესხმა. XIX

44 ფ.; 7,5×10,5; ქაღალდი; დაზიანებული, განსაკუთრებით ბოლო ორი ფურცელი; შემორჩენილია ყდის მხოლოდ ზედა ფრთა, ისიც შუაზე გატეხილი; თავნაკლული; მხედრული; შავი მელანი; ალაგ-ალაგ გამოყენებულია სინგური; [XIX ს.].

[ღვთისმშობლის შესახებ]. — „...სიათ. გზნ, რამეთუ საყდარ... უფისა. გზნ, რამეთუ მტვირთველობა ყოველთა მტვირთველსა“... 1r—44v.

შენიშვნები: 1. უკანასკნელი ფურცლის დაზიანების გამო ანდრეი აღარ იკითხება.

2. უმნიშვნელო მინაწერები 21v; 39v—40v.

მინაწერები: 1. „ჩუხა წელსა ივლისის ივ-სა დაბნელდა მზე ექს მინუტს“ (29v—30r).

2. „ეფენია ბაქრაძის ქალი მიიკვალა ჩემე წელსა, სეკდემბრის ვ-სა“ (ყდის შილა მხარე).

(1744)

5008

იავორსკი ს., კლდე სარწმუნოებისა. 1749

367 ფ.; 32×20; ქალაღი; ტყავადაკრული ხის ყდა; ნუსხური; სათურები სინგურით; 1749 წ. (2v); მთარგმნელი ვახუშტი ბაგრატიონი; ავტოგრაფი.

[სტეფანე იავორსკი, კლდე სარწმუნოებისა]. — „წილი პირველი. კლდე წმიდისა მართლმადიდებლობის აღმოსავლეთის კათოლიკურისა სარწმუნოებისა. ხატთა წმიდათა მართლმადიდებლობის წმიდისა კათოლიკურსა ეკლესიასა ყოფითა აქუსთ დასაწყისი და საფუძვლი წერილთა სამღუდელთა შინა. თავი პირველი. სიმტკიცე კლდისა სარწმუნოებისა სამღუდელთა წერილისაგან. წიგნთა შინა რიცხვთა(!) თავსა შინა კა. ევედროდა მოსე ერისათვს და პრქუა მას...“ 15r—355r.

შენიშვნები: 1. თხზულება ქართულად თარგმნა ვახუშტი ბაგრატიონმა.

2. ტექსტს წინ უძღვის ვახუშტის ახსნა-განმარტებანი: „სადიდებელად წმ. ერთარსებისა, განმცხოვლებილისა და განუყოფელისა სამებისა: მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, მპრობელობასა ზესთაყვითელსახურისა და ზესთათვთმპრობელისა დიდის კელმიწვის ჩრნის იმპერათრიცა ელისაბედ პეტროვნასა ყოვლისა რუსეთისასა და მემკვიდრისა მისასა, დიდის მთავრის ჭელმიწვის პეტრე მეოღოროვისა(!) და მეუღლისა მისისა — დიდის კნიაღნის ეკატერინა ალექსოვნისა; ხოლო კურთხევითა და შენდობითა უწმიდესის განმმართველის სინოდისათა წიგნი ესე — სახელდებული კლდე სარწმუნოებისა, მართლმადიდებელ-კათოლიკურის აღმოსავლეთის წმინდა ეკლესიის ძეთა განმტკიცებასა ზედა და სულიერსა აღშენებასა, ხოლო წამბროლებელთა კლდის მიმართ წამბროლებისა და საცთურებისასა აღდგინებასა ზედა და წარმართებასა, გარდაიწერა სამეუფოს ქალაქს მოსკოვს, პრესნას, შრომითა მეფის შვილის ვახუშტისათა, წელსა შესაქმნისაგან სოფლისა ქსნე, ხოლო შობითგან კორციელად ღვთისა სიტყვისა ჩღმთ, თვისა(!) კმ.“

მიზეზი წიგნის ამის გარდმოღებისა, ანო ენისა ენისა (!) ზედა შეცვალე ბანი.

წიგნი ესე წოდებული რუსულ(!) კამენი ვერი, ხოლო ქართულ კლდე სარწმუნოებისა, მოქმდუნა მთავარეპისკოპოზს ტროიცისა და იეროსლავისასა არსენს, მეფის რძლის ლევანის ძის სვიმონის მეუღლის ანა პაატას ასულისათვს. და ექო ფრიადითა ქებულებითა სულის განმანათლებლად და კორციელთა წარსამართებლად. ხოლო მათმან კთილ-პატიონებამან, ვითარცა უწყოდა, რამეთუ ვარ ესრეთთა ტრფიალი, წარმოველინა ჩემდამო მეტყველსა წიგნი ესე მიძლუნა მთავარეპისკოპოზმან არსენ დითა ქებითა, აწ უქმთუ ვინდესთ, განიხილე, თუცა არს ქებისა ღირსი და ქარ-

თულს ენასა ზედა გარდმოღებისა შესატყვისისა. ხოლო მე რა ვიხილე საუწვე სულიერისა უნჯისა ღირსებისა ზეადმატებული და განმხსნელი ყოვლისა ცილებადუბობისა და ძნელოვანთა ძველთა და ახალთა მცნებათა შინა, ცხადად გამოჩინებული და განმარტებული და განმამტიცებელი(!) სარწმუნოებისა ჩონისა, გულისხმა მიყო, რამეთუ არა იყო ქართულსა ენასა ზედა შეკრებული თორმეტთა ამთ დღომათთა განხსნობანი და განჩრევენი, ცილება-ბრჭობათა ამითა და არიგისა და წესისა ამის დაწერილისა წიგნი და ამითა შეუკრებლობისათს და სხვადასხვა წერალთა შინა გამოუძიებლობისათს, რომელნიმე იხილებოდნენ საქართვლოსა განი უსწავლელობითა, მოუძღებლობითა და წერილთა შინა გამოუძღებლობითა, შევნებულნი სენითა წიგნსა ამას შინა წერილთათა არა თუ ერნი, არამედ მსახურნიცა. ხოლო მე რა ვსცან, რამეთუ მათსა პატიოსნებასა სთნავს ამისი დაწმობება; ამით მიზეზთათს მეცა ჯერ-მიჩნდა, ვინათვან თქმულ არს: ცუდად ყოფას ცუდად შრომა უმჯობე არს, და უქმ ყოფა — წინააღმდეგ მოციქულისა არს, რომელსა იტყვს: არა ბრძანებულ არს უქმთათს ჰამა. ვიმეცადუნე ძალისა მიერ ჩემისა და შეწვენითა, რომელი მისცემს გულითად მთხოვლთა მისდა, და შევასრულე დასასრულამდე, ვითარცა წერილი იყო რუსულს ენასა შინა, მოუძღებლად და დაუტყობლად, განუვრცელებლად და დაუკინებლად, გარდმოღებულად, არამედ ეგრეთვე იგივე სიტყვა რუსული ქართულად დავსწერეთ შეუცვალებლად. არცა წინა-უქმო მცირეთაგან კიდე, რამეთუ ვინათვან არს თარგმანება, ანუ გარდმოღება ესოდენ გზეული მოკლებულნი, მომატებულნი, გარდმოღებულნი, შეცვალებულნი, წინა-უქმო და სწორე იგივე, რომელნი რატიონისა და წერილთა განმარტებისათს, ანუ ერნთა მიერ იმყოფიან, რომელნი მისვე ძალისა და გრძობისა მკონებელ არიან. (ხოლო ამას, რომელსა წინამდებარესა ვსწერთ, არა არს უწყებად მიწოდობითათს, არამედ მათთს, რომელნი უსვნიდისობით იტყვან, რამეთუ უსმენელ არს უმწყობრობითა ქართულსა ენისა). ესრეთ პირველი მოკლებული შესხმასა შინა, ანუ ენის გაწყობასა შინა, რომელსავე გამოიღებს. ამისებრ ნერონ კისარი, დიდი მდევნე მრავლობით სცოცხელ სიმთელის ცხოვრებით. ანუ პავლეს თავი წარუქმთეს. მომატებული: დიდებულს მოციქულს, ყოვლისა სოფლისა მნათობს, პავლეს თავი წარუქმთეს. ანუ ღირს შენდა ქება. მომატებული: ღირს არს შენდა ქება და დიდება. მესამე გარდმოღებულნი ამისებრ: პავლე თავი მოციქულთა თერთმეტთა, კლდე სარწმუნოებისა. გარდმოღებულნი ესრეთ: პავლე უადრესი მოწაფეთა ათერთმეტთა სიმტიციე სარწმუნოებისა. ანუ წმიდანი ღმერთანი (ღწი) აღიდებენ ცანა შინა. გარდმოღებულნი: ღირსნი უფლისანი ივკარგვნიან სასუფეველსა შინა. მეოთხე შეცვალებული ამისებრ: იუდა ისკარიოტილი იტანჯვის მწარედ. შეცვალებული ესრეთ: განმყიდველი ქრისტესი ითმნს ცეცხლსა გვეინისასა. ანუ წმიდისა თანა წმიდა იყოს. შეცვალებული: ღირსთა თანა ღირსი იყოს. მეხუთე წინა-უქმო ამისებრ: გიხაროდენ მიმადლებულო მარია, უფალი შენ თანა. წინა-უქმო ესრეთ: უფალი შენ თანა, გიხაროდენ მიმადლებულო მარია. ანუ ღირს არს პატივი და თაყვანისცემა უფლისა ღწისა. წინა-უქმო: უფლისა ღწისა თაყვანისცემა და პატივი არს ღირს: მეექვსე სწორეთ იგივე, რომელი არს ამისებრ: დავიდავ მარხვითა სული ჩემი და იყო ჩემდა საყვედრებელ. ხოლო ესნი(!) დაუტყვეო, რამეთუ არს სამჭირნი იყო წიგნისა ამის თვნიერ, რომელნი ენასა, ანუ მუხლსა სიტყვასა უშვერ ჰყოფდა, ანუ უსმენელ ჰყოფდა, ამისთს რამე მცირედნი მოუმატეთ და მოვაკლეთ, ანუ წინა-უქმო დავსხენით, ანუ შევსცვალეთ და გარდაუბარუნეთ კინად, გარნა ყოველნი მისვე წყობისანი. ხოლო კუბალდ ოქროპირისანი, ანუ დამასკელისანი, ანუ სხვათა წმიდთა მამათა მოწმობანი ჩონთა წერილთა შინა იყუნენ ზოგი მოკლებულნი და ზოგნი მომატებულნი, არა თუ შესხმანი და რტიორებანი, არამედ მუხლნიცა სიტყვასა და წყობაცა მთელ-

ნი, არამედ ჩწ, ვითარცა რუსულსა შინა წერილ იყო, ეგრეთ დავსწერეთ. კუა-
ლად ძველისა აღთქმისა ანუ ახლისა აღთქმისა მოწმობანი, რომელნიცა აქა სხე-
ნან, ვითარცა აღმანსა რუსულისასა იყუნენ, იგინიცა ეგრეთვე დავსწერთ. არა
უცნობელთ განუჩრეველობისათვის, რამეთუ თუმცა იყო უცნობელობით ქართუ-
ლისაგან აღსწერდით და მათ დავსდებდით (აშოაზე ეგვეც სიტყვა მეორდება),
არამედ ჩწ ესრეთ ჯერ-გვიჩნდა სმენისათვის. და უქმთუ ვის არა სინდეს, არს
ქართული მზად, იგი განიხილოს, რამეთუ ვინათგან არა არს ესრეთცა უგარძნო-
ბელი, არცა სიტყვა(!) უწყობ და არცა უსმენელ და იგივე. თუ რომელსა უშ-
რომიეს წიგნი, ვითარცა მას უქმნიეს, ეგრეთვე ესეცა იქმნა მოწმობილა. ხოლო
უქმთუ ვის ნებაეს, შეამოწმებს მასვე წიგნსა, ადვილ გულისხმიერებს, ცრუს
მართლისაგან და მართალს ცრუსაგან. განა უქმთუ წინთქმულისაებრ გვექმნა,
იგუნების ვისმე ეთქვა: არღარა იგი არს, არამედ სხვა, გინა სიტყვა(!) ჩწნი იგი-
ვე არს, ვითარცა უქმნიეს მას. ჩწცა ეგრეთვე ამის მიერ ვსაოგებთ, რათა არა
საკმობელ ვიქმნეთ წიგნსა ამას შინა, არამედ ლოცვისა ეკლოდინებთ, რამეთუ
დაკლება მუშაკთა სარეწავისა დაღადებს წინაშე ლწისა. უქმთუ ვინმე შემოვიდეს,
რათა გულისხმიერად გასინჯოს და განსაჯოს მეცნიერმან და სწავლულმან და
უკეთუმცა პპოვოს რამე უჯერო, ანუ უწყობი მოწმობითავე დედნისათა, გან-
მართოს. ხოლო უსწავლულსა და ხელოვნებისა მიუწოდომელსა არა ვაუფებთ ქე-
ლის შეხებად ანუ შეძრებად(!) იოტისა და რქისა. ეგოს წიგნი ესე ეგრეთ, რამეთუ
ძალი ჩწნისა შეძლებისა ესოდენ იყო, ხოლო თუცა ნებაეს, მრავალ არს «კამნი
ვერძიან», სხვა იგი ქელყოს გარდმოთარგმნად. ხოლო უქმთუ შურისა სიხენწითა
არა განიხილოს, სცნას გული სიბრძნისა შვნიერებისა შინაგანისა და სიბრწყინვა-
ლ სულისა წიგნსა ამას შინა, რამეთუ ქება ჩწ მიერ არღარა ესაშვირებოდა.
ხოლო უქმთუ ვინმე უკუწურებთა და უგარძნობელად შეურაცხვეყვის წიგნი-
თურთ ჩწნდა საკმარობ სურვილი იგი, რომელი მისცემს მუშაკთა პირუელსა და
მაცხოვრის ქამისსა სწორისა სასყიდელსა და ათასთა ოქროთა და მცირესა
მწვლილსა მისდა გულთად შემწირველისა თანასწორ შეიწირავს, რომლისა შვე-
ნის მისა დიდებაა, პატივი და თაყუანისცემა მამისა და ძისა და სულისა წმინდისა,
აჲ და მარადის და უუწინითი უუწინსამდე, ამინ.

მეფის შვილი ვა ხუ შტი იწყებს წელსა ჩღმე, ნოენბერს თ. აღსარულებს
სრულად წელსა ჩღმე ოკონბერს კ, ხოლო ხუტურად იწყებს ჩღმე ნოენბერს
იბ, აღსარულებს მამის კქ ქსსა ჩღმთ.

ეკრძალე, მკითხველო და მწერალო, რამეთუ რაოდენი შეგვეცდა წიგნსა ამას
შინა დაწერად შარი ანუ სიტყვა(!), ანუ ლექსი, ანუ მარცვალი მუნავე სხოლიოსა
ზედა დაგვიწერია და თავ-ბოლოს ამ წიგნით დაგვიჩინავეს ++, და შიგაც, სა-
დაც აკლია და ლექსი ანუ მარცვალი შიგავ დაგვიწერია, ამ ნიშნით დანიშნული ო.
მუნ ჯერ არს წაიტიხვად და დაწერად. სხოლიოზედ წმიდა კელად აწერია მოწ-
მობა და ამ ნიშნით O დანიშნული სიტყვს თარგმანება არს. ესრეთ იმცენ, ხოლო
ამოფხეკილნი, რაოდენი არიან, კუალად ამავე კელათ დაგვიწერია[-]. ამის მეტი
არ მეწერა. მით იქმნა, მწერალი ძვირობდა, ნუ მრისხანებ.

ესე სულის სასარგებლო წიგნი, წოდებული კლდე სარწმუნოებისა, შორისა-
გან ქეშპარტებისა მიერ და სიყვარულისაგან წმინდისა ეკლესიისა მიმართ, და
ეფთა მისთა ლწთისმეტყველურითა შრომითა ნეტარ სხენებულისა, ზესთა მაკურ-
თხელისა სტეფანე მიტროპოლიტისა რაზნელისა და მურუმულისა (!) და
მფარველობასა ზედა წმინდისა მართლმადიდებელ-კათოლიკურის მოციქულურის
აღმოსავლეთის ეკლესიისა წინააღმდეგ, ქრისტეანობის შემასმენელთა ლუტერთა და
კალენითა და მათდა შედგომილთა და რასკოლნიკთა ლწთივ ბრძოლთა შეწყობი-
ლისა მე — ქვემო კელმოწერილმან — წარვიკითხე შეკრძალულებითურთ და
ესჯი წიგნსა ამას ყოფად არა გარნა სარგოსა მართლმორწმუნეთა განმტკიცებასა
ზედა დიდმათა შინა მართლმადიდებლობის ქრისტეანულის ეკლესიისა, ხოლო
მრისხანებასა ზედა ლწთისმგმობართა, მწვალებულთა ენამრავლობათა, არამედ
მარადისცა სახმარსა მადიდებელი თეოფილაქტი მთავარეპისკოპოზი თფე-
რული და კაშინური, თვესა ოკონბერსა კქ ჩღმე წელსა.

კუალად სცან: რაოდენნი წიგნსა ამას შინა მარტივი სწერია, იუწყე ლიტონად, ანუ ცარიელად. და უკუშთუ მწერალს სინდეს, ლიტონი დასწერას(1), გარნა კრძალვით, სადა ჯერ-არს, კუალად სადაც სამღვდელო წერალი სწერია, სცან ძველი და ახალი აღთმამ(1)“ (2r—3r).

3. „მოთხრობა მოქმედისათვის წიგნისა ამის. მწერალი წიგნისა ამის სახელდებულისა კლდე სარწმონოებისა, ზესთამაყურობეველი სტეფანე იავროვი, მიტრაპოლიტი რიაზანული და მთრუმიული, ესე იშვა პოლშსა შინა, კეთილშობილთაგან აზნაურთა გვართა. მშობელთა კეთილმსახურთა რუსულის თემისა, მოპენებულისა ფლობასა ქუშუე კიროლის¹ (ვრგვონსისი)² პოლურისასა. და მიცემულ იქმნა სწავლასა შინა წიგნისასა ჰაბუკოზისაგან თვისსა ჯერეთ პოლშსა შინა, რომელსა შინა მოესწრობოდაც კეთილად უფროსთანა მოსწავლეთა თვსთა. შემდგომად მისა მშობელნი მისნი, მხოველნი. საცთურისა პოლიაეთთა ეკლესიასა ზედა მართლმადიდებლობისასა ამაღლებულთა ონიათობის(1) მიმართ და მნებელნი და მყოფებად კეთილმსახურებასა შინა, გამოუწყულად განზრახვიდნენ დატევიებად თვისსა მამულსა პოლშსა შინა და გარდაშენებად მცირე რუსეთსა შინა შეიღებოთურთ თვისთ, რომელთა შინა იყო სტეფანეცა. ყოვლად უუპატიოსნესი, წოდებულნი მას ჟამსა შინა სკემეონ წმიდისა ნათლისცემისაგან, რომელსა ჰყოფდნენა და საკმაროსა წელსა სცხობებდნენ, კეთილმსახურებასა შინა გარდაიცვალებოდნენ და სკემეონ ჰაბუკოზსა მყოფმან მადლისა სურვილითა სწავლისამან მისცა თავი დადგენებასა შინა და დაცულებასა ყოვლადპატიოსნისა მღვდელმონაზონისა ბეჩურელსა ვარლამს იასინოვს მყოფს. მას ჟამსა შინა სიტყვისა ღთისა მებადგებულსა საყვანესა ბეჩურელსა, რომელი იყო ყოვლად მისა არქიმანდრიტი მისვე საყვანისა, იგივე მიტრაპოლიტიცა კიაური, იგი ღირსსაქევი მამაკაცი განიხილვიდა სიმახვლესა გონებისა სკემეონისასა და კეთილის სასოებისა მისგან მომღები მცდელობდა მოყვანად მისსა შესრულებულსა სწავლასა შინა. განზრახველი უქს მისი მას სახმარსა ზედა წარაღვინა იგი პოლშსა შინა, საყვანებოსა სასწავლოსა შინა, რომელთა შინა იგი საკმაროსა ჟამსა ყოველითურითა გულსმოგვიწებითა და იმყოფებდა. და გარდავლო ყოველნი სწავლანი ღრამატიკულნი, ლექსყოფელობანი, რიტორიკანი, ფილოსოფია და ღთისმეტყველებნი. მოიქცა კიაცა შინა წარმვლინებელისა მიმართ მის ზესთა მაყურთხველისა ვარლამისა, შესრულებული მამაკაცი მოძღვრებათა და კეთილმოქმედებათა შინა. ხოლო ვარლამ მხოველი მისი და მას შინა მადლისა ღთისა აღმატებისა დიდისა სიხარულისად აღსილი და მიმადლობელი ღთისა მიწინაშეებელისა მისასა არა ერთთა, არამედ მრავლისა ტალანტთა, მეორეთ სკემეონისათვის მიძღვებელი, ზრუნვისა განუხეველად განზრახველი, რათამცა სკემეონ ყრმა არა მონადირებულ იყოს სოფლისაგან [რომელი განთოებულს საფრტესა მის ზედა განთხმზიდა წინადადებები ზოგისა პატიოსნის. მეუღლობისასა, ზოგისა სასოებათა სიმდიდრეთა და პატივისა სოფლიურთა, რომელსა მას ვითარცა ყოველისა სახმარის მიმართ თვთ ეთებდნენ] და ეგრეთცა ტალანტი სწავლისა მისისა არა იყოს დაფლული ქყნსა შინა ზრუნვისა საცხობებულთა, არამედ ჰყოცა შემოპოვნებანი წმიდისა ეკლესიისა, რომლისათვის მრავალი იშრომა სწავლასა შინა და ჰპოვა იგი. იყო უქს ყოველითვე სახითა მიდრეკად მისა მიღებისა მიმართ ანგელოზურისა მონაზონისა წესისა და შეეწია მას ღმერთი. აღვისო მისი სურვილი, რამეთუ სკემეონ უქსთუ ჰაბუკოცა იყო და ყოველსავე საქმესა ზედა სოფლისა სახმარი, უწყოდა, რამეთუ „ხილული ჟამიერნი, ხოლო უხილავნი საუკუნონი არიან“ (2 კორ. 4), მსხონებელბდა, ვითარითაცა განზრახულებითა მისცა თავი სწავლასა, ესე იგი არს დიდებასა შინა ღთისსა და საზრგოსა ზედა წმიდისა ეკლესიისასა მხმარებულისა ერთა სწავლათა. უარყო ჟამიერნი, მოისურვა საუკუნოთა და იღვა ნებასა ზედა ღთისასა და წინამძღვრისა თვისსა ზესთა მაყურთხველისა ვარლამისასა, რომელმან აღუქსცა იგი თვთ მონაზონტრს წესსა შინა, წმიდისა დიდსა. ლავრასა შინა კიაურბეჩურელისასა ყოვლად პატიოსნისა ღთისა დედისა პატიოსნისა

¹ დრჩხილებში ჩასმული სიტყვა ამაზგა მიწერილი.

და დიდებულისა მისისა დაძინებისასა და ღირსთა მამათა ანტონისა და თეოდოსისა პეჩერულთა და უწოდა სახელი მას სტეფანე მით წესსა შინა. და იყოფებოდა საეანესა შინა ყოვლითავე მოსმინებასა შინა მონოზუტითა და საეკლესიოთა ჩვეულებათა მიერ. რამეთუ იყო გალობასა შინაცა გამოცდილი და მქუხარქმოვანი და კელითეროლისა უუჭოვბესისა განსწავლილი, თნიერ სხვათა მოსმინებისა ეკლესიასა შინა გალობდა სამგლობლოსა ზედა და კითხულობდა. ხოლო სენაკსა შინა სწერდა და შეაწყობდა ბრძანებულს უხუცესთაგან. ხოლო უფროსდა გულსმოდგინე საკითხავსა წიგნთა სულთა სარგებელთათა იყო მსწრაფლ ქადაგებდ სიტყვა ღმრთისა თემთა მიმართ საეანეთა შინა და სხვათა ტაძართა შინა დიდიოთრთ სარგებელითა და დამატკობელითა მსმენელთა, რამეთუ იყო სიტყვა მისი მტიკიე მართლითა სიბრძნისათა განზავებული და ყოველნი სურვილებდნენ სმინებად მისსა. ხოლო გარდასრულს რაოდენსამე ჟამსა კეთილგულსსმიერებისა მიერ ზესთა მაკურთხევისა მიტროპოლიტის ვარლამისა განსაზღრულ იქმნა სტეფანე სასწავლოსა შინა ნათლისღებისასა კიავის მონასტერსა შინა სასწავლოს შკოლასა შინა. ამის სტეფანეს უძღებისა უქმ არა იყო სამჭირნო მტიკრე რუსეთის ყრმათა ძიებად სწავლანი უცხოთა საკლემიფოთა შინა, რამეთუ ყოველნი სახმარნი მოიპოვებოდნენ კიავსა შინა ჭეროვნათ საოვარნი ეგრეთისაგან მოძღვრისა, რამეთუ ესე დამწყები რიტორიკისაგან მხმეველთა მისცემდა ვეითიურს ფილოსოფურსა და ღთისმეტყველურს სწავლასა ეგრეთ უმჯობესთა, რამეთუ საკმარონი იყუნენ სხვათაცა განსწავლად, რამეთუ შესაალებელი თქმად მისა სოლომონოთურთ (იგავი 3) [რა საწოთიერი ვისწავებუდი, თნიერა შურისად მივცემდი სიმიდირებსა მისსა (სიბრძნისად). არა დაეუარავ, რამეთუ დაუსრულებელი არს საუნჯენი კაცთა]. მრავალს ეკლესიასა და საეანესა უოდი მისგან მქადაგებელნი და მოძღვარნი და უხუცესთა ზედა კეთილგულსსმიერნი. ამათ თანა წმიდისა ეკლესიისა მრავალსარგებელთა და მრავალნაყოფთა შრომათა და სხვათა არა დაუტყვებდა ეკლესიასა შინა. ქადაგებდა და ამბონასა ზედა სამიტრაპოლიტოსა სულეირთა შინა და სამწყსოთა საქმეთა შინა, თნიერ მონასტრულთა შემწყველობდა სიტყვთა განზრახვითა გასრულებითა და საქმეთა მრავალნი საქებურნი სიტკინი(1) [პანიღურციასა] პატიოსნითა და ქებისა ღირსებითა ერთა დასწერა შკოლათა მიერ და სხვათა შრომათა გამოყვანებულ იქმნა წინამძღვრობასა შინა პატიოსანსა საეანესა საკრელომქმედის ნიქოლოზისასა კიავსა შინა; სადაცა კეთილად მძათა დამდგინებელი და ყოვლისა, რომელი საზოგადოსა ზედა საეანისა სარგებელისა აღმშენებელი, არა იმენიდა სხვათაცა შრომათა მწყემსისა თვისისაგან განსამზღრულთა და წარგზავნით მრავალთა საქმეთათჳს განთოვებულს ადგილსა ზედა განთოვებულთა დიდ-დიდთა პირთა მიმართ. არა, გარნა სამწყსოსა შინა სამღვდელმთავროსა კიაურისასა და მტიკრე რუსეთსა შინა, არამედ დიდს რუსეთსა შინაცა სანმჭდბლს(1) ქალაქს მოსკოს არა ერთგზით, და წელსა შინა ჩდ, თანაყოფასა მისსა მოსკოს შინა, გარდაიცვალა ღირს საქებელი მამაყაცი დარბაზის ერი ალექსი სემენოვი შაინი, რომლისა ვითარცა დიდებულისა მკედართმთავრისა მრავლისა სალაშკროსა დიდებულისა დეაწლისა, მისისათჳს ნეტარმან და საუკუნოთ ღირს ხსენებულსა, იომეტეს(1) კეთილმსახურმან, ზესთა თვთმპყრობელმან კელმწიფემ იმპერატორმან და თვთმპყრობელმან ყოვლისა რუსეთისამან პეტრე დიდმან მოანება ყოფად პატიოსანთ დაფლვანი, რომელსა ზედამცა სიტყვაცა(1) საფლავსა ზედა იყოს ევრეთისა მოქმედებისა შესატყვისნი. ხოლო მხმეველსა მქადაგებელისასა აუწყთ ვინმე დიდს კელმწიფეს სტეფანე წინამძღვრისათჳს კიაურისა თანაყოფისა შინა მოსკოსა შინა. მგის ძიებულმან და მიყვანილმან, მიიღო ბრძანება და ბრძანებისა მიერ საქმისა უქმთუ არა მქონებელსაცა ჟამისა და ადგილისა თანაგანზადებისა მიმართ სიტყვსა და ეგრეთ უმჯობესად ჰქადაგა, რამეთუ კეთილმსახური მონარხი ფრიად დატკბა და აქო იგი და შეიყვარა და ბრძანა მისი არა უკუნქცევად კიავსა შინა, არამედ დამყოფებად სამმღბლს ქალაქსა შინა მოსკოს. ხოლო არა მქონებელს მაშინ მწყემსისა სამწყსოსა რიაზანისასა, განმსაზღრულ იქმნა მიტრაპოლიტობასა ზედა რიაზანულსა და მურუმულსა(1) უქმთუ ფრიადცა იმენიდა მის წესისაგან და ცრემლიოთურთ ევედროდა, რომელმცა იგი განთავისუფლდეს

მისგან, არამედ ძლეული ბრძანებითა სამეფოთა დიდებულებისა დადგინებულ იქმნა ოუწმიდისთი(1) პატრიაქით ან დ რ ი ა ნ ი თ წელსა შინა ჩდ. ხოლო შემდგომად არა მრავალთა ეამთა, გარდაცვალებისა ოუწმიდისსი(1) პატრიაქის ან დ რ ი ა ნ ი ს ა, მიეთვალა სტეფანეს მიტროპოლიტს ყოვლისა რუსეთის ეკლესიისა სწორებაცა და პატრიაქისა საყდრისა დავრძალულება. ეგრეთსა ყოვლად მაღალსა ხარისხსა ზედა აღვიდა იგი ზესთა მაყურთხვეელი სტეფანე მიტროპოლიტი. რაოდენით ამაღლდა, ეგოდენ შრომითა დამძიმდა, შესძინა ხარისხისა მიერ შრომის მოყვარებანი უწინარესთა ჩველებათა(1) შრომათათა, არა დამტევებელი სხვათა განმმართველთა მიმართ არა ჩველებათა(1) განმრთხმელი და ეგრეთ ჩველებათა შინა დამყოფებელი, ვითარმცა ესე ერთნი აქუნდა ეგრეთ განმმართველობისა აღმასრულებელი, ვითარმცა მოძღვრებულისა დაუტყვევ ორთავე შინა შესრულებული ეკლესიასა შინა მსახურებდა (სწორედცა — აშოაზე) ღრსა და სიტყვსა ღრსისა ჰქადაგებდა, ვითარმცა მას მხოლოსა შინა გაუქმდებოდა, ხოლო სამსჯავროსა შინა განმინჯველობდა და განხნიდა სულიერისა საქმესა, ვითარმცა მსახურებათათს და ქადაგებათა არა განიზრახვიდაცა. ჰპოვა ყოვლისავე საქმისა ეამი, ვინაითგან არცა ერთსა უქმი გარდავლიდა მცირეთ ოდეს არა სწორა შესაკრებლის ეკლესიასა შინა დღესა შინა კვირიაკისასა და დღესასწაულისა თვნიერ ქადაგებისა, ხოლო ჯერეთ თვნიერ პარაკლისისა და დღესა შინა შობისასა და მოსხელობისასა მეფეთა და ქადილობითა, ოდეს შეიძინებოდა დღესასწაული, რომელსა შინა იმყოფის ჯვარისა ლიტანია, მამინ დამისთევის გალობისა თანაცა და ლიტანიასა შინა უქმთუმცა შორად წარვიდოდამცა და წირვისა შინა ქადაგებისა ციტიცა სიტყვსა ღრსისა ჰყოფდა და იყო მხნე მწყემსი დამცველი ქრისტეს არსეთსა მიტროთაგან მბრძოლარეთა მის ზედა და მგელთაგან მტყუარან მოძღვრებისა შემოსულთა ტყვეთა შინა ცხოვართათა. ეამსა შინა ლაშკრობის ყოფილისასა განწესებდა დღეთა მარხულობისასა, ლოცვისა და ლიტანიისა ჯუარისასა, რომელსა შინა თეთ იყოფოდა და პარაკლისობდა. და ლოცვისა მიმართ თემთა ქადაგებითა განფრთხობდა, ხოლო ძლევისათს მადლობისა მიმართ დასაწყისისა შინა თვისისა მმართველობისასა, რაჟამს აღდგნენ ვითარმცე განზრახვა რასკოლნიკთაგან, არა მართლმბრძნობელთა მოსვლისათს ანტიქრისტესა და განმთესველთა თემთა შინა დვარძლთა, დასწერა წიგნაკი კუჭთებასა ზედა შეცთომილებისა მათთა, რომელი დაიბეჭდაცა სამშებლს ქალქსა შინა მოსკოვს, წელსა შინა ჩდ. და თვის მას წვალების უხუცესს წინაშე მეფისა და სენკლიტთათა ამხილა და უმითვებულთა ჰყო ყოვლად მისა მტენ მწყემსი მხოველი ვითართა მეთა შემრყველთა მართლმადიდებლობასა შინა და გარდმომღებელთა კერძოსასა. ხოლო სხუათა მყოფელთაცა აღმოსავლეთის კეთილმსახურებისა არა შესატყვისსა, რომელთა ასწავებდნენ თანამცხოვრებელთაგან სხუად სარწმუნოებითურთ რუსეთსა შინა და უცხოთა შინა მათთა კერძოთა თქმულისა მიერ შეიროდნენ ვინთა და ისწავებდნენ საქმეთა მათთა. ხოლო სხუათა ცხადთ მაუწყებელთა წინააღმდეგობისა წმიდისა ეკლესიისა და გარდამოქცევულთა სულისა ბოროტებათა ამისთს მტკივნეული სულითა მომურნე კეთილმსახურებისათს და მიმწოდები ღრსა შეწევნათა შინა შეიქურა მათ ზედა სიტყვთა და საქმითა იგივე კეთილგანმსჯელი აღწერად ამის წიგნისათს კ ღ რ ს ა ს ა რ წ მ ო ნ ო ე ბ ი ს ა (1) წარმართებისა ზედა წამბრკოლებულთა და კუჭთებასა ზედა შეწინააღმდეგობათა. ხოლო განმტკიცებასა ზედა მდგომარეთა კეთილმსახურებისა შინა. ეგოდენთა შრომათა შინა და დავწლთა წმიდისა ეკლესიისათს და მყოფებელი დაითმენდა კორციელსა სიმძიმისა ტკივნეულებისასა, უქმთუ გუარისა მიერ ფრიადცა ძლიერ იყო ტორციოთა, ქვს ნეულებასა მრავლის წლის გამო დაითმენდა, ამის მიმართ არა რითიდს(1), რომელი უფროსა და დამოკვდრებს ფერტთა და ჰელსა შინა, წოდებული ნიკრისი, ქუჭნიკრისი. თვნიერ კორციელთა სატიკიართა მრავალნი ვენებანი დაითმინა და სულიერნი დიდსულთ გინებანი, ყვდრებანი, წყევლანი და საცუთრანი, ვითართამე არა კეთილმოქმედთა მის კაცთა თვსთაგან სახლთ შვლთა, ხოლო ღმერთმან დაიცვა იგი მოქალ და უწყინოდ აღსასრულადმე მისისა, რამეთუ უმეტეს კეთილმსახური კელმწიფე უქმთუ საცუთრთა მიერ მათ კაცთა თანა მცირედ შეორგულებასა შინა მოვიდაცა, გარნა ყოვლად დიდისა წყალობისა თვისისა მეფობისაგან მის მიმართ, არცა მცირეთ არა განიშორებდა მას, ხოლო ჯერეთ პატრისა მიმართ

მისისა, რომელი აქუნდა-დასაწყისიდან, შესძინა მისა მეორესიცა, რამეთუ დადგრომილს მავიერად პატრიარქულის უწმიდესის სინოდსა რუსეთსა შინა ჰყო იგი არა მნებელიცა წინარე მდგომლობით (პრეზიდენტობით) მის სინოდისა, ვერეთ ღირს საქებლით შრომათა შინა და ტყენეულებათა და განსაცდელთა წმიდისა ეკლესიისათჳს გარდამვლელი ცხობებისა თჳსისა ზესთა მაკურთხეველი მიტროპოლიტი სტეფანე იაკოვოვი გარდაიცვალა კეთილმასხურთ სამშუფოსა ქალაქსა შინა მოსკოს, წელსა შობისაგან ღწისა სიტყვსა ჩღებ, ნოენბერს კჳ დღეს. მქონებელი წმიდათა შობითგან თჳსსა ად, გუამი მისი, შემდგომად შესრულებისა საფლავსა ზედა გლობისა მოსკოსა შინა მისისა მცნებისა მიერ, წარღებულ იქმნა მის სამიტროპოლიტოსა შინა პერესლავს-რიაზანსა, და დაღებულთ შესაკრებულს ეკლესიასა შინა ყოვლად პატიოსნის ღწისმშობლისასა პატიოსნისა დიდებულისა მისისა დაძინებისასა სხუათა თანა მის საყდრის მღუღელმთავართა.

ღმერთო, სათო და ყოვლისავე ჭორცისა წმიდათა თანა განსუენენ სულსა შესვენებულსა მონისა შენისა სტეფანესასა, ამინ. (3რ-4ვ).

4. „მიზეზი და შეხდომა წერილისა ამის წიგნისა: წელსა შინა ქრისტესსა ჩღებ სამშუფბლთა მრავლის სიტყვთა ქალაქსა შინა მოსკოს იწყების საქმე და შემდგომად მრავლთა გამოკულევითა და ღირს სარწმუნოთი მოწმობითა გამოიქხადა უწყებულათ.

რუსელისა თემისაგან აღდგა ვინმე მშვილდოსნის შობილობისა წვალების მოძღვარი სახელით დიმიტრი ევლოკიმოვის ძე თვერითი ნოვი, რომელი ღურუშენიცი უწინარეს წოდებული იყო. იგი უკუჲ ყრმობითგან წელსა თჳსთა მიკრულ იყო ვითარისამე მკურნალისა მიმართ სხუად სარწმუნოებისა, რომლისაგან მკურნალობისა ჯელოვნებისა შემსწავებითი სულსა თჳსისა განრღვეულებს მიიღებს და სენითა მწვალებლურითა შეგნებულ მყოფი, ჭორცთა უკუჲ კურნებითა იგონებდ ყოფად, ხოლო სულთა წარწყმედათა ყოვლისა უუძკრესეს გამოაჩენდა, რამეთუ შეკრება ერთგანმზრახველნი კაცნი თავის მგზავსნი სარწმუნოებასა შინა მართლმადიდებლობისასა, ვითარცა ლერწამი ქართთა შერყეულნი, ხოლო სამღუღელთა წერილთა შინა ანუ მართლის გამოუღედელნი, ანუ სულთა მწვალებლურითა წერილისა გარდამაქცეველნი, იწყებს მოძღორებით ყოფად და დასაჯლომელსა ზედა წარწყმედისასა. დაჯდა განთავიკებლისა წვალებისა ღვაძლისა საშუალს იფქვლისა კეთილმასხურებისა წმიდისა მთენველი და რომლითა სიყრმითგან თჳსისა რძითა გამოზრდილი იყო, მას შესრულებულსა შინა წელსა და სიბოროტისა თჳსისა იწყებს წარბოთხებულ მასწაველთა არა ჩინებისა მიერ თჳსისა წინააღმდეგომ ყოველთა დაშენებულთა და მოადგილეთა კრებათა ხატთა წმიდათა გარდაყრათა, ევხარისს უწმიდესსა შინა მარტიესა პურსა წმიდათა არა მოწოდებასა, განმაცხოვლებულსა ჯვარსა უფლისსა არა თავანისცემასა ნაწილთა წმიდათა, არა პატივისცემასა მოძუდართათჳს, არა ვედრებასა და სხუათა ბოროტ-მასხურებათა დოღმით თანა ძწლისა კრებათა დაყენებულთა დაწყევლილთა და იქმნა ხილვა მის წვალების მოძღვრისა, ვითარცა მეორე საქმე მოციქულთა შინა (საქმე ე, ლე) ავედი ანუ იუდა გალილეელი, რომელმან მიზიდნა კვალსა შინა თჳსსა ერნი სამართონი, ხოლო უფროს თქმად თჳსისა ნებისანი. ხოლო რათა თჳს ვინამენი აქა მოიხსენებინა კომელისონისა სიბოროტისა მიხაილო ანდრეი ძე კოსოისა. ესე შეუღველილთა თჳსთა გულისწყრომათა მხეტურსა, რამეთუ არა გარნა მდგომარეთა საქმეთა შინა, არამედ უწინარესცა შფოთისა ჟამსა შინა მეშფოთეთა მშვილდოსანთაგან. წელსა შინა რუ მოსკოს შინა ყოფილსა თანამეზოგად გამოჩნდა და შეკმობილი ყოველ სათემოდ აღმშფოთებელთა მშვილდოსანთა, რომლისათჳს წარგონილთა იქმნა განდევნილებასა ზედა სიბირსა შინა და ხოლომოდრეკე მიხაილო მინინ ძე ჩემე ლარისა და ზოგადისა რიგისა ვაჭრისა ნიკიტა მარტინოვი და შკოლნიკი ვარეთ შკოლის მასწავლელი ივან ალექსიმოვი და თომა ივანოვი ჯელოვნებით დალაქი. ესენი არიან სასწავლოსაგან ეშმაკისა გამობლონილი ეშმაკეტყველნი უფროს და არა ღვთისმეტყველნი, რომელთაგან უკანან-კნლსა, რათა არა ესთქვამ ბოროტობით, პირველ თომა ივანოვი ეგოდენსა ხარისხსა ზედა ეშმაკულობისასა აღვიდა, რამეთუ განსწავლითა ეშმაკეულითა, ხოლო მწვალებლურითა მთვრალ მყოფი არა შეგმედმული არს სახისაცა ღწისა

სათნოსა წმიდისა ალექსი მიტროპოლიტისა რუსეთისასა ჩუღოვის მონასტერსა შინა გმობდა. ჰი, სულგრძელებსა შენსა მშუფეო. ძკლად ძკლუბურს მცენებას შინა კიდობანსა შენსა ფილისტიმელნი შევიგნებდნენ, სა... რთხვეულსა შენსა აღმოფხვრიდნენ, ტრარასა(!) წმიდათა მოაოკებდნენ ახალ რომსა შინა მეფობასა შინა ლევის ისაეროსასა, ხატთა წმიდათა გ... ბდნენ. იგივეს ჩს ქაშასა შინა მის თომასაგან ყოფილსა ბოროტმოქმედებ... მტირალითა თვალთა ვიხილვიდით და განესცვრდებოდით, გარნა ყოველ შემკლებელი დამბადებელი გამოუთქმელთა მოწყალებათა თვსთა მიერ არა ე... შვებეს. ამის აღისა აღსაგზებულად, არცა ეგვოდენსა ყოვლად წარმწყმენდელს. განვრცლებულთა მისაღებულად, რამეთუ მონარხელის ბრძანების მიერ უმეტე... ციოლმსახურისა და ყოველსა დაწესებულსა შინა მართმადიდებლობით განბრწყინებულისა. ხოლო მრავლითა ძლევითა განდიდებულისა განმცხრომელისა... ლელისა რუსეთის იმპერატორისა დიდის მონარხისა ჩისა პეტრე დიდი... სა... მშვებთა დიდსა ქალაქსა შინა მოსკოს, მხეცის მბაძველი იგი მიმართ ებული თომასა, თვისთა უგუნურებისა კადნიერებისათვის სასტიკათ სასიკვდილოთა განპატივებათა შემგზავსებულსა მაგიერად მიიღებდა. ამის ერთისათვის ღირსი ქებისა, რამეთუ უკუშთუ ბოროტსაცა დაიწყებეს, გარნა ყვითლად შესართულა ზაკულნი საქმე თვსნი მყოფითა სინანულითა, ხოლო აღსარებითა ცოდვათა თვსთათა და კადნიერებისა თვისთათვის ყოველსათემოთ საბრალოებით გარდახიცოცა. ხოლო სხუანი წმიდისა ეკლესიისა დამოორჩილებელნი მწვალებელნი, ესე იგი არს დიმიტრი იგი თვერითი იოვი ერთგანზრახულისა თანა ზოგადად სამღვდელთს კრებისა განზრახვითა შეჩვენებასა მიეცნენ.

ხოლო გარდასრულთა რაოდენთამე წელთა შემდგომად მათთა წყევლისა, ზეით მოხსენებულს თვერითი იოვის და ქერიებულს სურთა მერისა ცოლისა შერთვად თავისად მეუღლეობასა შინა ეკლესიასა შინა მართმადიდებლისასა მღვდლისა თანა ჩუღულებისა მიერ ქმნულისა. და არა შემპლქონებად მისეულად ეკლესიასა შინა მღვდლისა, ვითარცა განყენებულმან გამოსცა თხოვნა უწმიდესეს განმმართველს ახალშეზავებულს სინოდს, რათამცა მიღებულ იყოს შეზოგადებასა შინა წმიდისა ეკლესიისა, რომელი შეემთხვაცა სინოდისაგან. საქმე მისი მწვალებლებისათვის და მისისა ერთგანზრახველთა იცეების საშესამოსლოსა შინა პატრიარქისასა“.

5. 1v-ზე არის ლექსი: „ეს ლექსი ამავე წიგნის მთქმელის ნათქვამი წიგნისა შინა ანტეპრისტისათვის თქმულსა მისგანვე ქმნულს. ეწერა რუსულის მელექსობითა, მე ქართულ ესრეთ შევაწყევ და აქ დავსწერე, ვინაითგან აქაც შესატყვისი არს იგავიანი შაირი:

საყვარელს გნებას უქმთუ,
 ეს ვინ ჰყო კადნიერება,
 არს ცოდვლ, რამედ ღმერთსა
 და ესეც ინება საყოფლად,
 იყო ვირიც სამოსლითა,
 რა ოდესმე თვის უფალსა,
 პირს ნუ ხედედ ამას ზედა,
 და ღამაზ ხაზი, ან წერილი
 ტო გარნა რაი დავსწერე,
 რა ჰემარტობს თუ სიტყვა(!)
 ზედან იუწყეე ჟამი—დრო,
 და ნატვრით კარაულიცა,
 სრულ ჰემარტობს ეს სიტყვა,
 ოტყვ გამოსცემს უწყებას,
 ოკეთუ მითვე არავის,
 იგი ბრტენს ყოვლივ წინაუტს

ტრფილს ამისი ცნობანი,
 ფერებთა აღმწერლობანი,
 ნებაეს ცოდულთა გებანი,
 მღვდლად, ბისონ ომფორობანი.
 ტანთ მოციქულთ აღჯამული,
 აღისეგმდა უტვრთული,
 ოდენ გლოცავ იმენ თქმული,
 იყოს თქუშნდა არ სინჯული.
 იგ ვითარ მიუწყებელობს,
 ანუ რას განმტყიცებულობს,
 ამისი ვითარ გებულობს.
 იქ ტვრითი დამპიმებულობს.
 მეტ რკინისაგან მყნეარობს
 როს მჯლოზუდ მეკადნიერობს,
 მას თქმად დაწყებად რაიობს,
 საკრძალსა შემკრძალვიერობს“

6. 360r—365r არის „კათალოლი ანუ შეკრიბანი ანბანისა მიერ შეყვანილბისა მიმართ ვეროვანულთა(!)“.

ა) 7. ტექსტს ბოლოში ერთვის:

ვხედავთ	ახალს	ხუროვნობას,	უკეთესსა		შეწყობილსა,
ტკბილს	იხილავ	დაწერილსა,	ამას	ვითარ	შემკობილსა,
ვნატრი	ესრეთს	რიგოვანსა,	თანად	არათ	რით გამობილსა,
და მცნებას	ნათობს	ორგანიზაციას	ბუნებითა	იქს	თმობილსა,
მუშაყი	იწყებს	წუხილსა,	ოდეს	დიდს	დაივლუბსა,
ეგრეთზედ	ნებაეს	მწეობა,	ემწეების	ფრიად	იშვებსა,
საწაღელს	შეხდეს	ვსებულსა,	იხარებს	ლხინსა,	ორებსა,
ბედსა	იღიდებს	თავისად,	გულს მისცემს	ნათლად	დარებსა.

- ბ. „ღმერთმან ქმნა სიბრძნით ხილულნი და უხილავნი სულითა, მჩენში კაცს გარდა უმჯობეს, მზე ჰყო ბრწყინვალე ნათლითა, მისცა თორმეტ ზოლია ცის გარმო სიარულითა
- და შედნი მნათობნი მით ბრწყინვენ, ტარონიც ოთხეულითა. კაცს რაჟლი მისცა წესითა, პარონ მღვდლად საკმეველითა, ის განაშვენა თორმეტით ქვითა მით ძვირფასულითა, თორმეტ ტომთ გარმოდგომილთა, მთაყვანეთ დას-დასულითა,
- და შუამდგომელად ღვთისა და კაცთ მსხუმრბლით მოსუელითა. ქრისტე განკაცნა ძე ღვთისა, მარადის თვთ ქალწულითა, თორმეტნი გამოირჩია, აღავსნა სულის ძალითა, ვნების თვისისა მოწამედ განშორებულნი სოფლითა,
- და ცის კიდეს მისწულნენ, მტერსა სძლეს, სავსე ჰყვეს სიბრწყინვალითა. ქრისტე მზედ ზოდნი თორმეტნი ისახნენ მოციქულითა, ქვა მნათნი, ტომნი მათ შორის, მოსე მით გუნდეულითა, ერის მთავარი ძე ღვთისა მოწამედ შუა სწავლითა,
- და დავამგზავნენ წიგნნი თორმეტნი, ძნელოვანი ბქეთ განხმულითა. მზე ზოდით, მოსე პარონ, თორმეტ დასთა მსახველით მოწამედ შორის ქრისტე, სიტყვს სწავლის ამქსნელითა, ეგრეთ წიგნსა ამას შინა შემომსვლარს წრფელი გულითა
- და ქრისტე მკვდრობს, ქრისტეს სული ქეშმარითი სიწრფელითა. მრწმენეს, არის ქეშმარითათ ქრისტეს ნებით ყოფილითა, ვინ მიჰყვების საქმით ამას, განძღეს ზეცის სურვილითა, ვინ უარჰყოფს, არვის ძალუტ ქრისტინანის სახელითა,
- და სათნოს მისსა ვინც არა ჰყოფს, ქრისტეს შემწედ რად ვლითა? ვიწყებ ათას შვდას ორმოცს ექუსს ვინთა ქართულითა, რუსულისგან გარდმოვიღევ, შევასრულე სრულ ყოვლითა ათას შვდას ორმოცდაშვდს, რაც ძალ შედვა შესაძლითა,
- და მე ვახუშტი მ — მეფის შვილმან, მეტად დიდის სიფრთხილითა, ნოენბრიდამ ოკოდმბრამდე დღედაღამე უწყვეტლითა, დავშვერ, ვგონებ შრომის ფასი მომეგების ამის ძლითა, გონიერი შემომსვლელი ლოცვასა ჰყოფს მათში ვლითა
- და უგუნური თავსევე ავნებს სულს ჯოჯობეთს სატანჯვლითა. ნუტურს ვიწყებ ათას შვდას ორმოცდარგას წარსულითა, ხუტმბრიდამ მამისამდე კელით ჩქარით, არ ნელითა, აღსრულდების ათასს შვდას ორმოცდაცხრას ჯდომილითა,
- და არ მეწერა ამის მეტი, მკოდნთგან წუნვას არ ველითა. ბრძენს გევედრებ ვანმართო, თუ ჰპოვო შეცდომილითა, უგუნურს, უცებს შევრისხავ, ან უყოს შეძერა კელითა, გულის წმინდითა გამინჯოს, ნუ შურის სიორგულითა
- და სასყიდლის გება მოშაკთა(!) ბრძანებული არს უფლითა. ბრძენს არ უწოდს პავლეს¹, ვინც არს თავით თვისით არ სწავლითა,

¹ რომაელთა კმ.

115.4



- არც უგუნურს ლიტონს კაცსა, არ შეემცნოს წიგნი შლითა,
 ბრძენი ის არს, ვინ ისწავლის მიწდომილი ხარისხსვლითა,
 და უგუნური ვის ჰგონიეს, უსწავლოთ თვთ ცნობილითა.
 ამას ვერისხავ, იმას არა, ვინ წვრთნილი არს სიბრძნულითა,
 მას ვევედვრი რაც ვერა სცნას, სიტყვა რამე ფარულითა,
 მცოდნეს ჰკითხოს განმარტება, მან შეამცნოს გრძნობილითა,
 და გმობა იყოს თუ უწყობი, მითვე იქმნას წაშლილითა.
 გამაღობ ღმერთსა, შემოქმედსა უხილავთა ხალულითა,
 იგი არის დამწყებელი, დასასრული დიდ წვლილითა,
 იგი გვნიჭავს თვლევულთა, ეს ძალეიდევ ნიჭულითა,
 და უფროს ნიჭსა უფროს ძლევს(!) ამას არ ვეჭუ ნაცილითა(!).
 თქვას ვინმე, ნიჭი ვინა სცა სამღვდელთ განყოფილითა,
 ყოველათვის იენო ქრისტემან, ჭვარს ზედა მით სიკუდილითა,
 რიცხუში(!) რიცხულვარ სახელით, თუც ვარ ცოდვისა რულითა
 და ცოდვითაც სწყლობს და ნიჭავს არა ჰყოფს განძებულითა.
 ვინ იეჭოს არ თარგმნითა მთლად სწორისა სიმართლითა,
 ჭგი შრომას ნუ დარიდებს, მოწმოს დედანს წინწილითა,
 ენის ორის მეცნიერმან, მაშინ იცნას სიტყუს თვლითა,
 და ცრუ მართლისგან გაარჩიოს და წილენი ნაწილითა.
 ესე არს ჩვენი ვედრება, ამაზედ ესრეთ თქმულითა:
 ვინც შეგვევიდროს, მიეცეს გზა მართალთ მინიჭულითა,
 განხსნა იგავთა წიგნისა ტაბლობდეს სასუფეველითა,
 და ურჩს წყევა არად უკმევს, იყოს თქმულთ უსმენელითა“ (365v—366r).
 8. 366r—v-ზე არის ლექსიკონი — „წიგნსა ამას შინა რაოდენი სხვათა ენა-
 ნი არაიან“.

9. ხელნაწერი დეტალურად აქვს შესწავლილი ქ რ ის ტ ი ნ ე შ ა რ ა შ ი ძ ე ს
 შრომაში: „ეახუშტი ბატონიშვილის მთარგმნელობითი მოღვაწეობა“, რომელიც
 ჯერ არ გამოქვეყნებულა.

9. ხელნაწერში ჩვეულებრივია ვ ხმარება ვ მაგიერ, ო-ს ხმარება უ-ს მაგიერ.

მინაწერები: 1. „1905 წელსა იანვრიდან დაიწყო აჯანყება ხალხმა და ბრძო-
 ლა თავისუფლებისათვის. დახოცეს როგორც დიდი წოდების კაცები, როგორც
 მთავარიშვილი ს ე რ გ ე ი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს ძ ე, ისე მინისტრები, ლუბერნატ-
 რები და თავადაზნაურნი არა მომხრენი“ (366v).

2. „1904 წელსა მაისის რვასა დღესა არ თ ვ ი ნ შ ი, რაზმონიკის დაქვრის
 დროს, მოკლულ იქნა იმავე ყაჩაღისაგან თათრისგან(!) ი ა ს ო ნ კ ო ს ტ ა ნ ტ ი-
 ნ ე ს ძ ე ა ბ ა შ ი ძ ე. დასაფლავებულია ქუთაისის, საფიჩხიაზე“ (366v).

3. „ჩ უ შ ნ ი წ მ ი ნ დ ა ნ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ნ ი:

- ა. წ-ა პეტრე ქართუშლი
 - ბ. წ-ა იოანე ქართუშლი
 - გ. წ-ა გობრონ ქართუშლი
 - დ. წ-ა ევსტათი მცხეთელი
 - ე. წ-ა კოსტანტინე ქართუშლი
 - ვ. წ-ა ტვიროზ ბრეთელი
 - ზ. წ-ა სტეფანე ხირსელი
 - შ. წ-ა მიქაელ ულუმბოელი
 - თ. წ-ა გრიგორ ხანძთელი
 - ი. წ-ა არსენი იყალთოელი
 - წ-ა ისიდორე სამთავნელი
 - წ-ა დოდო ქართუშლი
 - წ-ა დავით გარეჯელი
 - წ-ა შიო მღვიმელი
 - წ-ა ილარიონ ქართუშლი
 - წ-ა ისე წირკანელი
- წმიდანი დავით და კოსტანტინე არგვეთის მთავარი, იმერელნი“, 367v.

4. „1833 ჩუღა-ს წელს, სექტემბრის ია-ს განეყენა პატარა სამსონ დი-მიტრისძე. ესევე ნესტორ წერეთელი. ღმერთო, ობლის მამავ, აღზარ-დე, აღაორძინე და განაძლიერე“. 367v.

5. „ჩუღე წელსა იანრვის კ წიგნი ესე კლდე სარწმუნოებისა მიბოძა თა-მა პოლუონიკმა, თ-ამა ალექსანდრე წერეთელმა მის მეგობარს თ-ს კოსტანტინე აბაშიძეს. ღმერთო, მიოცხულე ჩემი ალიოშკა. საჩ-ხერე“. 367v.

6. „1833 წელსა ნოემბრის ათსა გარდაიცვალა გენერალ-ლეიტენანტი გუბერ-სკის მარშალი, ქუთაისის თ-ი ნესტორ დიმიტრისძე წერეთელი. 1833 წ. დეკემბრის 20 გარდაიცვალა მეუღლა, თ-ი ნესტორ წერეთლის კნეინა პელაგია ქაიხოსრო გურიელის ასული. საუკუნოდ იყოს ხსენება მისი“. (ქვედა ყდის შიდა საცავი ფურცელი).

7. „ამ ივნისის 18 დღესა 1916 წელსა ისევ მომიბოძა წიგნი ესე მისმა კე-თილმსახურებამ თავადმა გრიგოლ წერეთელმა“. (იქვე).

8. „1821 წელს, ფებერვლის იგ-სა წაბანდა შინ ალექსანდრე თავ-დირიძე“. (იქვე).

9. „1833 წ. ნოემბრის 6 დაიბადა პატარა ქალი ნინუცა, იასონ კოს-ტანტინის ძის აბაშიძის“. (იქვე).

10. „ქ. წიგნი ესე, წოდებული კლდედ სარწმუნოებისა, ვიშოვე დიდის შრო-მით, რადგან დიდათ საქებელი და სანატრელი წიგნი არს. ამისთვის დიდათ ვეცა-დე და გგონებ ჩვენს ენაზედ მეტათ ძვირია ეს საქებელი წიგნი. ამისთვის, მეტ-რფენო წერილისანო, მეცა თქუქნის რიცხვისაგანსა, გარნა დიდად ცოდვილს შენდობა მიბრძანეთ ვინც ჩაიკითხოთ. ნიკოლაოს წმინდელმან სოფრო-ნიოს მიბოძა წელსა ჩუქ ავეისტოს ლ, თავადს გრიგოლ წერეთელს“. 1r.

11. „წელიწადსა ჩუქ-სა ქრისტეს აქეთ, მარტის მეხუთესა დღესა, ხუთშა-ბათს, შუალამისას, წაიყვანეს რუსეთად ხელმწიფე იმპერატორის წყრომით ქუ-თაისის მიტროპოლიტი დოსითეოს და გენათის მიტროპოლიტი ეფთვიმი, მასთან თავადნი წულუკიძე სეხნია და მიქელაძე დავით და ტაბა-კინის არხიმანდრიტი გრიგოლ. გარნა გზაზე გარდაიცვალა ქუთაისის მიტრო-პოლიტი დოსითეოს და დაფლვესო ანანულს, ქართლის ეკლესიაში. კურ-თხელუ ხარ ღმერთო შენ, და გამოუძიებელ არიან საქმენი შენნი, ხლო ვაი ჩე-მებრ ცოდვილთა. თ-ი გრიგოლ წერეთელი“ 1r.

12. „ჩუკა წელსა, მარტის იგ-სა დაგბარეთ ჩუენი ნარგები ზვარი“ (ზედა ყდის საცავი ფურცელი).

13. უმნიშვნელო მინაწერები იხ. 1r, 367r—v, ქვედა ყდის საცავი ფურცელი.

(1745)

5009

კრებული. XIX

71 ფ.; 10×16,5; ქაღალდი; დაშლილი, დაზიანებული; დალაქავებული; ტყა-ვის ყდა; სხვადასხვა ხელი; მხედრული; შავი მელანი, ალაგ-ალაგ გამოყენებულია სინგური; [XIX ს.]; დიდი ნაწილი გადაწერილია მიხ. მიქელაძის მიერ; (41v); დაუწერელია: 32v, 33v, 46v.

1. „ლოცუა მწუხრითი მწუხრად სათქმელი მცირე სე-რობისა. — სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა ამინ“. 1r—20v.

2. «დიმიტრი თესალონიკელის საგალობლის ფრაგმენ-ტი». — „შემწე დიდი გპოვა შენ, ჭირთა შინა ქალაქმან თესალონიკემან, ღუაწ-ლით შემოსილო მკედარო უ-ისა დიმიტრი...“ 21r—v.

3. «წმ. ბარბარას საგალობლის ფრაგმენტი». — „წმინდასა და ყოვლად პატიოსანსა ბარბარას ღვწლისა მძლესა პატივს ჰსცემდეთ ყოველნი“... 21r.

შენიშვნა: შემორჩენილია სულ 4 სტრიქონი.

4. „ოხითა იოანე ზედა ზადენელისა. — ათორმეტთა მამათა შორის მზედ მნათობად ქართლისად ჰსჩან“... 22r.

შენიშვნა: საგალობლის ავტორი არ ჩანს. ხელნაწერ A—1093 (ა. მესხი-შვილის სადღესასწაულო) მითითებულია: „ანუ ღღესასწაულისა, ოხითა კჲვ“ (539v).

5. «ეცესთათი მოწამის საგალობელი, ფრაგმენტი». — „მოწამემან შენმან, უფალო, ეცესთათი, და სხლუელთა მისთა ღუაწლთა შინა თვსთა გვირგვინი მოიგეს უხრწნელებისა...“ 22v.

შენიშვნა: ხელნაწერიდან და შემორჩენილი ფრაგმენტიდანც არ ჩანს მოწამე ქართველია (მცხეთელი), თუ არა. სულ 15 სტრიქონია.

6. [პასქალიონი და სლვა მთოვარისა]. „წელსა ქესით ჩყკ, ქქნს ქართულსა ფშ. — დ ზედნადები, კვ ნაკი. წა აღდგომა მარტს კშ...“ 23r—36r.

შენიშვნა: პასქალიონისა და მთვარის სვლის გამოსაანგარიშებლად საჭირო ცნობები მოცემულია 33r, 34r, 35v-ზე.

7. „შემოკლებითი სწაულა ზნეობითისა ყოფაქცევსა პლატონის მიერ მოსკოვს მიტრაპოლიტისა. — ა. ჰსასობდღე ღმერთსა ზედა, გიყუარდეს იგი ყოვლითა გულითა შენითა“... 38r—40v.

შენიშვნები: 1. „სწავლა“ შედგება 53 პარაგრაფისაგან.

2. ეგვიპე თხზულება მეორდება ფ. ფ. 41v—44v.

3. ამ თხზულების შესახებ იხ. ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIII ს. ს., გვ. 224.

8. [ქრონოლოგია საქართველოს ისტორიიდან]. — „ქ. წელსა დასაბამითგან ძღვ იქმნა მეფედ სრულსა საქართუშლოსა ზედა ფარნავაზ...“ 45r—v.

შენიშვნა: ქრონოლოგია ეხება პირველ ოცდაათორმეტ ქართველ მეფეს. უკანასკნელად დასახელებულია ბაკური.

9. [წმ. გიორგის საგალობლის ფრაგმენტი]. — „ღუაწლი კეთილი მოიღუაწე სარწმუნოებით ქრისტე ღმრთისათვის, ღუაწლით შემოსილო დიღო გიორგი...“ 46r.

10. [საეკლესიო კალენდარი]. — „თუშსა იანუარსა ა, ჯორცითა წინადაცუშთა უფლისა ჩუშნისა იესო ქრისტესი...“ 48r—69r.

ანდრძი: „ღმერთო, მიღბინე მონასა შენსა მიხაილს მიქელაძეს“ (41v).

მიანწერები: 1. „ივანე ნათლისმცემლის ეკლესიასა მართებს ხუთი თუმანი ფული და წითელი დიდი ხარი, მთავარანგელოზისა ორი თუმანი“ (ზედა საცავი ფურცელი).

2. „ჩუღდ წელს მივეც ამ წლის სარგებელი ცხრა მინალთუნი ათის თუმნისა და ღარჩა სამი მინალთუნი კიდევ ჩემზედ“ (იქვე).

3. „მამა ყოვლად კეთილი შვილთა კეთილთა და მოძღუარი ქრისტეანეთა მართლმადიდებელთა ტფილისს შინათა, ძუჭლი იგი დღეთა კაცი ღის, გიორგი ღარაძე დეკანოზი, მიიტყალა წელსა ქრისტესით ჩუღდ ქვს უპბ, თუშსა ფებერვალსა ე, დღესა კვირიაკესა, ეამსა მეცხრესა, აღების ღამეს, საუკუნოდ იყავნ სხენება მისი, ამინ“ (36v).

4. „კურთხეული დავით ღარაძე პროთოიერი, გვირგვინი იგი მღუღელთა, იეროსალიმს მიმავალი მიიტყალა როღოს აღაშვიცამბაში, წელსა ჩუღდ თთუშსა ნოენბერსა იდ, აღების ღამეს. ქვს უპბ. საუკუნოდ იყავნ სხენება მისი, ამინ“ (36v).

5. „კურთხეული იოანე ღარაძე დეკანოზი, კაცი იგი ზეცისა, მიიტყალა აღავერდს, მწირობასა შინა წელსა ქესით ჩუღ, ქვს უპბ, დღესა სამშაბათსა, თუშსა ივლისსა კვ. საუკუნოდ იყავნ სახელი მისი დაწერილი წიგნსა მას შინა ზეცათასა“ (36v—37r).

6. „ჩუქმ ივლისის იბ დღესა, ეამსა მწუხრისასა კურთხეულმან... შვიშენა(?). საუკუნოდ იყოს სხენება მისი უფლისა მიერ ღისა ჩვენისა მიერ“ (37r).

7. „კურთხეული ჩვენი ჰსძალი თამარ მიიტყალა იანვრის იას დღესა ჩუღე წელსა, დღით მეცხრე საათზე, დღესა პარასკევსა, საუკუნოდ იყოს კურთხევით სხენება მისი“ (37r).

8. „კურთხეული დედაჩემი მართა გარდაიცვალა აპრილის მ-ს; წელსა ჩუღდ-ს, დღესა კვირიაკესა, ეამსა შუადღიღამ მერვე საათსა, საუკუნოდ იყოს კურთხევით სხენება მისი უფლისა მიერ ღმრთისა ჩვენისა, ამინ“ (37r).

9. „წელსა ჩუქთ ნოენბერს იდ, ხუთშაბათს დღით ჩვენმან შვილმან ეკატერინემ იჭირწინა თვადს დავით ფალავანდოვსა თანა. ღმერთმან ერთმანეროს შეაბეროს კეთილ ვაჟიერებით, ამინ“ (47r).

10. „ჩუმა წელსა, ივლისის გ დღესა, ჩემი რიზარინ დაიბადა, ღმერთმან დამბადებულმან აღზარდოს თვის საღიდებულად, ამინ“ (47r).

11. „თიბათვის იბ მოვარანგლოზის ხატმა ოფლის დენა დაიწყო გვირგვინიდან და ფეხებამდინ მოსდიოდა კა თიბათემდინ“ (47v).

12. „მისში, ორშაბათს, ივანე ნათლისმცემლის კანკელის ბეთ მივეცი სამი თუმანი, რვა თუმნათ გავრიგდით ანანიას ხელით, სოსიკა აქ... დაესწრო... ბიუანდრია“ (47v).

13. „ღავით იოანეს ძე ღარაძე დაიბადა ივნისს კვ, წელს ჩუ“ (69v).

14. „სოლომონ იოანეს ძე ღარაძე დაიბადა ოქტონბერს იდ, წელსა ჩუბ“ (69v).

15. „იოანე, იოსების ძე ღარაძე დაიბადა ოქტონბერს კვ, წელსა ჩუთ“ (69v).

16. „იოანე იოსების ძე ღარაძე გარდაიცვალა ჩუბ წელსა, აპრილის სამს დღესა, ესე იგი დიდ პარასკევს, შვიწყალე, უფლო“ (69v).

17. „კაცი იგი ღისა ყარიბი პეტრე ღარაძე გიორგის ძე, მზრუნველი და მამა სახლისა, გარდაიცვალა თებერვლის კვ, შუადღის უკან, ეამსა მეთე სათისასა, ჩუღ წელსა, საუკუნოდ იყავნ კურთხევით სხენება მისი უფლისა მიერ ღისა ჩვენისა, ამინ“ (69v).

18. „იოსებ მართალი და ყოვლად კეთილი მამა, გიორგის ძე ღარაძე გარდაიცვალა თ ივნისს ჩუღ წელსა, შუადღის უკან მეექვსე საათზე. საუკუნოდ იყავნ სხენება მისი, კურთხევით უფლისა მიერ ღისა ჩვენისა, ამინ“ (69v—70r).

19. „წელსა ჩუქმ ჩვენი ნუგეში და სიხარული, ვაიმე, დავით მიიტყალა დეკნებერს ი, დღესა ღამისა განთიადობასა. საუკუნოდ იყოს კურთხევით სხენება შენი, შვილო დავით, უფლისა მიერ ღისა ჩვენისა, ამინ“ (70r).

20. „ჩემი სიხარული და ჩემი თვალთა ნათელი სოლომონ, ვაიმე, ვაიმე, მიიტყალა, ივნისის აღ დღესა, ხუთშაბათსა, ეამსა შუადღის შემდგომ მესამის

დასრულებისას. საუკუნოდ იყენ კურთხევით ხსენებულ საყვარელო შვილს
 სოლომონს, ამინ. ჩუკბ წელსა“ (70r).

21. „თავად მან ქობულოვ მან თამაზ მან შეისვენა წელსა
 ჩუკმ, თთუქსა მარტა კვ, აღდგომის ორშაბათის ღამეს, შულამი დამ მეოთხის
 საათის დაწყებაზე, სამშაბათი რა თენდებოდა. საუკუნოდ იყოს კურთხევით ხსე-
 ნება მისი, ამინ“ (70v).

22. „პროხოტრე ლარაძე იოანეს ძე მიიცივლა მაისის (?) წელსა
 ჩუია“ (70v).

23. „დიმიტრი იოსების ძე ლარაძე გარდაიცვალა ჩუაზ წელ-
 ს, აპრილის იბ დღეს, ათს საათზე, დილით. ღმერთო, შეიწყალე მონა შენი დი-
 მიტრი“ (70v).

24. „ქნიაზ დიმიტრის ძე ვახვახოვ მან შეისვენა აგვისტოს ბ, კვი-
 რა დღეს, წელსა ჩულა. საუკუნოდ იყოს კურთხევით ხსენება, ამინ“ (71r).

25. „მეფის ირაკლის ასული ანასტასია წაბრძანდა პეტერბურღს
 სეკდენბერს გ დღეს, ჩუკე წელსა“ (71r).

26. უმნიშვნელო მინაწერები იხ. 71v, 41r—v.

27. „ქ. ქვემეხი — ზარბაზანი, ცეცხლით სასროლი თოფი. მცირე ცეცხლით
 სასროლი — დამბაჩა“. (37v).

(1746)

5010

წყალწადებული ოჯახი (კომედია ოთხ მოქმედებად). XIX

67 ფ.; 18×22,5; ქალაღი; უყდო, დალაქავებული ფ. 19 ამოვარდნილი;
 მხედრული; შავი მელანი; [XIX ს. მიწურული]; დაუწერელია 59v—67v.

„წყალწადებული ოჯახი. კომედია ოთხმოქმედებად. —
 დარიკო — მარიამა ხარ?
 მარიამ — შენ გენაცვალოს შენი მარიამ...“ 1r—59r.

შენიშვნები: 1. ტექსტს წინ უძღვის „მოქმედნი პირნი“, სცენის აღწერა.

2. კომედიას თავდაპირველად სათაურად ჰქონია: „მშობლიური სურათები“, შემდეგ წაუშლიათ და ფანქრით დაუსათაურებიათ: „გაოხრებული ოჯახი“. ბო-
 ლოს ეს სათაურიც გამოუცვლიათ.

3. ავტორი პიესისა არ ჩანს. თხზულება ორიგინალური ნაწარმოებია; მოქმე-
 დება მიმდინარეობს იმერეთში.

(1747)

5011

ნებიერიძე ი., ქართული ლექსიკონი. XIX

230 გვ.; 18,5×22,5; ქალაღი, უყდო; დალაქავებული; მხედრული; შავი მელა-
 ნი; [XIX ს.]; დაუწერელია გვ. 222—230. შემოწირულია პლატონ ავთანდილის ძე
 ბურდუღის მიერ.

„ქართული ლექსიკონი, განმარტებული მდაბიურის ენითა
 იოანეს სტ[ეფანის]ძის ნებიერიძის მიერ ახალციხელისა. —
 ააბნიე, ზე შეაბნიე *ქიკრიხა*.“

ააელვარე, ალაელვარე, განაბრწყინე, ელვარე ჰყავ *ქაყყხა*...“ გვ. 1.

თავდება: „ნაფრცხენი — მცირე რამ ანახეთქი“. გვ. 221.

შენიშვნა: ლექსიკონი განმარტებითი ხასიათისაა. ზოგჯერ, განსაკუთრებით
 პირველ გვერდზე, მიწერილი აქვს სომხური შესატყვისები.

- მინაწერები:** 1. „ამ ლექსიკონის ავტორი არის სარწმუნოებით კათოლიკე (ფრანგი ქართველი), იყო სოფლის მწერლად ვალის მეურნეობაში. შემდეგ გადაიკვალა(!) თბილისში 1882 წ. ამის ძმები დღესაც სცხოვრობენ ახალციხეში, ეგრეთვე შეიღებები“ (გვ. 1).
2. „შემოწირულია პლატონ ავთანდილოვიჩ ბურდულისაგან. 25 სექტემბერი, 1911 წ. თბილისი“ (გვ. 1).

(1748)

5012

ორბელიანი ს.-ს. ლექსიკონი. XIX

261 ფ.; 22×33; ქალაღი; ტყავის ყდა; ყდა მოცილებული აქვს. შიგადაშიგ ამოცენილია ფურცლები: 16, 95, 175, 183, 192, 199, 207, 256—261; [XIX საუკ.]; ქალაღის ერთ ნაწილს აქვს ჭვირნიშანი 1804 წ.; მხედრული; შავი მელანი; დაუწერელია: 137r, 226v, 259v—261v.

[ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი]. —

„ბ-ნი არს პირველი ასო და ჭმოანი და ართრონი, მრავალ რიგად თავად და ბოლოდ მოვალს მრავალთა სიტყუათა ზედა, ვითარცა თავს დაგვწერია...“ 5r—259r.

- შენიშვნები:** 1. ლექსიკონი B რედაქციისაა.
2. ტექსტს წინ უძღვის: ა. „ანბანი პირველად სასწავლო ყრმათათს“, ბ. „ასონი სათვალენი, თუ რომელნი რაოდენთა რიცხესა იტყვიან“;
- გ. „საქცევენი ხუთთა კმიანთა ასოთანი და სწავლა სხვათ ასოთა და თავბოლოთანი“;
- დ. ავტორის ანდერძნამავი;
- ე. პირობითი ნიშნების განმარტებანი.
3. ტექსტს ერთვის:
- ა. Curriculum vitae (258v).
- ბ. „მოკლენი, რომელნი არიან ქართულნი და რომელთამე არღარა ეწოდენ და დავიწყებებს და სხვა თურქთა ენათაგან მიუღიეს“ (258r).
- გ. ჭორონიკონი: „დასაბამითვან ჭრისტეს მოსლუადმდე...“ (259r).
4. შღრ. H—1429 და H—1658 ხელნაწერებს.

5013

იღ. ჭავჭავაძე, ოთარანთ ჭვრივი

გადატანილია იღ. ჭავჭავაძის არქივში № 43.

5014

იღ. ჭავჭავაძე, კოლა [მეორე ვარიანტი]

გადატანილია იღ. ჭავჭავაძის არქივში № 8.

5015

იღ. ჭავჭავაძე, კოლა [პირველი ვარიანტი]

გადატანილია იღ. ჭავჭავაძის არქივში № 7.

5016

ილ. ჭავჭავაძე, ვლადიკავკასიიდან ქალაქამდე (მგზავრის წერილები)
გადატანილია ილ. ჭავჭავაძის არქივში № 22, № 23.

5017

ილ. ჭავჭავაძე, უცნაური ამბავი
გადატანილია ილ. ჭავჭავაძის არქივში № 44.

5018

ილ. ჭავჭავაძე, სარჩობელაზედ
გადატანილია ილ. ჭავჭავაძის არქივში № 24.

5019

ილ. ჭავჭავაძე, დედა და შვილი
გადატანილია ილ. ჭავჭავაძის არქივში № 16.

5020

ილ. ჭავჭავაძე, განდეგილი
გადატანილია ილ. ჭავჭავაძის არქივში № 40.

5021

ილ. ჭავჭავაძე, უღელტეხილი
გადატანილია ილ. ჭავჭავაძის არქივში № 14.

5022

ილ. ჭავჭავაძე, იგი წავა და სხვა მოვა
გადატანილია ილ. ჭავჭავაძის არქივში № 13.

5023

ილ. ჭავჭავაძე, გამოცანები
გადატანილია ილ. ჭავჭავაძის არქივში № 17.

5024

ილ. ჭავჭავაძე, ქართველის დედა
გადატანილია ილ. ჭავჭავაძის არქივში № 15.

5025

ილ. ქავჭავაძე, კაცია ადამიანი
 გადატანილია ილ. ქავჭავაძის არქივში № 11 და № 12.

5026

ილ. ქავჭავაძე, კატო
 გადატანილია ილ. ქავჭავაძის არქივში № 12.

5027

ილ. ქავჭავაძე, ბაზალეთის ტბა
 გადატანილია ილ. ქავჭავაძის არქივში № 42.

5028

ილ. ქავჭავაძე, ყრმობის დროინდელი ლექსები
 გადატანილია ილ. ქავჭავაძის არქივში № 1.

5029

ილ. ქავჭავაძე, მასალები ცისკრის წარმოების გასარჩევად
 გადატანილია ილ. ქავჭავაძის არქივში № 49, 50, 51, 52.

5030

ილ. ქავჭავაძე, პასუხის პასუხი
 გადატანილია ილ. ქავჭავაძის არქივში № 21.

5031

ილ. ქავჭავაძე, სიტყვა წინამძღვრიანთკარის სკოლის გახსნაზე
 გადატანილია ილ. ქავჭავაძის არქივში № 84.

5032

ილ. ქავჭავაძე, აჩრდილი
 გადატანილია ილ. ქავჭავაძის არქივში № 5.

5033

ილ. ქავჭავაძე, ზმები და ჭეშმარიტების ნამსხვრევები
 გადატანილია ილ. ქავჭავაძის არქივში № 75.

5034

ილ. ქავჭავაძე, აფორიზმები
 გადატანილია ილ. ქავჭავაძის არქივში № 74.

(1749)

5035

ვახტანგ VI, ქართული სამართალი. XIX

60 ფ.; 16,5×21,5; ქალაღი (ნაწილი თეთრი, ნაწილი ცისფერი); უყდო; დამ-
 ლილი; მხედრული; შავი მელანი, სათაურებისათვის სინგური; [XIX ს.]; ცისფე-
 რი ქალაღის კვირნიშანი 1809 წ. (60 ფ.); დაუწერელია: 54v.

«ვახტანგ VI, სამართალი ქართული». — „სამართალი პირვე-
 ლი, შესავალი ა, ბატონიშვილის ვახტანგის ნაბძანები. — ოყოფისა უმყო-
 ფისა, არსისა და უარსისა დამაარსისა მქებნი, არათუ ღირსად და შეძლებისა ჩე-
 მისაებრ მქებელი დამონებელი, უდებად მქონე მპოვნელ ვიქმენ...“ 7r—54r.

შენიშვნები: 1. ვახტანგ VI ქართული სამართალი გამოცემულია თ. ენუ-
 ქიძის მიერ 1955 წ. იხ. ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, 1955 წ. და 1963 წ.
 ის. დოლიძის მიერ, იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ
 VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, გვ. 477—552;

2. ხელნაწერი A რედაქციისა და მიჰყვება გამოცემას ზუსტად, იძლევა მხო-
 ლოდ ორთოგრაფიულ სხვაობებს. არცერთ გამოცემაში ხელნაწერი გამოყენებუ-
 ლი არ არის;

3. ტექსტს ახლავს (55r—60v) ანბანზე გაწყობილი საძიებელი.

(1750)

5036

ალექსიანი. 1827

8 ფ.; 21,5×17,5; ქალაღი, უყდო; ფურცლები დალაქავებული; მხედრული;
 შავი მელანი; 1827 წ. (8v); გადამწერი დიმიტრი კოვზიოვი (8v).

«ალექსიანი». — „ქ. ერთი კაცი ვინმე იყო სტამბოლის ქალაქშია, მე-
 ტათ მრავლის მქონიერი, უთვალავი ოქრო და ვერცხლი და მარგალიტის მქო-
 ნებელი იყო...“.

შენიშვნები: 1. „ალექსიანის“ ტექსტი გამოცემულია 1911, 1912 და 1914
 წლებში.

2. ხელნაწერი ძირითადად მიყვება S—1565-ში დაცულ ტექსტს.

ანდერძი (გადამწერისა): „ეს წიგნი „ალექსიანი“ ავწერე მე, მონა უფ-
 ლისა დიმიტრი კოვზიოვ, დამიწერია თიბათვის დღეს იმ, წელსა ჩუკუ“
 (8v).

5037

(1751)

ვახტანგ VI, დასტურლამალი. XIX

156 გვ.; 18×22; ქალაღი (მომწვანო); უყდო; 14 და 145 გვ. ამოვარდნი-
 ლი და დაზიანებული; თავ-ნაკლული; მხედრული; შავი მელანი; სათაურები სინ-
 გური; კვირნიშანი 1814 წელი; [XIX ს.]; დაუწერელია: გვ. 136; 150—156.

[ვახტანგ VI, დასტურლამალი]. — „ალაყაფის შუა სახლის რი-
 ვისათვის. თუ ბატონმა ალაყაფის შუა მეჭლისი ბრძანოს, ერთი ემიკაღასი, ორი
 ბოქოულთხუცესი, ორი სოიბათ იასაული დადგებოდენ...“ გვ. 3—135.

შენიშვნები: 1. ტექსტს ერთვის „საძიებელი სამეფოს დასტურლამისა“ (გვ.
 137—146) და „საძიებელი სადედოფლოს დასტურლამისა“ (გვ. 147—149).

2. საძიებლებს მიწერილი აქვთ: „დასრულდა სამეფოს (სადედოფლოს) დას-
 ტურლამის საძიებელი“.

3. „დასტურლამალი“ გამოცემულია პ. უმიკაშვილის მიერ (იხ. ვახტანგ VI, დასტურლამალი, 1886 წ. გამოცემასთან შედარებით ხელნაწერი იწყება მე-5 გვ-დან) და ივ. სურგულაძის მიერ (იხ. ქართული სამართლის ძეგლები ა. კელმწიფის კარის გარიგება; ბ. დასტურლამალი, 1970 წ.).

(1752)

5088

აპოკრიფული თხრობა მარიამ ღვთისმშობლის შესახებ. XVI

50 ფ.; 7×10; პერგამენტი; უყდო; თავ-ბოლო ნაკულუი; აკლია შუაშიც; შემორჩენილია მე-2, 3, 6, 7, 10, 11, 12, 13, 14, 15 რვეულების ნაშთი; დაზიანებულია ფურცლები: 21—26, 48; 1R-სა და 27R-ზე მელანი გადალუღლია, ძნელად იკითხება; ნუსხური; შავი მელანი; [XVI ს.].

[აპოკრიფული თხრობა მარიამ ღვთისმშობლის შესახებ]. — „...დღესთა და სულისა... ად მისა სათნო ყოქუეყანა ზეცად მ...ლი ნ... გაბრიელი ანგელოზი წინაშე პირსა...“ 1r.

წყდება: „...სასწაული საკვრველი მარიამის ჯორცნი არღარა არიან ჭეშ-მარიტად ძრვას მას ჭუეყანისასა, ზეცად აღიტაცნეს. თომა თქუა: ყოვლადეყ არა მრწამს სიკუდილი მისი, უკეთუ ღმერთი დაფარულსა...“ 50v.

(1753)

5089

ქილილა და დამანა. XIX

VI+319 ფ.; 21×33,5; ქალაღი (თეთრი); ტყავდაკრული ხის ყდა; მხედ-რული; შავი მელანი; სათურები სინგურით; ჭვირნიშანი 1822 წ.; [XIX ს.]; გა-დამწერი შტაბს-კაპიტანი მელქისედეკ ბაბუროვი (310v); დაუწერლია: 1r—VIv, 311r—319v.

„კარი პირველი ქილილა და დამანასი სპარსულისაგან ქართულად ნათარგმანები მეფის ვახტანგისაგან. —

მეც მიყვავ სპარსთა ზღაპარსა თარგმანებისა მგებართა, არავინ მიშეებს გარეგან მათა და გინა მე ბართა...“ 1r—110v.

შენიშვნები: 1. „ქილილა და დამანას“ ტექსტი საბა ორბელიანის რედაქციისა.

2. თხზულება გამოქვეყნებულია ილ. ჭყონიას მიერ (იხ. ქილილა და დამანა, სპარსულისაგან ქართულად ნათარგმანები მეფის ვახტანგისაგან, ილ. ჭყონიას რედაქციით, თბილისი, 1886 წ.) და ს.-ს. ორბელიანი, თხზულებანი, ტ. II, აღ. ბარამიძისა და ელ. მეტრეველის რედაქციით, 1962 წელი. ტექსტი მიყვება გამოცემებს.

ანდერძი (გადამწერისა): „დასრულდა ქილილა და დამანის ანაეი, შტაბს-კაპიტანი მელქისედეკ ბაბუროვი“ (310v).

მინაწერები: 1. „В Катав (?) Ивановск, уфимской губерний, на заводе князя Белосельского. Николаю Аветовичу Бабурову от Аветика Бабурова“ (1r).

2. „ზაქარ კიკოასძე მაჩიძე, რაჭის მაზრის ონის მცხოვრებელი, ჭიბარეთლ(?) სოფლის მცხოვრებელი ჭიბარეთლ(!) ბიძა დავით ჭიბარათლიძე“ (ჭვედა ყდის შიდა მხარე).

(1754)

5040

მირიანი. XIX—XX.

34 ფ.; 17,5×21,5; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; თავბოლონაკლული; მხედრული; სათაურები სინგურით; [XIX—XX ს. ს.].

[მირიანი]. — „...იყო რა ერთი გალია, შეიდა(!) და შიგ ერთი გვრიტი იჯდა, მაშინვე ის გვრიტი აუშვეს...“ 1r.

წყდებ: „...ვეზირმა თავის ქალი ნიქასტარ მისცა და თითონაც კარგა გზა გამოაცილა...“ 34v.

შენიშვნა: ცნობები „მირიანის“ შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, 1952 წ. გვ. 334—336 და ალ. ხახანაშვილი, Очерки, III, გვ. 182—190.

(1755)

5041

სამოელ რაბინი, ოქროს აღნაქუსი. 1836

I+54 ფ.; 17×20,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; ყავისფერი მელანი; 1836 წ. (49v); გადამწერი: ეესტატი მასწავლებელი (49v); დაუწერელია: 1r—v, 50r—54v.

„წიგნი სამოელ რაბინ მორანაკელიისა, [ოქროს აღნაქუსი], უბირველესის სინალოდისა, გინა სჯულის შესაკრებელის მოძღურის ისაკ რაბინის მიმართ, რომელ არს სუბულ მეტს მორაევანის ქალაქსა შინა. — ღმერთმა დაგიცვას შენ, საყვარელო ძმაო, და განაგოოსცა საუკუნო შენი ვიდრე დასასრულადმდე...“ 5r—49v.

შენიშვნა: ტექსტს წინ უძღვის: ა. რუსულ ენაზე გადმოძღვლის მღვდელ-მონაზონი ვარლამის წერილი მწყემსმთავრებისადმი (1v—2v). ბ. ქართულ ენაზე მთარგმნელის დიმიტრი ბაგრატიონის წინასიტყვაობა „მკითხველთაჲს“. — ჩემგან ამა წიგნის თარგმნა შეუძლებელ იყო...“ (3r). გ. „აღნიშნუა“ — მეორე გამოცემის წინასიტყვაობა (3r—4r).

(მდრ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი Q კოლექცია, ტ. II, გვ. 195).

ანდერძი (გადამწერისა): „აღწერილ არს ჩუღვ-სა წელსა, აპრილის 6-სა დღესა ეესტატი უჩიტლის მიერ“ (49v).

შინაწერი: „წიგნი ესე ეკუთვნის თავადს დიმიტრი გაბრიელიძეს მაღალ ოვს. ვინც წარუხვას იგი, შერისხდეს მას სამება, ამინ“ (1r).

(1756)

5042

კრებული. XIX

I+64 ფ.; 17×21,5; ქაღალდის ყდა, ბოლონაკლული; ფურცლები დაზიანებული, განსაკუთრებით წინა 6 ფურცელი; მხედრული; შავი მელანი, სათაურები წითელი მელნით. [XIX ს.]; დაუწერელია 53v.

1. „მაცგობა სულიისათვის, შემოკრებული თითო სახეთაგან სიტყუათა და მოგონებათა ჩუენთა, მამათა ჩუენთა მაქსიმე აღმსარებელისათა და იოვანე დამასკელისა. — ვინაჲთაგან მყოფნი ვიდრემე ყოველნი ანუ გრძნობი-

თა იცნობებიან, ანუ გონებითა მიიწთომვიან, ხოლო მიწთომასა ზედა საქმისა რომელსამე ანუ გრძნობითა, ანუ გონებითა მოსწრაფე...“ 1r—21v.

შენიშვნები: 1. ტექსტის რამდენიმე გვერდი ფანქრითაა ნასწორები.

2. კიდეებზე მიწერლია საკითხები, რომლის შინაარსი ტექსტშია გადმოცემული.

3. ნაშრომი ფილოსოფიური ხასიათისაა.

2. „რათა(!) ნიშ-ყოფისათვის წმიდისა ეკლესიისა და ამას შინა საღმრთოსა კრებისა ზე სრულქმნილთა, განმმარტებულობისაგან წმიდათა-სა მაქსიმე აღმსარებელისა და დიონოსი არიოპაგელისა. — ეკლესია საღმრთო სახლ არს და მას შინა შეკრებულნი სრულმყოფნი და სრულქმნილნი, და ამას ვემე(!), ვითარცა აქუს ჰგეის(?), ხოლო მას შინანი იძრვან განზრახვსაებრ. ხოლო არს ხატი ღმრთისა და სრულისა სოფლისა და მხოლოდსა გრძნობადისა და სრულისა კაცისა...“ 21v—39v.

3. „განჩევა და გამოცხადება, რომელთათვის ძილოსოფოსნი შთამოვლენ ხმათა, და მხილება უთათთა სევერიანთა, ესე იგი არს იაკოვითთა, სულთა განმხრწნელისა წუალებისა. — ტრფი-ალთათვის და თანაბრძოლთა ბოროტთა პრწმენათასა საჭირო არს ხმათა, რომელთათვის უფროს შთამოვლენ ძილოსოფოსნი, განჩევა და გაადვილება, რამეთუ ამათისა სიმკაცრითისა შემეცნებისა მრავალნი ბრძენ-ყოფასა მგონებელთაგანი უმეცარნი ჭეშმარიტებისაგან ჰკუჭბულ იქმნეს...“ 40r—53r.

4. [ფრაგმენტი ფილოსოფიური ხასიათის შრომი-დან]. — „...მესამე, ვითარმედ თუ ერთ არცა მრავალ და არცა არა რა, ვინაჲვე ერთ მხოლო თუ ერთ, მრავალთა მიმართ ერთ და თუ არა ვის ერთი იყოს ოხერ მრავალთაგან, ვინა აწ სახილვო, თუ ვითარ მოაქუს ერთსა სიმრავლისადმი და სიმრავლესა ერთისადმი...“ 54r.

წყდება: „...ძალთანი პირველი მათ შორისთა იქუას(?), თუ ვითარ ერთბრივი ერქმის მათ, ამისთვის ხოლო არა რიცხვსაგან წარმოიშობნეს...“ 64v.

შენიშვნა: ხელნაწერის საცავ ფურცელზე არის „მოწმობა“: „მიეცა ესე ჩემ მიერ თბილისის გუბერნიის, გორის მაზრის ახალციხის ეკლ. მრევლთაგანს, გლეხს ზაქარია ბეროსძე მაზანაშვილს მას ზედ, რომელ იგი არის მართლ-მადიდებლობის სარწმუნოებისა, შობილგან არის ოცდახუთისა (25) წლისა. ყოველ წლივ უთქვამს აღსარება და ზიარებულა წა საიდუმლოთა ქრისტესა და აწ განმზადებულ არს პირველის ქორწინებისა და არა აქეს არავითარიმე დამაბრკოლებელი მიზეზი დაუბრკოლებელი პირთან, რომლისათვისაც ეძლევა ესე მოწმობა—შემტკიცები(!) და ხელისმოწერითა ჩემითა და დასმითა ეკლესიისა დერბისათა, ოკტომბერს 1897 წ.“

მისი სულიერი მოძღვარი, ახალციხის წმ. თომა მოციქულის...“.

(„მოწმობას“ არც ხელისმოწერა აქეს და არც ბეჭედი უზის).

(1757)

5043

კრებული. 1861, 1874.

68 ფ.; 17×20,8; ქაღალდი; მუყაოს ყდა; დაზიანებული; მხედრული; შავი მელანი; 1861 წ. (54r) და 1874 წ. (60v); დაუწერელია: 62r, 64r—68v. ერთი ნაწილის გადამწერი არტემ ქოჩაროვი (60v).

1. „ს უ ნ ჯ ი ს (!) ს რ უ ლ ი ქ ე ბ ა. — მისი ათი წლითაგან არ იქნებას (!), ფრანგი მისი მშვენიერებასა ვერ გამოხატამას (!), სახელად გულდამი ეწოდებოს...“ 1r—20r.

შენიშვნა: თხზულება მხატვრული ნაწარმოებია და თარგმანი უნდა იყოს.

2. „ასოთ სამღერი მართალი და ჭეშმარიტი გამორკვეული. — პირველი: ვისაც თავი ემღერდეს (!) სახელვნობა (!) და საქონელი მიეცემის...“ 20v—26v.

3. „წიგნი ასახსნელი სიზმრისა. — უკეთუ იხილო, რომლის ქვეყნის მზე იდგეს და ანაზღათ წავიდეს იმ ქვეყნისაგან, ამ ქვეყანას საცა მზე იყოს — უფროსი კანანი (!) ანუ ხემწიფის ვეზირი მოკვდებოს...“ 27r—34r.

4. „ქალანდარნი, თქმულნი ყოველთა ჭკვიანთა კაცთაგან, მართალი და ჭეშმარიტი, ყოველს თვისა მომავალს შემთხვევას ჭვისათვის. — იანვარსა: თუ მთვარე დაბნელდეს, მას წელსა ნაშრომონ ავლოს და სახელოვანთა კაცთა ხესტანგნი და საქონელი გაიფდეს...“ 34v—38v.

5. „სამთვარიო მართალი და ჭეშმარიტი, ბრძენთა და მეცნიერთაგან თქმული და გამოცდილი ყოველთაგან არის. — მთვარესა პირველსა დღესა კეთილი ყოველსა საქმისა მგზაურობა ზღვისა და ხმელეთისა ბედნიერი...“ 39r—53v.

შენიშვნა: დასასრულს ტექსტის ხელითვე მიწერილი აქვს: „1861-ს წელსა იანვრის 25. ესე ასოთ სამღერალი და სიზმრებისა და მთვარისა დაიწერა, ჭეშმარიტია“. (54r).

6. „ქალვაჟიანი. — ერთს სახელმწიფოში იყო ერთი ძრიელ მდიდარი კაცი, ჰყვანდა ერთი შვილი. ვაჟი მისცა სასწავლებელში. რაც ხაზინა ჰქონდა, სრულათ ამ შვილის სასწავლებელისათვის გაუფუჭა(?)...“ 54r—60v.

შენიშვნები: 1. ამ მოთხრობას ახლავს გადაშვრის ანდერძი: „გადავწერე 1874 წელსა ენკენისთვის 1-სა დღესა, ქუთაის (!) არტემ ქოჩაროვიან. მამინ მე ვიყავი 53-სა წლისა, ორმოცდაცამეტის“. (60r).

2. ხელნაწერს აქვს უმნიშვნელო მინაწერები 61r—v, 62v, 63r. 63v-ზე არის ფანქრით შესრულებული მინაწერი: „1908 წელსა, ლენინობისთვის 20 დღესა დაგვითხოვეს სემინარიიდან, რექტორმა დაგვითხოვა.“

დეკემბრის 6-ში მკართან გადავედი. წიგნები გავგზავნეთ რუსეთში, 29 გიორგობის თვეს“.

(1758)

5044

კრებული. 1814

224 ფ.; 17×21; ქალაღი; უცდო; დაშლილი; თავნაკული; რესტავრირებული; მხედრული; შავი მელანი; სათაურები სინგურით; გადაწერი: ხატიაშვილი იოსებ; 1814 წ. (66v).

1. [სიტყვანი და სწავლანი სამეცნიერონი]. — „უმჯობეს მხილება კანდიერებითი, ვიდრეა დაფარული სიყვარული...“ 1r—8v.

შენიშვნა: სათაური აღდგენილია S—1504-ის მიხედვით.

2. „სწავლანი მრავალთა ფილოსოფოსთანი და სიტყვანი ყოვლად სარგებელნი და მკითხველთა ამის განმბრძობი და განმბარწყინვე-“

ბელი სულიერად და ხორციელად სრულ სხეულთანი. -- არისტოტელ თქვა: ვითარმედ ყორანთასა მლიქნელი უბროტეს(!) არიან...“ 8v—15v.

შენიშვნა: ტექსტი პირველი რედაქციისა, იგი გამოცემულია. იხ. ტ. რ უ-ბ ა ძ ე, სწავლანი ფილოსოფოსთანი. ლიტ. ჰიებანი, ტ. IV, 1948 წ. ვვ. 298—305.

3. [აპოკთეგმატა]. — „მოკლედ სიტყვის-გება სოგრატისი, სწავლა პირველი, თარგმნილი და სხვათაცა ფილასოფოსთა რუსულისაჲან ქართულს ენაზედ ერასტი თურქისტანის შვილისაგან, ბრძანებით საქართველოს მეფის ვახტანგის ძის ბაქარისათა. ღმერთო, კეთილად და მშვიდობით მოახმარენ პატრონსა თვისა, აღიწერა ჟამსა თვისისა საქართველოს მეფის ირაკლისასა, ღთო, მრავალჲამიერ ჰყავ და დაამტკიცე მეფობა მისი, ხელითა ხატია შვილი იოსებ დიაკუნისთა, თვესა მარტს ლ, ქკს უოთ(?). — კეთილის კაცის წესი არ არის, კაცს პირში აქებდეს და უკანვი(?) ზრახევდეს...“ 15v—66r.

შენიშვნები:

1. „აპოკთეგმატა“ მეორე რედაქციისა, მასში შედის სამივე ნაწილი: ა. „სიტყვისგება სოგრატისი“ (15v—51r); ბ. [ამბავნი ყოვლისა რომისა და ევროპის კეისრებისა] (51v—59v); გ. „წიგნი მესამე, რომელთა შინა ლაკედემონელთანი“ (59v—66r); შდრ. ლ. ძოწენიძე, რუსული „აპოკთეგმატას“ ქართული რედაქციები, 1959 წ., გვ. 38—41.

2. ხელნაწერი მიეყება S—1504-ს. იგი ლ. ძოწენიძის ზემოთლასახელვებულ წიგნში განხილული არ არის.

4. [ქილილა და დამანა]. „ანდერძი პირველი. ესე რომე ვინც შენთან შენგან გაადიდე. — პირველი კაცი იყოს და შენგან პატივემული, მის ამხანაგისაგან მისი ძვირი და ავი არა გაუგონო...“ 68r—223v.

შენიშვნა: ტექსტი სხვაობას ამჟღავნებს როგორც ვახტანგის, ისე საბასა და ბებუთა შვილის რედაქციებთან. წარმოადგენს გადაკეთებულ ვარიანტს.

ანდერძები: 1. (გადამწერისა): „ქ. დასასრული ყოვლისა სიტყვისა. ისინი, ღრისა გეშინოდენ და მცენებანი მისნი დაიკვენ: რომელთა არა სცენ პატივ დედათა და მამათა თვისთა, მათთვის არს განზადებული ცეცხლი საუკუნო ჯოჯონეთისა, უმეტეს პირთა ქრისტიანეთასა და სულთა მათთა მაგინებელთათვის, რომელ გმობა არს სულის წმიდისა, რომელთა ესე სჭრიან, იგინი ღირს არ არიან წმინდასა ეკლესიასა შინა შესულასა და არცა მართალ მადიდებელთა მეფეთა თანა ხლებასა. რომელ მოკლედეს კაცი, იგი არა არს ღირს მცხედარი(!) მისი(!) ყარადამ გამოტანისა, არამედ განხვრიტონ ზღუდე სახლისა მის და ფერხთა მისთა მოაბან ხე გრეხილ და განათრიონ მუნითა და შთაადონ მიხლებლსა უპატიოდ და დაკრიბონ ყოველთა ერთა ქვა მას ზედა.“

რომელნი წმინდანი მამანი და ფილოსოფოსნი ამ წიგნსა გამოცხადებულ არიან, ვინც ამა წიგნსა ზედა ხსენება(!), უფალმან თქვენცა გამრავლოსთ შვილითა და სრულიად საბირკველითა თქვენითა.

და ესე წერილნი ყოველნი შუამდგომილ იყუნეს სულთა თქვენთათვის უმეტეს. ღმერთო, მრავალჲამიერ ჰყავ პატიოსანი წიგნისა ამის აღწერა(!). წიგნი ესე სამეცნიერო და ფრიად მარგებელი მსმენელთათვის ამინ, ამინ და ამინ. პირველად აღწერილი ბრძანებითა ბაქარ საქართველოს მეფისა ვახტანგის ძისათა, მრავალჲამიერ ჰყოს უფალმან, მარტის ლ“ (15r—v).

2. „ხოლო ალესრულა წიგნი ესე კელითა იოსებ დიაკუნის ხატით იოსათა, თვის ნომბერსა რ, ქკს ფბ, წელსა ჩყიდ. იოსებ“ (66v).

3. „ხოლო აღიწერა წიგნი ესე ღვეწლითა თავად ვაჩნაძის თომასითა. შეცდომილთ მიტევებას გვედრებით მხილველთა ამის წიგნისათა. [თვე]სა ღვეწნებრსა იდ...“ (223v).

მინაწერები: 1. „გიორგი ლეონიძე, ქკს უფ, წელსა ჩღბგ“ (?) (81r).

2. „დახე ამ ღვეწელსა სულისა შტერსა,

ჩემს საყვარელზედ სხვასა სწერს ჯვარსა“ (15v).

3. მინდა ლექი(!) ვსთქვა, ქალო, მაგნიო იზმური,
 ვით მოვიზიდო, ქალო, მსმენელთა ყური“. (იქვე).

4. „ან ასრეთ გაქებ,

ბ. იბერას(!) ქებით,

გ. გვედრები ქალო

ე. ერთობლივა

ვ. ვისთან მიხვალ

ზ. ზეცას ახვალ“ (იქვე).

5. უმნიშვნელო მინაწერები: 67r—v, 224r—v.

(1759)

5045

დაუჯდომელი და პარაკლისი. XIX

71 ფ.; 13,5×8,5; ქაღალდი; რესტავირებული; ახალი მუყაოს კოლენკორ-გადაკრული ყდა; თავნაკლული; მხედრული; შავი მელანი; [XIX ს.].

1. «დაუჯდომელი». — „...იხილეს ყრმათა ...ველთა ზედა ქალწუ... გლითა დამბადებელი...“ 1r—31v.

შენიშვნა: „დაუჯდომელში“ შემდეგი ლოცვებია: ა. „ლოცვა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა(!) მიმართ, თქმული ღირსისა ფილოთეოს კოსტანტინეპოლელ არხიეპისკოპოსისა“ (11v—19r); ბ. „სხუა ლოცვა ღმრთისმშობელისა მიმართ“ (19v—21r); გ. „სხუა ლოცვა სავედრებელი“ (21r—22r); დ. „ლოცვა დღითიდღე სათქმელი წმიდისა ღმრთისმშობელისა მიმართ, უკეთუ ვსურის ხილვა მისი ჯამსა სულისა შენისა განსლვისასა“ (22r—28r); ე. „ლოცვა განთიად და მიმწუხრი სათქმელი, წმინდისა იოანე დამასკელისა“ (28r—31v).

2. „პარაკლისი, ახლად თარგმნილი ბერძულისაგან, სავედრებელი ყოვლად წმინდისა მღრთისმშობელისა მიმართ. — მღვდელმან: კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი. მეუფეო ზეცათაო, წმინდაო ღმერთო, მამაო ჩვენი...“ 32r—61r.

შენიშვნები: 1. „პარაკლისს“ ერთვის საეკლესიო დღესასწაულთა კალენდარი (61v—66v) და „ქორთონიონი“: — ქკს უფა, ზენდადები იე. აღების ღამე ფე-ბერელის თ. ხარება მეექვსის კვრიაყის დ. წმინდა აღდგომა აპრილს [გ]. ამაღლება მაისის იდ. სული წმინდის მოსლვა მაისის კდ. მოციქულთ მარხვა დღე კმ. ატრე-პავლობა ბ. შობა უფლისა ე“. „ქორთონიონი“ მოდის უფიბ-მღე.

2. 3r—5r, 9v—10r, 24r, 33v, 35v—36r, 46v—48v კიდევებზე არის უმნიშვნელო მინაწერები.

S—5046

ალ. ყაზბეგი, მამის მკვლედი

გადატანილია ალ. ყაზბეგის არქივში № 154.

(1760)

5047

კრებულო. XIX

64 ფ.; 18×11; ქალაღი; უყღო; დაზიანებული, დღაქაეებული; შიგაღაშიგ ფურცლები ამოვარღნიღა; მხედრული; შავი, გაფერმკრთალეული მეღანი; [XIX ს.].

1. „ქეშმარიტი მოძღვრის უფღისა ჩვენისა იესო ქრისტესი მხილება დღაპარაკი თავის მონასთან მისაქევეღად ბოროტი სიცოცღლისაგან დღაპრევეღად ცოღვიღლისაგან თავისი თავის ცნობისა ამ ფერად თქმითა. — ჰ, ჩვენი გონებისაგან განუზომეღო, ზღვაო დღა მიუხღომეღად უთავბოღოთ სახიერი შემძლე ღმერთო...“ 1r—35v.

შენიშენა: თხუღლება ამოკრიფული ხასითისა. მასში რამდენიმე „საუბარია“ ქრისტესა დღა მის მონას შორის.

2. „ღოცვანი“. — „ძმანო დღა დანო საყვარეღნო, ამ წიგნის ამამკითხვეღნო, ეს ღოცვა ფიქრის მოკრებით ამოიკითხეთ, ამიტომ რომ ისა სჯობს, რომ სულ პატარა ღოცვა თქვა... 35v—64v.

(1761)

5048

ღოცვანი. XIX

40 ფ.; 8,5×11,5; ქალაღი; უყღო; კიღეებშემოციქნიღი; მხედრული; შავი მეღანი; [XIX ს.]. დღუწერეღღა 40r.

[ღოცვანი]. — „ზესთა მბრძოღისა ჩემისათვის დღა მოღვაწისა უძღევეღისა, ვითარღა შენ მიერ ხსნიღნი განსაცღეღლთაგან სამაღღობელსა შევესწიღრავთ, ღღვისმშობეღო ქალწუღო, შენდღა მომართ მონანი შენნი...“ 1v—39v.

შენიშენა: 40v-ზე არის მინაწერი, რომეღიც ძნეღად იკითხება.

(1762)

5049

ანტონ I, წყობიღსიტყვაობა. 1759

I+153 ფ.; 19,5×13,5; ქალაღი; ფიცრის ტყავგაღაკრული ყღა; მხედრული; შავი მეღანი; სათურები ასომთავრულად დღა სინგურით; გაღამწერი იოანე ისეს ძე (151v); 1789 წ. (151v); დღუწერეღღა: 1r—v, 152r—153v.

ანტონ 1, „წიგნი წყობიღსიტყვაობა. ნაწიღი პირვეღი, დღის-ნეტყუჭღლებისათვის. თავი ა. თვის სამობისა დღა ერთობისა. —

ერთი არს ზესთა დღაუსაბამო კეთიღ

ზესთ-ნათღოვანი ერთობა სამპირებით...“ 12r—139v.

შენიშენები: 1. უძღვის: ა. „წინასიტყუაობა წინამღებარისა წიგნისა ხუთ-ტაეპოვანთა სტიხთა ანუ შაირთა ქმნიღი გაითსის მიერ არხიღიკონისა. —

წინასიტყუაობით შეყუანიღებათა რა

ვაწინამღებარებთ ანტონი ყოღვღად ბრძინსა...“ 1r—4v. ბ. „პინაქსი წყო-

ბიღსიტყუაობისა“ 9r—11v.

3. ხეღნაწერთა აღწერიღობა, ტ. VII

2. ერთის: „ქმნილი მცირისა ტრიფილეგან, დიაკონ მონაზონისა. — ეს წყობილიტყუა განკარგულ ქმნილ-თხზულ-ლექსულ არსანტონისგან, ყოვლად ბრძნის ბრძენთ-უბრძნისის...“ 140r—149v.
3. ანტონის „წყობილიტყუაობა“ გამოცემულია 1853 წელს, პლატონოსელიანის წინასიტყვაობით.

ანდერძი: „მაგრა რიცხვსა მას წელთასა თთვენი ხუთნი, მეტნი წარმოვლენ, რომლისათესცა ხუთნი მეტლნი წარვჰსწერენ და მოვიტყენენ ორნი ნაშთნი, საქმენი არა დასატყებენი, და ორად თუალად ეტლისად შევიგზადო. შენ ისტორიკოს საკვირველ და ტკბილმოზრახ ქართველთა წმიდათ მარტურთა იქმენ და ჰსთვენ, ხოლო თქმითა მით ღუაწლთა მათთაცა ზიარსულითა იქმენ და მარტურებდი სულით, რომელთა მსგავსად გარგვენცა მიიღენ. მსე მაღალი გუარე მეცნიერების ორ სახედ იწყე გამოთქმად რიტორებრივ, ერთი მოთხრობით — ქართველთ სიმარტურესა, რომელთა შესხმა კმა გარგვენად მათდა, ხოლო მეორე თხზულ ირთიოდ ბრძნულად. შენ, მომთხრობელმან, წინაპართა ქართულთა ღირსად ქსოვნისა არა ჰქმენ დაეიწყება. წმიდათა ბრძენთა და მკნეთთა და მეფეთა საქართულოსთა, რომელთ მაღიდებელი იდიდები აწ სსკულითა ჩვეულებრით. **და** აწ გლოვანი ჩუქნნი ორ მიზეზობენ: პირველ, რამეთუ მიგუთრიდე ბრწყინვალეობა, ხოლო მეორედ—აღაუგენ მგლოვარებით მამა მეფე და სახლი მისი მაღალი და უფროს შენი საკუთარი მეფის ძე. შიტყვი სხუასაცა ჩიქსა მას სულიასა, ამბობს რა პავლე ენათა თარგმანებას, ხვავნი ამისნი განაპრავლენ წიგნებად, ტევანნი მისნი აწღევენ ჩუქნდა შეუქნას, ბნგელთ თანასწორ, დიდებულო მამაო.

კათოლიკოს	ი	ანტონ	ი	თვთ მეფი	ს ძე
ანგელთ შენადა	ხ	ნიეთთ იგურდი	ვ	იქმნა განმყრ	ი
თვალნი უმანკ	ო	ტრედს	ა	ავგარნა არს მმე	ფ
ორით არ კინინა	კ	ორანო	დიდ	ნამღვილვ	ე
ლტოლილი	იგი	ნატრფ	ი	იქმნა ჰუნ მიმღე	მ

იგი, რომელნი მომცენ მე, უწმიდეს**ო**,
ორ გზისნი შენნი მოძღვრებანი ელვარებს,
 აჰა, ჰსჩანნ შენნი შენდა, რა ვიძღვნის მრთმელ**მ**
 ნაყოფნი შენნი შენდა დამატკობელ არს
 მსე სურვლით გიძღვენ შიში განვამ**მ**.

ხმამ რა ტკბილი **და** მსდღუმდა მეტყუელებად,
ოქმნა მეტყუელთა **მ**ნათა დადღუმება,
ციურნი ძალნი **პ**ბარგით უსაშუალოთ,
მრთ არსისადმი **ნ**ოამათა შემსკვავლენი
სიბრძენსა შენსა **ს**იბრძენსა ღმერთს უძღვნიან.

მინაწერი: „კეთილ-კაზმილ(1)-თხზულ ალილორივებრ დალექსული ყოვლადი წიგნი ესე წყობილის ტყვაობაჲ, აქსონისა მის დიდისა ქმნილი ვიდრე ამაღლდე აღვსწერენ და დავსხენ ძღუნად კელმწიფისა ჩემისა მეფის ძისა ძისა ეახტანგ, აღმასხანისა, ვისნიცა მოწყალებითნი შარავანდღნი ანათლებენ სულსა ჩემსა. მისმან უსაკუთრესმან მლოცველმან მოძღუარმან უღირსმან იოანნი ოსეს ძემან, იკონომოს დეკანოსმან ტვილისისა სიონისამან. 17¹¹/₂₃ 94. ითანე“. 151v.

(1763)

5050

კრებულო. 1827

39 ფ.; 16×20,5; ქალღი; მუყაოს ყდა; მხედრული; შვიი მელანი; სათაურები ალაგ-ალაგ მთავრულად; გადამწერი ზაქარია გაგუნოვი (38v); 1827 წ. (38v); დამკვეთი დიმიტრი მაღალაოვი (ზედა ყდის შიდა მხარე); დაწერელია: 1r—v, 28v, 39r—v.

1. „კურთხევა მირონისა. — დიდნი შფოთნი და ამბოხნი იქმნებოდეს ეპისკოპოსთა ცილობისაგან და ლთიე-გკრგვოსანმან მეფემან არჩილ არასათნო იჩინა ამად შფოთთა ქმნად...“ 2r—v.

შენიშვნა: ტექსტი თარიღდება XIII საუკუნით. იგი გამოცემულია, იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა ი. დოლიძემ, 1965 წ. გვ. 47.

2. „განგება დარბაზობისა. — რაჟამს იკურთხოს მეფე და დასჯდეს ტახტსა ზედა ეპისკოპოსნი, ამ წესით დასხდნენ: 1. მობძანდეს ქართლისა კათოლიკოსი და დასჯდეს მარჯუტყნით მეფისა ტახტსა ზედა მოკიდებით, ნატითა და ბალიშითა...“ 2v—3v.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია. იხ. ქართული სამართლის ძეგლების დასახელებული გამოცემა, გვ. 47—48.

3. „ისტორია საქართველოჲსა, აღწერილი ქრანციცისა ღერანალ(1) კარლოს მიერ, ხოლო თარგმნილი ქრანციცულით რუსულად უფლისა პრორეტისაგან, ხოლო რუსულით ქართულსა ენასა ზედა თარგმნილი თავადის თარხანოვისაგან წელსა 1782. დაწყება პირველი საქართველოჲსა ვითარებისათჳს, თავი I მოთხრობისა. — საქართულლო არს ფრიად კეთილი ადგილია(1), გარნა ტყიანი, კლდიანი, მთაბარიანი. მუნ არს ფრიად მრთელი ჰაერი წყლიანი, ფრიად მარგებელ ნაყოფიერებისა ყოვლისა კეთილ მომცემ...“ 4r—6r.

შენიშვნა: ამ თხზულებასთან დაკავშირებით იხ. ტრ. რუხაძის ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIII ს. ს., თბილისი, 1960 წ., გვ. 235. ავტორს დამოწმებული აქვს ეს ხელნაწერი.

4. „მოხილვა ტიმოთე მთავარეპისკოპოსისა მიერ. — ესენი თვთ მეც ვიხილენ ვნებათა მათ ადგილნი და ხადა იგი მტილსა გარეშე ილოციდა და მოციქულნი ურვეულნი მძინარე იყენეს...“ 6v—7v.

შენიშვნა: ტექსტი წარმოადგენს ფრაგმენტს და მიეყება გამოცემის 76—77 გვ.ს. იხ. ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბილისი, 1956 წ.

5. „მისსა მაღალ მსულელობასა ღერანალ(!) მაიორს ივან ლეოვიჩს, ყიზლარის კამენდატს ქროუნდროქს მე უღირსი ანტონი, კათოლიკოსი სრულიად საქართველომსა მოვახსენებ მათგან ბრძანებულისამებრ თხოვისა, რომელიცა დაღათუ მრავალგანსაცდელ შემთხვევისაგან დავიწყებით სახელნი მეფეთა საქართველომსათანი თვით თვთოდ არღარა მახსოვან, მაგრა სახელოვანთა მეფეთა სახელნი, ანუ გარდაცვალებანი მეფეთანი და გვარა და ანუ განყოფანი ნათესავთანი სამ სამეფოდ ესენი არიან, რომელნიცა გუჭლთა(!) შინა მატანეთა საქართველომსათა წარმიკითხავნ. სიტყვა პირველი. — პირველად ვიდრემე მამა ქართლისა და ყოველთა მათ ქართველთა, ესე იგი, ქართულთა, იმერთა, კახთა და ჯავახთა...“ 8r—23r.

შენიშვნა: ანტონის ისტორია ერთი ხელნაწერის მიხედვით დაიბეჭდა ჟურ. „ივერიაში“ 1880 წ., № 3. ტექსტი ძირითადი ხელნაწერების მიხედვით გამზადებულია გამოსაცემად.

6. „მე უმცირესი ვინმე ძე ალექსანდრესისა და თელავის ქალაქის სემინარიის რეგტორი(!) დავით მოვახსენებ მებრ თხოვისა მათისა და რომელთამე საქართველომსა მეზობელთა მხარეთა ადგილთა ამის უკუშ წერილთა აღუწერ თქუჭნსა ღრეოდრაფიურებრ, რომელ არს ინტრუქცია. აღწერა ახალციხისა. — ახალციხისა ქუჭყანა, რომელიცა არის ქართლისა ქვეყანის ნაწილი ერთი, რომელიცა უჭირავს ახლა ხვანთქარსა...“ 23r—28r.

შენიშვნა: ეს თხზულება ორი რედაქციითაა ცნობილი. ტექსტი მიყვება ა-ვით რედაქციის რედაქციას, იგი გამოქვეყნებულია ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ, იხ. საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა, თბილისი, 1936 წ., ხოლო რუსული თარგმანი დაბეჭდა ალ. ცაგარელმა, იხ. Грамоты I.

7. [დ ი მ ი ტ რ ი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი], „ალერსი დამისა. — ეჰა, ლამეო, ჩემის გულისამებრ ბნელო და დღისა ერთ მოჟამისა მოშორებებით მოწყინებულთა...“ 29r—38v.

შენიშვნა: ავტორი აღდგენილია S—1554-ის მიხედვით.

ანდერძები (გადამწერის): 1. „მე, ფრიალ ცოდვილმან და უღირსმან დი-ჩოქმა ზაქარიამ ვაგუნოვიმ, აღწერე წიგნი ესე მსგავსად დედნისა. რომელმან მკითხველმან აღიკითხოდ და შეცდომა იხილოთ რამენ, ნუ გვწყენთ, ლოცვით მოგვხსენებდეთ, რათა თქვენცა მოგეტყვენსო შეცოდებანი თქვენნი, ამინ. ჩუკუ-სა წელსა, სექტემბრის ვ-სა დღესა.“ (38v).

2. „სრულ იქმნა წიგნი ესე თუშსა სექტემბერსა ვ-სა, წელსა ჩუკუ-სა.“ (6r).
ანდერძი (დამკვეთის): „ეს წიგნი დავაწერინე ჩემს მოსახსენებელად მე, თავადმა დ ი მ ი ტ რ ი მ ა ღ ა ლ ო ვ მ ა ო ლ ო მ ბ რ ის ა დ ღ ე ს ა, ჩუკუ წელსა“ (ზედა ყდის შიდა მხარე).

(1764)

5051

თეიმურაზ I, თხზულებანი. XIX

28 ფ.; 18,5×22,5; ქაღალდი; უყდო; დაზიანებული განსაკუთრებით პირველი და ბოლო ფურცლები; დალაქავებული; მხედრული; შავი მელანი; სათაურებით და სტროფების დასაწყისი სიტყვები სინგურით; [XIX ს.].

1. „ლექსი მუნასიბი და ტკბილი გაწყობილი მსმენელთათვის საამოვნო ვარდ-ბუღბუღისა გაბრჭობისა, ნათქვამი ღვთივ გვირგვინოსნის ქემწი-

ფის ბატონ პატიოსნის თეიმურაზისა, სუფევითამც ყოს უფალმან საუკუნითგან და უკუნისამდენ. —

ჰე, არა არის(!) შემოქმედო, შენგან არის ყოვლი ფერი...“ 1r—6v.

შენიშვნა: გამოცემასთან შედარებით ტექსტს აკლია, სტროფების თანმიმდევრობაც არეულია.

2. [შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა]. — „პასუხი გაზაფხულისა. გაზაფხულმა თქვა: გებძანა თქვენ სიტყვა ერთობ მკვახება...“ 6v—16v.

შენიშვნა: გამოცემასთან შედარებით ტექსტს აკლია, სტროფების თანმიმდევრობაც დარღვეულია.

3. „ქ. შელაპარაკება და ბაასი მათ მათი შესაფერი მიჯნურობა და ფარვანასაგან თავის დაწვის გაწირვა, ნათქვამი და გალექსვა ღვთივ გვირგვინოსანის მეფის თეიმურაზისაგან, სუფევითამც ყოს უფალმან ქსენება-კურთხევა მისი.

ღმერთო, ყოველთა ცხადთა და იღუმალად დაუფარაო...“ 16r—23r.

4. „ლექსნი მუნასიბნი და სათარგმანელი, ქება და მკობა ჯელმწიფისა ალექსანდრესი და ნესტან-დარეჯანისა, ნათქვამი ღვთივ გვირგვინოსანისა მეფისა ჯელმწიფისა თეიმურაზისაგან, სუფევითამც ყოს უფალმან, ამინ. —

რადგან არ ვსცხრები ქებასა, ვგონივარ ამათ მისანი...“ 23v—27r.

შენიშვნა: გამოცემასთან შედარებით აკლია ბოლოსიტყვაობა, ე. ი. 2 სტროფი.

5. [მაჯამა]. „ქ. ვიწყით ლექსთა და მუნასიბთა აღწერა, ნათქვამი ღვთივ გვირგვინოსანისა მეფისა თეიმურაზისა, კეთილ სასმენელი და ტკბილი, საამოვნო სმენელთა და მკითხველთათვის საძებარ-სათარგმანებელი, სუფრისა და ლხინისა დიდად შემამკობელი. — კვლაც მითქვამს: სიტყვა უქმისა პატიყმან შემაშინაო...“ 27r.

წყდება: „მე მამკლა მკეცი, მფრინველნი სადილად ჩემზედ ასე რა...“ 28v.

შენიშვნები: 1. გამოცემასთან შედარებით ტექსტს აკლია.

2. წყდება „მაჯამის“ მესამე კარის („მზე უნათლე ჰქმენ“) მესამე სტროფზე.

3. ხელნაწერი გამოცემაში გამოყენებული არ არის.

4. თეიმურაზ I თხზულებანი გამოცემულია. იხ. თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, 1934 წ.

(1765)

5052

მცნება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტისი. 1892

12 ფ.; 22×17; ქალღი; თეთრი; უყდო; მხედრული; შავი მელანი; გადამწერი: ასინეთ ჩხეიძე-კლიაშვილისა (9r), 1892 წ. (2r); დაუწერელია: 1r—v, 9v—12v.

„მცნება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელმან მოიწია საკურთხელსა ზედა. იდგა სვეტი ნათლისა და გამოემცხადა(!) ანგელოზი პატრიარხსა და მოვიდა ეკლესიასა...“ 2r—9r.

ანდერძები: 1. „1892 წელს მარტის 29 დღესა“ 2r.

2. „წიგნი ესე გაღმევიწერე მე, ასინეთ კლდიაშვილისამ ჩხე-
ძის ასულმან!“ 9r.

(1766)

5053

კრებული. XIX

41 ფ.; 17×21; ქალაღი; დაზიანებული; შემორჩენილია მხოლოდ ქვედა ყდა; მხედრული; შავი მელანი; [XIX ს.]; გაღამწერი იერომონახი გერსიმე (25r); დაუწერელია: 25v—28v, 39r—41v.

1. „დიდსა პარასკევსა საკითხავი ჳუარცმისათვის და დაფ-
ლისა უფლისა ჩუჭნისა იესო ქრისტესისა, თქმული ნე-
ტარისა მამისა ჩუჭნისა გიორგი ნიკომიდელ მთავარეფისკო-
პოსისა, მამო გკზნ. — მაღალსა და აღმატებულსა სახილველსა აღიწია ქა-
დაგება იგი სახარებისა...“ 1r—18r.

შენიშვნა: თხზულება თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ. იხ.
ქ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. V, გვ. 24.

2. „წმიდათა შორის მამისა ჩუჭნისა იოანე ოქროპირისა, კოსტან-
ტინეპოლელ მთავარეფისკოპოსისა, სიტყვა ვნებისათვის მაცხოვრი-
სა ჩუჭნისა იესო ქრისტესა, ძისა ღვთისასა და ვითარმედ ღღესა
რომელსა განივლინა ადამ სამოთხით, მასვე ღღესა შევიდა ავაზაკი სამოთხედ.
მამო გვაკურთხენ. — გუშინ აღთქმულსა მას ვალსა ღღეს მნებავეს აღსრულე-
ბად, საყვარელნო...“ 18v—25r.

შენიშვნა: თხზულება თარგმნილია თეოფილე ხუცესმონაზონის
მიერ. იხ. ქ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. V, გვ. 73.

3. „წმიდათა შორის მამისა ჩუჭნისა იოანე ოქროპირისა, კოს-
ტანტინეპოლელ მთავარეფისკოპოსისა, სიტყვა უძღვებისათვის შვი-
ლისა. მამო გკზნ. — მარადის თანამედ ვართ ქადაგებად კაცთმოყვარებასა
ღმრთისასა, რამეთუ მის მიერ ცხოველ ვართ და ვიძვრით...“ 29r—38v.

შენიშვნა: შდრ. ქ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. V, გვ. 80.

ანდერძი: „მეუფეო ქრისტე, შეიწყალე ამისი მჩხაბვი იერომონახი გერ-
სიმე“ 25r.

მინაწერი: „ეს წიგნი არის მარიაშ აფხაზოვის ასულისა, ვინც მო-
იპაროს, ღმერთმან წაუშალოს, გაუწყრეს იესო ქრისტე. წელსა ჩუჭ, ნოენბრის
3-სა“ 41v.

(1767)

5054

მირიანი. XIX—XX

107 გვ.; 17×21; ქალაღი; უყდო; დაღაქავებული; მხედრული; ყავისფერი
და იისფერი მელანი; [XIX—XX ს. ს.].

„აქა ჩინეთის ხემწიფისა და ძისა მირისა, რომელიც მისცა ღმერთმან ფერის ასული. — ანუ იყო ხემწიფე ჩინეთსა ხოსროვ შაჰი, ამისთანა ძრიელი და მაღალი ხემწიფე არავინ იყო. უშვილობის(!) ესე შეწუხებინა(!), რომ...“
 1 გვ. — 107 გვ.

შენიშვნები: 1. გვ. 107 აქვს უმნიშვნელო მინაწერები, დათარიღებული 1903, 1904 წლებით.

2. ამავე გვერდზე აქვს მინაწერი: „იზარღე, მწვანე ჭეჯილო, დაპურდი, გახდი ყანაო...“ მინაწერი შესრულებულია ზურაბ წიკლაურის მიერ.

3. იხ. აქვე 5040 ხელნაწერის შენიშვნა.

(1768)

5055

უამის ლოცვა. 1853—1857

1+51 ფ.; 34,5×22; ქალღალი; მუყაოს ყდა; მხედრული; შავი მელანი; დასაწყისი ასოები სინგურით; 1853—1857 (16v, 39r); გადაწერი პეტრე უმიკოვი(?) (IV); დაუწერელია: Ir, 39v—51r.

„უამის ლოცვა კვირისა დიდ ხუთშაბათისა განთიადისა იესოს სატანჯველზედ. — ა. მამაო ჩვენი; ა. გიხაროდენი; ა. მრწამსი (ჩუმათ). პირველი სახმილავისა: შურმან სახლისა შენისამან შემკაჲა მე...“ 1r—39r.

შენიშვნები: 1. „უამის ლოცვა კათოლიკური ხასიათისაა.

2. IV-ზე არის ლათინურად და ქართულად უმნიშვნელო მინაწერი, რომელსაც ორივე ენაზე უწერია: „Petras Umicof, პეტრე უმიკოვი. 1853“.

ანდერძი (გადამწერისა): „ღმერთო, გვედრებით, მოხედე ერსა შენსა ამას, რომლისათვის ჩვენი უფალი იესო ქრისტე მიეცა ჯელთა ცოდვილთა სატანჯველად და ჯვარცმად. ამენ. 18 $\frac{VII}{15}$ 53 — 18 $\frac{III}{15}$ 55“, (16v). ეს ანდერძი მეორდება

39v-ზე. განსხვავება მხოლოდ თარიღებშია. აქ არის 18 $\frac{VI}{30}$ 56—18 $\frac{III}{24}$ 57.

(1769)

5056

სია ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა, რომელნიც მოხსენებულნი არიან ერეკლე მეფისა და იმპერატრიცა ეკატერინეს შორის დადებულს ტრაქტატში. გადატანილია Sd—5508.

(1770)

5057

ყარამანაინი. XIX

16 ფ.; 35×22; ქალღალი; უყდო; დაზიანებული; თავ-ბოლო ნაკლული; მხედრული; შავი მელანი; [XIX ს.]; ლექსების დასაწყისი სინგურით.

«ყარამანაინი». — „...ეს რა ამბავია? ჩემსთვის წინათ ათარს ესწავლებინა — საუბარი რომ დაგიწყოს, პასუხს ნუ მისცემო...“ 1r.

წყდება: „...უმანგმა თავის დიდებულთა წინ მიეგებება უბრძანა, ივინი ძვირფასითა სამოსლითა შეიმოსნენ და ინდოთა ჯელმწიფეს წინ მიეგებნენ წესაებრივ...“ 16v.

(შენიშვნა: „ყარამანიანი“ გამოცემულია, იხ. ყარამანიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთეს ალ. გვახარიაძემ და ს. ცაიშვილმა, 1965 წ. ხელნაწერი იწყება 53-ე გვ.დან და წყდება 116 გვ.-ზე.

(1771)

5058

საამიანი. XIX

23 ფ.; 32,5×20,5; ქაღალდი ლურჯი; უყდო; დაშლილი; თავ-ბოლო ნაკლული; მხედრული; შავი მელანი; სტროფების დასაწყისი სიტყვები სინგურით; ჰერონიშანი 1815 წ. (3 ფ.) [XIX ს.].

«ს ა ა მ ი ა ნ ი». — „აქა სამ ფალავნისაგან ფრიდონისთან წიგნის მიწერა.

სამ თქვა ჩემს უნებურსა მეფე არიქს ბრძენია,

წიგნს მივწერ, ადრე მოვასხამ აქ წელმწიფე ბნელია...“ 1რ.

წყდება: „რა მისვლა სცნა აფრასიობ ქოსთა სბილოს მოამბიდა...“ 23ვ.

შენიშვნები: 1. „საამიანი“ ტექსტი გამოცემულია. იხ. შამ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, იუსტიინე აბულაძის რედაქციით, 1916 წ. ხელნაწერი 175-ე სტროფიდან მიყვება გამოცემას.

2. ხელნაწერის სათაურები არ მისდევს გამოცემისას.

3. ტექსტს აკლია სტროფები შიგადაშიგ.

(1772)

5059

აპოკრიფული თხრობანი ღვთისმშობლის შესახებ. XIX

9 ფ.; 34,5×21; ქაღალდი; უყდო; შემორჩენილია ქვედა ყდის ფრაგმენტი; თავნაკლული; მხედრული; შავი მელანი; [XIX ს.].

[აპოკრიფული თხრობანი მარიამ ღვთისმშობლის შესახებ]. — „...ოკიმი და ანა დაბერებული იყვნენ და შვილი არა ჰყამდათ, ერთს დღესა ტაძრის დღეობა მოვიდა...“ 1რ—9ვ.

(1773)

5060

ბაგრატიონი დავით, შემოკლებული ისტორია. 1800

46 ფ.; 22×17; ქაღალდი ლურჯი; უყდო; დაშლილი; დაზიანებული; მხედრული; შავი მელანი; 1800 წ. (1რ და 43ვ).

[ბაგრატიონი დავით. შემოკლებული ისტორია]. — „თავი ა. ასურ, ძემან სემისამან, დაუტევა სენარი მიზეზისა ძლით, რომელიცა მძლავრა ნებროთ და აღაშენა ქალაქი ნინევი...“ 1ვ—43რ.

შენიშვნები: 1. ავტორი და სათაური აღდგენილია ხელნაწერ H—2510-ის მიხედვით.

2. ტექსტს წინ უძღვის: „...განჯორციელებითგან სიტყუისა მისგან ღვთისა ჩუ, თვესა მარტსა ა.

წიგნასიტყვაობაა წინა მღებარისა ამის წიგნისა, ნარკუშვად ზედაწოდებულისა ისტორიისა, შემოკლებული ისტორია, ვინათგან ბუნება გონიერებითა ასწავებდს ყოველთა თავისა თვისისა უმჯობესისა აღრჩევასა, ამისთვის ამისთვის (sic) ვრაცხე შრომაა ესე.

ვინაცა ბედნიერებისა ნიავმან მოპებრა ერთა ჩვენთა და იწყეს ტრფობად აზნაურებითისა მიმართ კელოვნებისა, რომელნიცა დროსა ძლით მიზევისა მოკლებულ იყუნეს, ამაღ საჭირო იყო ისტორიისაცა შემეცნება, რომელ ამასაცა მიეწერების ნაწილ-ყოფად აზნაურებითისა მიმართ ხელოვნებისა. ამისთვის გჰყავ შრომად და შევჰმ... ე ისტორიად მრავალთავან წერილთა... ქართულთა, რომელსაცა ეწოდების ...ეგი, რომელიცა უჩვენებს ზხა... ისტორიისასა. ესე იგი ასურეთისა, სპარსეთისა, საბერძნეთისა, რუსეთისა, ჰრომისა და ქართლისასა.

გარნა არა მრცხვენის ამაღ, რომელ განდვიძებულ ვიყომცა სიყვარულისათვის მამულისა, რომელსაცა თავი თვისი მზა მიყოფიეს სისხლითურთ მსხუტრბლად ტრაპეზსა ზედა სიყვარულისასა დასაწუელად, რომელიცა არა ვჭირდებ შრომასა სარგებლისათვის მამულისა, რათა აღმოვხინდებ სიყვარულითა ერთგულობითა და მსხუტრებითა და რათამცა ნიადგა დაუვიწყებლობასა შინა მათსა მიერსა“ (1r—v).

3. 44r—46v-ზე არის ბოტანიკური ლექსიკონი და სამედიცინო დარიგებანი.

4. „ისტორიაში“ წარმოდგენილია ასურეთის, სპარსეთის, საბერძნეთის, რომის, რუსეთისა და საქართველოს ისტორიები. ამ უკანასკნელს უჭირავს 29v—43r. ტექსტი, რა თქმა უნდა, „ახალი ისტორია“ არაა, უფრო სახელმძღვანელოს შთაბეჭდილებას ტოვებს.

ანდერძი (გადამწერისა): განსრულდა, დიდება ღმერთსა, მუშაკთა წიგნისა ამის შენდობა უბრძანეთ ცთომათა, მარტსა კთ, ქ-კს უჰმ“. (43v).

(1774)

5061

ნიკიფორე ხუცესი, ანდრია სალოსის ცხოვრება. XIX

145 ფ.; 22,5×18; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; დაზიანებული; მხედრული; შავი მელანი; [XIX ს.]; დაუწერელია 115r—v.

[ნიკიფორე ხუცესი, ანდრია სალოსის ცხოვრება]. — „მამანო ჩემნო საყვარელნო და მონანო ღვთისანო, ისმინეთ ვედრება ჩემისა და გაუწყო, რამეთუ არს საქმე ესე...“ 1r—145v.

შენიშვნები: 1. თხზულების ავტორი აღდგენილია კ. კეკელიძის მიხედვით. იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, გვ. 406.
2. კ. კეკელიძე თხზულებას კიმენურ რედაქციად მიიჩნევს (იხ. ეტიუდები, V, გვ. 120) და აპოკრიფული ლიტერატურის ერთ-ერთ ნიმუშად.

(1775)

5062

სოფრომ იერუსალიმელი. მარიამ მეგვიპტელის ცხოვრება. XIX

6 ფ.; 20×17; ქაღალდი; უყდო; თავ-ბოლო ნაკლული; მხედრული; შავი მელანი; [XIX ს.].

«სოფრომ იერუსალიმელი, მარიამ მეგვიპტელის ცხოვრება». — „...ბრძანება მისი, მსწრაფლ განიძარცვა ძველი იგი სამოსელი და მიუგდო...“ 1r.

წყდება: „...და შეესტიროდი ხატსა დედოფლისა ჩისა წმიდისა ღმრთობელისასა, თავსმდების მის ჩისასა, რათამცა განსდევნა გულსა...“ 6v.

შენიშვნა: თხზულების ავტორია სოფრომ იერუსალიმელი, ქართული თარგმანი ეკუთვნის ექვთიმე ათონელს. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 190.

(1776)

5063

აღექსიანი. XIX

10 ფ.; 21×16; ქალღი; უყდო; დალაქაეებული; მხედრული; შავი მელანი; [XIX ს.].

[აღექსიანი]. — „კაცი ვინ(!) იყო საგონებელი... მდიდარედი(!), უთვალავი ოქროს, ვერცხლის პატიოსანის და მარგალიტის ბატონი, მრავალი სოფელი. სახელოდ ქოდა(!) ეფერემ და მის მეუღლე ანას...“ 1r—10v.

შენიშვნები: 1. ტექსტი ნაწერია ძალზე უწიგნურად;
 2. სათური აღდგენილია S—62:2-ის მიხედვით.

(1777)

5064

ქალ-ვაჟიანი. 1845

20 ფ.; 18×11; ქალღი; უყდო; დაზიანებული; თავნაკლული; მხედრული; შავი მელანი; 1845 წ. (19v).

[ქალ-ვაჟიანი]. — „რას მიბძანებთ? უთხრეს დედ-მამათა: რაც გენებებოდეს, ის ქენიო, უთხრა შვილმა...“ 1r—19r.

შენიშვნები: 1. ტექსტი ნაწერია უწიგნურად.
 2. მე-20 ფ. სხვა ხელნაწერისაა. ეს ფრაგმენტიც „ქალ-ვაჟიანის“ ტექსტს შეიცავს.

ანდერძი: „განსრულდა ქალ-ვაჟიანი, სხვათა პირთას აღმორჩევ, ესრეთ ნაწერნი კელითა ქველი ბაქრაძისათა მიერ წელსა ჩემე, იანვარსა ვდღესა“. (19v).

მინაწერი: „არინოცი(!) ბაქრაძის ასული დაიბადა ჩემეს წელსა, იანვრის იე(?)“ (19v).

(1778)

5065

ქართული პოეზია. 1819

6 ფ.; 21,5×17,5; ქალღი; უყდო; დაშლილი; უკანასკნელ 2 ფურცელს მოხეული აქვს კუთხე; ბოლონაკლული; გადამწერი ალ. ყორღანოვი (1r); 1819 წ. (1r).

„ქართულიისა პოეზიისათვის, თავი პირველი. § 1.

კითხვა: რა არს პოეზია?

მიგება: პოეზია არს ჰელოენება მოგონებად და აღწერად დიდებულთა, ზომისაებრ მარცხალთასა ყოველთა მათ ნივთთათვის, რომელთაცა ქალუძს მიზიდვად გამოხატვას ანუ აღძრუად გულისა განცხრომისა გამო ყურადღებულთა ანუ აღმოკითხულთასა...“ 2r.

წყდება: „[თვისებანი] დაუდგრომელობა, მცონარება, აღშფოთება, დაჟინება, თავხედობა...“ 6v.

შენიშვნები: 1. ბოლო ორი ფურცელი სხვა თხზულების ფრაგმენტი უნდა იყოს. იგი წინა ფურცლებისაგან ხელითაც განსხვავდება და შინაარსითაც. ფრაგმენტი ფილოსოფიური თხზულების შთაბეჭდილებას ტოვებს. შემორჩენილ ორ ფურცელზე 13 პარაგრაფია.

წყდებია: „...უამი ამღვრეულია, თუ წახვალ გზასა, სარგებელი არა გაქვს, გეშველება, ნუ შესწუხდები...“ 14v.

(1782)

5069

რეინბეკი, მოთხრობა. XIX

65 ფ.; 10,5×16,5; ქალაღი; მაგარი მუყაოს ყდა; მხედრული; შავი მელანი; [XIX ს.]; დაუწერელია: 1r—v, 61r—65v.

„მოთხრობა უფლისა რეინბეკისა. — არღნიმი — ახალგაზრდა ღერმანიელი, კაცი იყო ტანადი, წაბლის ფეროვანის თმებიანი, რომელნიც მალალს შუბლსა ზედა მისსა იყენენ მშვენივრად გარდმოყუჭუჭებულნი და მიიზიდევდა მხერვათა...“ 2r—60v.

შენიშვნა: თხზულება თარგმნილია რუსულიდან; ხელნაწერიდან მთარგმნელი არ ჩანს.

(1783)

5070

მიხეილ ჩულკოვი, თვითმარქვია გრიშკა ოტრეპიევი. XIX

232 ფ.; 13×21; ქალაღი; უყდო; დაშლილი; შიგადაშიგ ფურცლები ამოცენილია; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია: 1v; 149v—154v, 230r—232v.

[მიხეილ დიმიტრისძე ჩულკოვი]. „დიმიტრი თვითმწოდებელი ანუ გრიშკა ოტრეპიევი. — დიდი ხანი იყო უკუშ, რაც განეჭროთ სამთელნი სახლთა შინა მოსკოვში მცხოვრებთასა, მაგრამ ლიტოვის ქუჩისკენ ერთს სახლში ჯერ არც კი ეფიქრნათ განსვენებასა ზედა...“ 2r—229v.

შენიშვნები: 1. თხზულება ორი ნაწილისაგან შედგება. ორივე ნაწილის დასასრულს მიწერილი აქვს: „დასასრული პირველის ნაწილისა“; „დასასრული მეორის ნაწილისა“.

2. საცავ ფურცელზე არის უგემოვნოდ შესრულებული სურათი, რომელსაც მიწერილი აქვს: „მეფე ბორის ქეოდოროვიჩი გოდუნოვი და დიმიტრი თვითმწოდებელი, ანუ გრიშკა ოტრეპიევი“.

3. აღნიშნულ თარგმანს ტრ. რუხაძე გვიანდელად მიიჩნევს, ავტორი აღდგენილია ტრ. რუხაძის მიხედვით (იხ. ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIII ს. ს. 1960 წ., გვ. 265).

(1784)

5071

განუსჯელი აღთქმანი ანუ დაბრმაება. XIX

85 ფ.; 13×21; ქალაღი; უყდო; დაშლილი; დაზიანებული; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია: 84v, 85r—v.

„განუსჯელი აღთქმანი ანუ დაბრმაება. — სენვილი ირიცხებოდა კარისკაცთა შორის უბედნიერესად. რა აკლია ნეტარებასა მისსა? — იძახდნენ ყოველნი...“ 1r—84r.

შენიშვნა: თხზულება თარგმნილია რუსულიდან, მთარგმნელი არ ჩანს.

(1785)

5072

სიკუდილი უფლისა მგლეჯელაძისა. XIX

21 ფ.; 21×13; ქალღლი; ფურცლის ყდა; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია; 20v, 21r—v.

„სიკუდილი უფლისა მგლეჯელაძის (კობტინ.) თავი პირველი. — ბრწყინვალეთ სხივთა მიერ მზე ანათებდა და მით ელაგდენ მოსკოვის ეკკლესიათ და სამრეკლოთ ოქროს ჯვარნი...“ 1r—20r.

შენიშვნა: თხზულება თარგმნილია რუსულიდან, ხელნაწერიდან მთარგმნელი არ ჩანს.

(1786)

5073

დიდი საბნელეთი ეშმაკთ ხელმწიფისა. XIX

26 ფ.; 12×20; ქალღლი; ფურცლის ყდა; დაზიანებული; შიგადაშიგ ფურცლები ამოკვენილია; მხედრული; [XIX ს.].

„დიდი საბნელეთი ეშმაკთ ხელმწიფისა (სატანისა) ზღაპრად ნაწერი. — ქვეყნის შუაგულში არის უდიდესი სიცარიელე, მქონებელი თითქმის ოთხმოცდაცხრამეტის ვერსტის სიმაღლისა. მამულის დავთრებში ჰსწერენ...“ 1r—26v.

შენიშვნა: თხზულება თარგმნილია რუსულიდან, მთარგმნელი ხელნაწერიდან არ ჩანს.

ხელნაწერები 5069—5073 ერთი ხელითაა გადაწერილი და ერთიდაიმავე პირის შემოქმედების ნაყოფია.

(1787)

5074

ნიკოლოზ ბარათაშვილი, ბედი ქართლისა. XIX

12 ფ.; 10×18,5; ქალღლი; უყდო; დაშლილი; კიდეები შემოციკნილი; მხედრული; [XIX ს.]. დაუწერელია 1v, 12v.

«ნიკოლოზ ბარათაშვილი». „ბედი ქართლისა. — ძმანო, კახელნო, ნამდვილ ქართველნო, მოღზინე სულით, თქვენში აღზრდილა პატარა კახი, მეფედ და გმირად...“ 1r—12r.

შენიშვნა: პოემა მრავალგზისაა გამოქვეყნებული. გამოცემაში ჩვენი ხელნაწერი გამოყენებული არაა.

(1788)

5075

გიორგი ერისთავი, შეშლილი. XIX

8 ფ.; 12,5×19,5; ქალღლი; უყდო; დაზიანებული; პირველი ფურცელი შეზება გახეული; მხედრული; სათაური მთავრულად; ავტოგრაფი; [XIX ს.].

[გ ი ო რ გ ი ე რ ი ს თ ა ვ ი]. „შეშლილი პოემა. (დარბაზში ტახტზე სხედან მართა, სიდონია, ანა და მაკრინე). — სიდონია (დაიდებს ორს თითს ტუჩებზედ და მართას ეუბნება): გენაცვა, ქალო, მართლა შეშლილა?

გვიანზე წვლილად, როგორ ყოფილა?...“ 1r—8r.

შენიშვნები: 1. ტექსტი იწყება მეორე ნაწილის პირველი სურათიდან.

2. ხელნაწერს დაუცავს პოემის პირველი რედაქცია.

3. პოემა გამოცემულია (იხ. გ. ერისთავი, თხზულებანი, შ. რადიანი-სა და ი. ბალახაშვილის რედაქციით. 1936 წ.). ხელნაწერი გამოცემას მიჰყვება 106-ე გვერდიდან. ხელნაწერი დასახელებულ გამოცემაში გამოყენებულია (იხ. დასახელებული წიგნი, გვ. 399).

(1789)

5076

მოთხრობა ივერიისათვის. XIX

13 ფ.; 21,5×35; ქალაღი (ცისფერი და თეთრი); ფურცლის ყდა; შემორჩენილია მხოლოდ ზედა ნაწილი; ბოლო ნაკულში; მხედრული; [XIX ს.].

„მოთხრობა ივერიისათვის. პერიოდი პირველი. აღწერა ქართლისა და შთამომავლობისა მამასახლისთა მისთასა, ვიდრე ქარნავაზს(!) ქართლისიანადმდე, რომელი იყო მეფე პირველი საქართველომასა. — ქვეყანა ესე ძველთა დროთა შინა იწოდებოდა საქართველოდ, ივერიად და გიორგვიად. შემდგომად ნოეს გარდაცვლისა განმრავლდენ რა ნათესავნი მისნი დაივიწყეს ყოველთა დამბადებელი ღმერთი...“ 3r.

წყდება: „...რამეთუ ერთნი ოდენ სატახტონი ქალაქნი: მცხეთა და არმაზ გარემოებთა თვისთა დაშთებოდენ აღუოხრებულად...“ 13v.

შენიშვნები: 1. პირველი ორი ფურცელი წარმოადგენს წინასიტყვაობას, რომელსაც ხელს აწერს „გრიგოლ ბაგრატიონი“ და რომელიც 1810 წლის შემდგომ უნდა იყოს დაწერილი. მოგვაქვს ეს ტექსტი მთლიანად.

„წინასიტყვაობა. ჰუმბარტიმან სიყვარულმან და სრულმან ერდგულეზმან მამულისადმი ჩემისა განმადიდებს მე, რათა უუფველესი მოთხრობა ივერიისათვის და შთამომავლობათა მთავართა, მეფეთა და მებატრონეთა მისთასა შეძლებსიებერ ჩემისა ცხადმყო შორის განათლებულთა და მოსურნეთა ცნობისა მისისა დიდის რუსეთის ერთასა, რომელთაგანცა ვსასობ მე, რომელ ფრად სუსტსა შრომასა ამას ჩემსა, გარნა ყოვლითა მეცადინეობითა ჩემითა გამოძიებულსა და სხვათაც ისტორიითა თანა შემოწმებულსა, სათნო იყოფენ და არცა დაუტყვევენ ამას თნეირ უწყებისა სხვათაცა ევროპიის ერთადმი და ამისთვის გავებდე ესეოდენის, ჩემთვის დიდისა და ძნელისა საქმისა ჰელყოფად.“

ჰსწერენ რომელიმე მისტორიენი, ვითარმედ ძველთა დროთათვის და წარმოებთა ქართველთასა არა რა ვუწყოფით. ჩვენ ნამდვილ წერილით, და უკეთეს არცა გვსმენიეს, ყოველივე მზგავს იყო ზღაპარსიტყვაობისა და ამისთვის არღარა რამე მოვიხსენეთ. გარნა ვხედავთ ჩვენ მრავალთა სხვათა ქვეყანათა და ერთათვის აღწერილებათა მათთა, რომელთაცა საეყ ჰყოფენ იგინი ზღაპარსიტყვაობითა რიტორულითა წმასენითა განშევენებულ. ხოლო რასაცა მცირედ და შემოკლებით იტყვიან იგინი თვისთა თხზულებათა შინა საქართველომასათვის, რომელიმე მათგანნი დიდსა დამცირებასა და მარადის დამონაგებასა მისსა მესამზღერეთა საკელმწიფოთაგან; გარნა თუ ოდეს ყოფილ არს საქართველოთა თავისუფალ და მეფენიკა მისნი განძლიერებულ, არა მოიხსენებენ. ხოლო რომელიმე ჰსწერენ მრავალზღის თავისუფლად ყოფასა მისსა, ძველობასა და მამაცობასა მუნეირთა ადგილთა ერთასა და განძლიერებასაცა მეფეთა და მებატრონეთა

მისთასა, ვითარცა ცხად არს ესე ყოველი ისტორიათა შინა ბრძენის იოსიძის ძლავისასა, ბარონიასა და ღრაფსეგურისასა.

ამის გამო სათანადო არს თქმად, რომელ ფრიად საკმაო არიან ესე სამნი ზემოსხენებულნი ჰუმპარიტნი მესტორიენი მოწმად ძველობისათვის საქართველომასა წარმოებათათვის მცხოვრებთა მისთასა. და ეგრეთვე ფრიად ღირს და საწმუნებელ არს მოთხრობაცა მესტორიისა ჩვენისა ვახუშტისა, რომელმაცა უწყოდა უწყოდა(!) ზედმიწევნით ბუნებითი და სხვანიცა ენანი და რომელსაცა შეუკრებებს მრავალნი სხვათა ენასა ზედა ისტორიანი, შეუმოწმებებს ქართულითა და სომხურისა მოთხრობათა თანა, განუხილავს სხვანიცა დამამტიკებელნი წერილობანი ძველობათათვის საქართველომასა და ქართველთასა და შრომითა დიდითა მიერ შეუდგინებებს ყოველი წიგნი (ცხოვრება ქართლისა) და მით მოუციეს ჩვენთვის ჰუმპარიტი, სრული და დაწვლილებით ცნობად მამულსა ჩვენისა, რომლისათვისცა თანა-გვამს ყოველთა მემამულეთა მისთა დიდისა ქებისა და დიდებისა მისდა მიწერაჲ, რომლისაცა საყლო ყოველსა მამულსა შინა ჩვენსა არცა არს და არცა იქმანს მკვდარ საუკუნოდ.

ესეცა ჯერ არს ჩემდა თქმად ახალთა მათ რომელთამე ნაწილთა ზედა ქვეყანისასა მიმომსვლელთათვის, რომელნიცა ჰსწერენ, ვითარმედ საქართველოსა შინა ყოველნი ჩვეულებანი და ქცევანი საზოგადოდ ერთანი არიან საციცხელ. იტყვიან ეგრეთვე ძაგებასა ქალაქთა ჩვენთა და სოფლებთა შენებულებათასა. და ესევეთართა შენიშნულებათა თანა მრავალთა სხვათა უკვანთა საქმეთაცა აღრევენ და ესრედ ცხად არს, რომელ აღმწერელნი ამისნი ანუ არიან თვთ ბუნებითად ბოროტ-მეტყველნი და ანუ არა უწყვიან თვთ ბუნებითი ადგილნი ჩვეულებანი და ქცევანიცა თსნი, არამედ მე არა ძალმიძს განიკცხვად საზოგადოდ მემამულეთა მათთა, რამეთუ რაოდენიცა მიხილაუნ მე ადგილნი, წარმოიკითხავს და მსმენიესცა მათთვის, მრავალნი არიან პატროსანი ერნი, მექონნი უპატროსნეთა ჩვეულებათა, თსებათა და ჩინებულთა შენებულებათაცა. ეგრეთვე უწყებულ არს ესეცა, რომელ რიცხვთა შორის რომლისამე ქვეყნისა მრავალთა კეთილმოქმედთა და პატროსანთა ერთსა შეუძლებელ არს არა იყვნენ რაოდენიმე ბოროტნი და მიწიერნიცა ერნი; გარნა მცირ-რიცხვადობითა მათითა არა რამ შეეზების ქვეყნისა მის საზოგადოებისა კეთილმოქმედებასა და პატროსნებასა. ამას გამო არცა შეენის ჰუმპარიტსა მწერალსა და პატროსანსა კაცსა, რათა ერთისა, გინა ორთა ბიუთა გვათათვის განჰკიცხოს საზოგადოდ ყოველნი ერნი, ანუ რამანაცა ჩვეულებისა და ქცევისა იყოს თვთ, იგი მიაწეროს სხვათა. და ესრედ საგონებელ არს, რომელ არა ჯერ არს დარწმუნება ესევეთარისა ბოროტმეტყველის აღმწერლისად არცა განსჯა და არცა უმეტეს განვრცობას სიტყვისა მისთვის. ნამდვილ საუწყებელ არს ყოველთადმი, ვითარმედ რაოდენიცა ჰსწავლანი და განათლებანი არიან დღეს საქართველოსა შინა, მოგვნიძებებს ჩვენ დაწყებიდან ამა საუკუნოვანსა დიდისა რუსეთის მფარველობისა მიერ. და ამისთვის თანამდებ ვართ ყოველნი, რათა მარადის შეეწირვიდეთ უდიდესსა მადლობასა დიდსა კელწიფესა დიდთა ერთასა და ვიყნვეთ ყოველად უცმებითესსა ერდგულობასა და მორჩილებასა შინა მისსა. და ნუუკვედა ესეცა საციცხელ იქმანს ჩვენთა, რომელთაგანმე მესტორიეთა? არამედ არა ვგონებ მე, ამაღ რომელ ყოველთა სხვათაცა ერთა და საკელწიფითა ქვეყანასა ზედა მილიეისთ რომელნიმე და ოდენიმე სრულნიცა განათლებანი და ჰსწავლანი ურთიერთისაგან. ხოლო ვიტყვი ამასცა, რომელ საქართველოსა შინა ამა ქამად მრავალგზის ყოფილ არს განათლებად, გარნა უბედურთა ქამთა ვითარებათა გამო კულად აღკოცილ, ვითარცა იხილავთ ყოველსავე ისტორიასა ამას შინა.

ამა დიდნი მიზეზნი ესე ყოველნი, რათა მეცნობა ისტორიაცა ჩვენი ევროპიელთათვისცა, თუმცა ზემოხსენებულნი ყოველი წიგნი ცხოვრება ქართლისა, შეთხზული ვახუშტის მიერ ფრიად საკმაოდ არს მოთხრობილი ყოველთათვის, გარნა ვინაჲდგან არა იყო იგი თარგმნილ სხვათა ენათა ზედა და შეერთებულ არიან მას შინა ლეოღრაფისა და სტატისტიკებრივ აღწერილობანი ვრცელად, ამისათვის მოვიდო წიგნი და ეგრეთვე მოთხრობა ქართლისათვის მეფის ვახტანგის მიერ, მეფის იასენ ძის უნეტარების და უწმიდისის საქართველოს პატრიარხის ანტონის მიერცა შემოკლებული, და

სომეხთა ისტორია; ხოლო რუსულსა ენასა ზედა ისტორიანი: ბრძენის იოსი-
 ფოსი, ჭლავისა, როლენისა, ანკიტილისა, ღრაფ სეგურისა
 და სხვანი ისტორიანთა. შევამოწმე ესე ყოველნი ურთიერთსა თანა, და დი-
 დისა მამერალობითისა ძიებითა გამოვკრიბე მათგან მოთხრობაჲ ძველობისათვის
 საქართველოასა და ჰმთამამავლობათა მთავართა, მეფეთა და მეპატრონეთა მის-
 თასა, ვიდრე აღსრულდებოდნენ ნეტარადხსენებულის ქართლისა და კახეთისა მე-
 ფის ირაკლის მეორისა, რომლისაჲ ცხოვრებისათვის დაწვლილებითი მოთხ-
 რობაჲცა შევეაერთე და ვჰქმენ წიგნი ესე ისტორია ქართლისა ბუნე-
 ბითსა ენასა ზედა ჩვენსა, რომლისა თარგმანი რუსულადცა ვჰყავ და მას თანე
 იხილვების. ხოლო შემდგომთა მეფეთათვის და შეერთებისათსცა საქართველოა-
 სსა და იმერეთისა რუსეთისა თანა, შემდგომად რაოდენთამე ყამთა აღიწერების
 იგიცა ჩემგან, უკეთუ მექნების მე ლთისა მიერ განგრძობა დღეთა“ 1r—2v.

2. ტექსტი არ მიუყვება არც თეიმურაზ ბატონიშვილის, და არც
 დავით და ბაგრატ ბატონიშვილების ცნობილ ისტორიას. ხომ
 არ შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ ისტორია ეკუთვნის გრიგოლ ბატო-
 ნიშვილს?

3. ტექსტის ბოლო ნაწილი ხელის მიხედვით უნდა იყოს წარმოდგენილი
 ამავე ფონდის ხელნაწერში № 5089.

(1790)

5077

ონანა მდივანი ქობულაშვილი, ბარამგულიჯანიანი. XIX

32 ფ.; 20,5×32,5; ქაღალდი; უყდო; დამლილი; პირველი ფურცელი დალა-
 კავებული; მხედრული; სათაური წითელი მელნით; [XIX ს.]; დაუწერელია 32v.

[ონანა მდივანი ქობულაშვილი, ბარამგულიჯანიანი]. — „კარი პირველი. დასაწყისი ჯონშერ ჩინეთის მეფისა ამბავნი, რო-
 მელსა ზედან იწყების მიჯნურობა გულიჯანისა... ჭაბუკისა, თქმული ლექსად
 ონანას მიერ კახის მდივნისა, ყამსა ასტრახანსა ყოფასა მწირობისა მი-
 სისასა, ესრეთ უხმობენ წიგნსა ამას [ბა]რამიანად. —

არსებით ვხადი ერთ უფლებად, სამ სახედ გვამოვნებასა
 მამისა მიერ ძესა და ეგრეთ სულისა თნებასა...“ 1r.

თავდება: „ვარდი სამ ფურცლად მაღალი, ერთ ნორჩად ქანდაკებული,
 სულთა ბაღჩის სულენლად იგი დაბანაკებული,
 ვარდი...“ 32v.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია დ. ბრეგაძის მიერ წიგნში: „ქართვე-
 ლი მწერლები რუსეთში“, 1958 წ., გვ. 66—208. ხელნაწერი მცირეოდენი სხვაო-
 ბით მიჰყვება გამოცემას და წყდება გამოცემის 392-ე სტროფზე, გვ. 121.

(1791)

5078

ონანა მდივანი ქობულაშვილი, ბარამგულიჯანიანი. XIX

44 ფ.; 22×35,5; ქაღალდი; უყდო; დამლილი; თანაკლული; მხედრული;
 [XIX ს.]. დაუწერელია: 42r—44v.

[ონანა მდივანი ქობულაშვილი. ბარამგულიჯანიანი]. —

„...ვანა არ იცით უფარდოდ წალკოტის მშვენიერება,
 უმისოდ მყოფთა მიხედება სხვათა ყვავეილთა ბერება...“ 1r—41v.

შენიშვნები: 1. ტექსტი იმავე ხელითაა გადაწერილი, რომლითაც S—5077.
 2. თხზულება გამოცემულია დ. ბრეგაძის მიერ. იხ. S—5077-ის შენიშვნა. გამოცემასთან შედარებით ხელნაწერი იწყება 510-ე სტროფიდან (გვ. 137) და თავდება 1009 სტროფით. ბოლოს აკლია 6 სტროფი.

(1792)

5079

კრებული. XIX

52 ფ.; 22×35,5; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; საცავი ფურცელი მოგარდნილი; მხედრული; [XIX ს.]: დაუწერელია: 5v, 49v—51v.

1. [ტ ა ქ ტ ი კ ა]. „ვო ლ ტ ე რ ი ს თქმული, ხოლო ფრანცუტულის ენი-საგან თარგმნილი და გარდმოღებული ქართულსა ენასა ზედა თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძის გარსევანის ძისა მიერ. ორ-ორ ტაეჰად გალექსული. —

შე ამას წინად ვეწვივე ჩვენს მეწიგნეს მათეოზსა, რომენ კაცი ქულბაქს უკეთ ვერა ნახავს მოსაწონსა...“ 2r—5r.

შენიშვნა: თარგმანი გამოქვეყნებულია ი. გრიშაშვილის მიერ წიგნი: ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1940 წ., გვ. 163—167. გამოცემისათვის ჩვენი ხელნაწერი გამოყენებული არ არის.

2. „ალექსანდრე ჭავჭავაძისაგანვე გარდმოღებული ფრანცულით ქართულსა კმასა ზედა და ლექსით მოძღურისა და მოწაფისათვის. —

ერთსა ვისმე მოხუცს პატრსა პარასკევსა დიდ მარხვასსა მოუეიდა მოწაფე, და თაყუანის ჰსცა, ვით ხატს ღწისასა...“ 5r.

შენიშვნა: თარგმანი გამოცემულია. იხ. დასახელებული წიგნი, გვ. 160—161.

3. [მიკვირს რად ჰსძრახვენი]. „თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან თქმული. ჰარბახანდან ჩემში მახტუმის კმა. თათრულია: თვითონ შეხედვით თვალის მიმტაცი. —

მიკვრს, რად ჰსძრახუჭნ მას, ვინცა არს შუჭნებითა ძლეული, სხუა უფლებს მას ზედ უამსა მას, იგი არს ეშუით ხმეული...“ 7r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 35.

4. „თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძის თქმული, დუგაის გუშა ხარიბა ჭაქაშის კმა. სპარსულია: ეკალი იმის კელში ვნახე, სისხლი ამიდულდა. —

ვისაც გჰსურთ ჩემთა ჰამბავთა ცნობა, მისმინეთ ჰირში ფლობილს... 7v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 34.

5. „თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან თქმული ლაჯარამ ლაჯარამ. სპარსულია: მამასადამე. —

სახე შენი მე მახევა, მეზადა, სრულ განმძარცუა, რაცდა ცნობა მეზადა... 7v—8r.

4. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. VII

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია, იხ. დასახელებული გამოცემა,
 გვ. 3.

6. „თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან თქმული მუხამ-
 ბაზი. იხილე რიცხუსა შინა 196. —
 ეღება კარი გაზაფხულისა,
 დროთა ცუალებით დანაგულისა...“ 8r—v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა,
 გვ. 7—8.

7. „ალექსანდრე ჭავჭავაძის თქმული კელ-ხება. ესე კელ-ხე-
 ბის წმაზედ სათქმელი გაფი თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან
 თქმული. —

ში, წარმავალნო გზასა ქალნო,
 თუალთა საამოდ, ხილვად კმანო...“ 9r—v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა,
 გვ. 32—33.

8. „თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან თქმული ბაია-
 თი. იხილე, ბაიათი თათრულია, სამფლობელო ხალხია და იმათი სიმღერაა. —
 ვიწყო წერა მაჯამით,
 დაშურეს ჩემი მაჯა მით...“ 9v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა,
 გვ. 15.

9. „ალექსანდრე ჭავჭავაძის თქმული მუხამბაზი. თავადის
 ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან თქმული თეჯნისი იხილე რიცხუსა
 შინა. —

ვინ არს ესე სრულ თაგთირებრ მანათი,
 ვისგან ჰსწუჭთენ ნამნი ვარდთა საღებად...“ 10r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა,
 გვ. 14.

10. „თავადის ალექსანდრეს ჭავჭავაძისაგან თქმული მუხამ-
 მბაზი. იხილე რიცხუსა შინა 196. —

მოვედ ამ არეთ შესამკობელად
 ნიავო, მქროლევ კეთილ-მყრფელად...“ 10r—11r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა,
 გვ. 61—2.

11. „ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან თქმული მუსტაზადი. თა-
 ვადის ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან თქმული მუსტაზადი. იხი-
 ლე ფურცელსა ნა. —

ისმინეთ მსმენო, ჭირთა მთმენო, მომიბყართ ყურნი,
 რა გუარნი ჭირნი, ცეცხლნი ჰხშირნი, მწუჭლნი აღმურნი...“ 11v—12r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა,
 გვ. 67.

12. „თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძის აგან თქმული მუხამბაზი. იხილე ფურცელსა 196. —

ჰი, საყუარელო, შენგან ხელსა აწ მაქვს ზრუნუანი,
რომელ მღერითა განგიცხადო ჩემნი ჭმუნუანი!...“ 12r—v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა,
გვ. 36.

13. „თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძის აგან თქმული, შუშტარ მუხალიფის კმა. გაფი არს კმა, შუშტარი არს ქალაქი და მუხალიფი არს ნაღმი. სპარსულია. —

ვაქებ თავსა თმა მდიდარსა, რომელსა გლახ უბამს გული,
ძვრფასს ლალსა, დაუქდალსა მარგალიტი უცუაეს სრული...“ 12v—13r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა,
გვ. 37.

14. „თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძის აგან თქმული მუსტაზადი, იხილე ფურცელსა ნი. —

უწყალომ სენმან, ყოვლით მაწყენმან გვიკოდა გულნი,
გექმნა ჭირთა მთმენად, მგლოვარენად ყოველნი სულნი...“ 13r—v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა,
გვ. 17.

15. „თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძის თქმული, გარდუნ გარდუნის კმა, ჰსენის გაფი, ესე იგი ცულოლება, სპარსულია. —

მომივედ მთოვარევ, შუქის მფენო,
მჭურეტათვს განცხრომის აღმომაცენო...“ 13v—14r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა,
გვ. 38.

16. „თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძის აგან თქმული, სან ბირეილალ აზარუმის კმა. —

ანაზდად ხილუამან მე შენმან, მზეო,
ასე მძლია და წარმტაცა გლახ გული...“ 14v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა,
გვ. 18.

17. „თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძის აგან თქმული, უჩტი ქონდლუმ ყუშის კმა. თათრულია, ესე იგი ჩემის გულის მფრინველი. —

ედემს ჰრგულსა საროს მაშორვა ბედმან,
არ ოდეს ნუგეშს მცა მასთან დაზმითა...“ 14v—15r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა,
გვ. 39.

18. „თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძის აგან თქმული, ქაძარ ბარუხამის კმა. გაფი სპარსულია — ურჯულომ სახეზედ შემომხედა. —

აჯას ვამრავლებ მე შენდა,

გულს შენი ტრფობა მე შენდა...“ 15r—v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია იხ. დასახელებული გამოცემა,
 გვ. 40.

19. „თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან თქმული, მუს-
 ტაზადი. მუსტაზადი იხილე ფურცელსა 60. —

ვარდო კოკობო, ყოველთა მჯობო, მომხედე კრულსა,
 მე შენსა მჭურეტსა, განარეტსა, თვალ დაურულსა...“ 15v—16r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია იხ. დასახელებული გამოცემა,
 გვ. 28.

20. „თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან თქმული, ბაღ-
 ჩა დივარინდან აშტუმის კმა. ყაიდა თათრული ოსმალურია, ბაღის კედელზე
 ასვლა. —

შენ გეტრფის, ვარდო, გლახ გული,
 სურვილით ცნობა კარგული...“ 16r—v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია იხ. დასახელებული გამოცემა,
 გვ. 41.

21. „თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან თქმული, თემრო
 თემროს კმაზე. ოსმალოს ყაიდა. თათრულია სახელი თემურისა, ყაიდა არს
 კმა. —

ვაჟ, შენგან წყლულსა, დაკოდის გულსა,
 ზი, ვარდისა მქონევ, ბულბულთ შემადონე...“ 17r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია იხ. დასახელებული გამოცემა,
 გვ. 42.

22. „თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან თქმული, ნუ
 დამწუაე ცეცხლში. შანშეს კმა. მუხამბაზი. იხილე ფურცელსა 196. —

გლახ თუალთა შენი შუაბა(!) სრული,
 რა განიცადეს, მუნით ვარ კრული...“ 17r—18r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია იხ. დასახელებული გამოცემა,
 გვ. 43—44.

23. „თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან თქმული, ჯან-
 ყუში ბუიერ დარდს კმა. მანსურის გაფი, თათრულია. სიცოცხლის მფრინველი
 ამ ადგილებშია. ნაღმა მანსური — ადგილია. —

ბალახშ ბეზიკის ბაგით სიტყუა წარმონაშობი
 მესმა რა, მუნითგან მწყლავს მე გლახ ისარი დანასობი...“ 18r—v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია იხ. დასახელებული გამოცემა,
 გვ. 45.

24. „თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან თქმული, გეთ-
 მას მოღღურურ ოი არაბანის კმა. თათრულია. თუ არ მოვიდე, ის დაკოდის-
 ზა მომკლავს. —

ქენებით ვჰხმოვანებ, მისმინე მევედრსა,
 ნუ მიმცემ სიკვდილსა, მსწრაფლ შესახვედრსა...“ 18v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა,
 გვ. 46.

25. „თავადის ალექსანდრე ჰავჰავაძისაგან თქმული, აღამ
 სანისანის კმა. თათრულია: უფალი ჩემი თქვენა ხართ. —
 ვაჲ, სუსტსა სენით, ავთ-ჰმათ სმენით, გულ-საევე წყენით,
 ეს ვილონენით, მოვჰსთქუათ თმენით, გლოვა გლახ ენით...“ 19r.

შენიშვნები: 1. ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა,
 გვ. 47.

2. გ რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს (I) ხელით მიწერილი აქვს: „უეჰუელაჲ, ეს ლექსე-
 ბი ალექს. ჰავჰ: ეკუთვნიან, თუმცა ჩემგან გადაწერილს რვეულში არც ერთი
 ამოთვანი არ იყო“ 18v.

26. „თავადის ალექსანდრე ჰავჰავაძისაგან თქმული, საბაი
 საბაი ჩამანამის კმაზედ სათქმელი. სპარსულია: დილის ნიავ და ვარდის ბალ-
 ჩა. —

შუჭნებანო, სახილოდ სასურველნო,
 თავთა თქვენთა კეთილ ქცევით მბურველნო...“ 19r—v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა,
 გვ. 48.

27. „თავადის ალექსანდრე ჰავჰავაძისაგან თქმული, ოსმა-
 ლის ყაიდა, ბირნაზინან ბირყამზინანის კმა. თათრული—ოსმალურია: ერთი ნაზ-
 ნაზინანი, ერთი მიმორხეული. —

სიყვარულსა შეუპყრივარ აწ შენსა,
 გეტრფის გული, სურვილ რგული...“ 19v—20r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა,
 გვ. 49.

28. [ალექსანდრე ჰავჰავაძე. ვაჲ, სოფელსა ამას და
 მისთა მდგმურთა]. —

„ვაჲ, სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა,
 ბოროტებისა და სიცრუვის ჭურთა...“ 20r—21r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა,
 გვ. 30—31.

29. [ალექსანდრე ჰავჰავაძე, ში, ვით გვემტყუნვა]. —
 „ში, ვით გვემტყუნვა
 სოფლის ბრუნვა...“ 21r—v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა,
 გვ. 25.

30. „თავადის ალექსანდრე ჰავჰავაძისაგან თქმული, რას-
 ტის გუშა გულ-ჰავანუმ ამანის კმა. —

მკსურდა ოხვრა ჩემი მღუმარს მეკრძალა,
 რომელ მკმენელთ გული არ შემეიალა...“ 21v—22v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა,
 გვ. 56.

31. „თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან თქმული, ჯოვ-
 რი ჯანდა ხარიზამ. თათრულია: ინადს რომ მიშურები, მე ყარიბი, ანუ უცხო
 ვარ. —

უწყლივარ ჭირთა მალვას,
 დემილს, ოხრვას და კრძალვას...“ 22v—23r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა,
 გვ. 26.

32. „თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან თქმული, მუ-
 ხანბაზის ყაზალი, თათრულია: მუხანბაზი მუხლიანი დაწყობილება. —

კმუნვის მახვლი გულსა მსომია,
 მიკვრს, თუ სული რად არ მხდომია...“ 23r—v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა,
 გვ. 63.

33. [ალექსანდრე ჭავჭავაძე, უწყალო სენმა]. —

„უწყალო სენმა, ყოვლთ მაწყენმან, დაგვკოდა(!) გულნი,
 გვეო ჭირთა მთმენად, მგლოვარენად ყოვლნი სულ-დგმულნი...“ 23v—
 24r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა,
 გვ. 17.

34. [ალექსანდრე ჭავჭავაძე, ვამე შორს მყოფსა
 შენსა]. —

„ვამე, შორს მყოფსა შენსა,
 ვერ მჭურეტსა შენსა მშუტნად...“ 24r—v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა,
 გვ. 12.

35. „თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან თქმული, მანჰა
 განჯალუ დეგულამის კმა თათრულია: მე განჯელი არა ვარ. —

მაისის ვარდმან ფურჩვნილმან,
 ბეზეკმან მწუანიოთ მკობილმან...“ 24v—25r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა,
 გვ. 13.

36. „თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან თქმული შაი-
 რი. —

სიყუარულო, ძალსა შენსა ვინ არს რომე არ მონებდეს,
 ვინ არს, რომე გულსა ტახტად ოხრვას ხარკად არა გცემდეს...“ 25r—v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია, იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 10. ხელნაწერში ლექსს სათაურად აქვს „სხვისი თქმულნი შაირნი“. აშიაზე გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს (?) მიუწერია „მეცა მგონია, რომ არ უნდა იყოს ეს ლექსი ა ლ ე ქ ს. ჭ ა ვ ჭ.“.

37. „თავადის ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ა გ ა ნ თქმული, სარ ი არ ი დ რ ა მ შ ა ბ. სპარსულია. სურკული ამაღამ მიჯნურის ნახუსა. —

ნუ მომკალ მწარედ შორ ყოფით, უწყალოდ გულის დამყოფით,
 ეჩვენე თვალთა მიმქრალთა, შთაუდგ ნათელი წამ ყოფით...“ 26r.

შენიშვნა: ლექსი გამოცემულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 57.

38. „თავადის ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ა გ ა ნ თქმული, გას-
 ტამ იალალზედ შარაშური შუშტარ მუხალიფში. სპარსულია: სურკლის სიმ-
 თურაღე. —

ვაჲ, დრონი, დრონი, ნაგებნი მტკბარად,
 წარივლტნენ, განპქრნენ სიზმებრივ ჩქარად...“ 26r—v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა,
 გვ. 4.

39. [ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე], „მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი ლ ა თ ა ი უ-
 რ ი. ლათაია თათრულია: გარდმოვლით გიობა, გინა კრიტიკა. —

ლოთებო, ნეტავი ჩვენა, იალალი, იალალი.
 დღეს მოგვეცა შვება-ლხენა...“ 26v—28r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა,
 გვ. 5—6.

40. „თავადის ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ა გ ა ნ თქმული, ზა-
 რის კმაზედ. ზარის ჳმა თათრულია: დარდი მანდი, მიმყოლი ყოველს საქმეში.—

უწყლვივარ ჭირთა მალვას, დუმილს, ოხრვას და კრძალვას,
 სურვით შემშლიან თულნი...“ 28r—v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა,
 გვ. 26.

41. [ლ ე ქ ს ი]. — „როს აღმობრწყინდა ბადრი მთვარე მანათობელი,
 შკდთა ცთომილთა აფროდიტთა დამაცხრობელი...“
 28v—29r.

შენიშვნები: 1. H—101:26 მიხედვით ლექსის ავტორია ა ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.
 გამოცემაში ლექსი შეტანილი არ არის.

2. გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს ლექსისათვის მიუწერია: „არც ესე მგო-
 ნია ა ლ ე ქ ს. ჭ ა ვ ჭ. ლექსად. გ რ ი გ. ო რ ბ ე ლ.“ ეს უკანასკნელი ორი სიტ-
 ყვა სხვა ხელითა(?) მიწერილი.

42. „თავადის ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ა გ ა ნ თქმული ყა-
 ფია თეჯლისი. თათრულია: ბოლო განწყობილი. —

არვის მართებს მის ვარდისა მიხვედრა,
 ვის გლახ გული დაემონა და ესეა...“ 29r—v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა,
 გვ. 9.

43. [ალექსანდრე ჰავჭავაძე, შენს ღირსებას]. —
 „შენს ღირსებას ნატრულობენ ყოვლინ ქალნია,
 იტყვან: თუმცა გუაქუნდეს ჩუშნცა მისნი თუალნია...“ 29v—30r.

შენიშვნები: 1. ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ.

11. გამოცემასთან შედარებით ხელნაწერში არ არის ბოლო სტროფის მესამე სტრიქონი, სამაგიეროდ ხელნაწერი იძლევა ერთ უცნობ სტროფს:

„ვინც მსმელ თავად მისად თავი იგულოს,
 გულიც კარგოს, არც თუ გული იგულოს,
 ვინა ოხრვით ბაგეც აღარ იგულოს,
 არ უსმინოს მან ეს ოხრვა დაესვას“.

2. ლექსს აქვს გრ. ორბელიანი(1) მიერ ცისფერი ფანქრით გაკეთებული შენიშვნა: „ესეც არ უნდა იყო[ს] ალექ. ჰავჭ. ნათქუამი“.

44. [ალექსანდრე ჰავჭავაძე, ნარგიზოვანს]. —
 „ნარგიზოვანს წალკოტს ნარგი
 შლილობს ფეროვანად ვარდი...“ 30r—v.

შენიშვნები: 1. ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 107.

2. ხელნაწერში ლექსს აქვს გრ. ორბელიანი(?) ხელით გაკეთებული შენიშვნა: „არც ეს მგონია“ [ალ. ჰავჭავაძის].

45. „თავადის ალექსანდრე ჰავჭავაძის აგან თქმული. —
 ალექსანდრე ალკივიადს ვიახვლ ათენს აწყურით,
 არკვეთი მშველდად მან მომცა, გითხრობთ, მისმინეთ აწ ყურით...“
 30v—33v.

შენიშვნები: 1. ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 51—55.

2. ხელნაწერში ლექსის სათაურია: „ანზე სით მოხვალ“. მიწერილია კიდევ.

46. „ბრძოლისათვის, თავადის ალექსანდრე ჰავჭავაძის აგან თქმული. —
 აღჰსტყდა ომი, საშინელი ცემა-სროლა აღირია,
 ცეცხლის გამო სიმძიმისა დამკარგავი ფრინავს ტყვა...“ 33v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 58.

47. [ალ. ჰავჭავაძე], „ფისტიკაური. —
 მას სამი რამე ჰქონან უებრო, გლახ მტერთა მისთა მომდრეკად ქედის,
 გონება შორს მხედ, გამოცდით ნაწვრთი; გული უშიში, არ მპოვე
 ბედის...“ 33v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 59.

48. „საყუარლისათვის. თავადის ალექსანდრე ჰავჭავაძის აგანვე თქმული. —
 ღიმილმან ლალთ კართ განღებით მარგალიტთ მწყობრი აჩინა,
 ბაგე, ზრახვსა დამწყებე, გრძნობას ემილა, აღინა...“ 34r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 65.

49. „პავლე პირუჭლოსა სრულიად როსისი(!) იმპერატორისაგან აღშენებულს პეტრებრუხს სასახლესა ზედა, თქმული ქებად თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან. —

ჭე, პალატო! ვინ მონარხმან, დიდებისა მოყუარემან,
 საუნჯეთა დაუზოგმან, სიძნელეთა ვეცხლით მრემან...“ 34r—v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 16.

50. „სხუა და სხვსა დროისათვის კაცისა, თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან თქმული. —

ეს სოფელი, სამყო ძნელი, მჩვენებელი ჭმუნვის ალთა!
 რა ვიშვებით, მყისუშ ვჰსტირით, ვით წინად მკვარნი მომავალთა...“

34v—35r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 29.

51. „თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან თქმული, ოდეს რუსთაგან პყრობილ იყო. პყრობილისაგან თანპყრობითა მიმართ. —

ჰკუნესს გული, ძმანო, ჰხსოვნად კმანო, მომხსენე ვების
 არს ცრიმლით მგონე შენაღონე თქვენთანა შვების... 35r—v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 60.

52. [ალექსანდრე ჭავჭავაძე], „კობლე და ხლოე. —
 კობლე:

ხლოე! რაა მაგრე მარტო ტარება?
 არაღა თუ მომახვლიხარ დღესა მე...“ 35v—36r.

შენიშვნები: 1. ლექსი გამოქვეყნებულია იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 27.

2. სათაურის ზემოთ ცისფერი ფანქრით გრ. ორბელიანს(?) ჩაუწერია „პქუნდა — დაუდგრომელის მწყემსისა...“.

53. „თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან თქმული მუსტაზადი. —

ვარდის გაყრილსა, სულ მიხდილსა ჭმუნვა-მწარებით,
 ძოწთ ვერღა მჭურეტსა, თვალ-ნაშრეტსა ცრემლთა ღვარებით...“

36r—37r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 64.

54. „თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან თქმული მუხამბაზი. იხილე. ბოის სალბუჩინარის კმაზედ სათქმელი. —

უწყალოვ სიყუარულო, რად მკოდე ესთა ძნელად;
 რასთვისა მყავ მღერალი საუკუნოდ მკვენესელად...“ 37r—v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 19—20.

55. „თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან თქმული. —
 ჟამნი რზიან, შენცა მეველტი, ზი, სულგრძელო საყვარელო,
 როს მიმოხვალ, როს დამატებობ, ეპა, წამო სანატრელო...“ 38r—v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა,
 გვ. 21—22.

56. [ალექსანდრე ჭავჭავაძე, შენთან არს გული]. —
 „შენთან არს გული, მნათობო, ვიყო სად გინდა,
 გინა ვის ვჭკრეტდე, მნათობო, შენ მიდგ თვალ წინა...“ 38v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 23.
 გამოცემასთან შედარებით ხელნაწერს აკლია ერთი ხანა („ოდეს ხმა ნაზი...“).

57. „ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან თქმული. —
 ზძგერს გლახ გული, საყვარელო, მლოდე შენი უწყლავს თმენას,
 ჰსცემს სურვილის წამთა ხშირად, მარამ აგრძნოს ვისსა სმენას...“ 39r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა,
 გვ. 24.

58. „თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან თქმული რას-
 ტის კმაზედ დუღურ გულიანუმე მანუმ იარუმ ველ. —
 რომელთაგან მქონდა სიამე შეება,
 აწ მეც მათ უქმენ თავ შემკლება...“ 39r—v.

შენიშვნები: 1. ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ.
 56. დაბეჭდილ ტექსტთან შედარებით ხელნაწერში დასაწყისი განსხვავებულია.
 ჩვენი ხელნაწერი მისდევს S—1512.
 2. ცისფერი ფანქრით გ. რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს (?) მიუწერია: „დახ, ბევრი აკ-
 ლია ალექს. ჭავჭ. ლექსებს“.

59. „ალექსანდრე ჭავჭავაძის თქმული. —
 ეპა, ჩემო ოცნებაე, კვლავ რად წარმომედგინე,
 და დასის მცნობთ ჩუჭნებათ უბრალოდ რად მომფინე...“ 40r.

შენიშვნები: 1. ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ.
 72. გამოცემელს ლექსი სადავოდ მიაჩნია.
 2. გ. რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს (?) ცისფერი ფანქრით მიუწერია: „ეპეი მაქუს“.

60. [ალექსანდრე ჭავჭავაძე, რა ვჰყოთ გულო]. —
 „რა ვჰყოთ, გულო, რამე წამლად წყლულისა
 არ გაქვს სასო მისგან შენ სალბუნისა...“ 40r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა,
 გვ. 112.

61. „მეზანდუკის შვილის იგნატი ბერისაგან თქმული, მამაო
 ჩვენო, შაირად თქმული. —

რომელი მყოფ ხარ მაღალთა შინა, სახელ წმიდაო, მამაო ჩვენო...“ 40v.

62. „მეზანდუკის შვილის იგნატი ბერისაგან თქმული. —
 აწ საჩივარი გესმოდესთ, იესოს ქრისტეს მონისა,

პირუჭლად ხოჯა მელქოსი, ახლა იგნატი ბერისა...“
40v—41r.

63. [თეიმურაზ მეორე], „ხილთა ქება შაირად თქმული. —
უყურეთ ხილთა ქცევასა, რის ამბისა მთქმელია,
ფერ-მშვენიერი, ძირ-წვილი, ცოტაი ხანს მდგომელია...“ 41v—44r.

შენიშვნა: ლექსი გამოცემულია. იხ. თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრული კრებული, გიორგი ჯაკობიას რედაქციით, 1939 წ., გვ. 109—113. გამოცემასთან შედარებით ხელნაწერში რიგ შემთხვევაში არეულია სტროფების თანმიმდევრობა. ამავე დროს ხელნაწერის პირველი სტროფი გამოცემაში არ არის.

64. „დავით რექტორისაგან თქმული. —
ფშატმან ჰსთქუა, რად არ მახსენებთ, თქვენ იქებთ უცხოდ თავებსა,
თითონი თითოდ მოპკეებით, აუგსა ძნელსა ავებსა...“ 44r.

65. „თავადი ავალიშვილის გიორგისაგან თქმული შაირად
თხისა და მელისათვის. —

თხა და მელა, მეგობარნი, მიდგენენ ჰის პირს სმად წყალისა,
უფრთხილობით შიგან ჰშთახდა ცრუ მოყვარე ძმად თხისა...“ 44v.

66. „თქმული თავადის ღვთისწყალობა ბებუთოვისაგან.
სალბუჩინ არის კმაზედ სათქმელი. მუხამბაზი. —

გული ყოველთვის მიბგერის, მაგრამ ჟამი არ შერება,
ენა რას შეიძინებს, არა ჰსთქუას შენი ქება...“ 45r—v.

67. „თავადის ღვთისწყალობა ბებუთოვისაგან თქმული
მუხამბაზი. —

ეჰა, ლამაზო, რა მომიგონე,
მყის განმელია ძალა და ღონე...“ 46r—v.

68. „თავადის ღვთისწყალობა ბებუთოვისაგან თქმული.
მუხამბაზი. —

რადგან მეგობრად არ მიკმარეო,
გასწი განზედა, გაიარეო...“ 46v—47r.

69. „თავადის ღვთისწყალობა ბებუთოვისაგან თქმული,
მუხამბაზი. —

სპასუხისა სპა მესევა ჯარად,
შავნი ისარნი დამკოდვენ ჩქარად...“ 47v—48r.

შენიშვნები: 1. 1v და 52r-ზე არის ლექსთა „საძიებელი“.

2. ფონდის საინვენტარო დავთრის მიხედვით კრებულის სარჩევი გაკეთებულია ილია ქავჭავაძის მიერ.

(1793)

5080

კლეონა ციხეის მიმართ. XIX

12 ფ.; 17×22; ქაღალდი; უყდო; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია;
10r—12v.

„კლეონა ციხეის მიმართ. — გთხოვ ერთსა ოდენ სიტყვასა:
დავესწრებია მას ოდესმე? ანუ საუკუნოდ ვიყო მე შიშსა, ტანჯვასა და მღუ-

მარებასა შინა? ახ ციხეი? გულისა ჩემისა დაპყრობად არღა უფროჲ შემძლე-
 ბელ ვარ მე...“ 1r—9v.

შენიშვნა: მოთხრობა მხატვრული ნაწარმოებია და წარმოადგენს თარგმანს.

(1794)

5081

კრებული. XIX

29 ფ.; 22×18; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; ბოლო ფურცლები დალაქავე-
 ბული; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია 28r—29v.

[ა.ლ. კრილოვი], „ზღაპრები. ა. ვირი და ბულბული. —
 ვირმან ბულბული ერთხელა
 ახლოს მდგომარე იხილა...“ 1r—v.

შენიშვნა: არაკი თარგმნილია გრ. ორბელიანის მიერ. იხ. გრ. ორბე-
 ლიანი, თხზულებათა სრული კრებული, აკ. გაწერელიას და ჯ. ჭუმბუ-
 რიძის შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, 1959 წ., გვ. 114—
 115.

2. [ა.ლ. კრილოვი], „სოფლელი და მდინარე. —
 სადღაცა, ერთსა სოფელსა,
 პატარა ხევში წყარონი ჩაუდიოდნენ ახლოსა...“ 1r—2v.

შენიშვნა: არაკი თარგმნილია გრ. ორბელიანის მიერ. იხ. დასახელებუ-
 ლი გამოცემა, გვ. 116.

3. [კრილოვი ა.], „ნადირთა ჭირი. —
 ჯოჯოხეთს შინა ნაშობი, ქუჭყნისა შესაძრწუნებლად,
 ცათა წყრომისა ნიშნადა მოვლინებული ამ სოფლად...“ 2v—4v.

შენიშვნა: არაკი თარგმნილია გრ. ორბელიანის მიერ. იხ. გრ. ორბელი-
 ანი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 117—119.

4. [ლაფონტენი], „ჭრიჭინა და ჭიანჭველა. —
 ჭრიჭინამ ერთხელ ჭრიჭინით მთელი ზაფხული ატარა,
 მერმე შიმშილმა შეკბნიდა, რა ცამან თოვა პატარა...“ 4v—5r.

შენიშვნა: არაკი თარგმნილია ალ. ჭავჭავაძის მიერ ფრანგულიდან.
 იხ. ალექსანდრე ჭავჭავაძე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, წი-
 ნათქმით, შენიშვნებით და ლექსიკონით, 1940 წ., გვ. 156.

5. [ალ. ჭავჭავაძე], „დაუდგრომელ მწყემს(?) და კე-
 თილი მწყემსი, ანუ კობლე და ხლოე. კობლე:
 ხლოევ! რა მაგრე მარტო ტარება,
 არცალა თუ მომახვლიხარ დღესა მე...“ 5r—6r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 27.

6. [ალ. ჭავჭავაძე, საყვარლისათვის]. —
 „ღმიღმან ლალთ კართ განლებით მარგარიტთ მწყობრი აჩინა,
 ბაგე ზრახვისა დამწყობი გრძნობას ემილა, აღინა...“ 6v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 65.

7. [აღ. ჭავჭავაძე, ჰხამს ტრფიალსა საყვარელი]. —
 „ჰხამს ტრფიალსა საყვარელი სულად ედგას, მით ჰსცოცხლებდეს,
 მოშორებებს ვერა სთმობდეს, დაწუთა მისთვის დაილებდეს...“ 6v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 66.

8. [აღ. ჭავჭავაძე, სხვადასხვისა დროისათვის კაცისა]. —

„ეს სოფელი, სამყო ძნელი, მჩვენებელი ჭმუნვის ალთა!
 რა ვიშვებით, მყისვე ვსტირით, ვით წინად მგარძნი მომავალთა...“ 6v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 29.

9. „ლხინო. —

ვეტრფი საღამოს სადილობასა,
 სადაცა სუფევს მხიარულება...“ 6v—7r.

10. [აღ. ჭავჭავაძე, სვემ მიწვიმა მანანა]. —

„სვემ მიწვიმა მანანა:
 მომივლინა მანანა...“ 7r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 90.

11. [აღ. ჭავჭავაძე, ცრუიან ბრძენნი]. —

„ცრუიან ბრძენნი, მეტყუელნი შემთხვევით სოფლის ყოფასა,
 შენნი მხილველნი დაპკობენ მათს უაზროსა ჯმობასა...“ 7r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 100.

12. [ლექსი]. —

„ჩემო სიამე, შეებავ, განცხრომითა საესებავ,
 იმართმელე (!) მცირე ლექსნი, ჩემის ჭმუნვის დავსებავ...“ 7r—v.

13. [ლექსი]. —

„გულთა საწყლავად კუბიდონს შენ უძღვენ ესე ისარი,
 ჰრტყორცნის საგანსა და ასობს, ეს იყოს გინა ის არი...“ 7v.

შენიშვნა: ლექსი აღ. ჭავჭავაძის ლექსების რიგშია. ავტორი არ ჩანს.

14. [აღ. ჭავჭავაძე, ღვინის თვისებისათვის]. —

„ღვინო ხასიათს არ ჰსცუალებს,
 ხასიათს უმატებს ძალებსა...“ 7v—8r.

შენიშვნები: 1. ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 111.

2. ჩვენი ხელნაწერი განსხვავებას იძლევა აღნიშნულ გამოცემასთან და მიკვება შვაბიჩისეულ ვარიანტს. (იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 308).

3. ჩვენს ხელნაწერს დაუცავს გამოცემასთან შედარებით ზედმეტი მეორე სტროფი:

„ღვინო, გიქებ სასწაულსა,
 შენ აჭარებ მტრების შურსა,
 ერთი ჯამით დააზავებ
 ბედნიერს და უბედურსა“.

15. [ა. პუ შკ ი ნ ი], „ს ი ზ მ ა რ ი. —
 სადა არიან, ოცნებაო! სიტკბონი შენნი?
 სადა ხარ ღამისა სიხარულო, მსწრაფლ განასრბოლო...“ 8რ.
- შენიშვნა: ლექსი თარგმნილია ალ. ჭავჭავაძის მიერ, გამოქვეყნებულია დასახელებულ გამოცემაში, გვ. 140.
16. [ალ. ჭავჭავაძე, სძგერს გლახ გული]. —
 „სძგერს გლახ გული, საყვარელო, მლოდღ შენი უწყლავს თმენას,
 სცემს სურვილის წამთა ხშირად, მარამ აგრძნოს ვისსა სმენას...“ 8რ—v.
- შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 24.
17. [ალ. ჭავჭავაძე, სიყვარულო ძალსა შენსა]. —
 „სიყვარულო, ძალსა შენსა, ყოველი ჰგრძნობს, არსებს რაცა,
 ჰსჯულსა შენსა ყველა ერჩის, ბერი, ერი, მეფე, ყრმაცა...“ 8ვ—9რ.
- შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 10.
 გამოცემასთან შედარებით ხელნაწერში ლექსი იწყება მეორე სტროფით, აქლია ბოლო ორი სტრიქონი.
18. [ალ. ჭავჭავაძე, მცირე სენის ეგზომ შიში].
 „მცირე სენის ეგზომ შიში სიმხნეს, ვჰგონებ, არა გუანდეს,
 ამდ ვებედავ გკადრო კითხუა, თუ პასუხი არა გზარდეს...“ 9რ.
- შენიშვნა: ლექსი გამოცემულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 97.
19. [ალ. ჭავჭავაძე, წვრილი ლექსები]. —
 „სიბრძნე და გონიერება რაგინდ მარად ფხიზლად გვფლობდენ,
 სიჭაბუკეს და სიყუარულს რაც უნდესთ, მაშინ ჰყოფდესთ...“ 9რ.
- შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 100.
20. [ალ. ჭავჭავაძე, წვრილი ლექსები]. —
 „ენა მღუმარებს, გული მწყვლია, ხედავ მხშომია,
 ტროფობავ! მარქვი, კუალად ჩემად სავოხად რაღა გრჩომია?“ 9რ.
- შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 100.
21. [ალ. ჭავჭავაძე, მეორეთ მოსვლა ვამსგავსოთ]. —
 „მეორეთ მოსვლა ვამსგავსოთ საყვარელისა შორვებას,
 რომელი უფრო ძნელია? ვკითხოთ გულსა თუ გონებას?...“ 9რ—v.
- შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 96.
22. [ალ. ჭავჭავაძე, წვრილი ლექსები]. —
 „შენნი გამცდელნი ჩივიან:, ვამ დავკარგენით გონიო,
 ნეტარ მეც შენთან მახელა: მომკალ თუ დავინანიო...“ 9ვ.
- შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 97.
23. [ალ. ჭავჭავაძე, ეს ცეცხლი]. —
 „ეს ცეცხლი რომ მე მეგზვნება,
 რად მკითხავ: როდის განქრება?...“ 9ვ.
- შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 99.

24. [აღ. ჭავჭავაძე, დუგა]. —
 „გვედრე, თვით მიხედვე, — მიკვირს, ცნობად მეძნელებიან,
 რასაც მარადღე თულნი ჩემნი გეუბნებიან...“ 9v.
- შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 127.
25. [აღ. ჭავჭავაძე, ძვირფასო საყვარელო]. —
 „ძვირფასო საყვარელო, მხოლოდ მფლობო გულისავე,
 რომელსაც სხუა მას გავსი(!) არა სადა გეპოვება...“ 9v—10r.
- შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 87.
 გამოცემასთან შედარებით ხელნაწერში უკანასკნელი სტროფის მეორე სტრიქონი არ არის. სამაგიეროდ ზედმეტია უკანასკნელი სტრიქონი („ანუ თვით მზესაც
 კი შენ ასწრებ ჩემსა ნათლის ცემას“).
26. [აღ. ჭავჭავაძე, შენის გონების]. —
 „შენის გონების სხიენი ესრედ ბრწყინვენ ძლიერად,
 შეენებაც გინა არა გქონდეს, მით იმნათობებ...“ 10v.
- შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 86.
27. [აღ. ჭავჭავაძე, როს გიყვარდი]. —
 „როს გიყვარდი სურვით შეყვარებულსა,
 მეც სიცოცხლე მაშინ მიღირდა ძვირად...“ 10v—11r.
- შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 94.
28. [გრიგოლ ორბელიანი, ანტონს]. —
 „მე, ჭაბუკო, სიხარულით დღენნი შენნი განატარე,
 იმხიარულე, შეექმე, ილხინე და შეიყვარე...“ 11v—12r.
- შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. გრიგოლ ორბელიანი, თხზულებათა
 სრული კრებული, აკაკი გაწერელიას და ქუმბურ ქუმბურიძის
 შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, 1959 წ., გვ. 3—4.
29. [ლექსი]. —
 „ბუნდოვანს გულს შენ აღმოჩნდი დარადა,
 აწ არ ვუწყვი, რად განმწირე დარადა...“ 12r—v.
- შენიშვნა: ხელნაწერი Q—28:8 ავტორად ასახელებს აღ. ჭავჭავაძის,
 S—1512:200 და S—5271:26 ავტორად იოსებ ნაცვალს ასახელებენ.
30. [აღ. ჭავჭავაძე, თავსა უფლად]. —
 „თავსა უფლად ნურვინ ჰგონებთ,
 ერთხელ თქუწნცა ტრფიალება...“ 12v—13r.
- შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 91.
 გამოცემასთან შედარებით მეორე სტრიქონი ხელნაწერში გამოტოვებულია.
31. [აღ. ჭავჭავაძე, ნეტარ მას]. —
 „ნეტარ მას, ვინცა შენ მხოლოსათვის ოხრავდეს,
 ხმისა შენისა სმენითა, ყურსა ატკობდეს, ალხენდეს...“ 13r.
- შენიშვნები: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 75.
 გამოცემასთან შედარებით ხელნაწერს აკლია პირველი სტროფი.

32. [ლექსი]. —

„ვით ქარი ცეცხლსა, ეგრეთვე სიშორე ტრფიალებასა,
 მცირესა სრულად განაქრობს, დიდს უფრო ჰმატებს გზნებასა...“ 13v.

შენიშვნა: ლექსი თარგმნილია ალ. ჰავჭავაძის მიერ. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 154. შდრ. იქვე, გვ. 332.

33. [ალ. ჰავჭავაძე, დუგა]. —

„ვინც გიხილოს, ისურვოდეს: კულავცა გნახოს, კულავცა გნახოს...“
 13v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 128.

34. [გრ. ორბელიანი], „იარაღისადმი. —

ჩემო იარაღი! ნეტავო ოდეს,
 ლხინით აღვსილნი ვსხდეთ ველსა მწვანეს...“ 13v—15r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 14—18.

35. [გრიგოლ ორბელიანი], „მტირალის ნ...სადმი. —

თუ ტურფანი თვალნი შენნი ცრემლთა ფრქვევენ მწუხარებით,
 სულის შენის ტანჯვანი არ არს უკეთუ ოცნებით...“ 15r—v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 8.

36. [გრ. ორბელიანი], „ლხინი. —

მე იგი მიყუარს ლხინი, სადა თავისუფლება მეფობდეს,
 სადაცა გულ-წრფელობითა ყოველი მზიარულბდეს...“ 15v.

შენიშვნა: ლექსი ცნობილია როგორც ალ. ჰუშკინის ლექსის მიბაძვა. გამოქვეყნებულია დასახელებულ გამოცემაში, გვ. 110.

37. [გრიგოლ ორბელიანი], ნ...სადმი. —

მნათობო! თვით შენ აღმისხენ, რა მემართების, რასა ეგრძნობ,
 როს გხედავ, რადა ვსწითლდები, რად ვკრთები, ვშიშობ და ვხარობ...“
 15v—16r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 10.

38. [გრ. ორბელიანი], „ნ...სადმი. —

როს გხედავ, მნათო, ღიმილით ჩემ კერძოდ წარმოვლენილსა,
 ვიფიყებ ყოველთ სიმწარეთ, ბედისგან მოვლინებულსა...“ 16r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 5.

39. [გრ. ორბელიანი], „მასვე. —

ამა სოფელს დამშთომის მხოლოდ ესე სანატრელი,
 ოდეს განვლო ცხოვრების გზას და მეწევის აღსასრული...“ 16r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 6.

40. [ქუკოცკი]. —

„ბედნიერება დღეთა ჩვენთ არს სიყუარულის ყუავილი,
 რა განქრეს მისი სიტურფე, სიხარულს ნულარ მოელი...“ 16r—v.

შენიშვნა: ეს ორი სტრიქონი წარმოადგენს ნაწყვეტს ლექსისას: „ჰოი, სოფლო!“, რომელიც თარგმნილია გრ. ორბელიანის მიერ. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 109.

41. [გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი], „ მ ი რ ზ ა ჯ ა ნ ა ს ე პ ი ტ ა ფ ი ა . — მუხთალს ამ სოფელს გსურს ვისაც იყო ბედნიერი, სიყვარულითა და ღვინითა ჩემებრ დაითვერ...“ 16v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 24.

42. [გ რ . ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი]. —

„საამო არს სახილველად, ოდეს ვარდი ნ...ას ეპყრას, მარა ვინ ჰსცნას, ვინა სუნავს, ნ...ა ვარდსა, თუ ვარდი მას?“ 16v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 31.

43. [გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , მ . . . დ მ ი], „ გ ზ ის გ უ შ ა კ ა დ მ დ გ ო მ ა რ ე - სა . . . კ მ ა ზ ე დ .

თაყუანის-მცემელთ როს გუნდი გარე შემოგვრდის(!) ფარვანებრ, რადა გსურს ყოველთ მათგანსა ეჩუჭნებოდე მშუჭნიებებრ?...“ 16v—17r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 13.

44. [გ რ . ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , წ ვ რ ი ლ ი ლ ე ქ ს ე ბ ი]. —

„როს ბულბული ვარდს შესტრფოდეს, უგალობდეს, შეხაროდეს, მაშინ ყვავსა რად არ ჰრცხვენის, რომ მათ შორის სამძღურად დასჯდეს...“ 17r.

შენიშვნა: ლექსები გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 81.

45. [გ რ . ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , ყ უ ჯ კ ო ვ ს კ ი დ ა მ]. —

„მას უხაროდეს, ვისაცა ლხინი, მაისის ვარდი, კმა იადონის, და ეშვი დღეთა ჩუჭნთა მაშუჭენი, ვითარცა უწინ იამების...“ 17r—v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 113.

46. [გ რ . ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , გ ა მ ო ს ა ლ მ ე ბ ა]. —

„მარგარიტთ ცრემლთა ცრემლი ჰსდევს ნიშნად ჭმუნვისა შენთ დაწვზედ, და ვით ცის ნამი დილით ბრწყინვალებს ახლად შლილს ვარდზედა...“ 17v—18r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 20—21. ხელნაწერში პირველი სტრიქონი არ არის.

47. [გ რ . ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , დ ა მ ე]. —

„მთოვარე აშოკთ მოწამე, სიამით ნათელს მოჰფენდა, ნიაგი სუნნელთ ყვავილთგან ჰკრებდა და ქროლით მოჰბერდა...“

18r—19r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 22—23.

48. [ა ლ . ჰ ა ვ ჰ ა ვ ა ძ ე , გ უ ლ ი წ ა მ ა რ თ ვ ი]. —

„გული წამართვი ცნობითურთ, მითხარ ნაცვალი მომე რა?...“ 19r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 95.

49. [გ რ . ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი]. —
 „გულით ერთნო, მოლხინენო, აწ შეკრბით,
 ვინ თასით, ვინ ჯამით, აზარფეშებით...“ 19r—20r.
 შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 49—
 50. გამოცემასთან შედარებით ხელნაწერი უმნიშვნელო განსხვავებულ წაკით-
 ხებს იძლევა.
50. [გ რ . ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი]. —
 „არავის(!) მე დღეს აღარ მცალიან,
 სალომესთან სადილათ მეძახიან...“ 20r—21r.
 შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 38—
 39.
51. [ა ლ . ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე , ვ ა ჰ , დ რ ო ნ ი , დ რ ო ნ ი ნ ა გ ე ბ ნ ი მ ტ კ ბ ა რ ა დ]. —
 „ვაჲ დრონი, დრონი, ნაგებნი მტკბარად,
 წარვიდნენ, განქრნენ სიზმარებ ჩქარად...“ 21r—v.
 შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 4.
52. [ა ლ . ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე , მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი ლ ა თ ა ი უ რ ი]. —
 „ლოთებო! ნეტავი ჩუჭენა — არი არალი,
 დღეს მოგვეცა შეება-ლხენა — არი არალი...“ 22r—23r.
 შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 5—6.
53. [ა ლ . ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე , ჭ მ უ ნ ვ ი ს მ ა ხ ვ ი ლ ი]. —
 „ჭმუნვის მახვილი გულსა მსობია,
 მიკვირს, თუ სული რად არ მხდომია...“ 23v.
 შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 63.
54. [ა ლ . ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე , უ ა მ ნ ი რ ბ ი ა ნ]. —
 „უამნი ჰრბიან, შენცა მელტვი, ზი სულგრძელო საყუარელო!
 როს მომიხუალ, როს დამატკობ, ეჰა წამო სანატრელო...“ 24r.
 შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 21—22.
55. [ა ლ . ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე , შ ე ნ თ ა ნ ა რ ს გ უ ლ ი მ ნ ა თ ო ბ ო]. —
 „შენთან არს გული, მნათობო, ვიყო სად გინა,
 გინა ვის ესჭვრეტდე, მნათობო, შენ მიდგ თვალწინა...“ 24r—v.
 შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 23.
56. [ა ლ . ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე , მ ე შ ე ნ ა რ გ ე ტ ყ ვ ი]. —
 „მე შენ არ გეტყვი: გეტრფი, ვითა სხვანი გეტრფიან,
 ბევრი გარწმუნებს — გეტრფი და გულით სხუაგან ჰრბიან...“
 24v—25r.
 შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია. იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 88.
57. [ა ლ . ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე , მ შ ე ნ ე ნ ი ე რ თ ა ხ ე ლ მ წ ი ფ ა ვ]. —
 „მშენიერთა კელმწიფავ, მკლავ შიშორეთ(!) შენითა,

კუნესის გული საკუდავად, მსწრაფლ მივივარე ენითა...“ 25r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 102.

58. „თ ე ჯ ლ ი ს ი. თ ა ე ს ტ [ათ ი დ ა ე თ ი ს ძ ე] ც ი ც ი ა [ნ ო ვ ი]. —
 პირად-პირად მნათობ, დასთა თუალ ვაგვენ,
 მკვრეტთა საკუდად ეშუთ ისარი არებს...“ 25v—26r.

შენიშვნა: ავტორი აღდგენილია S—1512:101 მიხედვით.

59. „ი ო ს ე ბ ნ ა ც ვ ა ლ ი ს ა გ ა ნ. —
 ვისგან მიმელო ცნობანი, იგი მთოვარეს სად არია(!),
 მათ თანა მკვიდრობს მნათობლად სად გუშთარი, სად არია...“ 26r—v.
60. „თ ა მ ა ზ ქ ო ბ უ ლ ო ვ ი ს ა გ ა ნ. —
 ში, იგი უწყალოდ ჩემი კელქმნილი, ნეტარ თუ სადა?
 ტრფიალების ჯაჭვი გულის დამბული, ნეტარ თუ სადა?...“ 26r—27v.

61. „ქ უ კ ო ვ ს კ ი. —
 ში სოფელო, რად ხარ ესრეთ მდიდარ ოცნებით?
 შენსა მღევნსა ეჩვენები ტურფად, ცთუნებით...“ 27v.

შენიშვნა: ლექსის მთარგმნელია გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. დაბეჭდილია დასახე-
 ლეულ გამოცემაში, გვ. 125. ლექსი წარმოადგენს მეორე ვარიანტს.

62. [გ რ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ფ რ ა გ მ ე ნ ტ ე ბ ი]. —
 „სიყვარულსა ჯერ არს, რათა სურვა მარად დაპბურვიდეს,
 თვარა, ვითა ცეცხლს უნიეთოდ, არ უძს დიდხანს ენთებოდეს...“ 27v.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 81.

(1795)

5082

ნიკოლოზ ონიკოვი, მემუარები. XIX

40 ფ.; 17,5×23; ქალაღი; ქალღღის ყდა; დაღაქავებული; დაზიანებული;
 დაშლილი; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია: 40r—v.

«ნიკოლოზ ონიკოვი», „აღწერა მოსკოვისა, პეტრე-
 ბურღისა და მას შინა მყოფთა ხიღვად საუცხოვოთა და ხსოვნისა ღირ-
 სთა რადმეთა ნივთთა ანუ ხელოვნებათა. — წელიწადსა ათას შვიღსა ოთხმეოც
 და მეათეღმდეტესა, იანვრის მეათერთმდეტესა, დღესა სამშაბათსა სიმუხთლის
 ძღითა სოფღისა მბრუნაობისა, გარღაღცვალა რა სანატრელად საქსენებღლი
 და მცნობთა შორის საქართვეღოღსათა სახეღოღვანი მეფე სრულიად საქარ-
 თვეღოღსა ირაკღი მეორე...“ 1r—39v.

(1796)

5083

ტიმოთე გაბაშვიღი, მთაწმიღისა და წმიღის იერუსალიმის მოხიღუა. 1823

82 ფ.; 17,5×22; ქალღღი (ცისფერი); უყღო; დაზიანებული; შიღაღაშიღ
 ფურცღები ამოცვენიღია; მხედრული; შავი მეღანი; გაღამწერი ითთამ შეღოღვიღ
 (80v); 1823 წ. (80v); დაუწერელია: 81r—82v.

„მთაწმიდისა და წმიდის იერუსალიმის მოხილუა ტიმოთე მთავარ-ეპისკოპოსისაგან. — სამარად საგონებელ ჩემდა იყუნეს, თუ ვითარ არასაზღვევო იყოს ზენაძსათვის მორთუა სიტყუათა და კულად დახსნილობითა და უდებად ცხოვრებულთაგან არა შესამგზავს არს...“
1r—80r.

შენიშვნა: ტექსტი C რედაქციისაა. იგი გამოცემულია, (იხ. ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბილისი, 1956 წ.). ხელნაწერი მიპყება გამოცემას.

ანდერძი: „აღმწერი წიგნისა ამის იოთამ შელიოვი, ჩუკა-სა წელსა“.
(80v). ეგვეე მეორდება რუსულადაც.

(1797)

5084

სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე-სიცრუისა. 1838

84 ფ.; 21,5×17; ქაღალდი; ფურცლის ყდა; დაზიანებული; დაშლილი; დალაქავებული; ნაკლული; აკლია მე-16 ფ. შემდეგ და 49 ფ. შემდეგ; მხედრული; შავი მელანი; სათური წითურით; 1838 წ. (84r); დაუწერელია: 84v.

„წიგნი სიბრძნე სიცრუისა, თქმული სულხან ორბელიანისა ჟამსა სიკვამულისა მისისა. — იყო კელმწიფე ვრთი, რომლისა საქმენი არა ვისგან მოიგონებია...“ 1r—84r.

შენიშვნები: 1. ტექსტი მრავალგზისაა გამოცემული; უკანასკნელი იხ. ს.-ს. ორბელიანი, თხზულებანი, ტ. I, გამოსაცემად მოამზადეს ს. ყუბანეიშვილმა და რ. ბარამიძემ, 1959 წ.

2. ხელნაწერი აღწერილია ს. ყუბანეიშვილის მიერ. (იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 269). ტექსტი პირველი რედაქციისა.

ანდერძი: „განსრულდა ესე წიგნი წელსა ჩუქმ დღესა სამშაბათსა, თვესა მარტსა თუთხმეტსა“.

(1798)

5085ა

ბ. ხიზანაშვილი, სამართალი კათალიკოზისა. XX

8 ფ.; 21,5×35,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული; შავი მელანი; [XX ს.]; ავტოგრაფი; დაუწერელია: 8r—v.

«ბ. ხიზანაშვილი», „სამართალი კათალიკოზისა. — ჩვენის სამართლის ისტორიაში ეგრედ წოდებულს კათალიკოზის სამართალს თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს...“ 1r—7v.

შენიშვნა: ტექსტი ფანჭით თითქმის მთლიანად გადახაზულია. კიდებზე არის მინაწერები, შენიშვნები, მითითებები. ხელნაწერი ავტოგრაფია.

5085-ბ

ნიკოლოზ ხიზანაშვილი, სამართალი კათალიკოზისა. XX

24 ფ.; 22×17,5; ქაღალდი; ფურცლის ყდა; მხედრული; [XX ს.]; ავტოგრაფი; დაუწერელია: 13r—24v.

«ნიკოლოზ ხიზანაშვილი», სამართალი კათალიკოზისა. (იურიდიული მონოგრაფია). — პრაქტიკული მნიშვნელობა კათალიკოზის სამართლისა ცხოვრების საჭიროებამ გამოიწვია...“ 1r—12v.

- შენიშვნები: 1. შრომა დაუმთავრებელია და შავის შთაბეჭდილებას ტოვებს.
 5. ხიზანაშვილის ავტოგრაფია. უდიდესი ნაწილი ტექსტისა გადახაზულია. კიდებზე მრავლად არის მინაწერები, მითითებები, შენიშვნები.
 2. შრომამი ჩადებულია „Окладной лист тифлисской казенной палаты.“

5086

5. ხიზანაშვილი, ლიბარიტ ორბელიანი მესამე

დაკარგულია. ითვლება ლ. ჩერქეზიშვილზე.

(1799)

5087

მოთხრობა (თარგმნილი) XIX

93 ფ.; 19,5×12; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; XIX ს-ის 30-იანი წწ. (ჭვირნიშანი 1826); თარგმნილი რუსულიდან; დაუწერელია 91v—93v.

[მოთხრობა, თარგმნილი რუსული ენიდან]. — „ნაწილი პირველი, თავი პირველი. მდიდრად შემეკობილს ოთახში, ერთს მცირე ტახტზედ იჯდა კნიაზი ანტონ ანტონოვიჩი კურდიუკოვი შინაურის სერთუკით...“ 1r—91r.

პირველი ნაწილის ბოლო: „ვიეიგინი დაბრუნდა შინ შვილთან, რომელიც ქუჭმსაგებში დახუდა წოლილი, გვერდითაც ჰყევანდა ჰაჭიმი ლებედენკა... მამა გარდმოვიდა და დაბინავდა თავის შვილის სახლშია...“.

შენიშვნა: მოთხრობის სათაური არ არის შემონახული.

(1800)

5088

დაკიდებული სტუმარი. XIX

19 ფ.; 21×12,5; ქაღალდი; უყდო; ბოლონაკული; (აკლია მე-11 ფურცლის შემდეგაც); დაზიანებული; (პირველი ფურცელი დაჭმუჭვნილია, მეთერთმეტე — გახეული); მხედრული; XIX საუკუნის 30-იანი წწ. (ჭვირნიშანი 1833); რუსულიდან თარგმნილი.

„დაკიდებული სტუმარი. — ამბავი არა მზგავსი სიმართლისა, ამისთვის რომ ჭეშმარიტია.“

ეს როგორ მამხვდარა, რომ ქრისტეს დაბადებამდე ორმოცდაათს საუკუნესა და ქრისტეს შემდეგ თურამეტს საუკუნესა კაცთა არა ჰსცოდნიათ არცა ღირსება ავაზაკთა, არცა მშვენიერება ავაზაკურის ცხოვრებისა...“

ორს ვერსტზედ ერთის ალაგადამ დგას ქალაქს გარეთი ხის სახლი, მწვანე ბანიანი და ახალი, ტყის ძირში, ჭაობის გვერდზედა, გაღმა მდინარისა, მდლოზზედა, დიდის გზიდან რაოდენმე განშორებული. იმ სახლში ჰსცხოვრებს ჩვეულებრივ მრთელსა ზაფხულსა და ნაწილსა შემოდგომისასა გაბრიელ მიხაილოვიჩი პ... სამასხურიდამ გარდამდგარი კაპიტანი, უეზდის მსაჯული ანუ სულდა...“ 1r—19v.

წყდება: „...აი ჩვენი ვასკაც და პროზორი!... ესენი ყოველნი დაბრუნებულ იყუნენ სამიკიტროდამ... მხიარულნი მომღერიდნენ სიყვარულის სიმღერებსა და ქუდებს მალლა ისროდნენ, აგინებდნენ თვისთა ბატონთა და სიმთურალით გზას ურევ[დენ]...“.

შენიშვნა: ამ თხზულებისა და წინა, უსათაურო მოთხრობის (S—5088) მთარგმნელი ერთიადიგივე პირია; ორივე დაწერილია ერთი ხელით.

ამავე ხელითაა დანუსხული ხელნაწერები: S—5071, 5072, 5073.

(1801)

5089

ბაგრატიონი გრიგოლ, მოთხრობა ივერიისათვის. XIX

28 ფ.; 34×21,3; ლურჯი ქაღალდი; უყდო; დაშლილი; თანაკლული (დასაწყისში აკლია 13 ფ.); მხედრული; ავტოგრაფი; წინასიტყვაობა, დაწერილი ამავე ხელით, ხელმოწერილია, S—5076); XIX საუკუნის 20-იანი წწ. (ჭვირნიშანი 1822); ფ. ფ. 21—28 დაუწერელია.

«ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი გ რ ი გ ო ლ, მ ო თ ხ რ ო ბ ა ი ე ვ ე რ ი ი ს ა თ ვ ს, „...ცოლი მისი, ამისთვის დაზავდა იგი ბერძენთა და ითხოვა ცოლად ასული ლეონ კეისრისა, საკელით ელენა და უკმოიქცა რა საქართველოდ, აღაშენა მან ქალაქნი: 1. ტფილისი და უწოდა მას სატახტო, 2. ნისანი გაღმართ ტუილისისა, 3. კალისი ჩრდილოეთ კერძო ტფილისისა და 4. კასპი, აღმოსავლით კერძო უფლისციხისა...“ 1r—20v.

შეწყვეტილია: „...ღრთა მათ შინა ტფილისი, რუსთავი, სომხითი, სამშვილდე და ყოველი აგარანი ეპყრათ თურქთა, რომელნი მოვიდნენ თრიალეთს რიცხვით ორასი ათასნი სპარსნი. ხოლო მეფემან დავით, ჟამსა მას ნაჭარმაგვეს მყოფმან, ჰსცნა რა ესე, წარმოვიდა...“

შენიშვნები: 1. ამ ნაკლულ ხელნაწერში ვადმოცემულია საქართველოს ისტორიის ძველი პერიოდი ვახტანგ გორგასლიდან დავით აღმაშენებლის მეფობის შუაწლამდე.

2. ხელნაწერის სათაური და ავტორის ვინაობა აღებულია S—5076-დან.

3. ამ უკანასკნელს წამოღვარებული აქვს წინასიტყვაობა დაწერილი ავტორის ხელით იმავე ჭვირნიშნიან ქაღალდზე, როგორზედაც ეს ხელნაწერია დანუსხული, თვით ტექსტი (S—5076-ისა) დაწერილია თეთრ სქელ ქაღალდზე ნაწილობრივ სხვა ხელით, ნაწილობრივ კი ავტორის მიერ.

4. ტექსტი «მოთხრობისა» ორივე ხელნაწერში (S:5076, 5089) დაყოფილია თავებად და პერიოდებად. მეორე ნუსხა უშუალოდ არ ავარძლებს პირველს (S—5076), მათ შორის აკლია რამდენიმე ფურცელი. სათანადო წელთა ჩვენება, დასახელებულ ნუსხებში, ერთნაირად გატანილია კიდევ აღნიშნით: „შექმნიდან ქვეუ[ნისა]“, „ვოდ[რე] ქრ[ისტეს] შობ[ადმდე]“, „შემდგომა[დ ქრ[ისტეს] შობისა]...“

5. «მოთხრობა ივერიისათვის» შედგენილია რუსეთში, დანტერესებული რუსი მკითხველისათვის, და როგორც „წინასიტყვაობიდან“ ჩანს, თარგმნილი ყოფილა რუსულ ენაზე.

(1802)

5090

კრებული. XIX

26 ფ.; 34×22,6; ქაღალდი თეთრი და მოლურჯო (სხვადასხვა ზომისა); უყდო; დაზიანებული (დაბეულ-გაცვეთილია ფ. ფ.: 5—6, 7, 8, 11, 20—21, 22); მხედრული (სხვადასხვა ხელით); [XIX ს. პირველი მეოთხედი]; დაუწერელია: 1v, 2v, 7v, 11v და 14v.

შენიშვნები: 1. თხზულება ნაკუღულია, შეიცავს სამ ფურცელს.

2. გადაწერილია გაბრიელ რატიშვილის ხელით. ერთვის ანდერძი: „ეს თიმსარის წიგნი რატის ძის გაბრიელისა არის, რომელ აღსწერა ჟამსა სივაბუქისა თვისისასა, ქუკს უოთ“ [1791] (17v).

19. [ლექსის ნაწყვეტი]. —

„...ახალი, მწვანე, გაშლილი, წყლის პირი ყვავილოსანი, დილის მქროლელი ნიაგი, ამბრისა სუნთა მყნოსანი...“ 18r.

20. [გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი]:

ა. „უგრძნო ცხოველი, კეთილფშვათა მთოველი, ვინ არს მშოველი, ტკივილს ჰპოვებს ყოველი“ 18r.

შენიშვნები: 1. გამოცანის ახსნა მიწერილია კიდეზე ტექსტის ხელითვე: „ე არ დ ი ა“.

2. გამოცანებიც გაბრიელ რატიშვილის ხელითაა დაწერილი.

ბ. „ვარ დიდგვარისა, დაუდარისა, ტკივილთ მწარისა, ამად არისა, აღამის ცთომა ახსნად კმარისა“ 18r.

შენიშვნა: ეს გამოცანა აუხსნელია.

გ. „ერთი რამ არის, სიფიცხით უმაღე კაცთა თვალისა, სტრფიალობს ჰაბუკობასა, სიმხცოვენე მოეხალისა...“ 18r.

შენიშვნები: 1. ახსნილია კიდეზე მინაწერში: „ო რ ბ ი ა“.

2. ეს და მომდევნო ორი გამოცანა ორსტროფიანია. მეორე სტროფში მოცემულია სახელი ბირველში გამოსაცნობი საგნისა და ამასთანვე აღწერილია მისი თვისებები, როგორც მაგალ:

„ო რ ბ ი ა ქვეყნად მფრინველი,
 თვალისა უმაღესია,
 როს დაბერდება, შეშასა
 მოზიდავს, ეს აქვს წესია,
 ჩაჯდება, ისე დიწვის,
 ვით აბედს დასწევს კვესია,
 და მას ნაცარში გამოვს,
 სხვა ორბი უახლესია“.

დ. „ერთი რამ არის სიფიცხით მომ[ვ]ლელო გზისა შორისა, მსწრაფლად მხილველი წყლისაგან დანთქმული მთა და გორისა...“ 18r.

შენიშვნები: 1. ახსნა მიწერილია გვერდით, კიდეზე: „ტ რ ე დ ი ა“.

2. მეორე სტროფში მოთხრობილია მტრედის მაცნედ ვაგზაუნა ნოეს კილობნიდან.

ე. „რომლისა სისხლის მგზავსები დაიქცა სისხლი ღვთისანი, რა არს კაცთათვის სახმარი, საოხი ძნელი დღისანი...“ 18v.

შენიშვნები: 1. კიდეზე წერია: „ბ ა ტ კ ა ნ ი ა“.

2. მეორე სტროფში ლაპარაკია კრავზე, როგორც შესაწირავზე.

ვ. „ერთსა პატარა სერზედა სდგას ოცდაათი სოფელი, შუაზედა აქვს სავლელი თვის თვსად გასაყოფელი...“ 18v.

შენიშვნა: „ნ ა რ დ ი ა“, გვიხსნის მინაწერი.

ზ. „ერთი დედა ზრდის მრავალსა, მსხვილსა და წვრილსა შვილებსა, ზოგი გავს ოქროს მილებსა, ზოგსა მანუდან წვრილებსა...“ 18v.

შენიშვნა: „მ ი წ ა ა“ ვკითხულობთ ახსნაში.

ტ. „არის ერთი ქვეყანაზედ, მრავალი ჰყავს განაყოფი,
 ეტადე შენც მის ხლებასა, დაუშენენ მას სამყოფი...“ 18v.

შენიშვნა: „ფ უ ტ კ ა რ ი ა“ ხსნის მინაწერი.

თ. „არს ერთი რამ სახმარი, უჩინარი და ხმიანი,
 ზოგჯერ ვინატრით მოსვლასა, ზოგჯერ კი მას აქვს ზიანი...“ 18v.

შენიშვნა: „ქ ა რ ი ა“, ახსნილია მინაწერში.

ი. „მფრინველთა და ოთხთა ხეთა, თუ მიბრძანებ იგი მზეა,
 ბურჯის ეტლზედ რომ შეჯდება, ქვეყნად მოვა მუნ სიცხეა...“ 19r.

შენიშვნა: ახსნილია გამოცანის ბოლო ტაეპში, აგრეთვე, კიდეზე მინაწერ-
 ში: „ზ ა მ თ ა რ - ზ ა ფ ხ უ ლ ი“.

ია. „ერთი ქალაქი სამყოფლად, მთაზედან დაშენებული,
 სხვა ქვემო არის საჭირო კლდეთა კაპანთა ხლებული...“ 19r.

იბ. „მთის თავსა არის ქალაქი, მუნ ტურფა, სასურველია,
 მონაწულთათვის სიწმინდე, სამოთხე საყვარელია...“ 19r.

შენიშვნა: ამ ორი გამოცანის გასწვრივ მიწერილია: „ს ა მ ო თ ხ ე და ჯ ო ჯ ო -
 ხ ე თ ი“.

იგ. „ეთეროვანსა სპეროსა სამყარო ზედან ჰკიდიან,
 ოთხსა მდინარეს ედემისას სამოთხე მაზედ ჰკიდიან...“ 19r.

შენიშვნა: კიდეზე მიწერილ პირველ ახსნას (რომელიც არ იკითხება) ზემო-
 დან აწერია: „ე ს ბ რ ო წ ე უ ლ ი არის“.

იდ. „ოთხ ნივთთგან წარმოდგენილი არს რამე სული ცხოველი,
 ტრედისა მგზავსი შევენებით, ზნე მიუღია ყოველი...“ 19r.

შენიშვნა: ახსნილია კიდეზე: „ო ტ ლ ა ქ ა“ (?).

იე. „ნახევარი რკინა არის, ნახევარი რქა და ხორცი,
 ოცს სულსა აქვს ოთხმეოცი“ 19v.

შენიშვნა: მინაწერი ასე ხსნის: „ფ ე ხ ი და ნ ა ლ ი“.

ივ. „უმალეს არის აქლემთა, რა ნახავ საკვირველია,
 უმცირეს უფრო კვერცხისა, ვით ლომთა თანა შელია...“ 19v.

შენიშვნა: „ნ ი გ ო ზ ი ა“ ხსნის მინაწერი.

21. „წიგნი არზრუ [მიდან] იმერეთს მიწერილი. —
 თქვენო მაღალ ბრწყინვალეზე, წერილს გიძღვნი არა მქისსა,
 ვინ ხართ ჩემთვის მწუხარენი ერთ კრებულად ჩემსა თვისსა...“

20r—21v.

შენიშვნები: 1. ლექსად თქმული ეს წერილი გამოგზავნილია ოსმალეთიდან
 და წარმოადგენს დედანს.

2. იგი დაკეცილი ყოფილა ცხრა ვიწრო ნაკეად. წერილის მეორე, თავი-
 სუფალ გვერდზე შემდეგი მიმართვაა ადრესატისადმი(?):
 „აჰა, გდძნობ მაშიდა, მდაბალსა და ათასსა უმრავლესსა შესაკეებულს მად-
 ლობასა ბატონო“ (21v).

3. ბოლოში წამკითხველის ასეთი შეფასება მიწერილი:
 „მიკვირს სივრცე გონებისა ამ წერილის აღმწერლისა,

ვისაც შეხვდეს მუხთლობითა უწესობა ამ სოფლისა,
 მან ვით განგრძნოს ესრეთ წყობა, მოცილებით საყვარლისა,
 ქება მისი დამაიწყა, კალამ ბრძნობით რუსთველისა“.

22. «ერგასეული საღმრთო-საერო სწავლითა». —

„...პირს ნიღაბი აღიხადონ, უგვანის ჩვეულებისა,
 მოიკვეთონ მაცთურება, ბოროტად ქცეულებისა...“ 22რვ.

შენიშვნები: 1. «ერგასეულიდან» შემორჩენილია ცხრა სტროფი (42-ე—50-ე) და სამი ტაეპი (41-ე სტროფისა).

2. უკანასკნელი სტროფი, მსგავსი ანდერძისა, მოგვაქვს მოლიანად:

„...სრულ იქმნა ერგასეული, ჩემგან ნაქმარა, თხრობილი,
 სამლოთო საეროს სწავლითა განშვეინებული, მკობილი,
 სარკე საცხადო, სახედი, შემავანებლად შობილი,
 ქვეყნისა მოსაგონებლად მრავალგვარედან წყობილი“.

3. დაწერილია დავით რექტორის ხელით.

4. ა. ამ კრებულში აღმოჩნდა ილია ჭავჭავაძის ავტოგრაფი, ყრმობის ლექსები (სატირული თხზულებანი): «ქება ჩალაუბნისა» და «რწყილითაგან ტანჯვაი და მათი ანბავი». აღნიშნული თხზულებანი დაბეჭდა გ. ლეონიძემ «ლიტერატურულ საქართველოში», 1938, 12.

ბ. კრებულში, ცალკე ფურცლებად (ფ. ფ. 23—26) მოთავსებული ილიას ყრმობის ავტოგრაფები (დასახელებული თხზულებანი) გადატანილია ილია ჭავჭავაძის პირად საარქივო ფონდში, № 501—502.

(1803)

5091

გამოკრებილი საკითხავები სახარება-სამოციქულოდან. XVII

72 ფ.; 20,7×14,5; ჭაღალდი; უყდო; თევზოლო ნაკლული (აკლია შიგადაშიგაც. დასაწყისში აკლია 7 რვეული, მე-8 რვეულის უკანასკნელი ფურცელია შემორჩენილი; მე-11 რვეულში 6 ფურცელია, მე-12-ში — 7 ფურცელი, მე-17-ში, აგრეთვე, 6 ფურცელი. უკანასკნელი 3 ფურცელი: 70—72 ცალკე, რომელიც რვეულის ნაწილია); დაზიანებული (პირველ ფურცელს გვერდები შემოხეული აქვს. ფ. ფ.-ში 70—72 შეიცავს ექვსი ფურცლის ნაერთს, ე. ი., დაუწერელი მხარით ორ-ორი ფურცელი დაკრულია ერთმანეთზე, მათი კიდეები დაცვეთილია); ნუსხურა (სათაურები სინგურით); [XVII ს.].

[გამოკრებილი საკითხავები სახარება-სამოციქულოდან მოწამეთა ხსენების დღეებისა და დიდმარხვისა]. — „...თა ლთისადათა, რომელმან იგი აღადგინა მკვდრეთით...“

თვესა იანვარსა ვ, ნათლისღებე უფლისა. ცისკრად სახარებე მარკოზისი. — მის ეამსა შამოვიდა(!) იესუ ნაზარეთით გალილეადასათა და ნათელ ილო იოანესგან...“ 1v—69v.

წყდება: „...და ესე რაე თქა, ვიდრე იგი ხედვიდესლა, ივინი ამალღდა. და“...

შენიშვნები: ერთვის: 1. სახარება-სამოციქულოს საკითხავების კმათა ცხრილი (თავნაკლული): „...მეთხედ დაწყებაჲ კმათსა. — კმაჲ ა; სახარება ზ; პავლე ით...“ (70რვ. ბოლოში წერია: „ესრეთ მიპყვე, ვიდრე ბზობადმდე“).

2. [პასქალია ანუ აღდგომის ქორონიკონი] (70v—72v).

პასქალიის შესაბამის თარიღებთან კიდევ მოთავსებულია ისტორიული ხასიათის მინაწერები; რომელთა ტექსტს ახასიათებს ა—მეტობა:

[ტოვ] — 1688 — „ამ ქორონიკონს ფილიპე დაიბადა“ (70v. ნუსხურით).

3. [ტოვ] — 1688 — „ამ ქორონიკონს კახი მეფის ბატონის თეიმურაზის ძე ერეკლე გაბატონდაჲ ქართლსაჲ“ (70v. ნუსხურით).

4. [ტბო] — 1701 — „ამ ქორნიკოს გიორგი [X1] ...დეს“ (71r. მხედრულით).
5. [ტჟა] — 1707 — „ამა ქ[ორნიკონს] კახეთ[ს] ლ[ე]იან [ბატ]ინიშე[ილი] მოაე[ლინა?]...“ (71r. მხედრ.).
6. [ტვო] — 1711 — „ამ ქ[ორთ]ნიკოს ვახტ[ან] გვაბატონდა“ (71v. მხედრ.).
7. [უგ] — 1715 — „ამა ქორანი[კ]ოსა ურ[უ]შნი გამმოვიდნენ[6]“ (71v. მხედრ.).
8. [უა] — 1733 — „ამა ქორნიკონსა ყიზილ[ბ]აში მოვიდა ისა[ყ] ფაშა რუ[სთ]იასა“ (72r. მხედრ.).
- იხ. მცირე ქრონიკები (კინკლესების ისტორიული მინაწერები), ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დურთო ჯუშბერ თ დ ი შ ე ლ - მ ა, 1968, გვ. 76.

(1804)

5092

კურთხევანი. XVII

20 ფ.; 15,5×10,5; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; ძლიერ დაზიანებული (ფურცლები დახეული; დალაქავებული); თავ-ბოლონაკლული (აკლია შიგადაშიგაც); ნუსხური (სათაურები სინგურით); ხელნაწერის მორთულობას შეადგენს მარტივია თავკაზმულობანი (2r,19r); [XVII ს.]; ხელნაწერი შემოწირულია ვახილ კარბე-ლაშვილისგან 1914 წ.

[კურთხევანი: 1. განგება ჩვილთა კურთხევისა]. — „...მღვდელმან ლოცვა: შენ გვედრებით უფალო ღმერთო ცხოვრებისა ჩვენისაო, რომელმან საესებისაგან ემბაზისა შენითა სახიერებითა აკურთხე ჩკლ-ჩკლიცა ესე და თავსა ზედა თვსსა კურთხევა შენი გარდამოვიღინე...“ 1r—2r.

2. „განგება წინდობისა ესრეთ იქმნების. — მოიღოს მღვდელმან ბეჭედი ოქროსი და რკინისი და დასხნის იგინი ფეშუშმთა კანკელსა ზედა. და აღდგენ სიძე-სძალნი[ი] და თქვას კვერქსი...“ 2r—5r.

3. „განგებაა გვრგვნთ კურთხევისა. — და წარდგენ სიძე-სძალნი ეკლესიად წინაშე კართა საკურთხეველისათა, და ძმა-დ[ან]სი უკანა უდგან. მღვდელმან გვრგვნი ფეშუშმსა ზედა [და]სხნან და ბარძიმი...“ 5r—19r.

4. „წმიდისა და დიდებულისა ღთისა გამოცხადებისა. — შემდგომად მწუჭრის ჟამისა აღსრულებისა და ჟამისწირვისა ერის განტაეებისა(!), მეყსეულად მგალობელმან დასდებელი, კმაა დ. კმაა უფლისა წყალოთა ზედა დალადებს და იტყვის...“ 19r—20v.

წყდება: „...რამეთუ გამოეცა წყალი უდაბნოსა და მდინარე ქ[ვე]ყანასა ურწყ[უ]ლსა...“.

(1805)

5093

იოანე ოქრობირი, ჟამისწირვის წესი. XVII

33 ფ.; 13×9,4; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; დაზიანებული (კიდებზემოცვეთილი, ლაქებიანი); თავ-ბოლონაკლული, აკლია შიგადაშიგაც; ნუსხური (სათაურები სინგურით); [XVII ს.].

[იოანე ოქრობირი, ჟამისწირვის წესი]. — „...ირვიდეს. სიმართლისათვის და ცხოვრებისა და ცოდვათა შენდობისა მონისა ღუთისაა სახელით. და თუ მიცვალებულთათვის წირვიდეს...“ 1r—33v.

წყდებ: „...პურმან ზეცათამან ქრისტემან დაგვიგო ტაბლა და უკუდავე-
 ბისა, და ისტუმ“...

შენიშვნა: შედარებულია იონანე ოქროპირის ქამისწირვასთან (A—1555).

(1806)

5094 ა

ჟამნი. XVII

94 ფ.; 14×10; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; დაზიანებული (სინესტისაგან დალაქავებული და კიდევბეშემოცვეთილი); ნაკლული (აქვს რვეულბერივი პაგინა-
 ცია. აღრიცხულ ოც რვეულიდან დასაწყისში აკლია 5 რვეული, VI—VII-ეს თი-
 თო ფურცელი, X-საც — ერთი ფურცელი; აკლია XVII და XVIII რვეული
 მთლიანად, XIX-ისა შემორჩენილია ერთი ფურცელი, XX-ისა კი ექვსი); ნუსხუ-
 რი (სათაურები სინგურით); [XVII ს.].

[ქამნი] „...თა სამარადისოსა ერთარსებმასაჲ ქერუბინთაებრ უცადებ-
 დეთ. ცხოველ ხარ, რომელი დაბადებულ ხარ ზრახვასა შინა წმიდითასა და
 იქები...“ 1r—94v.

წყდებ: „...განიპყრენ კელნი ჩემნი და სხ^მნ შეგრტყეს და წარგი-
 ყანოს შენ, ვიდრეცა შენ არა გინდეს, ხოლო ესე თქუა“...

შენიშვნა: ეს ნუსხა მისდევს ვახტანგისეულ გამოცემას (1717, თბილისი),
 შდრ. 1v—2r გამოცემის გვ. გვ.-ბს 54—55-ს.

5094 ბ

ჟამნი. XVII

31 ფ.; 14×9,5; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; დაზიანებული (ძლიერ გაყვით-
 ლებულ-დალაქავებულ); დეფექტური (ხელნაწერს აქვს ძველი რვეულბერივი
 პაგინაცია, აღრიცხულია 26 რვეული; დასაწყისში აკლია 3 რვეული, IV — სრუ-
 ლია, V-ს აკლია ერთი ფურცელი, მას მოსდევს 24-ე სრული რვეული, 25-ე შეი-
 ცავს ორ ფურცელს, 26-ე კი 5 ფურცელს); ნუსხური; [XVII ს.].

[ქამნი] „...და შეიწყნარე. დაიმკვდრონ ეზოთა შინა შენთაჲ. აღვიესე-
 ნით ჩ^ნ კეთილითაჲ სახელისა შენისათაჲ...“ 1r—31v.

წყდებ: „...განმანათებლაჲდ მორწმუნეთაჲ, რომელსა შინა მდგომარე-
 ნი ვლალადებთ სახ“...

შენიშვნა: ამ ფრაგმენტულ ნუსხას შემონახული აქვს თვეთამეტყვე-
 ლება (ნაკლული): „თუესა იანვარსაჲ აქს დღე ლა, დღეთაჲ აქს ე[ამი] ი და
 ლამეთა — იდ. — წინაჲ დაცუეთაჲ უფლისაჲ ჩუშნისა იესუ ქრისტისი...“ (18r—
 19v).

ფრაგმენტულადგეა წარმოდგენილი თვეთა მეტყველების შემდეგი ნაწილები:
 თებერვალი (19v—21r), აპრილი (21r—22v), მაისი (22v—23v), ივნისი (23v—
 26r), ევლისი (26rv), აგვისტო (27r...).

5094 გ

ლოცვები. XVII

10 ფ.; 14×9,4; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; დაზიანებული (კიდევბეშემოცვე-
 თილი, ფ. ფ. 7—8 მოხებული აქვს ტექსტის ნაწილი, ლაქებიანი); ფრაგმენტი;
 ნუსხური; [XVII ს.].

[ლოცვები]. — „...ენ თუაღნი ჩემნი, გული და გონება ჩემი წყუღია-
თითა შეპყრობილი, და განმადლიერე ქალწულო...“ 1r—10v.

წყლება: „...რაჟამს მასწავენ მე სიმართლე, თქნეს ენამანცა ჩემმან
სიტყუანი შენნი... მცნებანი შენი სიმართლით არიან...“.

5094 დ

ლოცვები. XVII

13. ფ.; 13,8×9,4; ქაღალდი; უყდო; დაზიანებული (მეტად დალაქავებული,
კიდებშემოცვეთილი); ნაკლული (აქვს ძველი რვეულბრივი პაგინაცია: პირველი
რვეულის ორი ბოლოფურცელია შემონახული, მეორე — სრულია, ხოლო მე-
სამე(?) სამფურცლიანია); ნუსხური (სათაურები სინგურით); [XVII ს.].

[ლოცვები]. — „...ბერ პული სიმართლისა შესწირვიდა... ნეტარ არიან
უბიწონი გზასა, რომელნი გამოიკლუევენ წამებათა შენთა, ყოვლითა გულითა
მათითა გამოიძინენ იგი...“ 1r—13v.

წყლება: „...გამოვედით მიგებებად მისა, იხილე სულო ჩემო. ნუ გრუ-
ლის და ნუცა გძინავს, რათა არა გ[ა]რეთ დაშთე და ცუდად რეკდე, ვითარცა
სულებნი იგი ქალწულნი, არამედ მღვძარებით განიფრთხუე, რათა მიეგებო
ქრისტესა ლამპრი...“

(1807)

5095

კუროთხევანი. XVII

107 ფ.; 15,4×10,5; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; დაზიანებული (წყლის, ნეს-
ტისა და ობის ლაქებანი); დეფექტური (აქლია დიდი ნაწილი; რვეულბრივი პა-
გინაცია შემოუნახავს მე-18, მე-19 და მე-20 რვეულებს; ფ. ფ. 100—107 დაწე-
რილია სხვა ხელით, ეს რვეული აღრიცხულია მ-ით, იგი სხვა კუროთხევანიდანა);
ნუსხური (სხვადასხვა ხელით, სათაურები სინგურით); [XVII ს.]; გადამწერი
გიორგი ქსელაძე (77v).

[კუროთხევანი] „...განგებაჲ ცოცხლისაჲ პანაშვიდისაჲ. — შემდგომად მწუჭრის ლოცვისაჲ და სერობისაჲ, შეისმინენ ჟამთა
დასრულებისაჲ. მოუსნენ მღღელი და დიაკონი და შევიდნენ საკუროთხევე-
ლად. დიაკონმან საკმეველი აკმიოს...“ 1r—107v.

შენიშვნები: ა. კუროთხევანის შედგენილობა:

1. „...განგებაჲ ცოცხლისაჲ პანაშვიდისაჲ“ (1r—4v).
2. „წარდგომანი სულიანი“ (4v—5v).
3. „გალობანი სინანულისანი“ (5v—9r).
4. [საკითხავები სახარებასამოციქულოდაჲ] (9r—30r).
5. „კუროთხევაჲ აქლისაჲ საკვლისაჲ (საკლავისაჲ? 30v—31r).
6. „წყალობაჲ ჟამთა და თვეთა და მნათობთა დაბ-
ნელებისაჲ, შთვარის ბავისაჲ, ელვისაჲ და ცისარტყლისაჲ, ძრვისა და ქუხილი-
საჲ (31r—43r).
7. [პასქალია, აღდგომის ქორონიკონი] (43r—45r).
8. [ზედნადების ანგარიშთან დაკავშირებით ასტროლოგიური ცნობები] (45r—49r).
9. „ქალნანდარა(!) თქმულნი ეზ[დ]არაჲ წინასწარმეტყველისაჲ“ (49r—
59v).
10. „სამთვარიო მართალი და ჰემარტი“ (59v—72v).

11. „ასოთსამღერალი მართალი და ჭეშმარიტი“ (73r—78v).
 12. „სიბრძნითა სოლომონისითა“ (78v—82r).
 13. „ლოცვა ცხროსა და ზურვებისა“ (82rv).
 14. „ლოცვა მრავლისა სენისა“ (83rv).
 15. „ლოცვა შაკიისა ჭეშმარიტი“ (83v...87v).
 16. „ლოცვა აღისა“ (87v—89r).
 17. „ლოცვა სეტყვისა“ (89r—90v).
 18. „ლოცვა ჰამადთა მიერ ცდომილთა“ (90v—91v).
 19. „ლოცვა შეგინებულისა მჰამელისა ზედა“ (91v—92v).
 20. [ლოცვები] „...[დ]ლოფალისა ჩნისა ღისშობელისა, მარადის ქალწულისა მარიამისა...“ (93r—98v) „...ქრისტე, ამისთვის გვევდრები, სულთა და კორცითა განმკურნე, ლოცვა ჩნი შეისმინე...“ (97v...).
- ბ. ბოლოში მოთავსებული ერთი რვეული (შ) სხვა კურთხევანიდან. ეს ფრაგმენტი შეიცავს სახარება-სამოციქულოს საკითხავებს (100r—107v).
- წყდები: „...და კაცთა შორის იქცეოდე შენ, იორდანისა წყალნი განსწმინდენ ზეცით გრ“...
- ანდერძ-მინაწერი (ტექსტის ხელით): „ღმერთო, შეიწყალე გიორგი ქსელაძე, მეუღლე მისი მარეხ (77v. იმავე ხელით მეორე გვერდზე: „ღმერთო შეიწყალე ამის მწერალი“, 78r).

(1808)

5096

სამთვარიო და საეტლო. XVII

16 ფ.; 14×9,3; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; დაზიანებული (ქაღალდი გამუქებულია სინესტის ლაქებისაგან, პირველსა და უკანასკნელ გვერდზე ნაწერი ალაგ-ალაგ გადასულია); თენაკლული; ნუსხური (სათაურები სინგურით); [XVII ს.]; გადამწერი რომანოზ (16v).

1. [სამთვარიო]. „...რამე მოვაძ. მთვარისასა დღე კეთილ, ყრმათა სწავლ[ისა] მიცემა. ქორწილი სამოსას(!) წვალებად. თესვა კეთილი...“ 1rv.
2. „საეტლო მართალი და ჭეშმარიტი. — ვერძსა ზედა რომელი იშვას, შეიქმნას ტანად და პირად კარგი, გულოვანი და უსუმენარი, კაცთმოყვარე...“ 1v—16v.

ანდერძი: „უფალო, შეიწყალე რომანოზ“ (16v. ტექსტის ხელით).

(1809)

5097

ვახტანგ VI, სამართლის წიგნი. 1794

83 ფ. (166 გვ.); 20,4×16; მოცისფრო ქაღალდი; ხის ტყავადაკრული ტვაფრული ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); 1794 წ. (გვ. 164); გადამწერი დეკანოზი სოლომონ [ალექსი-მესხიშვილი]; დაუწერელია გვ. 148—149.

„თქმული და ნაღუაწი და ნასიბრძნი მეფის ვახტანგისა, დავითიან ბაგრატიანისა, ჟამსა უფლისწულობისა თვისისასა, შესავალი პირველი. — მყოფისა უმყოფისა, არსისა და უარსისა და მარსისა მქები, არა თუ ღირსად, არამედ შეძლებისაგებ ჩემისა მქებელი და მმონებელი უდებად მქონე, მპოვნელ ვიქმენ, ვითარცა მეფენი დღითი დღე მრეველნი კელთა მარგალიტთა შინა და ჰპოვებენ მძივთა რათამე...“ გვ. 1—147.

შენიშვნები: 1. ერთვის: „პინაქსი წიგნისა ამის“ (გვ. 150—164).

2. სამართლის წიგნის ეს ნუსხა მოიცავს კანონთა 270 მუხლს. იხ. ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, 1955, გამომცემი თ. ენუქიძე.

ანდრძი გადამწერისა: „ბრწყინულყოფილი კნიაზ მოლარეთუხუცესისა და სულით და მადლითო ძეო ყოვლად მდაბლისა უღირსისა ჩემისაო ზაზაჲ, მიიღე შრომილი ესე თითა ჩემთა და იწვრთიდე სამართალთა და მსჯავრთა ზემორე დასხმულთა და ეგრეთ ჰყოფდე ქელის ქვეშეთა შენთა ზედა სისწორითა სიმართლისათა აღმწონელი, რათა მონანიცა შენნი წყალობასა და სამართალსა შენსა აქებდენ. და აღმოსწინდეცა თულთა წინაშე მრავალთასა საქებელად, და პატივოსნად(!), და ესრეთ, ვიდრე დასასრულადმდე. ზოლო იუწყე ესეცა ჰეშმარიტებით მოხსენება, რომელ სამის-ოთხის დედნის შემოწმებით აღვწერე და სიმკაცრით და შემოწმებით მეტ-ნაკლები ემართე და დავარკვიე მარგალიტებრ და დავსდევ შრომა არა მცირედი, რომელიცა საკადრ არს დასადებელად სახლსა შენსა და წარწერილინი ამისნი და აზრნი ზარდახშვასა გონებისა შენისასა, და აღმოკითხველი ჰყოფდეცა შენდობასა ჩემთვის. იანუარს კე ქკს უპპ [1794], უღირსი მღუღელ-დეკანოზი სოლომონ“ (გვ. 164).

მინაწერები: 1. ზედა ყდის V-ზე ჩართული დაწერილობითაა შესრულებული გადამწერის სახელი «სოლომონ».

2. „ეს სამართლის წიგნი ზაზასოლადასშვილისა არის, ვინც მიიპაროს, ღთის შობელი გაუწყურეს“ (გვ. 1. იგივე მინაწერი, იმავე ხელით, გვ. 9, ხოლო სხვა ხელით — „ეს სამართლის წიგნი თავადის ზაზასოლადასშვილისა არის“, გვ. 32).

3. „Сия книга принадлежит князю За зы Салагову (! გვ. 165).

4. „Лорийского уездного суда, что ныне уже—Тифлис[с]кий, 1805 год, январь 5 дня“. (გვ. 166).

5. „ეს წიგნი გადმოცა კნ. დარია სოლოდაშვილის მეუღლემ ქართ[ველთა] შორის] წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკისათვის 1913, 25.IV. ივ. გ. ავალიშვილი“ (გვ. 165).

5098

კათალიკოს-პატრიარხის მეფის ძის ანტონის საკუთარი ნივთებისა და შესამოსლის სია.

გადატანილია Ros.—128.

(1810)

5099

ტლაშაძე იესე, კათალიკოს-ბაქარიანი. 1895

01+27 ფ. (გვ. 54); 28×22; ქაღალდი; უყულო; დაზიანებული (წინა ორი და უკანასკნელი სამი ფურცელი დახეულია); მხედრული; 1895 წ. (01რ); გადაწერილი ე. თაყაიშვილის მიერ.

„არის წიგნი ესე კათალიკოს-ბაქარიანი, მრავალმცა არიან წელნი ცხოვრებისა მათისანი, თქმული ტლაშაძის მღვდლის იესესი, დიწვერა ქალაქსა შინა სამეუფოსა კოსტანტინეპოლის, ქრისტეს აქეთ ჩღვ, ქორონიკონსა უიე. —

1. აამე მსმენთა, კარგ ღვინის მსმელთა, აწე შენ წიგნო ბაქარიანო, კარგა შეექცენენ, არსად გაგექცენენ, ვინც სუფრაზე ზის აქ არიანო...“
გვ. 1—54.

შენიშვნები: 1. კათალიკოს-ბაქარიანის ეს ნუსხა გადაწერილია და სასტამბოდ მოზადებულია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ.

2. უძღვის თავფურცელი: „კათალიკოს-ბაქარიანი, მღვდლის იესე ტლაშაძისა, ტფილისი, 1895 წ., Типография Шаралдзе“ (01რ).

3. თავფურცელზე, ზემოთ, გამომკემლის სახელი და ვერია აღნიშნული: „თაყაიშვილი“.

4. 01v-ზე დადებული ცენზორის რაიფელ ერისთავის რეზოლუცია: „Дозволено цензурою 21 марта 1895 г. Тифлис, цензор князь Р. Эривстов“. იგივე წარწერა (ნებართვა) მეორდება ტექსტის გაყოლებით რამდენიმე გვერდის კიდეზე.

5. თხზულების სტროფები დანომრილია გამომკემლისგან. ზემოთ მოტანილი ანდერძ-სათაური და პირველი ნომრით აღრიცხული სტროფი მოთავსებულია პირველ გვერდზე, მეორეზე მეორდება იგივე სათაური და მას მისდევს შემდგომი სტროფები. ზუსტად ასევეა გამოკემულშიც (იხ. ე. თაყაიშვილი, ტლშაძე იესე, კათალიკოზ-ბაქარიანი, ტფილისი, 1895).

6. ამ ნუსხას აკლია: „შენიშვნები ტექსტის შესახებ“ და „ბოლოსიტყვაობა“ გამომკემლისა (იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. გვ. 50—54).

7. ბაქარიანი გამოსცა ს. ყუბანეიშვილი, 1962 წ.

მინაწერი: ხელნაწერის თავფურცელზე (ფანქრით): „შეგვაცყობინეთ, პირველ გვერდად ეს აიწყოს, თუ რა იქნება?“.

(1811)

5100

ბაგრატიონი ვახუშტი, ისტორია საქართველოსა. XIX

262 ფ.; 36×22,5; ქაღალდი; უყდო; დაზიანებული (დამწილ-დაფურცელები, კიდეებზემოკვეთილი, სინესტისა და ტალახის ლაქებიანი); მხედრული; [XIX საუკუნის დამდეგი]; ხელნაწერის მორთულობას შეადგენს ჩართული მთავრულით, სინგურით, შესრულებული სათაური და საზედაო ასოები (2r—92v).

ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი ვ ა ხ უ შ ტ ი, „ტ ო მ ო ბ ა და შ თ ა მ ო მ ა ვ ლ ო ბ ა ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა. — ნოეს ძისა იაფეთის თესლისაგან, ვიდრე ქართლოსისა და ძმათა მისთამდე და განყოფილებანი მათნი და ძეთა მათთა.

აწ უნეთათვს ვიწყოთ ძველიდამ ახლამდე საქართველომასათა, ზნეთა და ჩუჭულებათა, და წესთა მათთა...“ 2r—262v.

შენიშვნები: 1. უძღვის თავფურცელი: „ისტორია გეორგიისა ანუ ყოვლისა საქართველოსა ქმნილი ვახუშტის მიერ ბაგრატიონისა, ძისა ვახტანგ მეფისა“.

გამოცემისათვის თავფურცელზე დამატებულია: „История Грузии, соч. Царевича Вахушта Багратовани.“

Издание Георгия Картвелова. Типограф. А. Каландадзе, 1884 г“.

2. ვახუშტის ისტორიის ეს ნუსხა ის ცალია, რომელზედაც დიმიტრი ბაქრაძემ ჩატარებია რედაქციული მუშაობა: დაურთავს ვრცელი სქოლიოები; გაუსხნია ქარაგმები; კიდეებზე მოთავსებული შინაარსის გამომხატველი ნითითბანი გაუტანია სათაურებად; გაუსწორებია ორთოგრაფია (ხმარებიდან ამოღებული ასოები ყველგან წაუშლია წითელი მელნით). ტექსტი რედაქტირებულია 92v-დღ, ე. ი. პირველი ნაწილის ბოლომდე, რაც გამოსცა კადეც დ. ბაქრაძემ (იხ. ვახუშტი, საქართველოს ისტორია, ნაწილი პირველი, თბილისი, 1885 წელი).

3. მეორე ნაწილში (93r—262v) სათაურებისა და საზედაო ასოების სინგურით (მხატვრულად ჩასაწერად გაშვებულია თავისუფალი ადგილები.

4. ვახუშტის ისტორიის მეორე ნაწილი (XV საუკუნის ბოლო მეოთხედიდან), ამ ნუსხით 93r—262v, გამოკემულია ორჯერ: დ. ჩუ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს ა (იხ. ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეთათვამეტ სულენემდის, ნაწილი მეორე, ახალი

6. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. VII

მოთხრობა 1469 წლიდან, ვიდრე 1800 წლამდე, გამოცემული უ[ფალი] ჩუბინო-ვისაგან, სანქტპეტერბურღს, 1854, გვ. გვ. 11—236) და ზ. ჭიჭინაძის მიერ (იხ. საქართველოს ცხოვრება 1469—1800-მდე, ბატონიშვილი ვახუშტის მიერ, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისაგან, თბილისი, 1913).

5101

აღ. ხახანაშვილის ქართული სიტყვიერების ისტორიიდან (ნაწყევტები). გადატანილია აღ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს არქივში, № 560.

(1812)

5102

კრებული. XIX

52 ფ.; 11,4×8,4; ქალღლი; უყდო; თანაკლული; მხედრული (სათაურები. ზედნადებთა სწყისი სიტყვა „უკეთუ“ და დასახელებულ თვეთა პირველი 2 ასო სინგურით); XIX საუკუნის 40-იანი წწ. (ჭვირნიშანი 1843); დაუწერელია 36r—50v, 51v—52r.

1. [წ ლ ი ს დ რ ო თ ა და მოსავლის სიუხვისა თუ უკეთურობის განსაზღვრა ზედნადების მიხედვით] „...უკეთუ იყოს ზედნადები კბ, ზამთარი იყოს გრძელი, ტფილი და თოვლიანი, გაზაფხული წვიმიანი, ზაფხული კეთილი... ღვინო, ნაშრომი, ნაყოფი კეთილი, ხორბალი, თევა ყოველი მათა და ბართა ხილი[ს] სიმრავლე, წელიწადი მშვენიერი. თვესა იანვარს კბ დაბნელდეს მთოარე...“ 1r—6v.

2. „ქ ა ლ ა ნ [დ რ ა], თქმული ეზ[დრა წინასწარმეტყველისა]: თვესა იანვარსა თუ მთოარე დაბნელდეს, ნაშრომთა იკეთენ, ხოსტავი იეფად იყოს. თუ მზე დაბნელდეს, კაცთა სიკუდილი იყოს, ტყვილი ბერთა კაცთა ეცეს; თუ იქუხნეს, გაეფდეს პური; თუ იძრას, ყოველთავე სიკიდილი იყოს...“ 6v—14v.

3. „ს ა მ თ ვ ა რ ი ო მ ართ[ალი და ქეშმარიტი]. — „ა. მთვარისასა დღე კეთილი, თესვა, ნერგვა, ცხოვართა რუსე(!) წარწყმედული იპოვოს, სწრაფლი(!) წარწყმედული უკუ მოიქცეს. რომელი იშვას, ბედნიერი იყოს...“ 14v—35v.

მინაწერი: „ერმილე წერეთლის ქალი... იშვა ჩუობ ათას რვა[ა]ს-სამოცდათოთხმეტსა წელსა, ოკდობრის ოთხსა დღესა, მთვარის თოთხმეტსა“ (51r).

5103

სერგეი მესხის წერილები

გადატანილია ს. მ ე ს ხ ი ს არქივში № 1—89.

(1813)

5104

აპოკრიფული თხრობანი ძველი და ახალი აღთქმიდან. 1819

188 ფ.; 21,6×16,4; მოლურჯო ქალღლი; ხის ტყავგადაკრული ტფიერული ყდა (ზედა გატეხილი); დაზიანებული (აქა-იქ ფურცლები გაჭრილია, ზოგან ტექსტი მოხეულია); თანაკლული; მხედრული; თარგმნილი სომხურიდან; მთარგმნელ-გადამწერი გორელი გეორგი ვართაპეტი (127r); 1819 წ. (3v); დაუწერლად დატოვებული ფ. ფ. 128—188.

„დაბადება. წიგნი დაბადებისა ცისა და ქვეყნისა, თავი ა. — პირველად განაჩინა ღმერთმან ცაჲ და ქვეყანა, და ქვეყანა იყო უხილავი და მოუშხადებელი და ბნელი იყო ქვეშენელი და სული ღვთისა დადიოდა წყალზედა...“ 4r—128r.

წყდებდა: „...ანგელოზმან, რომ კლდეზედ იჯდა, დაუძახა და უთხრა: შენ ღვთაეცო რასთვის სტირი“...

შენიშვნები: 1. თარგმნილია სომხურიდან გეურქ ვართაპეტის მიერ უწიგურად.

2. თხრობანი ამოღებულია „დაბადებიდან“ და „ოთხთავიდან“.

3. უძღვის „ეო-მეო“-ს ხმაზე, სხვა ხელით, ბიბლიის თემაზე დაწერილი ლექსი. —

„...ევა დავწყევლე რისხვითა: კვნესით შვილ შობდეთ,

შენი ქმრისა მონა იყავ, მას უმცროსობდეთ...“ (1r—3r).

4. დაუწერლად გაშვებულ ფურცლებზე მოიპოვება ბავშვის ხელით შესრულებული ჩანახაზები (ცხენი და სხვ.), ზოგზე — უმნიშვნელო, საოჯახო ჩანაწერები.

ანდერძები: 1. „შესრულდა და აღწერილი იქმნა წიგნი ესე იანერის 3 დღესა, წელსა ჩყით, ქკს ფზ“ (3v).

2. „ამის მთარგმნელს ასე დამწერლად აღმომკითხველნი იცნობდეთ გორელს გეურქ ვართაპეტს ვისმე. და როგორც იყო დაწერილი, იმავე სახედვე გადმოწერით, არ შეეხებთ გამოცვლით, ქება და ანუ გიობა მასვე ეკუთვნის“ (128r).

მინაწერები (უქმყოფილო მკითხველებისა):

1. „არც ამისი დამწერი ცხონდება და არც წამკითხველი“ (128r).

2. „გორელ გეურქ ვართაპეტის ამის ასე დაწერისათვის უნდა გაიკრიბოს, ამიტომ [რომ] ძალიან სულელი ბლიაძე ყოფილა და უცოდინარი“ (128r).

3. „ეო, მეო ამის გადმომწერო! ზევით რისათვისაც გირტავს არა გცოდნია და გიუბედია. ქართული არა გცოდნია და სომხურისა ვერა გსმენია რა. მაშ მოდი დამიჭერე, ზემოთ-ქვემოთ ლაპარაკი იქმარე და რაც საშუალ(?) საგანსა ზედა მარადის ქალწულის მარიამისათვის გაგიბედავს, გირჩევ ჩამოხსნა. მე კი ამას აღარ წაეკითხავ და არც ჩემს სახელს გეტყვი, ამისთვის რომ, ამგვარი ვინმე, ვიცი მეც გამლანძღავ“ (80v).

5105

გაუქმებულია.

(1814)

5106

ავგაროზი. XIX

1 ფ.; 33,5×22 (ავგაროზი შედგება ერთიმეორეზე გადაბმულ 24 წრისაგან. იგი გაკეცილია ვანიფდ 4-ად, სიგრძეზე — 6-ად ნაკეცის r—v-ზე გამოსახული ელიპსური ფორმის ფოთლები); მხედრული; [XIX ს.]; გადამწერი გიორგი.

«ავგაროზი» ებისტოლზე მიწერილი იესუ ქრისტეს მიერ ავგაროზის მიმართ. — ნეტარ ხარ შენ ავგაროზ და ქალაქი შენი, რომელსა ჰრქვიან ედესია, ნეტარ ხარ, რამეთუ ვრწმენა ჩემდა მომართ, რომელი შენნი განკურნოს და ცხოვრება საუკუნო და სიმაართლე მოგმადლოს შენ...“ 1r.

შენიშვნა: 1. «ეპისტოლეს» უძღვის „სახარება იოანესი, თავი ა. — პირუშლითგან იყო სიტყუა, იგი იყო ღისა თანა...“.

2. «ავგაროზი» დაწერილია ვინმე გიორგის მიერ. იგი თავს ავეღრებს წმიდანებს და მათი სახელობის საყდრებს: «ტყუშთა განმათვისუფლებელო და გლახკეთა ქელის აღმპყრობელო, ღვაწლით შემოსილო დიდო მთავარ-მოწამეო გიორგი, მეოხ და მფარველ მექმენ ყოველსა შინა განსაცდელსა და დამიფარე მონა ესე შენი გიორგი».

აქვე ჩამოთვლილია წაა გიორგის სახელობის საყდრები: «წმიდა გიორგი უსანეთისა, გერისთვისა, არბოსი, გორიჯერისა, თელეთისა, ბოქორმისა, ალავერდისა, წყაროსათვისა, დანახვისისა» (1r).

3. ავგაროზის დამწერის ვერება მიმართულია აგრეთვე: «სუტო ცხოუშლო, კუართოვ საუფლო, მირონო წმიდაო; სიონთა ღისმშობელო; ანისხატო პირო ღისაო; წმიდავ ევსტათი ერთაწმიდისაო; წმიდავ შიო მღვიმელო; წმიდავ ნინა ქართველთ განმანათლებელო; მოწესენო და ყოველნო წმიდანო ღისანო, რომელნი დაუცხრომელად აღიდე მრთ(?) უფლისა წინაშე ღრისა, მეოხ მექმენით ყოუშლსა განსაცდელსა შინა და დამიფარეთ მაღლითა თქუშნითა მონა ღისა გიორგი» (1v).

ანდერძი: «წმიდისა ეპისტოლის მაღლო, დამიფარე მონა ღისა გიორგი» (1r).

5107

ლევ ტოლსტოის წერილი ილ. ნაკაშიძესთან

გადატანილია Ros—129.

(1815)

5108

წერის დედანი. XIX

9 ფ.; 21,3×30; ქალაღი; უყდო; კიდებ-შემოცვეთილი; ასომთავრული და მხედრული; [XIX საუკუნის 80-იანი წწ.]; გადაწერილ-გადახატული «ნაყოლოზ» [ორბელიანის] მიერ შედგენილი «დენდიდან» ივანე ბარნაბიშვილის ხელით.

წერის დედანი «ღმერთი არს უსხეულო და ყოვლითურთ სრული არსება...»

ოდეს ჩვენ კმაყოფილ ვიმყოფებით, მაშინ ყოველივე გუახარებს...»
1r—9r.

შენიშვნები: 1. პირველი ფურცლის ცენტრში მოთავსებულია წერის დედნის შემდგენლის სახელი «ნიკოლოზ», შესრულებული ასომთავრულით, ხეუღლად. მის ირველივ, მთავრული დაწერილობითვე, მოთავსებულია შემდეგი ტექსტი: «...დაღადებს მიმადლებულო წაო ქალწულო, გიხაროდენ და კუღლად გიხაროდენ...».

2. გადაბმული დაწერილობისათვის განკუთვნილ, ზემოთ მოტანილ ტექსტებს უძღვის: ა. ანბანი მხედრული, ნუსხური (2r). ბ. ანბანი მთავრული, კვლავ მხედრული და ნუსხური (3r).

ერთვის: ა. ჩართული, მთავრული დაწერილობის ნიმუშები (7r). ბ. მხატვრულად შესრულებული მთავრული საზედაო ასოების ნიმუშები (8r. ზოგიერთი მათგანის მოხაზულობა იწყება ფრინველის თავის გამოსახვით, ზოგი — მძრომისა).

გ. მთავრული საზედაო, საღად (შავად) შეფერილი, ასოების ნიმუშები (9r).

3. მხატვრულად შესრულებულ საზედაო ასოებს წარწერილი აქვს: «უძვირფასესი ჩუქება ყრმათა» (8r).

4. წერის დედნის ეს ნუსხა, როგორც მინაწერებიდან ირკვევა, ივანე ბარნაბიშვილის ხელითაა შესრულებული. იგი, ამ შემთხვევაში გადაწერ-გამახატავია; ამასთანავე, მას უნდა ეკუთვნოდეს საზედაო ასოები წარწერით:

„უძვირფასესი ჩუქება ყრმათა“ (8r) და მთავრული საზედაო ასოები (9r). სხვა მართი ეს ნუსხა მისდევს გავრცელებულ „წერის დედანს“. შდ. S—5127.

5. ივანე ბარნაბიშვილი მოღვაწეობდა XIX ს-ის 80—90-იან წლებში.
მინაწერები: 1. „დამწერი ამა «პროპისისა» იყო მეშვიდეში, ძალიან ყოჩაღი ყოვლიფრით. სახელი მისი გამოაცხადო ივან ბარნაბოვი“ (9v).

2. „სახსოვრად თვისის სახელისა ვაჩუქე ესე «პროპის» მიხეილ ციკლაუროვსა საკუთარი შრომა მე, ივან ბარნაბიშვილი“ (8v. მინაწერი ავტოგრაფულია).

(1816)

5109

ორბელიანი სულხან-საბა, სიტყვის კონა. XVIII

(გრცელი რედაქცია)

178 ფ.; 35,8×21; ქალაღი; მუყაოს ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა; მხედრული (განსამარტვ სიტყვათა პირველი ასო და მოწმობანი სინგურით); [XVIII ს.].

სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა. — „ანი არს პირველი ასო და კმიანი და ართრონი მრავალრიგად და თავად მოვალს ყოველთა სიტყუათა და ბოლოდცა, ვითარცა ზემორ დამიწერია.

ა ა 18 კავშირში: ვაი, ვაი. იხილე აქა, თუ ვითარ განჰყოფს აობასა და მყოფსა. მყოფი ზოგადი სახელი არს არსებისა...

ააბი აბმა უყავ

ააბნიე ზე შეაბნიე

ააბრუნე ზე შეაქციე

ააგღე ზე შეისროლე

ააგე აგება ჰყავ...“ 4r—173r.

შენიშვნები: 1. უძღვის: ა. [ანბანი პირველად სასწავლო-ყრმათათვის]. აქ, პირველ სვეტში, მოცემულია ქართული ანბანის სრული სახელწოდებანი, მეორეში — ანბანი (ასოები) მათი რიცხვობრივი გამოსახვით. მესამე და მეოთხე სვეტში, შემდეგ, მიწერილია სომხური ანბანი (2r).

ბ. [ნულა და ქართული რიცხვი...] (2v—3r).

გ. „საქციენი ზუთთა კმიანთა ასოთანი და სხვათა თავბოლოთანი“ (3r).

დ. „ანდერძნამაგი“ (3r—v).

ე. „ქარავანი“ (3v).

ვ. «ოთხნი ნიშანი ქვეყნის მზომელობისა» (3v).

ზ. „სეც ნიშანი სადაცა სხენან, მიგასწავლის ცხოველი არს, თუ მცენარე“ (3v—4r).

თ. „სადა კიდურთა წითლულითა უწერია რომელსაცა წიგნში, ძნელი სიტყვა არს... მე ვერ გამოვთარგმნე“ (4r).

ი. [გეოგრაფიული პუნქტების სივრცე-განედების მაუწყებელი ნიშნები] (4r).

2. ერთვის: ა. Curriculum vitae (173r).

ბ. „იესო ქრისტეს სამოცდათორმეტი მოწაფეთ სახელები...“ (173v—174r).

გ. „მეფის ვახტანგისა. —

სიყრმიტან იყო მუდამად სიბრძნის სწავლის[ა] მსახველი...“.

დ. „მისივე. —

რადგან დაშურა ასრე საბა, ქება მმართვეს აწყა მეცა...“ (174r).

ე. „საბას ნათქვამი. —

ამ ლექსიკონის რიგები თუ ბრძენთა დამიწუნოთა,

ჩემს ღროს ვეძიე ვერ შევხული თქვენთანას დასარწმუნოთა...“ (174r).

ვ. „მოკლენი, რომელნი არიან ქართულნი და მრავალთამე არღარ უწოდენ და დავიწყებთის და სხვათა, თურქთა ენათაგან მოუღიეს“ (174v).

ზ. [წელთაღრიცხვანი] „დასაბამითგან ქრისტეს მოსლვამდე ქართულის რიცხვითა გარდაცა წელიწადი ხუთი ათას ასოთხმოცდა ათხუთმეტი — 5198(1)...“ (174v—175r).

შ. ტექსტები ნარდის ქვებით თამაშისათვის:

1. „მოურნე მარიამ განწმედს ვეცხლისაებრ ბერთა (მ).“

11. „მკნედ არს მიუწყენელ მოსავთა მისთა მწედ ერთა (ი).“

3. „კაცი გ. კენჭი კვდ:

ადექ ბეთან შავი ცხენი ჭიტას მიეც“ (175r).

თ. „განჯაფისა და მისის თამაშობის სახელები ქართულად და თათრულად“ (175r).

ი. [უცხო ტერმინთა განმარტებანი] „გეომეტრი — ქუეყნის მზომელი...“ (175r).

ია. [სახმართ სახელები, ესეცა გარდაცვლილი]:

ზირანდაზი ოგი.

[თ] აჭფუჩი კასტორი.

ფეინდაზი საყლე...“ (175r—v).

3. საბას ლექსიკონის ეს ნუსხა 1880 წელს ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძეს მიუღია საჩუქრად გრიგოლ მკვედელი შვილისგან. დ. ბაქრაძეს 80—90-იან წლებში უმუშევანია ლექსიკონის შეესებაზე. ამ ცალკე მას შეუტანია ახალი სიტყვები ციტატებითა და განმარტებებით. ლექსიკური მასალა აღებულია ძირითადად „ქართლის ცხოვრებიდან“, განსაკუთრებით ბევრი გვხვდება ქართული გეოგრაფიული სახელები. ისტორიკოსი თავის შენიშვნებსა და განმარტებებში ასახელებს რუსულსა და უცხოურ ლიტერატურას. მისი ჩამატება-განმარტებანი ენციკლოპედიური ხასიათისაა.

4. ლექსიკონის ბოლო დანართში, სადაც მოცემულია წელთაღრიცხვანი, პირველი პუნქტის დასასრულს (იხ. აქვე, შენ. 2, ზ) დ. ბაქრაძე შენიშნავს: „ეს შეცდომაა: ქრისტეს მოსვლამდე დასაბამიდან გარდახდა 5604 წ.“ (174v).

5. დ. ბაქრაძეს რამდენიმე შენიშვნა მოუთავსებია ხელნაწერის პირველ, თავისუფალ გვერდზეც. მას ჩამოწერილი აქვს ქართულის სომხურთან თანხვედრილი სიტყვები და მათ სომხურს უწოდებს. ასევე, მოტანილია რიგი ბერძნული სიტყვებისა. ამთგან (სომხურთან თანხვედრილი ბერძნული) ნაწილი შესულია საბას ლექსიკონში.

მოვიტანთ აღნიშნული მასალის ნაწილს იმ რიგით, როგორც ხელნაწერშია:

«Иностранн. слова в груз. словаре:

I армянскийя

აბა ну
 აბელი
 აბუჩაღაჯი, აბუჩი гость незвнн
 აგარაკი
 აგური
 ავაჭა
 ავაზი ხარე
 ავაზაკი
 აზარმაცი рычаг
 აზნაური...

II греческия

აგენიტოს
 აედონი
 ავინი
 ავტომატობა
 აიაზმა
 აეთისტო
 ავაკი
 ავინაკი
 აკოლოთია
 აკრა
 აკროსტიხი...“

ამავე გვერდზე მოთავსებულია:

ა. „Армянс. влиян.

I. ზადიკი армяне. см. Д. смот. XII, 4.

II. арм. надписи в Сиони в Атенск., Эребви.

III. В Джрудск. еванг. имя И. Х. по груз., по арм., и по греч.

IV. ტანუტერი в Тао и Кларджети, Ц. свита? клык. V. arch. XII, 84. еванг. и в акте Олизы

V....

VI. და რანიცა წიგნი გვაქენდეს მათგან (სომეხთაგან) თარგმნილი. См. გ'ი შთაწმ., მამ. ცხ. III.

ბ. წინადადების განლაგებისა და ზმნების ხმარების ნიმუშები ძველ ქართულში:

„Страение (!) речи стараа (!):

...რომლისა და ბრძანებულ არს, გრ. ღ'თ. 345. ვითარცა ძველისაწერა ყოველთა და საცნაურ არს სვ. 306.

...

დაბრკოლებოდედ ...

წიგნი აღეწერნეს რიცხუდითა სიტყვათ სვ. 10. აბრლებედ, იტყვიედ, არიედ...“

6. მისთვის განსაკუთრებით საყურადღებო განმარტებას ან სიტყვას დ. ბაქრაძე უსვამს NB-ს. პირველსავე გვერდზე ამ ნიშნით აღნიშნული აქვს: „NB. Объяснение мужск. и женск. рода, см. მანა. В женск. р. см. ხარკი მდღერი“.

ეს მითითება განეკუთვნება საბას ლექსიკონში წარმოდგენილ განმარტებას.

7. ხელნაწერის ყდებზე შიგნიდან და ბოლოს ჩაკრულია დ. ბაქრაძის ამონაწერები «აქტებიდან» და უცხოური ლიტერატურიდან. უკანასკნელი ეხება გეოგრაფიულ სახელებს, ხოლო პირველი ეახტანგის «სამართალს»: „Законы царя Вахтанга, Акты К. Арх. ком.“ (176r—178r).

ლექსიკონის ბოლო ფურცლის თავისუფალ ადგილზე მიწებებულია ნაბეჭდი წიგნიდან ამოკრალი: „Ключ к магометанскому Календарю“ (175v).

5110

Законы царя Вахтанга

გადატანილია დ. ბაქრაძის არქივში № 62.

5111

Некоторые примечательные донесения госуд. императору от инфантерии кн. Цицианова, бывшего в Грузии главноуправляющим.

გადატანილია Ros—131.

5112

Записки Александра Чавчавадзе.

გადატანილია Ros—132.

5113

Отзывы комиссии о том, какие статьи из законов царя Вахтанга должны быть внесены в кодекс русских законов для Закавказского края.

გადატანილია Ros—133.

5114

Генеалогия грузинских царей.

გადატანილია Ros—134.

5115

Грузинская грамота в русском переводе.

გადატანილია Ros—135.

5116

Повествование о страдании и подвиги святых славных мучеников
Давида и Константина, соч. П. Иоселиани.

გადატანილია პლ. იოსელიანის არქივში, № 17.

5117

Жинвани, соч. П. Иоселиани.

გადატანილია პლ. იოსელიანის არქივში, № 32.

(1817)

5118

ქართველი წმინდანები. XIX

12 ფ.; 34×21,5; ქალღი (სხვადასხვა ზომის, თეთრი და ლურჯი); უცხო;
დაფურცვლილი; მხედრული (სხვადასხვა ხელით ქართულსა და რუსულ ენებზე);
XIX ს. [კვირნიშანი 1832]; 6rv დაუწერელია.

1. „ქართველთ წმინდანი. — სექდემბრის იგ, წმიდისა მოწამისა ქეთეონ დედოფლისა.

იგ. ღირსისა მამისა ჩვენისა აბბა იოსებისა ალავერდელისა, ათორმეტთა მამათავანისა...“ 2rv.

შენიშვნები: 1. ამ ფურცელზე ამოწერილია ქართველი წმინდანების სახე-
ლები, მათთვის დაწესებული ღღის (რიცხვისა და თვის) აღნიშვნით — სექტემ-
ბრიდან აგვისტოს ჩათვლით.

2. ერთვის, ასევე, ქართველ წმინდანთა სია, წამების თარიღის აღნიშვნით. —
„ქეთევან დედოფალი — 1624; მამა აბბა იოსებ — 579...“ (3rv).

2. „აღწერა ქართველთა წმიდათა, რომელნიცა რუსეთის ეკკლესიასა შინა არა ცნობილ არიან. —

	სექდემბრისა	
13.	წმიდისა დიდისა მოწამისა დედოფლის ქეთევანისა, რომელიცა იყო ასული აშოთან ბაგრატიონისა, ქართლის მეფეთავანისა დ დედოფალი კახეთისა, მეუღლე დავით მეფისა, რომელიცა იწამა სპარსთა მეფისა პირველისა შაჰაბაზისგან...“	1624. ...“ 4r—5v.

შენიშვნები: 1. აქ მოცემულია უფრო ვრცელი ცნობები თვით მარტვილთა შესახებ.

2. ერთვის სია „ძველს მოთხრობაში 12 მამანი. — შიო მღვიმელი, დავით გარეჯელი, იოსებ ალავერდელი...“ (5v).

3. აქვეა „შეიხწყავე, რამეთუ ძველს მოთხრობაში სახელნი აღწერილ არიან ანტიოქიას უდაბნოსა ღირსისა იოანესსა. ხოლო შემდგომად აღწერილთა სხუთთა მოთხრობათა შინა სახელთა განსხვავების მიზეზი არს ესე, რომელ ქანსა

პირუშლისა აღწერისასა ვიეთანიმე ჭერეთ არა ყოფილან შემოსილნი სქემითა და შემდგომად შემოსისა მისისა მისცემიეს სხუანი სახელნი“ (5v).

4. ერთვის «აღწერა ქართველთა წმიდათა»-ს რუსული თარგმანი:

ა. „Список грузинских святых, коих Росийская церковь не празднует. сентябрь, 13. Святой великомученицы царицы Кетеваны...“ (7r—8v).

ბ. „Список грузинских святых, празднуемых собственно церковью Иверского. т. е. в Грузии, Имеретии и проч. Выписано из разных часослов, Январь. — Св. Аббо. Он был родом из Персиян...“ (9r—10r).

გ. იგივე სხვა ხელით (რუსულადვე, 11r—12v).

5. თავფურცელზე წარწერილია:

„Список Грузинских святых“ (1r).

5119

Пшавия. описание историко-этнографическое.

გადატანილია პლ. იოსელიანის არქივში, № 16.

5120

Краткое жизнеописание святых Грузинской церкви.

გადატანილია პლ. იოსელიანის არქივში, № 15.

5121

Грамоты персидских шахов в русском переводе.

გადატანილია Ros—136.

5122

Переписка армянских католиков с грузинскими царственными особами.

გადატანილია Ros—137.

5123

Повествование о военных действиях царя Ираклия II-го.

გადატანილია Ros. № 138. იხ. აქტი 1954 წლის 10.XI.

5124

ისტორიული გამოხატულება საქართველოსა 1802 წ.

გადატანილია Ros—139.

(1818)

5125

ცხოვრება და წამება წა მარინასი. 1849

36 ფ.; 7,4×8; ქაღალდი; უყვო; დაზიანებული (პირველი და უკანასკნელი გვერდი ძნელად იკითხება, მელანი გახუნებულია); მხედრული; 1849 წ. (1v).

„ცხოვრება და წამება ქალწულისა მოწამისა მარინასი(!), თვესა ივლისსა, ჩემთ, დასაწყისი პირველი ღირსისა მარინისა. —

თვით მშვენიერი, ბრწყინვალე, იყო უფლისა ნებისა,
 ქალწული წმინდა, მლოცველი იყო ქრისტეს წამებისა... 1v.
 დავიწყით სახითო(!) წერილი, ვახსენით წმინდა სამება,
 თვესა ივლისსა ჩვიდმეტსა ღირსის მარინის წამება...“ 2r—36v.
 წყდებ: „...ჴ წმინდაო მოწამეო, საშინელო“...

შენიშვნა: გალექსილი «ცხოვრება» დაწერილია გაბმით. წმინდა მარინას
 „ცხოვრება“ გალექსა იოსებ თბილელმა (იხ. კ. კეკელიძე, ძველი
 ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, 1960 წ., გვ. 616).

(1819)

5126

კრებული. 1846—1848

01+71 ფ.; 22×17,5; ქაღალდი; უყლო; დაზიანებული (ფ. 01-ს სივრცეზე
 ნახევარი, ხოლო ფ. 21-სა და 58-ს ქვედა კუთხე მოხეული და დაკარგული აქვს;
 პირველი ფურცელი მოვარდნილია, ირგვლივ შემოკვეთილი და გახუნებული;
 დასაწყისი და ბოლო ფურცლები გაყვითლებულ-დალაქავებულნი); მხედრული
 (სხვადასხვა ხელით); 1846, 1848 წწ. (44rv); ვადაწყერი: ელისაბედ ჩუბინაშვილი
 (44r), სალომე და მანანა გვარამაძეები (54v, 70r).

1. «ბარამიანი» „...ბულთ ხემწიფისა ქიშვარდ... და ბარამ ფალავნისა
 ქვეყანასა ურგულეთისა... ხემწიფე ქიშვარ მორჭმული, გამდიდრებული ...ისაგან
 გალაღებული, ღეთისაგან არა აკლდა რა...“ 1r—44r.

2. „ჯვარცმის ანბანი და ტირილი ღეთის მშობლისა—
 მოღით ყოველნო შვილმკვდარნო დედანო, გაიყარენით,
 შამწყნარებელი აწ თქვენი მარამ შაწყნარენით...“ 44rv.

3. „წამება და წიგნი პატოსანისა თეიმურა[ა]ზისა დედისა ქეთევან-
 ნისა, თქმული მეფისაგანვე ძისა მისისა თეიმურა[ა]ზისა, სუფევითამ-
 ცა. —

ღმერთო ცისა და ქვეყნისა საბრუნავითა მაქცეო,
 ზე ამართულთა ყოველთა დამცემო, გარდამაქცეო...“ 44v—54v.

შენიშვნა: პოემა დაბეჭდილია, იხ. თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრულ-
 ლი კრებული, აღ. ბარამიძისა და გ. ჯაფარიძის რედაქციით, 1934, გვ. გვ. 126—137.

4. „ანბანთქება ამიციანად მეფისა მისივე ნათქვამი თეიმურ-
 რა[ა]ზისაგან. —

აღესძრათ სიტყვა საცნობელი, არცა ძნიად გამოჩნდების,
 აწ უძრ[ა]ხით პირმეტყველთა უტყუერისგან რათ ტყუედების“...
 54v—58v.

შენიშვნა: ეს ანბანთქება ექუთენის თეიმურაზ II-ს და არა თეიმურაზ I-ს,
 იხ. თეიმურაზ II, თხზულებათა სრული კრებული, გიორგი ჯაფარიძის რე-
 დაქციით, 1939 (ანბანთქება 3), გვ. 126—130.

5. „ვარდ-ბულბული. ლექსი მუნასიბი, ტკბილად გაწყობილი, მსმე-
 ნელთათვის სასიამოვნო ვარდ-ბულბული გაბჭობა, ნათქვამი
 ღვთივ გვირგვინსანისა მეფის, პატოსანის, დიდისა თეიმურა[ა]-
 ზისა, სუფ[ე]ვითამც [ჰ]ყო უფალმა. —

ჴე [ა]რსისა შემოქმედო, შენგან არის ყოვლის ფერი,
 ცა, ქვეყანა, ზღვა და ხმელი, დარი მზისა მონათენი...“ 58v—70r.

შენიშვნა: დაბეჭდილია. იხ. თეიმურაზ I თხზულებათა დასახელებული გამოცემა, გვ. გვ. 3—14.

6. „**ვ ა ი ს მ ე ნ ა ს ა მ ო მ ლ ო დ ი ნ ე ს ა.** —
ვ ა ი ს მ ე ნ ა ს ა მ ო მ ლ ო დ ი ნ ე ს ა ლ ა მ ა ზ ი ს ა ქ ი კ ე ქ ი ც ი ს ა ს ა,
ვ ა ი დ ა ც ლ ი ლ ს ა მ ნ ა ხ ა ე ს ა ი მ უ ც ხ ო ს ყ ა ფ ა ზ ი ს ა ს ა...“ 70r—71r.

შენიშვნა: საცავი ფურცლის შემორჩენილ ნახევარზე მიწერილი არა ტექსტის ხელით:

«მუხანბაზი». —

„რა მხატვარმა დახატა შენი სახენი,
ფეხში ჩამიგდეს ბორკილ-მახენი,
აღვის ხე ხარ აღმოსული სახენი,
მე ხომ შევიტყე ეგ შენი ქება, შენი.
ეშხითაც ცეცხლი შედება, საწყალი ჩემი გული,
ქვეყანა შენთვის კვდება, დაგნატრიან როსტომ და ზაალევი,
ცეცხლ შეადგან, ამოდის ალები.“

გათავდა. ეს მუხანბაზი ეკუთვნის იასონ იოანიძეს“ (01r).

ანდერძები: 1. „აღიწერა ესე ბარამიანი ჩუბინოვის ასულის ელისაბე დისაგანა წელსა(!) თებერვლის ბ, ჩემვ“ (44r).

2. „ჩემვ, თვესა თიბათე[ეს] აღიწერა“ (44v).

3. „განრულდა წამება ქეთევან დედოფლისა სალომე გვარ[ა]მადის ასულის ხელით“ (54v).

4. „ღმერთო შენ შემიწყალე გვარ[ა]მადის ასული სალომე; გვარ[ა]-მადის და მანანა“ (70r).

შენიშვნა: აქ სახელი სალომე გადახაზულია.

(1820)

5127

წერის დედანი. XIX

10 ფ.; 21,5×34; ქალღი; უყდო; ლაქებიანი, ქვედა კიდე შემოდრღნილი; ასომთავრული და მხედრული; [XIX საუკუნის დამდეგი].

წერის დედანი, [ტექსტები, გადაბმის ნიმუშები]:

1. „ღმერთი არს უსხეულო და ყოვლითურთ სრული არსება...“ 4r.
2. „სიმდიდრე არს ორღანო ყოველთა ენებათა...“ 5r.
3. „კმაყოფილ იქმენ მით, რაფცა გაქუს...“ 6r.
4. „ოდესცა კაცი განამშვენიერებს თავსა თვისსა ყოველთაგან კეთილთა საქმეთა...“ 7r.
5. „ოდეს ჩვენ კმაყოფილ ვიმყოფებით, მაშინ ყოველივე გუახარებს...“ 8r.
6. „უმჯობეს არს მიღება მცირისა საჩუქრისა მინიჭებულისა კეთილის გულისაგან...“ 9r.
7. „კაცი ჰრაცხს მუშაკობასა შრომად და მაშასადამე მტრად თვისისა განსვენებისასა...“ 10r.

შენიშვნები: 1. უძღვის: ა. ანბანი მხედრული (1r).

ბ. მთავრული ასოებით ხვეულად დაწერილი სახელი «ნიკოლოზ» (ამ, მხატვრულად შესრულებულ დაწერილობას უკავია მთელი გვერდი და გამოხატავს «დედნის» შემდგენლის ნიკოლოზ ორბელიანის სახელს). კიდევ მთავრულითვე შემოწერილია: „... მიმადლებულო წმიდაო ქალწულო, გიხაროდენ და კუალად გიხაროდენ, ძე შენი აღსდგა...“ (2r).

გ. ანბანი მთავრული (3r).

2. გარეკანზე გამოსახულია ბატის ფრთა და ჭვარი. მათ შორის წერია: „პროპო სიქართელი [ი პროპისი ქართული]. „წერის დედნს“ ეს სათაური არ შეიძლება ეკუთვნოდეს შემდგენელს.

3. გარეკანზევე ფაქტით მიწერილია: „ტარასი არქიმანდრიტის შედგენილი“ (01r).

4. წერის ნიმუშებში ნაჩვენებია გადაბმები გავს ტარასი არქიმანდრიტის მამის სოლომონ ალექსი-მესხიშვილის შედგენის გადაბმებს.

მინაწერი: „სვიმონ ხორბალაძისაგა[ნ?] ქართული [წერის] დედანი“.

(1821)

5128

ყარამანიანი. XIX

64 ფ.; 22,3×17; მოლურჯო ქალაღი; უყდო; დეფექტური (აყლია თავსა და ბოლოში, აგრეთვე, ფ. ფ. 13—14-ს შორის; ლაქებიანი, ფ. ფ. 40 და 58 გახეულია შუაზე; ფ. ფ. 28—29-ს კუთხე ტექსტით მოხეული აქვს; ფ. 60-ის ქვედა ნაწილი მოხეულია და ძაფით მიბლანდული); მხედრული; XIX საუკუნის პირველი მეოთხედი (ქვირნიშანი 1809, 1810).

«ყარამანიანი» „...სადაცა ბარამ ჯიბილი თავისითა საყვარლითა ქედ ექმნა. [მ]ეფე და ლაშქარი ერთობით მას ალაგს შეიყარნენ...“ 1r—64v.

წყდება: „...ამა საჭიროსა გზასა ნულარ წახვალო. ფალ[ა]ვ[ა]ნმან უპასუხა: შაფალი, ოდეს უშანგ კელმწიფესა გამოვეყარე, ესე პირობა“... (თავიდან „ყარი ყარამანისაგან და სხვათაგან ფალ[ა]ვ[ა]ნთაგ[ა]ნცა შაფალი-ფერის შემწვედ მისგლა და ომთა ძლიერთა ამბავი).

შენიშვნა: თხზულება გამოცემულია ორჯერ: „ყარამანიანი“, სპარსულიდან ქართულად ნათარგმნი სალთხუცის და სარდლის თავ. დავით ორბელიანისაგან, 1875. 1965 წ. „ყარამანიანი“ გამოიცა ალ. გვახარიასა და ს. ცაიშვილის შიერ.

(1822)

5129

აბაშიძე გრიგოლ, ლექსები. XIX

67 ფ.; 21,6×17,5; ქალაღი; მუყაოს ყდინი, ცალხაზიანი საერთო რვეული; დაზიანებული (ზედა ყდს ნახევარი მოხეული აქვს; ფ. ფ. 8, 9, 31, 32 ამოცვენილია; მე-19 ფურცელი გახეულია, ტექსტის შუა ნაწილი დაკარგულია; ამოხეულია ფ. ფ. მე-19 ფ.-ის წინ, 24-სა და 25-ს, 33-სა და 34-ს და 33-სა და 39-ს შორის; მხედრული, ნაწილობრივ ავტოგრაფული (ავტოგრაფებია: 39r, 48r—v, 51r, 57v—58r); [XIX საუკუნის 90-იანი წწ.]; დაუწერელია 39v—45v, 46v—47v, 49r—50v, 51v—57r, 58v—67v.

[აბაშიძე გრიგოლ, ლექსები]. —

1. „ყარდი. —

«რავარდმან თვისი ყვაველი გახმოს, დამქნაროსა,
 იგი წაე და სხვა მოეა ტურფასა საბაღნაროსა

რუსთველი».

ჩემის სახლის წინ მქონდა ბაღი უცხოთ მორთული,
 ტურფა, კეკლუცი, ყვაველთ საესე, ხეხილით რგული... 1r—2r.

2. ოხ, მარგალიტავ (ფრანგულიდამ). —

ოხ, მარგალიტავ, ჩემო ძვირფასო!

- ნუ, ნუ დამიწლი მე შენსა ცქერას...“ 2r—5r.
3. „ა რ ა კ ი. —
 ცხრა მთის და ცხრა ზღვის გაღალმა,
 გადაკარგულსა მხარესა...“ 5r—7v.
4. „გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი. —
 განახლდა ქვეყნის კვლავ სული,
 გადურჩა თოვლს და ყინვასა...“ 7v—8r.
5. [მ ს უ რ და შე ნ ს თ ხ ო ვ ნ ა ს]. —
 „მსურდა შენს თხოვნას არ განესდგომოდი,
 აღარ მენახე, არ მყვარებოდი...“ 8v—9r.
- შენიშვნა: ნასწორებია და შევსებული ავტორის ხელით.
6. „ო რ ი მ ნ ა ტ ვ რ ე ლ ი. —
 დამჯდარა ყვაი ვარდის ძირს,
 გაპხჩხაეის(!) თვის «ყვა, ყვა»-სა!...“ 9v—10r.
7. „ს ა მ ი მ გ ზ ა ვ რ ი (თარგმანი). —
 შორის ქვეყნიდან სამშობლოში დაბრუნებულნი,
 მოხუცს დედაკაცს კარს მიადგენ მგზავრნი ცნობილნი...“ 10v—11r.
8. „ს ი ზ მ ა რ ი. —
 განახე და შემიყვარდი
 ეშხის ტრფობის ბალნარო...“ 11r—12r.
9. „გ ა მ ო თ ხ ო ვ ე ბ ა, №...ს. —
 მშვიდობით, ბედმა გადასჭრა... ცრემლები მომდის მღუღარე,
 გტოვებ შენ, ჩემო ღვთაებავ, ჩემო ვარსკვლავო და მთვარე...“
 12r—13r.
10. „მ ე ს ტ ვ ი რ ე ს. —
 ნეტავ შენ, ჩემო მესტვირე,
 დარდი არა გაქვს არაფრის...“ 13r—v.
11. „უ ძ ლ ე ნ ი კ ნ. ნ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ა ს. —
 სულ მუდამ დღე ნალელიანი სიმღერა!..
 რა დაგჩემდა? რად გამწარდი? რა არი?...“ 14r—v.
12. „დ ი ლ ა. —
 სტყორცნა ცის ლურჯსა კამარას დილის მზემ თვისი ისრები,
 აღდგომის კვერცხებრ შეღება ნაგლეჯ-ნაგლეჯი ღრუბლებით...“ 15r—v.
13. „უ დ ა რ დ ე ლ ი დ ღ ე. —
 შორს დარდებო, შორს, ნუ მომეკარებით,
 დღეს მე გჯობნით, დღეს ვერ მომკლავთ წვალებით!..“ 16r.
14. „ლ ე რ მ ო ნ ტ ო ვ ი დ ა მ. —
 წყნარი ღამეა... მარტო ვარ ველად,
 კაეისა შარა ნისლში მოელავს...“ 16r—v.
15. „№-ს [ს ი დ გ ა ნ მ ო ფ რ ი ნ დ ი].
 სიღვან მოფრინდი, სად, ვისთან,
 ვის მაცოცხლებლად, ვის მკვლელად?...“ 17r—v.
16. [ე ხ, ღ მ ე რ თ ო ჩ ე მ ო]. —
 „ეხ, ღმერთო ჩემო! ცხოვრება

რა გვარად აშლილ-ღაშლილი...“ 17v—18v.

17. ლექსი (თავნაკლული). —

„...გამომართელებს და ჰაყვავილებს
იმედის სხივით გარემოცული...“

შენიშვნა: ამ ლექსს თავიკ მოხეული აქვს და შუა ნაწილიც.

18. [და ე ხ ა ლ ხ ი ს ხ მ ა ს]. —

„დაე ხალხის ხმას ის შეუშინდეს,
ვისაც რომ რწმენა აქვს შებღალული...“ 19r—v.

შენიშვნა: ამ ფურცლის შუა ნაწილის კვების გამო გაურკვეველია ეს ლექსი, შემოთ მოტანილი თავნაკლული ლექსის ნაწილია, თუ დამოუკიდებელი თხზულება?

19. „გ ა ტ ე ხ ი ლ ი ვ ა ზ ა (სიული პრუდომიდან) [ვ]უძღვნი გრ. დ-ძეს.—

შენე ამ ვაზას... ოჰ, რა ნაირად
ვართ თაიგული მასში დამჰქნარა...“ 20r—v.

20. „გ ა დ ი ა .

[ვ]უძღვნი ჩემს პატარა მეგობარს გრ. ვლადოს ძეს აბაშიძეს. —

ჩრდილში ხალიჩა-ქეჩაზე მუთაქა უშნოდ აგდია,
ზედ ჰწევს თმათეთრი, თვალჩინხა. ტვინგამომხმარი გადია...“
20v—21v.

21. №... [ვ გ რ ძ ნ ო ბ მ ო დ ი ს დ ლ ე]. —

„ვგრძნობ მოდის დღე, როდესაც მე
განეშორდები წუთისოფელს...“ 21v—22r.

22. „ჯ უ რ ღ მ უ ლ შ ი (გიუგოდამ). —

მაგრად წერაქო, რაც რომ გაქვს ძალი
კაქს ზე დაეცი, იგრძნობს ის წუხილს...“ 22v.

23. [რ ა დ ა ვ უ შ ა ვ ე]. —

„რა დავუშავე სულ-მდაბალს,
რას მემართლება ნეტავი?..“ 23r—24r.

24. „შ ო ბ ა . —

უმრავლესი მიდის წელი
ქრისტე ღმერთის შობის დღიდგან...“ 24r—v.

25. „მ ი ბ ა ძ ე ა . —

«ცრემლით ამევსო ქამანჩა,
კვნესით და ოხვრით სტვირიო»,
დღემდისაც ახალ დროს ვგმობდი,
და ახლაც იმას ვსტვირიო!...“ 25r.

26. „ა ლ ბ ო მ შ ი (მ. მ.). —

ნუ გინდა ვარდი, ნურც ია,
ნურც ხვავი ოქრო-თვალისა...“ 25v.

27. „ლ ე რ მ ო ნ ტ ო ვ ი დ ა მ . —

ოდეს ბიბინებს ოქროსფერად პური, მღელავი,
ამწვანებული ტყეც ნიავით შრიალებს წყნარად...“ 26r.

28. „პ ი რ ვ ე ლ ი ს ი ნ ა ნ უ ლ ი . —

მთვარე ღრუბელმა დ[ა]ჰფარა,

განჰქრენ სხივები, წყვილიადით
გარდაიმოსა ფანჯარა...“ 26v.

29. „ქ ს პ რ ო მ ტ ი.

(ქუთაისის სამეურნ[ე]ო სკოლის დაარსების დღეს). —
აწმყოს ძალ-ლონე, ნუგეშო,
მომავლის საიმედებო...“ 27r—v.

30. „გ უ ლ ს. —

გამხნევი გულო... ბევრი სთქვეს შენზე,
ბეერ-გვარს ცუდს და ავს კიდევ იტყვიან...“ 28r—29r.

31. „უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი ვ ა რ დ ი (ტომას მურისა). —

უკანასკნელი ვარდთაგანი სევდით მოცული
მწვანე ფოთლებში ნაზათა ჰორთის, მათში ჰმაღავს თავს...“ 30r—v.

32. [ე ხ, ღ მ ე რ თ ო ჩ ე მ ო]. —

„ეხ, ღმერთო ჩემო! ცხოვრება
არ გავს საერო ღზენასა...“ 31r—v.

33. „ი მ ე დ ი (პოემიდან «მარიაშ», დასაწყისი XIII და დასასრული
XIV საუკუნისა). —

ღედა ქართველის[ა] გამხნევებული
შვილს აიმედებს და ეუბნება...“ 31v—32v.

34. [თ ვ ა ლ ე ბ ი]. —

„...იმავე დროს გულს ჰხიბლავენ
და ცრემლსაც ვთვლი ნეტარებად...“ 33r—v.

35. „ო რ ი ლ ო ც ვ ა. —

I

ღმერთო ძლიერო, ახალგაზრდა სულით და გულით
შენდმი(!) აღვაღვენ სასობას, თაყვანისცემას...“ 33v—34r.

II

ღმერთო ძლიერო, დავრდომილი, დაბრმავებული
მეფე სნეული სამარისკენ მივჰყევარ სიკვდილს...“ 34v—35r.

36. „ღ მ ე რ თ ი დ ი დ ი ა რ ს ძ ლ ი ე რ ი. —

რა გინდა ყვაო, რას მერჩი,
რად მიშლი ჰიკჰის, გალობას?...“ 36r—37r.

37. „ს ი მ ღ ე რ ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ჯ ა რ ი ს ა, როდესაც სპარსელები და-
ამარცხა და გამარჯვებული დაბრუნდა ომიდან. —

ცამ გადიყარა ღრუბელი,
სული იბრუნა ბუნებამ...“ 37v—38v.

38. „ი ტ ა ლ ი ა ნ უ რ ი დ ა მ [რომ გაზაფხულ და]. —

რომ გაზაფხულდა, ჩემს წალკოტში,
ამწვანებულსა, აყვავებულში...“ 39r.

შენიშვნები: 1. ერთი ხალხური სიმღერის შესახებ გრიგოლ აბაშიძე
წერს: „ეს ლექსი ჩემი კი არ არის, არამედ ხალხურია; მხოლოდ ჩემ მიერ გა-
გონილი და ჩაწერილი. ამ ლექს[ს], ზეპირსიტყვაობის შემწეობით დაცულსა და
გადმოცემულს ძველის დროიდან, დღესაც იმღერიან ზემო იმერეთში და რაჭაში
ცოტაოდენის განსხვავებით, მაგ., რაჭაში ასეთი ვარიანტია პირველის ტიპისა:

«რაც კაცის ძალამ ვერ შესძლო,
 ის შეასრულა ბუნებამ,
 „შმაგს“ მეხი დასცა, დაღეწა,
 ბორკილი დაძაბუნებამ...»

ამ ლექსისას(!) ზოგან ასე იმღერიან:

«ჰა, ძმებო, ახლა გვეღირსა
 ის უცხო გაზაფხულია,
 რაც რომ ბრმა სარდალს მერცხალმა
 ამცნო, დაუტკბო გულია».

საზოგადოთ ეს სიმღერა ძლიერ გავრცელებულია აღნიშნულ ადგილებში.
 ხელმოწერილია: „გრ. აბაშიძე“ (48r—v).

2. [რ ა ც მ ე ვ ე რ შ ე ე ძ ე ე ლ]. —

„რაც მე ვერ შევძელ, არც დავსდევდი მას,
 მეფობისა დროს მე ვნეტარებდი,
 არ დავსდევდი მონათ სიმწარეს,
 მიეხვდი თუმც გვიან, რომ ჩაგრულნიც კაცნი არიან,
 მათაც ნება აქვთ არსებისა...“ (51r).

ეს ლექსი, რვეულის თავისუფალ გვერდზე, დაწერილია გრ. აბაშიძის ხელით
 შავად, ფანქრით. იგი ნასწორებია და დაუმთავრებელი.

3. [მ ი ლ ო ც ვ ა]. —

„დღესაც გილოცავ შენ, დღეობას,
 ჩვეულებრივ წმინდა გულით,
 და გინატრი ცის წყალობას
 გარდმოვლენილს სიყვარულით“... (57v).

ეს ლექსიც დაუმთავრებელია და ნასწორები.

4. გრ. აბაშიძის ლექსები გამოცემულია 1936 წელს კოკი აბაშიძის
 წინასიტყვაობით (გრ. აბაშიძე, 1936). აღნიშნულ გამოცემაში შესულია აქ წარ-
 მოდგენილი ლექსების ნაწილი, სახელდობრ: „ვარდი“ (გვ. 3—4); „ონ მარგალი-
 ტავ“ (გვ. 34—35); „გაზაფხული“ (გვ. 10—11); „ორი მტარვალი“ (გვ. 12—13);
 „მესტიერე“ (გვ. 14); „დილა“ (გვ. 25); „სიდვან მოფრინდი, საღ, ვისთანა“?
 (გვ. 29); „რა დავუშავე სულმდაბალს“ (გვ. 30); „ოჰ, ღმერთო ჩემო, ცხოვრე-
 ბა“ (გვ. 15—16).

(1823)

5130

აბაშიძე გრიგოლ, ლექსები. XIX

49 ფ; 21,5×17,2; ქალაღი; მუყაოს ყდიანი საერთო რვეული; მხედრული;
 ავტოგრაფი (ნაწერი მელნით და ფანქრით); [XIX საუკუნის 90-იანი წწ.]; დაუ-
 წერელია: 2v, 3v, 5v—7v, 8v, 9v, 10v, 12r—15v, 16v—19r, 24v, 26r—27r
 28v—30r, 31v—36v, 39r—42v, 44v—47r, 48r, 49r.

[ა ბ ა შ ი ძ ე გ რ ი გ ო ლ, ლ ე ქ ს ე ბ ი]:

1. „ჩ უ ხ ჩ უ ხ ი. —

 დაგვიფარე და დაგვიცევე, და გვაცხოვენე, რამეთუ შენზედ დავვის სასოება ჩე-
 მი — ამის პატრონი დავითი“ (მე-11, 12 წრე).

„ოთხნო თავნო სახარებისანო: მატე, მარკოზ, ლუკა და იოვანე თქვენ შე-
 ეწყინით და დაიფარეთ ყოვლის განსაცდელისაგან და მოაშორეთ ყოველივე მან-
 ნე ეშმაკი ...სახელითა დავითისა(!) და მის პატრონისა“ (მე-9 წრე).

„დიდო მოწყალო წმინდაო გიორგი, გვედრე ქრისტე ღმერთსა, რათა შეიწყალოს მონა ერთისა სახელითა — დავითი, საბა“ (27-ე წრე. ამის შემდეგ ჩამოთვლილია 56 საყდარი წმიდა გიორგის სახელობისა).

„სამებო სრულო და მოუკლებლო, რომელი კურნებ ყოველსა სენითა... მოიხილე მოწყალება თვალთა და ტკბილითა გულითა და იხსენ ავის თვალისაგან... ავის სენისაგან და ბნედისაგან, ავის ჭირისა და ეშმაკისაგან; დაიხსენ ღმერთო ყოველთა მკენებელთა, სურვიელთა და ხორციელთაგან მონა ესე შენი სახელითა სოსია და საბა“ (მე-19 წრე).

ანდერძი: „უფალო ღმერთო, მოხედე მონასა, ამას ზედაც იყოს ავგაროზი ეს, სახელითა საბასი, სოსიას ძეს საბასა“ (35-ე წრე).

მინაწერი (ტექსტის ხელით): „ესე წმინდა გიორგი ჯვარი, ჯვარკმული“ (136-ე წრე. აქ გამოსახულია ჯვარი და ფიგურა, რომელსაც დამხატვარი ჯვარკმულ წმიდა გიორგის უწოდებს).

(1830)

5139

ავგაროზი. XIX

42,5X34,5 (ავგაროზის ტექსტისათვის ერთ მთლიან ფურცელზე შემოხაზულია 32 წრე; წმინდა გიორგის სახელობის 63 საყდრის დასახელება დაწერილია ვაბშით 14 ნაკეცზე); ქაღალდი; უყდო; მცირედ დაზიანებული (36-ე ნაკეცი დახეული, ლაქებიანი); მხედრული (სათურები და შიგადაშვიტ ტექსტის ნაწილი სინტურით); [XIX ს.]; ავგაროზი დაწერილია ვინმე სოსიასა და მისი ძის ზაქარიას სახელზე; ვადაწერი ზაქარია? მდარედ მოხატული (მე-16 წრეში გამოხატულია ჯვარი და წმინდა გიორგი შებოჰილი, «ჯვარკმული» 2 ფიგურა).

«ავგაროზი» „სახარება იოვანესი, თავი პირველი. — პირველთაგან იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღვთისა...“

შენიშვნები: 1. ავგაროზი დაწერილია მამა-შვილის სახელზე. ამათგან ერთ-ერთი ვადაწერია, საფიქრებელია — ზაქარია.

2. ისინი იხსენიებიან შემდეგ კონტექსტში: „...ავის სენისა და ბნედისაგან, ავის ჭირისა და ეშმაკისაგან დაიხსენ ღმერთო ყოველთა მკენებელთა სულიერთა და ხორციელთაგან მონა ესე შენი სახელითა სოსია“ (21-ე წრე).

„მარკოზ, ლუკა და იოვანე თქვენ შე[ე]წინით და დაიფარეთ ყოველის განსაცდელისაგან და მოაშორეთ ყოველივე მკენე ეშმაკი... მონასა ამას ღმერთისასა, სახელითა სოსიასა“ (მე-11 წრე).

„სასოებაო ქრისტიანელთაო, დაგვიფარე და დაგვიცვე და გაცხოვნე, რამეთუ შენზედ დაგიძს სასოება ჩემი — ზაქარი[ა]“ (მე-14 წრე).

„დიდო მოწყალო წმინდაო გიორგი, ევედრე ქრისტე ღმერთსა, რათა შეიწყალოს მონა ერთისა სახელითა — სოსია, ზაქარია“ (32-ე წრე).

3. აქ მოხსენებული სოსია მამა უნდა იყოს იმ საბასი, რომლის მიერ (სახელზე) ვადაწერილია წინარე ავგაროზი (იხ. S—5138 ანდერძი).

4. ორივე ავგაროზი ერთი წრიდან (ოჯახიდან) მომდინარეობს. ამას ადასტურებს ავგაროზის შედგენილობის, პირთა მოხსენიების, მოხატულობისა და ანდერძის ერთგვარობა.

ანდერძი: „უფალო ღმერთო, მოხედე მონასა ამასა, რომელზედაც იყოს ავგაროზი ესე, სახელითა სოსიასა, ძესა იმისსა ზაქარიასა“.

(1831)

5140

ავგაროზი. XIX

35X40,5 (ავგაროზის ტექსტისათვის ერთ მთლიან ფურცელზე შემოხაზულია რამდენიმე წრე. ფურცელი, ჩვეულებისამებრ, დაკეცილია წრეების რაოდენობის მიხედვით); ქაღალდი; უყდო; ძლიერ დაზიანებული (ქაღალდი სინესტისა-

გან დაშლილი და დალაქებულა; ნაკეცებში დახსნილია, მარჯვენა კიდე დაფლეთილი; ნაკლული (შემორჩენილია 17 წრე); დაზიანებისა და ნაკლულეგანების გამო არ ჩანს ვის სახელზეა შედგენილი ავტარობი, ან ვის მიერაა დაწერილი; მხედრული; [XIX ს.]; მდარედ დასურათებული; ტექსტის ჩარჩოდ სამი წრიული ხაზია გამოყენებული, ამათგან შუა ხაზი წითლითაა შემოვლებული, ორი კი შავი საღებავით.

[ავტარობი] „სახარება იოვანესი, თავი პირველი. — პირველითგან იყო სიტყუა და სიტყუა იგი იყო ღუთისა თანა და ღმერთი იგი იყო სიტყუა...“
 წყდებ: „...წმინდაო გიორგი გედსამანიისაო, წმინდაო გიორგი“...

(1832)

5141

უბნობანი. XIX

33 ფ.; 22X18; ლურჯი ქაღალდი; უყდო; ბოლონაკლული; მხედრული; XIX ს. (ჭვირნიშანი 1828); გადამწერი გრიგოლ ზურაბის ძე წერეთელი.

«უბნობანი მართლმადიდებლობისათვის». გამოცემდელ-მაწ. — მე ვსთქუ: ვითარმედ არა არს ცილობა მცნებათათვის, გარნა კითხუა აღკრძალავს, თუ ღმერთი რწმუნებად ესრეთ, ვითარ-იგი აღმოსავლეთისა ეკკლესია აღიარებს ნიკიისა და კოსტანტინეპოლის სიმეოლოსა შინა, აღმოჩინების მე არა მცხინვარედ...“

წყდებ: „...უკეთუ შევისწავლე მის შორის ვითარნიმე ნაკლული-ვანება“...

შენიშვნები: 1. უძღვის: ა. თავფურცელი „უბნობანი შორის გამოცემდელისა და დარწმუნებულისა მართლმადიდებლობისათვის აღმოსავლეთის ბერძენთ, როსისის ეკკლესიის თანადართვითა, გამონაწერისათა საზოგადოებაგან ეპისტოლისა ქოტი კოსტანტინეპოლის პატრიარხისა, აღმოსავლეთის საპატრიარხოთადმი საყდართა.

ნებადართვთა უწმინდესის მმართველის სინოდისათა 1815-სა წელს“ (1რ).
 ბ. „წინასწარ უწყებაჲ. — სული ჭეშმარიტისა ქრისტიანებისა მოთმინებისა და მშვიდობისმოყუარებისა, მადლითა ღვთისათა, დაცული რ[ო]სიის ეკლესიასა შინა, აწარმოებს...“ (2რ—3რ).

2. ხელნაწერი გადაწერილია [გრიგოლ ზურაბის ძე წერეთლის] მიერ. ეს იგივე ხელია, რომლითაც დაწერილია მომდევნო ხელნაწერში (S—5142) შეტანილი დ. დადიანის თარგმანი (იხ. S—5142, შენ. 2).

(1833)

5142

ვოლტერი, ალზირა. XIX

35 ფ.; 33,5X21; ლურჯი ქაღალდი; უყდო; დაშლილი; დაზიანებული; მხედრული (სათურები მთავრულით); XIX ს. (ჭვირნიშანი 1828).

[ვოლტერი] „ალზირა ანუ ამერიკელნი, ტრაგედია. მოქმედება პირველი, გამოცხადება ა. ალვარ და გოსმან. —

ალვარ: მადრიტის უზენაესსა მმართველობასა აწ შენდა ურწმუნებვის მოადგილეობაჲ ჩემი. საყვარელო შეილო, დაუმორჩილენ მდიდარი კერძო ახლისა ამის ქვეყანისა მეფესა და ღმერთსა ჩვენსა...“ 2რ—31რ.

შენიშვნები: 1. უძღვის მოქმედ პირთა სია (1რ).

2. ერთის «ნაკვეთი» 1812 წლის პირველი სამამულო ომის თემაზე, თარგმნილი რუსულიდან დავით ლეონის ძე დადიანის მიერ:

„შემდგომად დატევიებისა რუსეთის სპათაგან მოსკოვისა, თავადმან კერტუ-ზოვმან წარგზავნა პეტერბურღად მოხსენებითა ამა სამწუხაროსა შემთხვევითა(1) ღრაფი ნ. ნ., უწყებელი ყოველთადაც და აღმოჩენილი ლაშქრობათა შინა პირისპირ ოსმალთა და რჩევით მიცემითა მისგან დროსა შინა საფუძველსა ზედა, რომელსა დადებულ იყო დაშთენად გამაგრებულთა მას შინა ბანაკთა...“ 31v—35r.

ამ «ნაკვეთს» უძღვის: „წინასიტყვაობა. — იწყლა გონება ჩემი თქვენთს, თანამენათესავენი ჩემნი, ვინაჲთგან ჩვენურსა ენასა ზედა არასადამე იპოვბოდამცა მცირე ესე ნაკვეთი ცხოვრებისაგან დიდსულისა ალექსანდრესა და რათა არა იყოსნცა გამორიცხულ საბუნებო ენაჲ ჩვენი სხვათა ენათაგან; რამეთუ პირადპირადთა ენათა ზედა არიან ესე თხზულებჲა; ამისთვის ქელვცყავ გარდმოღებად რუსულთ ქართულად. ხოლო უკეთუ ჰპოვოთ ვიეთთამე შეცდომაჲ რაჲმე ამას შინა, მომიტევეთ საყვარელნი მკითხველნი. და ვინაჲთგან პირველგზის მიმიდიეს ესე აღნიშნული შრომაჲ და ამასთანვე არა კმადცა ხელოვან ვიყავ.“

ქელვცყავ თარგმანებად ჩუღვ-სა, ივნისის თ-სა, და სრულვცყავ ჰასვე დღესა, ქალაქსა ტფილისს, დავით დადიანის“ (31v).

წინასიტყვაობა და «ნაკვეთი» დაწერილია გრიგოლ ზურაბის ძე წერეთლის ხელით (შდრ. გრ. წერეთლის მინაწერ-ჩამატებანი საბას ლექსიკონში, H—1035).

3. ამავე, გრიგოლ წერეთლის ხელით „ალზირას“ პირველ გვერდზე მიწერილი: „ჩუღთ-სა წელსა, სეკდებრის ერთს, გორდს, დავით ლეონის ძეს და დადიანს, ჩემს დისწულს, ამოვსძარღვე ეს ტრადედია დიდის ღვაწლით“.

4. ვოლტერის ტრადედია „ალზირა“ ფრანგულიდან თარგმნა ალექსანდრე ქავჭავაძემ.

(1834)

5143

კითხვა-მიგებანი. XIX

11. ფ.; 35,5×22,3; ქალაღი: უყდო; დაშლილი; ძლიერ დაზიანებული (რესტავრირებული); მხედრული; [XIX ს.].

„კითხვა-მიგება. — მოსე რომელი ხელი იხილა, სახე იყო ქრისტეს განცხადებისა. სამი არს ნათლის ღება: წყლითა, სისხლითა და ცრემლითა. კითხვა: წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდაო შეგვიწყალენ ჩვენ, ვის მიერ თქმულ არს? მიგება: ოდეს ღმერთმან სამოელ და სატანა ზეცით ქვეყნად გარდმოყარნა და ძალნი თანა გარდმოყოლასა ლამდა, მიხილ მთავარ ანგელოზმან სთქვა: წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო...“ 1r—11v.

წყდება: „...რაოდენ უმეტეს დამდაბლებულმან თვეთა და ჟამთამან განაგოს ჟამნი ჩვენთა, ჟამსა მას სასჯელისასა გამოცხადებაჲ, სიტყვანი“...

(1835)

5144

შესხმა ალექსანდრე I-სა. XIX

2 ფ.; 35×21,3; ქალაღი: უყდო; დაზიანებული, რესტავრირებული; მხედრული; [XIX ს.]; მთარგმნელი რუსულიდან და გადამწერი სიმონ დავითის ძე აბაშიძე (2v).

„შემოკლებული შესჯმა საცხენებელად არ დასავიწყარისა ერთმთავრისა ალექსანდრე I-სა. — ვითარითა განსაცვიფრებელითა უწყებითა განემსუქვალა გულნად ჩუჭნი წარსულსა მას კვირიაკესა. შეემოსა შესამოსელი მწუხარე ეკკლესიასა ქრისტესსა, არღა გვივიდა მეუფე უკეთილმსაჯურესი...“ 1r—2v.

ანდერძი: „რუსულითურთ(!) გარდმოყვანილ არს თავადის სიმონ და-
 ვითის ძის აბაშიძისა მიერ. ...უ თქუძნო ბრწყინვალეზავ, მიიღოთ ჩემ
 მიერ მცირე ესე რძღუძენი(!). შორჩილი სიმონ“ (2v).

(1836)

5145

ლექსიკონი რუსულ-ქართული. XIX

74 ფ.; 34,5×20,8; ქალაღი; დაშლიღი; უყდო; თავნაკლული; მხედრული;
 XIX საუკუნის 20-იანი წწ. (ჰვირნიშანი 1822).

[რუსულ-ქართული ლექსიკონი]. —

„...Выполоскаю გამოკრეცხ.

Выпараживаю დავაცალიერებ.

Выпрашиваю გამოეიტიზავ...“ 1r—74v.

შთავრღებზ: „Феология ღვთისმეტყველზზ“.

შინაწერებზ: 1. „Сия книга подарена князем Эристовым князюже
 Цуликидзе“ (6r).

2. „ნიკოლოზ [მ]ღივანი“ (46v).

3. „Очень неправильно окончено, потому недостает много“ (74v).

(1837)

5146

აბაშიძე გრიგოლ, ლექსებზ. XIX

27 ფ.; 21,2×17; ქალაღი; ცახზაზიანი საერთო რვეული მუშაშბის ყღიანი;
 მხედრული; [XIX საუკუნის 90-იანი წწ.]; დაუწერელია 1v, 17r—27v.

„გრიშა აბაშიძის თხზულეზანი“:

1. „იმეღი. —

ღედა ქართვეღის გამხენევებული

შვიღს აიმეღებზ და ეუზნებზ...“ 2r—3r.

2. „არაკი. —

სად ლოცვიღობღენ(!) პირწადმა

ჰაყევებულსა მზარესა...“ 3v—6r.

3. „გაზაფხული. —

განახღდა ჰეყენის კვლავ გული,

გაღურჩა თოვღს და ყინვასა...“ 6v—7r.

4. „აკაკის. —

რაც კაკის ძალამ ვერ შეჰსღლო,

ის შეასრულა ბუნებამ...“ 7v—8v.

5. „ვეღრეზა. —

...ვეღარ ვუგაღობ ციურ ხმებზ

ჩვენს ღიღებულს[ა] მზარესა...“ 9r—11v.

6. „თავადი გიორგი ერისთვის სახსოვრად. —

როღესაც ტაღღამ უგნურებისა

სამშობლო მზარეს გაღმოურბინა...“ 12r—v.

7. „ანღერძი განმა[ნა]თღებღისა.

(ეუძღვნი კნ. ნ. ჩოლოყაშვილისას). —

ოდეს წყვილიდი უგნურებისა,
 მომაკვიდინებელ ბოროტთა ძალა...“ 13r—14r.

8. „ზღაპარი. —

ირემთან და მის შვილებთან
 მოცუნცულდა ერთხელ მელა...“ 14v—16v.

შენიშვნები: 1. გრ. აბაშიძის ლექსების ეს რვეული გადაწერილია იმავე ხელით, რომლითაც S—5129.

2. ამ ლექსებიდან დასახელებულ გამოცემაში შესულია: „გაზაფხული“.

(1838)

5147

აბაშიძე გრიგოლ, თხზულებანი. XIX

54 ფ.; 21,2×16,8; ქაღალდი; ცალხაზიანი საერთო რვეული მუშაობის ყლით; მხედრული; [XIX ს.]; დაწერილია ცალ გვერდზე (გამონაკლისა ფ. 42); დაუწერელია ფ. 1, 33, 39, 44, 45, 48, 50—53.

1. „ბ. კიტა აბაშიძე და მისი მსჯავრი «ჩვენი ახალგაზრდობის» შესახებ („მოამბე“ № № VII და IX). — ახალგაზრდა პუბლიცისტიმა ბ. კიტა აბაშიძემ დასტამბა „მოამბის“ ხსენებულ № №-ში ვრცელი წერილი, რომლითაც შეეხო ოთხმოციან წლების ახალგაზრდობას, მისს იდეალს, მისს გონებითს და ზნეობრივ სიმდიდრეს, მისს სიგრძე-სიგანეს და მისს მომავლისათვის მნიშვნელობას; შეადარა იგი მესამოცე წლების ჩვენს ახალგაზრდობას...“ 2r—37r.

შენიშვნა: კიტა აბაშიძის წერილი „ჩვენი ახალგაზრდობა“ დაიბეჭდა 1897 წ. „მოამბის“ VII და X (და არა IX) ნომრებში.

ამ წერილის პასუხი — „ბ. კიტა აბაშიძე და მისი მსჯავრი «ჩვენი ახალგაზრდობის» შესახებ“ არ გამოქვეყნებულა. დაწერილია გრიგოლ აბაშიძის ხელით, ნასწორებია მისგანვე. უნდა ეკუთვნოდეს მასვე.

2. „ვაითუ წავწყდე. —

განთიადმა, მზის მოციქულმა, გააპო წყ[ვ]ლიადი და დასავლეთიად სიო გამოიწვია; სიომ მსუბუქი ფრთები მაშინვე დახარა, ამბორითა და ალერსით ბუნებას გადმოურბინა...“ 40r—43r.

შეწყვეტილია: „...ამ იდეალით ჩვენ ვცდილობთ ყოველივე ბადე ჩვენ შთაბეჭდილებათა შევაკავშიროთ, განუზომლად გესურს, რომ ჩვენს გრძნობანი მასთან ერთარსებთა გახდნენ“...

შენიშვნები: 1. ტექსტი ნასწორებია.

2. თხზულება უნდა წარმოადგენდეს თარგმანს.

3. მთარგმნელს, გრ. აბაშიძეს, სქოლიოში ჩამოაქვს შემდეგი: „ავტორის შენიშვნა: ეს სიტყვები ყველა მკრთალი და მეტაფორულია. უმეტესი ნაწილი სიტყვებისა ამგვარია, რა ეწნათ!“ (42v).

3. „ეუძღვნი ნიშნად უღრმესის პატივისცემისა და მადლობისა სალომე ივანეს ასულს კერესელიძეს სახსოვრად, ავტორი. —

წმინდა მოღვაწეს, ცოდნით შემოსილს,
 რომელს ჰსწამს შრომა, კარგი ქალობა...“ 45r.

შენიშვნები: 1. ხელმოწერილია: „გრ. აბაშიძე“.

9. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. VII



2. დაწერილი უნდა იყოს ავადმყოფობის პერიოდში. ამას ბოწმობს ბუნებრივი ლებული ხელით ნაწერი.

4. ნ ა წ ყ ვ ე ტ ი რომელიდაც პ ო ე მ ი დ ა ნ . —

„...გარდაკონა მამამ შვილი,

ვაქაცობა დაავალა...“ 47r.

წ ყ დ ე ბ ა : „...ვის დავესოს ლაჩრად თვალი,

და ვის ღარჩეს აწ ნავარდი“...

5. „ა ლ ბ უ მ შ ი (!) . —

თუ მოწყენის დროს ესე ალბუმში(!)

ფიქრთ განსაღვენათ გარდაიკითხო...“ 49r.

(1839)

5148

აბაშიძე გრიგოლ, თხზულებანი. XIX

40 ფ.; 21×17; ქაღალდი; მუყაოს ყდიანი ცალხაზიანი საერთო რვეული; მხედრული; ავტოგრაფი; [XIX საუკუნის 90-იანი წწ.]; დაუწერილია: 6v—7v, 34v—37r, 40r—v.

1. ნაწყვეტი პიესიდან. —

„...ბესარიონი: ყარამანა, ბიჭო, ეი, ყარამანა! ქრისტემ დალახვრა შენი თავი! სად ჯანდაბაში წევიდა ეს ოჯახ დაქცეული?...“

გ ა მ ო ს ვ ლ ა I

სასტუმრო ოთახი ბესარიონის სახლში; ოთახი ევროპიულ გემოზეა მორთული. ყარამანა დგას და მაღალყელიანი წაღები შემოაქვს [გა]წმენდილი.

დამავიანდა, მარა ძაან კი გაუაპრიალე ეს ჩექმები! მთვარესავით კრიალობენ!...“ 1v—6r.

წ ყ დ ე ბ ა : „...ყარ[ამანი] — მე რო ვიცი ბატონო?...“

ბეს[არიონი] — შენ კი არა, იმან რო იცის, ტუტუცო! გასწი!

ყარ[ამანი] — მესმის ბატონო...“

2. „ი შ მ ა ი ლ-ბ ე ი (ლერმონტოვიდამ)

მიძღვნა

კვლავ მოვევლინა ზეშთაგონება

ჩემს სულს, სიცოცხლის ძალმოკლებულსა...“

ნაწილი პირველი

I

გესალმი, ბერო კავკასიონო!

შენის მთებზეთვის უცხო არა ვარ...“ 8r—34r.

3. „ნ ა ლ ხ ი დ ა მ გ ო ს ა ნ ი . —

მიყვარს მაისის ლამაზი დილა,

ოდეს ბუნება შემოსილია...“

შენიშვნა: ეს სათაური («ხალხი და მგოსანი») ეწერა სხვა ლექსს, რომელიც ავტორს შეუთვლია და უწოდებია „ნაწყვეტი“ (ნ. S—5130, 37r—38v, აქვე, იგივე ნომერი, 22).

აბაშიძე გრიგოლ, თხზულებანი. XIX

41 ფ.: 35,5×22; ქაღალდი (სხვადასხვა ზომის დაშლილი ფურცლები, ნაწერი ფანქრით, მელნით); დაზიანებული (ფ. ფ. 29—32 კიდებზე მოხეულია, ფ. 32 შუაზეა გახეული); მხედრული, ავტოგრაფი (შავები): [XIX საუკუნის 90-იანი წ. წ.]; დაუწერელია: 4v, 6r-v, 7v, 8v, 9v, 10v, 18v—20v, 28v, 29v, 30v, 31v, 32v, 35v, 36v—87r, 40v, 41v.

[აბაშიძე გრიგოლ, თხზულებანი]:

1. [ნადიმად მსხდომსა რუსთველსა]. —
„ნადიმად მსხდომსა რუსთველსა ზურგით ხმა მესმა ყმისაგან,
ავლსდეგ, მივმართე, შევხედე, ვიხილე მოაჯრისაგან...“ 1r.
2. [ნაწყვეტი ლექსისა]. —
„...მერე გაგახსენდება
გრიშას გული მართალი,
რომლის რჩევა და ბჭობა
თქვენ ჰ[გ]გონიათ ტარტალი...“ 1v.
3. მე შენ მიყვარდი. —
„მე შენ მიყვარდი!.. შენს ზევით ღმერთი
ალარა მრწამდა, მიმაჩნდა არად...“ 2r.
4. [კვალად მესტუმრა]. —
„კვალად მესტუმრა ზეშთაგონება,
იგი ფრთებს მასხავს მე ოცნებისას...“ 2v.
5. [ცხოვრების წყარო ყველას რგებიან]. —
„ცხოვრების წყარო ყველას ჰრგებიან,
ბედნიერების — ნაწილსა მცირეს...“ 3r—4r.
6. „რა მაწუხებს (მიბაძვა). —
რა მაწუხებს? ჩემმა ხვედრმა
რომ სიკეთე არ მარგუნა...“ 5r—v.
7. [გავიგე ჩემსა მოძმეებს]. —
«მიდის, მოდის გაბრიელი,
არავინ ჰყავს მადლიერი».
ხალხური.
„გავიგე ჩემსა მოძმეებს
აქვსო საქმეზე კივინი...“ 7r—10v.

შენიშვნები: 1. ლექსი ხელმოწერილია ავტორისაგან.

2. დასაწყისში წარწერილია: „ივერია, № 111, 28 მაისი, ხუთშაბათი“.

8. [რაც კაცის ძალამ ვერ შესძლო]. —
„რაც კაცის ძალამ ვერ შესძლო,
ის შეასრულა ბუნებამ...“ 11r—12v.
9. „უპასუხოზა, ისევე დიმილი. —
ვგრძნობ, რაღაც ჰბორკავს, გულო, შენს ნებას
და კაემანი, ვითარცა მლილი...“ 13r—14v.

შენიშვნა: დაწერილია სხვა ხელით, ნასწორება ავტორის მიერ.

10. „ვ ა ი თ უ წ ა ვ წ ყ დ ე . —
 მზის პირველი სხივი იმ ადგილს მითამაშდა, სადაც სამი ჯვარცმა იყო.
 ქრისტესი და ორი ავაზაკისა...“ 15r—16v.
11. „ი დ ი ა ლ ი (ნადსონისა). —
 არ სთქვა ცხოვრება სათამაშო არს,
 ხელში უგუნურის და ყალბი ბედის...“ 17r—18r.
12. „შ ე უ რ ც ხ ვ ე ნ ე ლ ი ჭ ა ლ ა რ ა
 (ფანტასტიური ლეგენდა). —

I

- დაფიქრდა ღმერთი... დიდება
 მიუწვედნელის სულისა...“ 21r.
- წ ყ დ ე ბ ა : „...იმა დროს, თურმე, არ ჰმოსდენ
 ვარდ-ყვავილები ფერადი...“
13. „შ ე უ რ ც ხ ვ ე ნ ე ლ ი ჭ ა ლ ა რ ა . —

I

- სადაც კაცხურა კალმახთ მდინარე
 ხანდახან მოქუხს, თითქოს მოსდევს მტერს...“ 22r.
- წ ყ დ ე ბ ა : „...მისი სიწმიდე და მისი ძალა
 უსოდენად სწამს დღესაცა ერსა...“
14. „შ ე უ რ ც ხ ვ ე ნ ე ლ ი ჭ ა ლ ა რ ა
 (ლეგენდა). —
- სადაც კაცხურა, კალმახთ მდინარე,
 ეალერსება მწვანე ნაპირებს,
 ხან კი ღრიალებს, ლომებრ მძვინვარე...“ 23r—v.
- წ ყ დ ე ბ ა : „...დღესაც მაცხოვრის სდგას მონასტერი,
 სად იყო უწინ ციხე კაცხისა...“

შენიშვნა: ერთნაირად დასათარებული ზემოთ მოტანილი სამი ლექსიდან,
 პირველი (ფანტასტიური ლეგენდა) დამოუკიდებელი, დაუმთავრებელი თხზულებ-
 ბაა, ორი უკანასკნელი კი ერთიდაიგივე ლექსის ვარიანტია.

15. [ნ ა წ ყ ვ ე ტ ი რ ო მ ე ლ ი დ ა ც პ ო ე მ ი ს ა]. —
 „...ხატსა და ჯვარზედ მტარვალთ
 სახანომ ერთხმად გადასცა...“ 24rv.
16. [შ ე ნ ც ხ ო მ მ ყ ა ვ ხ ა რ . ნ ა წ ყ ვ ე ტ ი]. —
 „შენც ხომ მყავხარ, ჩემო ვარდო,
 ჩემს სალოცად, სამღერელად...“ 25r.
17. „№
 მიყვარხარ ისე, როგორც სიცოცხლე,
 ისე გლოცულობ, როგორც რომ ღმერთსა...“ 26r.
18. [ნ ა წ ყ ვ ე ტ ი]. —
 „აბა მითხარი: როს ცის კამარას
 ვარსკვლავთა კრება გულს შეუშედავს...“ 26v.
19. „ვ ა ი თ უ წ ა ვ წ ყ დ ე . —

განთიადმა, მზის მოციქულმა, გააპო წყედიადი და ბუნების ძილისაგან გა-
 მოსარკვევად დასაელეთილამ სიო გამოიწვია: სიო არ დაიძრა...“ 29r—32r.

შენიშვნა: ეს თხზულება, ვარიანტული სხვაობით, შეტანილია კრებულში
 S—5147 (ნ. აქვე: 5147,2, 5149,10).

20. „მწუხარება და სიხარული
 (იოანე პოლემისა, ბერძნულიდამ). —
 ერთხელ შეხედნენ შორს, ღრუბლებში
 მწუხარება შეე-მოსილი,
 და ჩამყდარი ყვავილებში
 სიხარული გულ-გახსნილი...“ 35r.

შენიშვნები: 1. ამ ლექსის თარგმანის რამდენიმე ვარიანტი მოცემულია წინა
 ფურცლებზე (33r—34r), ასე მაგალითად:

„ერთხელ შეხედნენ ერთმანეთსა | „ერთხელ შეხედნენ ცის სივრცეში
 ზე ეთერის ლურჯ სივრცეში...“ (33r). | სხვადასხვა მხრით წამოსული...“ (33r).

„ერთხელ შეხედნენ შორს ღრუბლებში
 მწუხარება შეე-მოსილი...“ (33r).

2. მთარგმნელი შეჩერებულა უკანასკნელ ვარიანტზე.

21. [ცაო, მთვლემს]. —
 „ცაო, მთვლემს!.. ჩემის ჩანგისა
 სიმთწყობა კერპობს, მღუმარებს...“ 36r.
22. [კატოს]. —
 „ჩემო კატო! ჩვენს და-ძმობას
 სახსოვარი არ სჭირდება...“ 37v.
23. „სამი სურათი. —

I.

ტყის პირია. ქვევით პატარა მშვენიერი მინდორია. ტყიდან გვირაბი ჩამო-
 დის, რომელიც შეუერთდება შარაგზას. გამოდის მოხუცი, ხელშიდ ფანდური
 უკავია... უკრავს და მღერის:

ჩემი სიცოცხლის ბედნიერი, უკანასკნელი
 დღე არის დღესა! დღეს დღე არს, ოდეს საყვარელი
 ჩემი მამული, საქართველო, მისი შვილები...“ 38r—39v.

შენიშვნები: 1. მესამე სურათი დაუწერელია.

2. მეორე სურათში მონაწილეობს ჯარი.

წყდება: „...და მგალობლად დაგინიშნავს ხმატკბილ ბუღბუღსა...
 (მოხუცი წინ მიუძღვის. ისმის ორპირი სიმღერა. ჯარი მიდის)“.

24. „ქუთ[აისის] ინტელიგენციას. —
 ნათქვამია: «ერთობა ძმათ
 უფალადებს(!) სულს და გულსო...»,
 და ამ მცნებამ, როგორც იყო,
 გაიმარჯვა ეხლა. ძალზე...“ 40r.

შენიშვნები: 1. ეს ლექსი შეტანილია კრებულში S—5130 (ნ. აქვე № 5130,
 13).

2. ტექსტები იძლევა ვარიანტულ სხვაობას.

25. [კ ა ტ ო ს]. —

„ჩემო კატო დოქს[ა] გიძღენი
 ჩემს[ა] მოსაგონებელად...“ 41r.

შენიშვნები: 1. ჟურნალ „მომამის“ რედაქციის ბლანკზე დაწერილი ბრძოლისაკენ მომწოდებელი თეთრი ლექსი—„აბა სამშობლოს შეიღონ“ (27r—28r)—არ უნდა იყოს გრ. აბაშიძისა. იგი მისი ავტოგრაფებისაგან სხვაობს ხელით და სტილისტურ-აზრობლივადაც.

2. აქვეა სხვა ხელით დაწერილი უხეირო (თუ სახუმარო) ლექსი:

„გულმა იგრძაო სიახლე
 და შესწყვიტა მოძრაობა...“ (41r).

3. დასახელებულ გამოცემაში (გრ. აბაშიძე, 1936) აქ წარმოდგენილი თხზულებები არ არის შეტანილი.

(1841)

5150

ბარბარას საგალობლის ფრაგმენტი. XVII

1. ფ.; 12×8,8; ქალაღი; ფრაგმენტი; ნუსხური; [XVII ს.].

[ბარბარას საგალობელი, უ გ ა ლ ო ბ დ ი თ ს ა]. — „...ვითა შენთა ნიჟსა უხეშთაესსა ცნობაჲ ჩემი დაბნელებული განაბრწყინვე, რათა უგალობდე დიდებულსა მოწამესა ბარბარას...“ 1r—v.

წყ დ ე ბ ა: „...იოანე, სწავლათა შენთა მადლითა. ა კ უ რ თ ხ ე ე დ ი ს ა. საკმლ“...

შენიშვნა: კონვერტზე, რომელშიაც აღნიშნული ფრაგმენტი ძვეს, დ. კ ა რ ი-ჭ ა შ ე ი ლ ი ს ხელით წარწერილია: „უკანასკნელი ფურცელი 38-ე რვეულისა, ამოხეული გელათის მონასტრის ხელნაწერის «წმინდათა ცხოვრებაში» სასოებით აღსავსე მლოცველის რუსის დედაიაცისგან თვით მონასტერში. ეს ფურცელი გამოართვა ხსენებულს დედაიაცს ალექსანდრე თევდორეს ძე ყ ი ფ-შ ი ძ ე მ და გადმოგვცა ჩვენ შესანახად“.

(1842)

5151

ზატიკი. XVII—XVIII

454 ფ.; 18,5×13,6; ქალაღი; უყდო; დაზიანებული (ამოვარდნილია და ნაწილობრივ დახეული ფ. ფ. 1—6, 12—13, 82, 241, 450—454); ნაკლები (ძველი პაგინაციით აღრიცხულია 59 რვეული და მე-60-ის 5 ფურცელი. დასაწყისში დაკარგულია 3 რვეული და მე-4-ის 5 ფურცელი, აკლია ბოლოში და შიგადაშიგაც); ნუსხური (სხვადასხვა ხელით. პირველი ხელი მოიცავს ფ. ფ. 1—157; მეორე — 157v—240v; მესამე — 241r—453v. ბოლო ფურცელი ხელის მიხედვით ეკუთვნის პირველ გადამწერს, იქ მისი ადგილი ვერ დაიძებნა); [XVII—XVIII]; გადამწერნი: რომანოზ ჯანიაშვილი (პირველი ნაწილისა, 92r, 143r, მიქელ (მე-სამე ნაწილისა, 282v); ხელნაწერის შემკულობას წარმოადგენს მთავრულით, მხატვრულად შესრულებული სათაურები (283r, 343r, 400r) და საზედაო ასოები; დაუწერელია 342rv.

[ზ ა ტ ი კ ი] 1. „...უგალობთ შენსა, ქრისტე, ცხოველსმყოფელსა ვნებასა და ვადიდებთ აღდგომასა შენსა, რომელმან ჯვარცმა დაითმინე და სიკუდილი მოაკუდინე და აღსდევ მკუდრეთით...“ 1r—40v.

2. „კვრიაკესა დასდებელნი აღდგომისანი უფალო ღალატყავსაჲ, კჳმა ზ. — პირველ საუკუნეთა მამისაგან შობილსა ღეთისა სიტყუაჲსა განკორციელებულსა ქალწულისა მარიამისგან. მოვედით თაყვანის ვსცეთ...“ 40v—92r.

3. „კვრიაკესა დასდებელნი აღდგომისანი, უფალო ღალატყავსაჲ, კჳმა გ. — ჯვართა შენითა ქრისტე მაცხოვარ დაჰკესენ და ძალი სიკვდილისა და ეშმაკისა საცთური განქარდა. ხოლო კაცთა ნათესავნი სარწმუნოებითა ქსნილნი გალობასა მარადის შენდა შესწირვენ...“ 92r—143r.

4. „დასდებელნი ყოვლად ბრწყინვალისა აღდგომისა, უფალო ღალატყავსაჲ, კჳმა დ. — ცხოველსყოფელსა ჯვარსა შენსა დაუცხრომლად თაყვანის-ვსცემთ ქრისტე, და მესამისა დღისა აღდგომასა შენსა ვადიდებთ...“ 143r—282v.

5. „დასდებელნი აღდგომისანი კჳმა ზ გ^ი. — ძლევა გაქუნდა ქრისტე ქუჩსენელს ჯოჯოხეთისა და ჯვარსა ზედა აჰმადლიდ, რათა ბნელსა სიკუდილისასა მსხდომარენი შენ თანა აღადგინე მკუდართა თანა თვისუფალმან...“ 283r—343r.

6. „დასდებელნი აღდგომისანი, კჳმა გ გ^ი. — მოდით უვალობდეთ უფალსა, რომელმან შეჰპუსრა სიკვდილისა ძალი და განანათლაჲ კაცთა ნათესავი უკორცოთა თანა...“ 343r—399v.

7. დასდებელნი აღდგომისანი, კჳმა დ გ^ი. — მწუხრისა გალობასა და სიტყუერსა მსხუტრპლსაჲ შენდა ქრისტე შეესწირავთ, რამეთუ სათნო იჩინე შეწყალებაჲ ჩ^ინი აღდგომითა შენითა...“ 400r—453v.

წყ დ ე ბ ა: „...საღეთოჲსა მიერ ნათლისღებისა, რომელნიცა შეკრიბნ...“

შენიშვნა: უკანასკნელი ფურცელი შეიცავს: 1. „სტიქარონი წმიდათანი და სულისანი“ (454rv), 2. „გალობანი წმიდისაჲ დ^ისმშობლისანი სერობისაჲ“ (454v).

წყ დ ე ბ ა: „...წყუდიადი საცთურთა დიდებულმან ღმერთმან დამბადებელმან, რამეთუ დ^იბლა...“.

ანდერძები: 1. „ღმერთო, მშვიდობაში მოაკმარე პატრონს, ამინ. უფალო, შეიწყალე ამაზე მშრომელი ცოდვილი რომანოზ ჯანი აშვილი“.

ან(!) მშრომელი წარვალს და ნაშრომი ჰგეოს“ (92r).

2. „ღმერთო, მშვიდობაში მოაკმარე პატრონს. აჰა ესერა, ძმანო, მშრომელი წარვალს და ნაშრომი ჰგეოს. მომიტენეთ ცოდვილი რომანოზ ჯანი აშვილი“ (143r).

3. „ღმერთო, შეიწყალე მიქელ“ (282v).

მინაწერი (ტექსტის ხელით): „გიხაროდენ, კალამო, თუ კარგი მოხვდე, თუ არაღარა გეყო“ (240r).

{1843}

5152

ლოცვანი (კათოლიკური). XIX

140 ფ.; 8,2X5; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა (ყდაზე ჯვრის გამოსახულებით); ნაკულე; დაზიანებული (ფ. 26-ს ტექსტის დიდი ნაწილი მოხეული და დაკარგული აქვს, ფ. 27—34 მოხეულია და აქვე ძეგს); მხედრული; [XIX ს.]; თავკაზმულობიანი (1r, 19r, 32r, 54r, 60r, 67r, 71v, ჯვრის გამოსახულება 136r).

[ლოცვანი] „ლოცვა თქმული წმიდა ინოჩენციო პაპისაგან, ვინც წაიკითხოს ჯვარტმის წინ მი[ი]ღებს ორმოცი დღის შენდობასა და უახსარებობთ არ მოკვდება.“

უფალო ჩემო იესო ქრისტეო, მისმინე მე ცოდვილსა და შენს უხმარ-
 უღირსს მონასა...“ 1r—136r.

შენიშვნები: ა. ლოცვანის შედგენილობა: 1. „ჰალსარების შემდგომ სათქმე-
 ლი ლოცვა“ (19r—31v).

2. „წმიდა ზიარების უწინ და უკან სათქმელი“ (32r—53v).

3. „ოთხშაფათის სავარდე სიხარულისა, საიდუმლო ყოვლად წმიდა სავარდე“
 (54r—71r).

4. „ლითანია ყოვლად წმიდისა მარიაშისა მიმართ“ (71v—79v).

5. „წმიდა წირვის მოსმენის რიგი და საიდუმლონი და ლოცვანი“ (80r—
 135v).

ბ. ერთვის „ზანდუკი“ (136v—137r).

გ. სხვა ხელით, ბოლოში მიწერილია ლოცვა. — „პირველად საქმე სარწმუ-
 ნოებისა, ღმერთო ჩემო, რამეთუ შენ დაუსრულებლად ქვემარტი ხარ...“
 (137v—140v).

(1844)

5153

წირვის რიგი (კათოლიკური). XIX

16 ფ.; 14,5×10,5; ქაღალდი; უყდო; ნაკლული (ტექსტის გადაწერის დრო-
 ინდელი პავინაციით შემორჩენილია გვ. გვ. 154—187); მხედრული; [XIX საუ-
 კუნის დამდეგა]; მდარედ შესრულებული თავკანზულობით (1r).

«წირვის რიგი». „...ქრისტიანი კაცი რომ... შევიდეს წმიდა წირვის
 მოსამსმენელად, დიდის მორიდებით და გონებით მსულვარედ(!) უნდა შეგთრ-
 დეს(!) მწირველის ლოცვასა და ვედრებასა, ამ ფიქრით უნდა მოასმინოს...“
 1r—16v.

წყდება: „...რაყამს მწირველი წმიდა ბარძიმისაგან...“

(1845)

5154

ოთხთავი. XII

73 ფ.; 23×20,3; ეტრათი; უყდო; ნაკლული (აკლია მათესა და მარკოზის
 თავები მთლიანად, ლუკას დასაწყისი და იოანეს დასასრული); ნუსხური (სათაუ-
 რები და მუხლთა დასაწყისი ასოები სინგურით); [XII ს.]; ხელნაწერის შემკუ-
 ლობას შეადგენს მხატვრულად შესრულებული მრველოვანი საზედაო ასოები.

[ოთხთავი] „...თვთ გუჭსმის პირისაგან მაგისისა, და აღდგა ყოველი
 იგი სიმრავლე მათი და მოიყვანეს იგი პილატესა...“ (ლუკა 22, 71) 1r—73v.

წყდება: „...პრქუა მას მერმეცა მეორედ სიმონ იოანა სოგ“... (იოანე
 21, 16).

მინაწერები 1. „ავგაროზსა ვსწერდი, ავი ქელი მოდიოდა და არ“... (23r,
 ნუსხურით).

2. „ეს სახარება იმნაძისა არის, ვინც ეს მოიპაროს, გაუწყრეს ამისი მა-
 დლი“ (22v, მხედრულით).

3. მინაწერი მდივანწიფიანობრული ხელით (21v).

(1846)

5155

თეიმურაზ II, სარკე თქმულთა. 1824

104 ფ. (208 გვ.); 32,5×21; მოლურჯო ქაღალდი; ტყავადაკრული, ტვიფ-
 რული ხის ყდა (ჭიანჭაში); დაზიანებული (წინა 6 ფურცელი ამოვარდნილია და

კიდევ შემოცვეთილი); მხედრული (სათაურები სინგური); 1824 წ. (გვ. 201);
გადამწერი იოანე იალღუზისძე (გვ. 201).

«სარკე თქმულთა», „დღისა და ღამის გაბაასება, თქმული მეფისა
ორაკლის ძის მეფისა თეიმურაზისაგან. —

ვით ჭელვჰყო აღძვრად სიტყუათა, ვერ სიბრძნის ღირსმან სწავობით,
ვერცა ღრმად გამომეტყველი, რიტორებრ ენა მრავლობით...“

გვ. 1—207.

შენიშვნები: 1. ერთვის „საძიებელი წიგნისა ამის სარკე თქმულთასა“
(გვ. 203).

2. ტექსტი გამოცემულია. იხ. თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრული კრე-
ბული ვიორგი ჯაკობიას წინასიტყვაობით, რედაქციით, ლექსიკონით და შენიშ-
ვნებით, 1939, გვ. 1—101.

ანდერძი: აღიწერა წიგნი ესე სარკე თქმულთა ჭელითა ღებერსკის
სეკრატრისა იოანე იალღუზის ძისათა, რომელი კუთვნილ არს თავადისა უფლის
მაიორის და კავალერისა დავით თარხან მოურავეისადმი(!) ასაკმარის ღმერთმან
მისდა სათნოდ ცხოვრისა(!) ბედნიერებასა შინა. იანერის კ-სა დღესა, ჩუქდ-სა
წელსა, ქართულსა ქქენ ფიბ-სა“ (გვ. 201).

(1847)

5156

გაბაშვილი ზაქარია, განზრახვანი. 1840

28 ფ.; 17,5×10,3; ლურჯი ქაღალდი; უყდო; მხედრული; 1840 წ. (1რ); გა-
დამწერი ივანე ისაკოვი (1რ).

«ზაქარია ხუცესი, განზრახვათა წიგნი». „განზრახვა თა-
ვისა თვისისათვის. — ნუ თავის მოყვარებით და ჯორცის ნებეირობით გასინჯავ
და გასჩხრეკ თავსა შენსა სულს ჩემო, არამედ შენსავე თავში ჰქმენ ჰემმარი-
ტი და მოუფერებელი სამართალი...“ 1v—28v.

ანდერძი: „განზრახვათა წიგნი ესე შეთხზული ზაქარია ხუ-
ცისაგან და გამოცემული ქართულსა ენასა ზედა მოსახსენებლად თავისა
თვისსა, რომელიცა ვპოვე და აღსწერე მე, ივანე ისაკოვი მა. აღმოიკითხ-
ველთა ამისთა გევედრებით, რათა შენდობას მიბრძანებდეთ ცთომათათვის, რათა
ღმერთმან თქვენცა შეგინდოსთ ცთომანი თქვენნი[ო].“

1840-სა წელსა, მარტის 12-სა დღესა“ (1რ).

შენიშვნები: დანიელ კონქაძისა: „Таких размышлений у нас учени-
ки 1-го приходского класса сочиняют. Д. Чонкадзе“ (18v).

(1848)

5157

ავგაროზი. XIX

34,5×30,5 (ერთ მოლიან ფურცელზე ტექსტისათვის შემოხაზულია 68 წრე,
დაკეცილია წრეთა რაოდენობის მიხედვით, კუთხეები შემოჭრილია იმგვარად,
რომ ქმნიან ჯვრის ფორმას); მოლურჯო ქაღალდი; ნაკულლი; დაზიანებული
(23-ე—28-ე წრეში მოთავსებული ტექსტის ზედა ნაწილი წაჭრილია); მხედრუ-
ლი; [XIX საუკუნის დამდეგი]; გადაწერის ადგილი გელათის მონასტერი; ტექ-
სტი მოთავსებულია წრეების ორსვე მხარეს, დაუწერელია 63—68.

[ავგაროზი]. 1. ეპისტოლე ედესის მეფის ავგაროზისა ქრისტეს მი-
მართ. — ზღუდე ვარ მე ედესისა და უტყუელისა მის აღთქმისა, ქრისტე ღმერ-
თო, რომელსა რწმენეს შენდამი...“ (1 წრე, შემდეგ აკლია).

2. [ეპისტოლე] მიწერილი იესო ქრისტეს მიერ ავგაროსის მიმართ. — ნეტარ ხარ შენ ავგაროს და ქალაქი შენი, რომელსა ჰრქვან ედესიაჲ. ნეტარ ხარ, რამეთუ გრწმუნა ჩემდა მომართ, რომელი არა გიხილავ...“ (2—14 წრე).

შენიშვნა: ქრისტეს ეპისტოლეს ერთის მის მიერ აღბეჭდილი ნიშანი ნიშანი (ბერძნულად) და მათი თარგმანება (იხ. მომდევნო ავგაროსის, S—5158, აღწერა, შენ. 2).

3. «აღწოდებაჲ» ზაქარია მოძღვრისა, გაბაშვილისა. — „თვით სახიერმან არ სახიერმან, ხოლო ღმერთმან ყოვლად წმინდამან, სამ სირამან ჯაჭუმან ინება რა ზედან აღწოდებაჲ მართლადმსარებელისა თვისისა, ხუცისა და მოძღვრისა ზახარიასი, ნათესავით ქართულისა, ხოლო სქეს-ტომობით იობიან-გაბაონისა...“

შენიშვნა: «აღწოდებაჲ» ზაქარია გაბაშვილისა დაწერილია რელიგიურ-მათეტიკური ტონით. დაწერილი, თუ გადაწერილი ჩანს ზაქარიას ძმისწულისაგან: „...მე, უღირსსა ძმის ძესა მისსა წარწერილისა წაყითხვას მიბრძანებდა“-ო... ამბობს იგი, დამსწრე და მხალველი ბიძის მიცვალებისა.

აქ ვხვდებით ზუსტ ცნობებს ზაქარიას გარდაცვალებისა და დაკრძალვის ირგვლივ: „...გაენათისა მიტროპოლიტმან ეფთჳმიოს... დღითარე მოსწრაფებითა... და ტრფილებითა დამარბა ყოულად ღირსი ესე ხუცეს-მოძღვარი ძისა თვისისა სასურველისა იოსების თანა დასავლეთას კარისა წინარე ჩრდილოეთით კერძო. ხოლო აღსასრული მიიღო წელთა სამეოცდაათთუთმეტა მქონებელმან თვესა ფებერვალსა ვ. ქრისტეს აქათ ჩაღბ“.

ანდერძი: „აღიწერა ერთხმობითა და ერთსიტყვითა ამა საკვირველებისა თვალთ მხილველთ გაენათს შეკრებულთა წმინდათა სამღვდელთათა“.

(1849)

5158

ავგაროზი. XIX

39 წრის ფორმის გადაუმეღი ფურცელი; თვითოეულის ზომა 5,6X5,6; ქალაღი: უყდო; დაზიანებულ; ნაკულუ; მხედრული (სათაურები სინგურით); [XIX ს.]; ავგაროზი დაწერილია ვინმე სოლომონის სახელზე (30-ე წრე); უკანასკნელ წრიულ ნაკვეთზე მოთავსებულია, წითელი საღებავით შესრულებული, ყვავილოვანი გამოსახულება.

[ავგაროზი] „სახარება იოანესი, თავი პირველი. — პირველითგან იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმერთისა თანა...“

წყდებ: „...წმიდაო გიორგი გეტსამანიისა, წოგო გიორგი რომისა...“

შენიშვნები: გარდა ლოცვებისა «ავგაროზში» შესულია 1. «ეპისტოლე ავგაროზისა, რომელი მიუწერა უფალსა ჩვენსა იესო ქრისტესსა. — ავგაროზთ მთავარი ედესე ქალაქისა იესო მაცხოვრისა სახიერსა გამოჩინებულსა ქალაქსა იერუსალიმს ვახარებ...“ (მე-16—20 წრე).

2. აქვეა ქრისტეს საპასუხო «ეპისტოლეზე» დართულ ნიშნთა: ქ. ფ. ქ. ე. ი. რ. დს. განმარტება. — „ქ. ფ. ქ. ო. ო. ძ. თარგმანება თვითოეულისა მარცელისა და უწყება:“

ჯვარი ამას გამოაჩინებს, რომელი ნეფსით თვისით დაემსკვალა მას ზედა, ხოლო **ფარი** — ფართი ყოფსა საიდუმლოსასა მოასწავებს, რამეთუ კაც იქმნა განცხადებულად და არა ფარულად. **ქანი** — ქერაბინთა საყდართა ზედა ქდომასა მოასწავებს. **ენი** იტყვის: ესე არს ღმერთი პირველი და სხვა თვინიერ მისა არაინ არს ღმერთი. **ინი მოასწავებს** — იგი არს მეფე, მეფე მალალი და ღმერთი,

ღმერთთა, რაე იტყვის — რამეთუ მსნულ ვიყავ ნათესავისა კაცთასა; ხოლო დონი იტყვის: დიდ ვარ და მალალ და საშინელ ცხოველ ვარ მე, უკუნითი უკუნისამდე ვარ მე ელდისისა და ყოვლისა...“ (მე-16—20 წრე).

წარმოდგენილი განმარტებანი, სხვადასხვა რედაქციით, ერთვის ალავერდი-სა (A—484) და გელათის (Q—908) ოთხთავებს.

იხ. აღ. ხ ა ხ ა ნ ა შ ე ი ლ ი, Очерки по истории грузинской словесности. Выпуск первый. Народный эпос и Апокрифы. Москва, 1895. стр. 197.

3. „ტ რ ო პ ა რ ი დიდისა მოწამისა გიორგისა. — ტყვეთა განმათავისუფლებლო და გლახათა ქელის ამპყრობელო, სნულთა მკურნალო და მეფეთა წინამბრძოლო, ღვაწლით შემოსილო დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ქოისტესა, მფარველ და მეფე ეყვენით მონასა ამას დრისასა... წმინდაო გიორგი თელეთისაო, წმიდაო გიორგი ალავერდისაო...“ (31—38 წრე).

4. ავგაროზი დაწერილია ვინმე ს ო ლ ო მ ო ნ ი ს სახელზე. იგი იხსენება შემდეგ კონექტში: „ქვათახევის ღვთისმშობელო, ძლევისა მთავარმოწამეო წმინდაო შო მღვიმელო, წმიდაო ნინა ქართველთ განმანათლებელო და ყოველნო წმიდანო, თანა შეეწიენით და დაიხსენით ყოვლისა განსაცდელისაგან მონა ესე ს ო ლ ო მ ა ნ“ (30-ე).

(1850)

5159

ავგაროზი. XIX

26,8×33,8 (ერთ ფურცელზე ტექსტისათვის შემოხაზულია 30 წრე. ფურცელი დაყეცილია წრეთა რაოდენობის მიხედვით. მარჯვნივ და მარცხნივ, ვერტიკალურად, ხუთ-ხუთი წრე დაუწერელია); მოლურჯო ქაღალდი; თავნაკული; მხედრული (სათაური და შუა წრიული ხაზები სინგურით); [XIX ს.]; ავგაროზი დაწერილია ვინმე ამილახორის სახელზე, მისგანვე(?).

[ავგაროზი]. „პასუხი მიწერილი იესო ქრისტეს მიერ ავგაროზის მიმართ. — ნეტარ ხარ შენ ავგაროზ და ქალაქი შენი, რომელსა პრქვიან ელდისაჲ. ნეტარ ხარ, რამეთუ გრწმენა ჩემდა მომართ...“ (2—28 წრე).

შენიშვნები: 1. «ავგაროზი» შეიცავს მხოლოდ ქრისტეს პასუხს, ეპისტოლეს ავგაროზის მიმართ.

2. მას ერთვის ქრისტეს აღბეჭდილი შვიდნი ნიშანი (ბერძნული დაწერილობით) განმარტებებითურთ (ამის დაწვრილებითი აღწერა იხ. წინარე, S—5158-ში, შენ. 2).

3. ავგაროზის ეპისტოლიდან შემორჩენილია მხოლოდ ბოლო ნაწყვეტი: „რომელი კმა არს ორთათვისე მშვიდობით დამკვდრებელ მას შინა და მშვიდობა შენდა უფალო ჩემო“.

ანდერძი: „წმიდისა ამის ეპისტოლის მადლო, დაიფარე ყოვლის განსაცდელისაგან მტერთუშლი ეპისტოლისა ამის მონა ლუთისა თავადი ამილახორი“.

(1851)

5160

პალადი კაპადუკიელი, ლავსაიკონი. XIX

132 ფ.; 32,2×22; ქაღალდი; ტყავდაკრული ტვიფრული ხის ყდა; დაზიანებული (მელანი დაჩანგული, ზოგიერთი ფურცლის კიდეები რესტავირებული); ნუსხური (სათაურები სინგურით); [XIX ს.]; თავკაზმულობიანი (5F); დაუწერელია ფ. ფ. 1—4, 126—132.

«პალადი კაპადუკიელი, ლავსაიკონი», „ეპისტოლე წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩრისა პალადიოს ეპისკოპოსისა კაპადუკიელისა, მიწე-

რილი ლავსოეს მიმართ პრეპოსიტისა. — ვჰნატრი გულსმოდგინებასა და კეთილსა ნებასა შენსა, რამეთუ ჯერ-არს ნეტარებისაგან დაწყება ეპისტოლისა...“ 5r—124v.

შენიშვნა: ერთვის „ზანდუკი ამის წიგნისა, რომელსა ეწოდების ლავსაიკონი“ (124v—125v).

ზანდუკის ბოლოს ტექსტის ხელით ვკითხულობთ: „აღმწერელი ამის წიგნისა პალადი... ვანსრულდა ლავსაიკონი ესე ძალითა ღმრთისაითა“ (125v).

შინაწერები (მხედრულით): 1. „წიგნი ესე ლავსაიკონი წმინდის საბას მონასტრისათჳს შეწირულია კარდანაჲს“ (5r).

2. „ყოვლად პატიოსანი ესე წიგნი ლავსაიკონად წოდებული შემოგწირე პატიოსანსა მონასტერსა საბა ვანწმედლისასა, რომელი არს კარდანაჲს. სასაფლავისა მშობელთა ჩემთასა, მოსახსენებელად სულთა მშობელთა ჩემთასა და ძმათა და დათა ჩემთასა მე, გლახაკმან ბერმან უღირსმან მღუღელ-მონაზრომან ნიკოლოს ვაჩნაძე, ბებურის შვილის თამაზის ძემან.“

ამასთანავე, შემოგწირე ერთი ხუამლი თითბრისა, მარადის ჯუარცმის წინაშე საკიდლად, მოსახსენებელად დედისა ჩემისა თამარისა. ნიკოლოზ“ (125v).

5161

შეუერთდა S—5223-ს, როგორც მისი ნაწილი.

5162

სიგელ-გუჯრები და სხვა დოკუმენტები.

გადატანილია დოკუმენტების კოლექციაში Sd 2855—3037.

(1852)

5163

ანტონ I, კატეხიზმო. XIX

122 ფ.; 20,5X15,8; ჭალაღი; ტყავგადაკრული, ტვიფრული ხის ყდა (დაზიანებული, ჰვედა ყდის ფიცარი გატეხილი); დაზიანებული (ნაწილობრივ დაშლილი, სინესტისაგან დალაქებულნი, კიდებშემოცვეთილი, წინა ორი ფურცლის კუთხე ტექსტით მოხეული და დაკარგულია); მხედრული (სათაურები სინგურით); [XIX საუკუნის დამდეგი].

„წიგნი კატეხიზმოს ანუ მოწოდება, რომელიცა თანა არს ქრისტეანეთა კეთილმსახურთა აღსარებად, რომლისა შორის სიმოვლიონ(!) აღიკნების 123 შინა კითხვსა მიგებათა, ქმნილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოულისა ზემოხსა საქართუჭლომსა. —

1. კითხუა: რად არს სათანადო... მიმართ, რათა პრწმენეს.

მიგება: სიმოვლიონ, რომელი არს... ტაეპი, ქმნილი მეორისაგან მ[სოფლიო] კრებისა პირველად კოსტანტინუპოლ[სა]...“ 2r—121r.

შენიშვნა: უძღვის: „შეყუანილება ანუ წინასიტყუაო[ბა] წიგნისა კატეხიზმოსისა“ (1r).

შინაწერები: 1. „ქაიხოსრო ამილახვაროვ... ეს კატეხიზმოს ღმერთმან... გონიერებასა შინა...“ (2r).

2. „ჩუღზ-სა წელსა, აპრილის ა-სა დღესა გიორგი ივანეს ძე ამილახვაროვი მი[ი]ღეს ღრაფერენცკის პოლკში კარაბინერში სასწავლებელში, ხუთშაფათ[ს], თორმეტის წლითა“ (121v).

5164

პ. უმიკაშვილი, ლექსები.

გადატანილია პ. უმიკაშვილის არქივში № 4.

(1853)

5165

კითხვა-მიგებანი საღმრთო წერილიდან. XVII

97 ფ.; 14×10,5; ქალაღი; მუყაოს ახალი ყდა; დაზიანებული (ახლად რესტავრირებული); ნაკლული; ნუსხური (სათაურები სინგურით; რამდენიმე ფურცელი ძირითადი ტექსტიგან განსხვავებული ხელით); [XVII ს.].

[კითხვა-მიგებანი საღმრთო წერილიდან. კითხვა]: „...ეინ მოკვდავი სიკვლილად მიეცა და მოკვდავი უკვდავ იქმნა?

მიგებაა: მაცხოვარი უკვდავი მოკვდა და ენუქ მკვდარი უკვდავ იქმნა...“ 1r—96v.

წყდება: „...ევა გამოუღო და ევა რომ სც“...

შენიშვნები: 1. 8 ფურცელი (1r—7r, 18r—19v) დაწერილია სხვა, ტექსტიგან განსხვავებული ხელით.

2. 18r—19v არ არის ჩაქინძული თავის ადგილას.

3. აღნიშნულ ფურცლებზე, გარდა კითხვა-მიგებათა, მოთავსებულია:

ა. [სამთვარიო]. — „ნოენბერსა თუ მთვარე დაზნელდეს, სიცივე და ყინვა იყოს დიდი, ქელშიფე მოკვდეს...“ (3r—5r).

ბ. „უწყებაა ეამთა და წელთა. — თუქნი წელიწადისანი იბ; კვირიაკენი ორმოცდა თორმეტნი; დღენი სამასსამოცდახუთნი და ნოთხალნი, რომელი არს დღეთა...“ (5r—6r).

გ. „სწავლანი მრავალ ფილასოფოსთანნი, მრავალნი და ფრიალნი, ხოლო უფროსნი სოლომონისნი“ (6rv).

დ. „სიბრძნისმეტყველება წმიდისა გრიგოლისი და ბაასილისი. ბაასილი სთქვაჲ, გრიგოლი მიუგო...“ (6v—7r).

მინაწერები: 1. „ზაქარიასი ვარ გერმანაშვილისა წიგნი ესე სამეცნიერო (17r).

2. „ეს წიგნი არის ზაქარია გერმანოვისა ანუ პაპაჩემისა, გიორგი გერმანოვი, 1901 რ., 15 მარტს“ (97rv).

(1854)

5166

კონდაკი. XVIII

48 ფ.; 20×16; ქალაღი; ახალი რესტავრირებული; ნუსხური; სათაურები და დასაწყისები სინგურით; [XVIII]; ქვირნიშანი: 1779 (ფ. 9, 12); თავნაკლული; დაუწერელია 48v; შექმნილია გიორგი მაქატარიასაგან.

[კონდაკი]. — „...მოპოციდენ ჩუენ წყევისა მისგან შჯულისა პატიოსნითა სისხლითა შენითა...“ 1r—47v.

შენიშვნა: შეიცავს იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდის ეპისწირებს.

მინაწერები: 48r-ზე მიწერილია ლოცვები გადამწერის ხელით.

(1855)

5167

უამნი. XVII

102 ფ.; 15×10; ქაღალდი; ტვიტრული ტყავით შემოსილი ხის ყდა, დაზიანებული; ნუსხური; სათაურები და დასაწყისები სინგურით; ორი ხელი: I (1r—73v, 97r—102v), II (74r—96v); ნაკლული; [XVII]; ჭვირნიშანი: სამი ნახევარ-მთვარე (ფ. 9); დაზიანებულია ფ. 59; შექმნილია გიორგი მაქაცარიასაგან.

[უამნი]. — „...დავმდაბლი შესულემშ(!) ჩემ ზედა გარდაცდეს რისხვანი შენნი...“ 1r—102v.

წყდებ: „...ყოველსა ქუჭყანდასა განკდა ა. ცანი უ...“

შენიშვნები: 1. შედგენილობა: ა. [განგება ცისკრისა] (1r—9v), ბ. „უამნი მზისაჲ“ (9v—16r), გ. „უამნი სამქმისა“ (16r—19v), დ. „უამნი მეექუსე“ (19v—24v), ე. „უამნი ცხრისა უამისი“ (24v—34r), ვ. „უამნი მწუხრისა“ (34v—41v), ზ. „უამნი მკიერ სერობისა“ (41v—45r), თ. [თეთა მეტყველება] (45r—57r), თ. „ოხითა იბაკონი აღდგომისანი“ (57r—62r), ი. „ოხითა იბაკონი მარხვათა და ზატიკთანი მეზუჭრისა და ფარსეველისაჲ“ (62r—73v), ია. „პარაკლისი ახლად თარგმანი სავედრებელი ყოვლად წმიდისა ღვთისმშობელისა“ (74r—85r), იბ. „იბაკონი ყოვლად წმიდისა ღვთისმშობელისანი, რომელსა დაუჭდომელი ეწოდების“ (85r—96v), იგ. [სახარებანი ათერთმეტთანი] (97r—102v).

2. ხელნაწერს ახასიათებს იოტამეტობა.

მინაწერები: მინაწერებია 21v, 22r, 55v და 56r.

5168

ქავჭავაძე ილია, ნაწერები.

გადატანილია ი. ქავჭავაძის არქივში № 78, 80—83.

5169

ქავჭავაძე ილია, ნაწერები.

გადატანილია ი. ქავჭავაძის არქივში № 25—38.

5170

ქავჭავაძე ილია, აისტორია.

გადატანილია ი. ქავჭავაძის არქივში № 79.

5171

ა. ერისთავი რაფიელ, დრამატული თხზულებანი.

გადატანილია რ. ერისთავის არქივში № 464—469.

ბ. ბარბარე ჭორჭაძის ხელწერილი დიმიტრი ყიფიანისგან „ქართულის სპექტაკლის“ ფულის მიღების შესახებ.

გადატანილია დ. ყიფიანის არქივში № 643.

5172

ერისთავი რაფიელ, დრამატული თხზულებანი.

გადატანილია რ. ერისთავის არქივში № 462, 463.

(1856)

5173

თავნი მომაკუდინებელნი ცოდვანი. XIX

10 ფ.; 21×17; ქალაღი; უყდო; მხედრული; [XIX]; დაუწერელია 10v.

„თავნი მომაკუდინებელნი ცოდუანი, რომელი გამომართების თვთოათეულად. —

კ. რაოდენნი არიან თავნი მომაკუდინებელთა ცოდუათა და ანუ წამალი მათი?

მ. შკდნი...“ 1r—10r.

შენიშვნა: თხზულების ავტორია ნიკოლოზ ორბელიანი-თბილელი (იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 348). S—5173 ხელნაწერის ტექსტი ნიკოლოზ ორბელიანის თხზულებიდან გამოკრებილის შთაბეჭდილებას ტოვებს (შდრ. H—998, 99v—118r).

(1857)

5174

შატობრიანი, მოწამენი, ისტორიული მოთხრობა. 1897

93 ფ.; 22×17,5; ქალაღი; ქალაღის ყდა; მხედრული; 1897 წ. (90r); დაუწერელია 90v.

„მოწამენი, ისტორიული მოთხრობა ქრისტიანობის პირველ საუკუნეებიდან (შატობრიანის თხზულებიდან). თავი ა. წარმართთა ქურუმი დემოდოკი და ასული მისი აგლაია. დღეობა დიანა დმერთასი. დღეობიდან დაბრუნება აგლაიასი და შეხვედრა დიოდორ ქრისტიანესი. დიოდორს მიყავს აგლაია დემოდოკთან. აგლაია და დემოდოკი მიდიან ლასტენესთან, დიოდორის მამასთან, — თხუტმეტ(!) საუკუნის წინათ, იმპერატორ დიოკლიტიანე მეფობის დროს, საბერძნეთში სცხოვრებდა წარმართთა ქურუმი დემოდოკი თავის ასულით აგლაიათი...“ 1r—90r.

შენიშვნები: 1. ბოლოში ერთვის სარჩევი (91v—93r).

2. 19r-ზე მთარგმნელს სკოლიოში განმარტებული აქვს სიტყვა „გაღლები“.

3. ტექსტი შეიცავს შატობრიანის თხზულების თარგმანს. თხზულება გამოქვეყნებულია რუსულ ენაზე — Мученики. Историческая повесть из первых веков христианства (из соч. Шатобриана). Москва, 1894 г.

4. ყდაზე, სათაურის ქვევით, მიწერილია: „რუსულიდამ ნათარგმნი დომენტი ლოსაბერიძის მიერ“. ხელნაწერის გადაწერა დასრულებულია „1897 წელს, იანვრის 16 დღესა“ (90r).

(1858)

5175

საკითხავი ადამ და ევაჰსი სამოთხით გამოსლვისაჲ. XVII

8 ფ.; 30×20,5; ქალაღი; უყდო; დაშლილი; მხედრული; ნაკლული; [XVII]; აქვს კვირნიშანი (ფ. 4).

[საკითხავი ადამ და ევაჲსი სამოთხით გამოსცეს]. — „...ანგელოზი მოვიდეს და ჰრქუა ადამს, და ადამ დაიმარხა სიტყუანი ესე გულსა თვისსა...“ 1r—8v.

წყდება: „...განათლებისა ჟამსა ღღესა აღტვიან და...“

შენიშვნები: 1. არსებობს ამ აპოკრიფის ორი რედაქცია. ორივე რედაქცია გამოქვეყნებულია ც. ქუ რ ც ი კ ი ძ ი ს მიერ (ადამის აპოკრიფული ცხოვრების ქართული ვერსია, ფილოლოგიური ძიებანი, I, თბილისი, 1964, გვ. 97—136). ხელნაწერი S—5175 ამ თხზულების II რედაქციას, გამოცემაში აღნიშნულია **9. ლიტერით.**

2. გამოთქმულია ვარაუდი, რომ S—5175 ხელნაწერი მარიაშისეული „ქართლის ცხოვრების“ (S—30) ნაწილი უნდა ყოფილიყო (იხ. ც. ქუ რ ც ი კ ი ძ ი ს დასახ. შრომა, გვ. 98—99).

მინაწერები: (სხვა ხელით) 1. „ამის მთქმელს გაიაზრება ნდომია, დამწერელს — გაკოპიტება. რომანოზ ცოდვილმან წაეკითხე ბოლომდის“ (4r).

2. „მთიული ვიყავ და ამამიგაც ხმარად სწერია მთიულეთი“ (4r).

3. მინაწერია 4r-ზე.

(1859)

5176

მეფის ასულის მარიაშის ამბავი. XIX

20 ფ.; 22,5×18; ქალაღი; უყდო; მხედრული; [XIX]; გადამწერი: ანანა, თევდორე კერნაშის ასული (20r).

[მეფის ასულის მარიაშის ამბავი]. — „იყო ქალაქსა შინა კონტილეპოლის(!) კეისარი, დიდათ სახელოვანი, ძრიელი და ახოვანი...“ 1r—20r.

შენიშვნები: 1. მოთხრობილია ზღაპრული ამბავი კეისრის ასულ მარიაშე. იხ. აგრეთვე H—1131 ხელნაწერის აღწერილობის შენიშვნები (ხელნაწერთა აღწერილობა, H კოლექცია, III, თბილისი, 1948, გვ. 112).

2. ამ ხელნაწერის შესახებ იხ. თ. ოქროშიძე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფოლკლორულ-შემკვრებლობითი მუშაობა მე-19 ს. მეორე ნახევარში (ლიტერატურული ძიებანი, V, თბილისი, 1948, გვ. 405—421).

ანდერძი (გადამწერისა): „მსმენელო, ამინ, ვითარცა იგი ასული ნეფისა მარიაში მიხვდა თავის საცდელსა მიხვდა(!), აგრეთვე თქვენ მიხვდით თქვენსა სანატრელსა, რაც ღმერთსა სთხოვთ(!). ამინ, ალილუა. ეს წიგნი აღწერა კვერნაძეძანთ თევდორეს ქალმა ანანაშა. რაც მეტი ნაკლები ენითა...“ (20r).

მინაწერები: მინაწერებია მგლნით და ფანჭით 20v-ზე.

(1860)

5177

ქართული გრამატიკა (ფრაგმენტები). XIX

36 ფ.; 22×16,5; ქალაღი, სხვადასხვა; უყდო, დამილი; მხედრული, ოთხი ხელი; საზედათ ასოები მთავრულით; [XIX]; კვირინაშანი: 1810 წ. (ფ. ფ. 23, 26); დაუწერელია: 5r—v, 10r—12v, 15v—17v, 20v—21v, 36r—v.

„ქართული დრამმატიკა. — § 1. დრამმატიკა არს ჰსწავლა კელთ-მძღუანველი კანონიერ უზნობისა და მართლწერისადმი...“ 1r—35v.

წყდება: „...არა არს გუარი სიკუდილისა, რომელმან შეარყიამცა ჰაზრი მისი...“

შენიშვნა: ხელნაწერი შეიცავს ნაწყვეტებს სხვადასხვა გრამატიკიდან: 1r-დან 4v-მდე ნაწერია ერთი ხელით, გადმოწერილია იოანე ქართველიშვილის „ქართული ღრამატიკიდან“ (შდრ. S—1545, 3r—10v). მეორე ხელით ნაწერია 6r-დან 9v-მდე, მესამე ხელით — 13r—32v; მეოთხე ხელით — 33r—35v.

(1861)

5178

ალექსანდრე ნიკოლსკი, საფუძველნი სიტყვიერებისანი. XIX

26 ფ.; 21,5×17; ქაღალდი, ცისფერი; უყდო; მხედრული, სახედაო ასოები მთავრულით; [XIX]; ნაკლული; დაუწერელია: 13v, ფ. 26; ჩამოხეულია ფ. 16; კვირნიშანი: 1814 (ფ. 1, 3).

[ალექსანდრე ნიკოლსკი, საფუძველნი სიტყვიერებისანი]. — „...შენ გლახაკ ხარ, მაშასადამე მოითმინე...“ 1r—25v.

წყდება: „...ამათ ისტორიათა, რომანთა (სამიჯუნროთა), ზღაპართა და მოთხრობითთა არაკთა არა ჰქონან კერძო ესე სიტყვისანი...“

შენიშვნა: თხზულების ავტორი და სათაური აღდგენილია ტ. რუხაძის წიგნის მიხედვით (ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIII სს., თბილისი, 1960, გვ. 234).

(1862)

5179

ალექსანდრე ჭავჭავაძე, ლექსები. XIX

16 ფ.; 21,5×17; ქაღალდი; უყდო; მხედრული; ნაკლული; [XIX]; კვირნიშანი: 1830 წ. (ფფ. 3, 4).

1. [ვისაც გსურთ]. —

„მარად მებანღვის წყლულნი.

მუშაკნი ბევრნი თვთოსა მცმელად

გვყვან ნების წარმტაცუჭელად...“ 1r.

შენიშვნა: ლექსი თავნაკლულია, იწყება მერვე ტაეპიდან (შდრ. ა. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებით და ლექსიკონით, თბილისი, 1940).

2. [სახე შენი], „ლაჯარაშ. —

სახე შენი მე მახევა, მებადა,

სრულ განმპარცვა, რაცნლა ცნობა მ[ე]ბადა...“ 1r.

3. [ელების კარი გაზაფხულისა]. —

„ვიღების კარი გაზაფხულისა,

დროთა ცუალებით დანაგულისა...“ 1v—2r.

4. [ოპ წარმავალნო]. —

„ში წარმევეალნო გზასა ქალნო,

თვალთა საამოდ ხილვად კმანო...“ 2r—3r.

5. [ვიწყო წერა მაჯამით], „ბაიათი ალექსანდრესი. —

ვიწყო წერა მაჯამით,

დაჰშურეს ჩემი მაჯამით...“ 3r.

10. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. VII

6. [ვინ არს ესე], „თენჯისი ალექსანდრესი. — ვინ არს ესე სრულთაგითრებრ მანათი, ვისგან სწუჭთან ნამნი ვარდთა საღებად...“ 3r—v.
7. [მოვედ ამ არედ შესამკობელად], „მუხანბაზი ალექსანდრესი. — მოვედ ამ არედ შესამკობლად ნიაგო, მქროლევ კეთილ მუ[ო]ფელად...“ 3v—4v.
8. [ისმინეთ მსმენნო], „მუსტაზადი ალექსანდრესი. — ისმინეთ მსმენნო, ჭირთა მთმენნო, მომიპყართ ყურნი, რაგვარნი ჭირნი, ცეცხლნი ხშირნი, მწუჭლნი აღმურნი...“ 4v—5r.
9. [ოჰ საყვარელო]. — „[ოჰ] საყვარელო, შენგან ხელსა აწ მაქუს ზრუნუენი, რომელ მღერითა განგიცხადო ჩემნი ჭმუნენი...“ 5v—6r.
10. [ვაქებ თავსა თმა მდიდარსა], „მუშტარ მუხალიფის კმა, გაფი ალექსანდრესი. — ვაქებ თავსა თმა-მდიდარსა, რომელსა გლახ უბამს გული, ძვირფასს ლალსა დაუქლალსა მარგარიტი უცუავს სრული...“ 6r—v.
11. [უწყალო სენმან], „მუშტაზადი ალექსანდრესი. — უწყალო სენმან, ყოველთ მაწყენმან, გვიკოდა გულნი, გვექმნა ჭირთა მთმენად მგლოვარენად ყოველნი სულნი...“ 6v—7v.
12. [მომივედ მთოვარევე], „გარდუნ გარდუნის კმა ჰუსეინის, გაფი ალექსანდრესი. — მომივედ მთოვარევე, შუქისა მფენო, მჭურეტთათვის განცხრომის აღმომაცენო...“ 7v—8r.
13. [ანაზდად ხილვამან], „სან ბირეიდალ აზახმის კმა ალექსანდრესი. — ანაზდად ხილუვამან მე შენგან, მზეო, ასე მძლია და წარმტაცა გლახ გული...“ 8r.
14. [ედემს რგულსა], „უშტი ქონდლუ ყუშის კმა. — ედ[ე]მს რგულსა საროს მაშორვა ბედმან, აროდეს ნუგეშ მცა მახთან(!) დაზმითან...“ 8r—v.
15. [აჯას ვამრავლებ], „ქაფარ ბარუხამის კმა, გაფი ალექსანდრესი. — აჯას ვამრავლებ მე შენდა, გულს შენი ტრფობა მეშენდა...“ 8v—9r.
16. [ვარდო კოკობო], „მუსტაზადი ალექსანდრესი. — ვარდო კოკობო, ყოველთა მჯობო, მომხედე კრულსა მე შენსა მჭურეტსა, განარეტსა, თულდაურულსა...“ 9r—v.
17. [შენ გეტრფის ვარდო], „ბაღჩა დივარინდონ აშტუმის კმა(!), ყაიდა ალექსანდრესი[ი]. — შენ გეტრფის, ვარდო, გლახ გული, სურვილით ცნობა კარგული...“ 9v—10r.
18. [ვაჰ შენგან წყლულსა], „თემრო თემროს კმაზედ, ოსმალის ყაიდა ალექსანდრესი. — ვაჰი შენგან წყლულსა დაკოდისს გულსა, ზი ვარდისა მქონევ, ბულბულთ შემადონევ...“ 10r—v.

19. [გლახ თვალთა შენი], „ნუ დამწუსავ ცეცხლში, შანშეს კმა ალექსანდრესი. —
გლახ თვალთა შენი შუჭბა სრული
რა განიცადეს, მუნით ვარ კრული...“ 10v—11v.
20. [ზალახშ ბეზეკის ბაგით], „ჯანყუმი ბუიერლარდს კმა განსურის ვაფი. —
ბასლახშ ბეზევის ბაგით სიტყუა წარმონაშობი
მესმა რა მუნითგან, მწყლავს მე გლახ ისარი მსობი...“ 11v—12r.
21. [ქენებით ვხმოვანებ], „გეთმასამ ოლდურურ ოიარაბამანის კმა. —
ქენებით ჳხოვანებ, მისმინე მედღრსა,
ნუ მიმცემ სიკვდილსა, მსწრაფლ შესახუედღრსა...“ 12r.
22. [ვაპ სუსტსა სენით], „ლამსანისანის კმა. —
ვაა სუსტსა სენით, ავთ კმათ სმენით, გულსავსე წყენით,
ეს ვიღონენით, მოსტქუათ თმენით გლოვა გლახ ენით...“ 12r—v.
23. [შვენებანი სახილვოდ], „ბაისაბაჟი ჩამანამისა, კმა ალექსანდრესი. —
შუჭნებანო, სახილვოდ სასურველნო,
თავთა თქვენთა კეთილ ქცევით მბრუნველნო...“ 12v—13r.
24. [სიყვარულსა შეუპყრევარ], „ოსმალური ყოიდა ალექსანდრესი, ბირ ნაზინან ბირ ყაზინანის კმა. —
სიყვარულსა შეუპყრევარ აწ შენსა,
გეტრფის გული სურვილ-გული...“ 13r—v.
25. [ვაპ სოფელსა ამას]. —
„ვაა სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა,
ბოროტებისა და სიცრუვის ჭურთა...“ 14r—v.
26. [ოკვით გვემტყუნვა]. —
„ში ვით გვემტყუნვა
სოფლისა ბრუნვა...“ 15r.
27. [მსურდა ოხვრა], „რასტი გუშა გულჰამანუმ ჳანუმის კმა. —
მსურდა ოხრუა ჩემი დუმით მეკრძალა,
რომელ მსმენელთ გული არ შემ[ე]ალა...“ 15v—16r.
28. [უწყლვივარ ჭირთა], „ჯოვრი ჳანდა სარიბამ. —
უწყლვივარ ჭირთა მალვას,
დუმილს, ოხრვას და კრძალვას...“ 16r—v.
29. „მუხანბაზის ყაზალი. —
ჭმუნვის მახვილი გულსა მსობია,
მიკვირს, თუ სული რად არ მზღომია...“ 16v.

შენიშვნები: ალექსანდრე ჰავჰავაძის ლექსები გამოცემულია (იხ. ა. ჰავჰავაძე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებით და ლექსიკონით, თბილისი, 1940).

2. ხელნაწერი ნაკლულია, ეს ლექსი წყდება მეხუთე ტაეპზე (იხ. დასახ. გამოცემა, გვ. 63).

3. ლექსების სათაურები აღდგენილია დასახელებული გამოცემის მიხედვით.

(1863)

5180

თეიმურაზ I, ლეილმაჯნუნიანი. XVIII

18 ფ.; 30×21; ქაღალდი; უყდო, დაშლილი, დაზიანებული; მხედრული; სტროფების დასაწყისი სიტყვები სინგურით; ნაკლული; [XVIII]; აქვს ჰვირნი-შანი (ფ. 1, 3).

[თეიმურაზ I, ლეილმაჯნუნიანი]. —

„...თაყამს ჩხრეკენ და რამლსა კურენ, ქონდათ ვარსკვლავთა თვალობა, იკითხვენ, სწერენ, არჩევენ, აქუთ დიდი გამოწულილობა...“ 1r—18v.
 წყდებ: „[გარემოს ზღუდედ გა]თლილი მთლად ლალი ზურმუხტებულა, [კარნი ოთხს ალაგს] ოქროსა, შიგან სხდეს თვალნი ქებულა...“

შენიშვნები: 1. ხელნაწერი ნაკლულია. თეიმურაზ I თხზულებათა 1934 წლის გამოცემასთან შედარებით ხელნაწერს აკლია შემდეგი სტროფები: 1—9, 59—77, 107—126, 167—185, 236—244. წყდება 255 სტროფზე.

2. ეს ხელნაწერი 1934 წლის გამოცემაში არ არის გამოყენებული. ლეილ-მაჯნუნიანის გამოცემულ ტექსტთან შედარებით, ხელნაწერი S—5180 გვაძლევს რედაქციულ სხვაობებს: ა. 94, 132, 228 სტროფებში II და III ტაბები გადას-მულია. 186 სტროფში გადასმულია III და IV ტაბები.

ბ. 132 სტროფის IV ტაბი სხვაგვარად იკითხება. ამით გარდა ხელნაწერში, თითქმის ყველა სტროფში, ლეილმაჯნუნიანის 1934 წელს გამოცემულ ტექსტთან შედარებით გვხვდება რედაქციული თუ ვარიანტული სხვაობები.

3. ეს ხელნაწერი და ხელნაწერი S—5181 გადაწერილია ერთი ხელით.

შინაწერები: 1. „ორი სამოთხის ქალისა სიშორით გული მეწოდა, თუ შორათ განეშორები, მიჯობს მეც გაღვივებუ და, ვარდი, ყვავილთა უფალი, ფერს თხოვდა და მხევეწოდა, დეფარანეს, წარვიდეს, სახელად ბრძენი ეწოდა“ (10v).
 2. „მავრამ ავის ბედისაგან ჩემი რამცა გამოიკერდა“ (14r).
 3. შინაწერებია აგრეთვე 9r, 12r და 18v.

(1864)

5181

თეიმურაზ I, იოსებზილიზანიანი. XVIII

ფ. 28; 30,5×21,5; ქაღალდი; უყდო, დაშლილი, დაზიანებული; მხედრული; სტროფების დასაწყისი სიტყვები სინგურით; ნაკლული; [XVIII]; აქვს ჰვირნი-შანი (ფ. 1, 2).

„[პირველი მიჯუნურთა ამბავი სპარსულისაგან ქართულა [ნათარგმან]ები მეფის თეიმურაზისაგან ლექსად თქმული. —

[არსებით ვი]ტყუვი ცნობილად, სამებით ერთუფლებულად,

[ბუნებით გან]უყოფელად, ღთაებით შეერთებულად...“ 1r—28v.

წყდებ: „...დასაბამ შენ ხარ, უფალო, დასასრულ არსთა დგომამდი, [ქამ] უკან ქალწულისაგან ჩვენთვის კოც-შესხმად მოლამდი...“

შენიშვნები: 1. ხელნაწერი ნაკლულია. თეიმურაზ I თხზულებათა 1934 წლის გამოცემასთან შედარებით ხელნაწერს აკლია შემდეგი სტროფები: 21—28, 48—54, 235—252, 292—299.

2. ეს ხელნაწერი 1934 წლის გამოცემაში არ არის გამოყენებული. იოსებ-ზილიზანიანის გამოცემულ ტექსტთან შედარებით, ხელნაწერი S—5181 გვაძ-

ლევს რედაქციულ სხვაობებს: ა. აკლია 69, 310 სტროფები. ბ. 152, 184, 276 და 279 სტროფებში II და III ტაეები გადასმულია. გ. 979 სტროფის III ტაეში სხვაგვარად იკითხება. დ. 55 და 65 სტროფები რედაქციულად განსხვავებულია. ამით ვარდა, ხელნაწერში, თითქმის ყველა სტროფში, გამოცემულ ტექსტთან შედარებით, გვხვდება რედაქციული თუ ვარიანტული სხვაობები.

3. ხელნაწერები S—5181 და S—5180 გადაწერილია ერთი ხელით.

მინაწერები (სხვა ხელით):

1. „ბაგე ვარდისა ვის აქვს პობილი,
ლაწვთა ფერ-სპეტთა ჭვირვა ტრფობილი,
ნახად მიხედვა თვალთა ლობობილი
არს შარვანდ მფენი მეფედ შობილი.
მეტრფთა მიმწები უნდი ტკობილი,
მაკრთთა მიმზავი ნაკაზმ-მკობილი,
ინდთა დარაზმვა მიჯრით წყობილი
და ზეგარდამო ელვა კრთობილი“ (3r).
2. „ნელად რებანი, მიმოვღებანი, კვიპაროზებრთა
აღნაგთ რხევანი,
გულთა მიმანენი, ცრ[ე]მლთა მიმანენი, ნათელთ მიმანენი
მიმოფრანანი,
ტოპაზთ გრეხანი, მიმოგრეხანი, მკვრეტთა მინანი შესაშინანი,
ლექსთა ვინანი ვთქვი რა წინანი, მისგან საგიოდ
შესაწირავნი“ (3r).
3. „ტარო ტრელსა საწუთოსა არაოდეს შევეწყნარე...“ (2r).
4. „ესე შრომა მოცლით დრომა
იწყო წყურვილთ წყენილ ზრომა“ (17v).
5. მინაწერებია აგრეთვე 7r, 9r, 10v, 21r და 27r.

(1865)

5182

გაბრიელ მცირე, მღვდელთ-მთავრის ლიტურგიის განმარტება სახისმეტყველებით. 1823

22 ფ.; 18,5×11; ცისფერი ქაღალდი; ქაღალდის ყდა; მხედრული, საზედაო ასოები მთავრულით; 1823 წ. (15r); გამაწერი: მღვდელი იაკობ ლომისძე (15r); დაწერის ადგილი: ვლადიკავკაზი (15r); დაუწერელია: 15v—22v; ჭვირნიშანი: 1819 (ფ. 18).

[გაბრიელ მცირე], „მღვდელთ-მთავრის ლიტურგიის განმარტება სახისმეტყველებით, ვითარმედ ყოველსავე მღვდელმოქმედებასა მისსა რაჲ საიდუმლოებითი ძალი უპყრიეს. — მღვდელთ-მთავრო გონებო, გამამაბრწყინვებელო მღვდელთ-მთავრისა სიტყვისაო და გამომავლინებელო მღვდელთ-მთავრისა სულისაო...“ 1r—15r.

შენიშვნა: თხზულების ავტორია გაბრიელ მცირე (იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 372).

ანდერძი (გამაწერისა): „ყოვლად პატოსანრო და ღირსნო მღვდელნო და შემწირველნო უსისხლოსა მის მსხუტრლოსანო და მსახურნო, მე თქვენ მიერ მონიჭებულისა ამის სულისა წმიდისა მინდობითა მღვდელთ-მთავრისა ქრისტესი და მაგალითი მისი აღსრულებული სახისმეტყველებითი აღვსწერე ეკლესი[ის] აღავერდის დედანსა ზედა და მოვიძღვნით. შეიწირეთ სახსენებელად სიგლახაკისა ჩემისა, რათა რაჲამს აღესრულოს და [ა]ღსრულებდეთ ღმერთს-ყოველსა ამის საიდუმლოსა, მომისხენებდეთ მეცა ღირსებისა თქვენისა მსასოებელი უღირსი მღვდელი იაკობ ლომისძე. შეწვენითა მღვთო-

სათა აღიწერა ქელითა მღვდლის იაკობ ლომისძისათა ქალაქსა შინა
 ვლავდისკავკაზს(1), მაისის ე დღესა, ჩუკვ წელსა“ (15r).

(1866)

5183

სააკაძე იოსებ, ქება და წამება წმინდისა ქალწულ-მოწამისა მარინასი. XIX

19 ფ.; 10×8; ქალღლი; უყდო; მხედრული; ნაკული; [XIX].

[სააკაძე იოსებ], ქება და წამება წმინდისა ქალ-
 წულ-მოწამისა მარინასი თვესა ივლის იზ-სა. დასაწყისი
 პირველის ღირსის მარინას ქებისა. —

„ქალწული წმინდა მლოცავი
 იყო ქრისტეს წამებისა,
 თვით მშვენიერი, ბრწყინვალე,
 იყო უფლისა ნებისა...“ 2r—19v.

წყ დება: „...მე გვირგვინით სამოთხეს
 ჩემი იესო მფარვიდეს...“

შენიშვნები: 1. უძღვის: „სიტყვებისათვის მხველისა შენისა მარინასთ-
 ვის, რამეთუ მოწყალე და კაცთ-მოყვარე ღმერთი ხარ და შენდა დიდებას აღ-
 ვაუღუნთ მამისა და ძისა და წმინდის სულის აჲ და მარადის და უკუნითი უკუნი-
 სამდე, ამინ“ (1v).

2. კ. კეკელიძე პოემის ავტორად მიიჩნევს იოსებ სააკაძე-თბი-
 ლელს (იხ. ძვ. ქართული მწერლობის ისტორია, I, 1960, გვ. 616). ამავე აზრს
 იმეორებს აგრეთვე გ. ლეონიძე (იხ. დიდმოურავიანი გ. ლეონიძის რე-
 დაქციით, 1939, გვ. XXIX).

(1867)

5184

თეიმურაზ I, ლელმაჯნუნიანი. XIX

22 ფ.; 22×18; ქალღლი; უყდო; დაშლილი; მხედრული; ნაკული; [XIX];
 ჰვირნიშანი: 1836 წ. (ფ. 10, 11).

„ქარი პირველი ლელმაჯნურისა სპარსულისაგან
 ქართულად გადმოთარგმნული და გალექსილი მეფის
 თემურაზისაგან სასმენელად შესაქცევი. —

ღმერთო, რომელი თვით სიბრძნით ხარ სიბრძნის მომცემლობით,
 არსისა არაარსისა სიტყვით დამბადე მთქმელობით,
 მომეც გონება მე ვიყო მადლობის შემწირველობით
 და ხელ-ვყო წიგნებსა სპარსულსა ქართულად გადმოთარგმნობით(!)...“
 1r—22v.

წყ დება: „...იგი უებრო მნათობი გამოაქეთ სამარებასა,
 უკან მოსდევენ დედ-მამა, ვაი მათ მგზავრობებასა,
 ენა ვერ ანბობს სრულებით მათსა ვაგლახსა ვებასა
 და იხვეწებიან სიკვდილსა, დაქოლვა ქვა-დადებასა“.

შენიშვნები: 1. ეს ხელნაწერი თეიმურაზ I თხზულებათა 1934 წ. გა-
 მოცემაში აღნიშნულია J ლიტერით.

2. ხელნაწერი ნაკულია, გამოცემასთან შედარებით აკლია სტროფები:
 65—73, 131—140, წყდება 210 სტროფზე.

მინაწერი: მინაწერია 4r-ზე.

(1868)

5185

გვიღო დე კოლუმნი, ტროადის დაცემა. XIX

45 ფ.; 34X32; ქაღალდი, ცისფერი; უყდო, დაშლილი; მხედრული; სათაურებისათვის და თავების დასაწყისი პირველი სიტყვებისათვის გაშვებულია ადგილი სინგურით ჩასაწერად. ნაკლული: მოღწეულია 2—7 რვეულები; [XIX]; დაზიანებულია 45 ფ.; კვირნიშანი: 1809 (ფ. 3, 4).

[გვიღო დე კოლუმნი, დარღვევა ქალაქისა ტროადისა].—„... [უკეთუ ვყო ესე ვით] არ შენ მეუბნები, მამ ვითარისა. სახით-ღა ძალ-მიცს მისულა მამულსა ჩემსა...“ 1r—45v.

წყდება: „...სხუათა მეფეთა და მთავართა ბერძენთასა არჩიეს ბევრი-გად, თუ რაგვარ შეიძლონ თვინიერ ძნელთა განსაცდელთა თვისთა მიდგომა ტროადის კიდეთა ზედა და ვერ გულისხმა-ჰყოფდნენ, გარნა მა[რტოლა]...“

შენიშვნები: 1. სათაური აღდგენილია S—5 ხელნაწერის მიხედვით.

2. 5r-ს ქვედა კიდზე განმარტებულია სიტყვა იამლაგი(!). იამლაგი ასევე განმარტებული S—5 ხელნაწერის 13r-ზე, ოღონდ განმარტების მერმე მიწერილია: „რეკტორი დავით შალაკეთილშობილი აღექსისძე“, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ეს განმარტება დავით რექტორს ეკუთვნის. S—5185 ხელნაწერში კი მხოლოდ განმარტება გვაქვს.

3. თარგმნილია რუსულიდან გაიოზ რექტორის — თაყას ძე ბარათაშვილის მიერ (იხ. ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურის ურთიერთობის ისტორიიდან, XVI—XVIII სს., თბილისი, 1960, გვ. 231).

(1869)

5186

ჩარდავრიშანი. 1856

46 ფ.; 32,5X21; ქაღალდი; უყდო, დაშლილი; მხედრული; ნაკლული; გადამწერი: პრიეტნიკი ბესარიონ ბერიტოვი (29v); 1856 წ. (29v); 11, 12 და 32 ფურცლები ძველი რესტავირებულია; კვირნიშანი: 1839 (5 ფ.).

[ჩარდავრიშანი]. — „...მლოცველი არ ვიყო. მას უკან საქმლის ჰამა დაუწყო...“ 1r—46v.

წყდება: „...დიდი ხანი ვიარეთ, ღვთითა და თქვენის წყალობით ჩემს სახელმწიფოში მოველ. მამჩემს...“

შენიშვნები: 1. ფანქრით გაკეთებულია შენიშვნები ხელნაწერის 12r-სა და 22v-ზე, როგორც ჩანს, ამ ხელნაწერზე უმუშავიათ.

2. „ჩარდავრიშანი“ რამდენჯერმე გამოცემული: ე. ხელაძის მიერ 1876 წ. და 1890 წ., დ. კახაროვის მიერ 1913 წ.

ანდერძი: „გადაიწერა ესე ჩარდავრიშანი(!) ქელითა პრიეტნიკი ბესარიონ ბერიტოვისაგან წელსა ჩვენ, იანვრის ი“. (29v). ანდერძში გადამწერის გვარისა და გადაწერის თარიღის ადგილას ჯერ სხვა წერებულა, მერმე პირველად ნაწერი ამოუშლიათ და ხელახლა ჩაუწერიათ ტექსტის მეღნიით და ხელით.

მინაწერები (ფანქრით): 1. „დავრიშანი ესე თავად მიხაილ ვეზირი-შვილის ნაქონია“ (1r).

2. „გადაწერილია მედავითენ ბესარიონ ბერიტოვისაგან 1856 წ. იანვრის 10-სა“ (1r).

(1870)

5187

დავით ღამბაშიძე, მოკლე სწავლა ანატომიიდან და ფიზიოლოგიიდან. 1876

15 ფ.; 35,5×22,5; ქაღალდის ყდა; მხედრული; ავტორი: მღვდელი დავით ღამბაშიძე (1r); ავტოგრაფი; 1876 წ. (1r).

„მოკლე ანატომიური(!) და ფიზიოლოგიური აღწერა კაცის ტანის აგებულებისა და მისი ცხოვრებისა. — საზოგადოთ კაცის ტანის უმთავრესი ნაწილი არის სამი: ა. თავი, ბ. ტანი და გ. ხელ-ფეხი, კიდურები...“ 2r—15v.

შენიშვნები: 1. ყდაზე აწერია: „მოკლე სწავლა ანატომიიდან და ფიზიოლოგიიდან კაცის ტანის აგებულებაზე და მის ცხოვრებაზე, შედგენილი მ. დ. ღამბაშიძისა, ნაწილი პირველი, 1876 წელსა.“

2. ტექსტი შედგება 15 თავისაგან.

3. ხელნაწერში ჩაღებულა რუსულად ნაწერი დავით ღამბაშიძის ავტოგრაფი, წერილი სოლომონ იოსების ძისადმი. წერილში აღნიშნულია, რომ ადრესატის მიერ მიცემული შენიშვნები ამ ნაშრომზე მან უკვე გაითვალისწინა და სთხოვს, რომ ნაშრომი გადასცეს საცენზურო კომიტეტს. დავით ღამბაშიძის ეს ნაშრომი გამოქვეყნებული არ არის.

(1871)

5188

გალაქტიონ ტაბიძე, შანშე. XX

11 ფ.; 35,5×22; ქაღალდი; ქაღალდის ყდა; მხედრული; გალაქტიონ ტაბიძის ავტოგრაფი (11r); [XX]; აქვს ჰვირნიშანი (ფ. 1, 8); დაუწერელია ხელნაწერის verso-ები.

„გალაქტიონ ტაბიძე, შანშე, პოემა. —

„მიჰკრიან დღენი

და მკაცრი სენი

სულით ობლობის აღარ მშორდება,

ატყდება გული,

როცა წარსული

იმედის სხივი მომაგონდება...“ 1r—11r.

შენიშვნები: 1. პოემის სათაური ვერ „მირზა“ უფილა, შემდგომ ეს სათაური გადახაზულია და პოემას „შანშე“ აწერია: პოემის ტექსტშიც მირზა ყველგან შანშეთია შეცვლილი.

2. პოემას უძღვის: „ვუძღვნი ძვირფას მეგობრის დემონის ხსოვნას:

მეგობრულ საღამს გიძღვნი მშვიდად

ბნელ საფლავში მყოფს,

საყვარელ დემონს, ჩვენის სულის

დემონად ქცეულს.

შავი ფიქრებით, მწარე ხედრით

დაღლილს, ავადმყოფს,

რად, რად აშფოთებ ეგრე რისხვით

ჩემს სულს იპუნეულს?“ (1r).

3. პოემა არ არის გამოქვეყნებული, შექმნილი ჩანს გალაქტიონ ტაბიძის მოღვაწეობის ადრეულ პერიოდში.

(1872)

5189

ვართავავა იპოლიტე, ჩვენი ეროვნული თვითცნობიერება, წერილი მეორე.
1901

16 ფ.; 21,5×17; რვეულის ქაღალდი; უყდო; მხედრული; იპოლიტე ვართავა-
ვას ავტოგრაფი (16r); 1901 წ. (16r); დაუწერელია: 1v, 16v.

ვართავავა იპოლიტე, „ჩვენი ეროვნული თვითცნობიერება, წერილი მეორე. — ნათქვამია, თვეზი თავიდან აყროლდებაო. თავდაპირველად ეროვნული გადაგვარება-დამახინჯება ჩვენს შთამომავლობითი არისტოკრატის დაეტყო...“ 2r—16r.

შენიშვნები: 1. სტატიის ბოლოს მიწერილია: „ბ. რედაქტორო! გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ „ივერიაში“. იპოლიტე ვართავავა, 1901 წ. ...“.

2. იპოლიტე ვართავავას ამავე სტატიის პირველი წერილი დაბეჭდილია ვაზეთ „ივერიაში“, 1901 წ. № 128, 129, 130. მეორე წერილი გამოქვეყნებული არ არის.

(1873)

5190

ლექსთა კრებული. XX

15 ფ.; 21×14; ქაღალდი; უყდო; მხედრული; [XX].

1. [ნ. ბარათაშვილი, სატრფოვ მახსოვს]. — „სატრფოვ, მახსოვს თვალნი შენნი მშვენიერი ცრემლით ჰკრთოდენ...“ 1r.
2. „თავადი ნი. ბარათოვი, [დამქროლა ქარმან]. — დამქროლა ქარმან სასტიკმან, თან წარმიტანა ყვაილი, მაცხოვრებელი სიცოცხლის, სუნნელებითა აღვსილი...“ 1r—v.
3. „თავადი ნი. ბარათოვი, [ვპოვე ტაძარი]. — ვპოვე ტაძარი შესაწყნარი, უდაბნოდ მდგარი, მუნ ენთო მარად უქრობელი წმიდა ლამპარი...“ 1v—2r.
4. „თავადი ნი. ბარათოვი, [არ უკიჟინო]. — არ უკიჟინო სატრფო, შენსა მგოსანსა გულისტქმა, მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა!...“ 2r—v.
5. „თავადი ნი. ბარათოვი, ქილის ყვავილი დამწირი. — მწირი: სუმბულო, სად არს ფეროვნება შენი საამო, რომ შენსა მკვრეტელს არ გააჩნდეს დილა-საღამო?...“ 2v—3v.

შენიშვნა: ლექსი გამოცემულია სათაურით „სუმბული და მწირი“ (იხ. ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, თბილისი, 1945, გვ. 29—30).

6. „თავადი ნი. ბარათოვი, [მიყვარს თვალეზი]. — მიყვარს თვალეზი მიბნედილები, ეშხის ცეცხლითა დაქანცულები...“ 3v—4r.
7. „თავადი ნი. ბარათოვი, [სულო ბოროტო]. — სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად, ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთრად?...“ 4r—v.

8. „თავადი ნი. ბარათოვი, [რად ჰყვედრი კაცსა]. —
 რად ჰყვედრი კაცს ბანოვანო, პირუმტიციობას?
 თუ ემდურვი შენ ტრფიალისა ცვალებადს გრძნობას...“ 4v—5r.

შენიშვნა: ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები გამოცემულია (იხ. ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, თბილისი, 1945).

9. [გრ. ორბელიანი], „სალამო გამოსალმებისა. —
 მზე ჩაესენა, მის შუქი გამოსალმის ჟამს კავკასსა
 თავსა ეხვევა აღერსით, ვით ქალი მამას მოხუცსა...“ 5r—6r.

10. „თავადი გრ. ორბელიანოვი, [სო... ორ...]. —
 ვარდი ხარ? — არა!
 ზამბაყი? — არა!“ 6r—v.

11. „თავადი გრი. ორბელიანოვისა, [მიბაძვა პუშკი-
 ნისა]. —

სიცოცხლე ფუჰო,
 უბრალოვ ხიჰო...“ 7r—v.

შენიშვნები: ლექსის ბოლოს მიწერილია: „28 მაის, 1844 წელსა, თემირხან-
 შურა“, ხოლო დასაწყისში — „აჰა ესეც შენი და ჩემი მღვდმარეობა!“

12. [გრ. ორბელიანი, ეკატერინა ჰავჭავაძისა]. —
 „წინანდლის ვარდო,
 სულითა ტრედო...“ 7v—8r.

13. „თავადი გრი. ორბელიანი, [სალომეს ბეჟანა მკერ-
 ვალის მაგიერ]. —
 სიხარულო, შევბავ, ლხინო, მზე ში[ნ] შემოდო,
 ახლისა აკენის გუშავნო...“ 8r—v.

14. „თავადი გრი. ორბელიანი, ალბომში დ...ო პ...
 შექსტრფი სალამოს
 ტკბილ სუნნელ მყუდროს...“ 8v—10r.

შენიშვნები: 1. ლექსის ბოლოს მიწერილია: „წელსა ჩემს, მაისის ე. გო-
 რი“.

2. გრიგოლ ორბელიანის ლექსები გამოცემულია (იხ. გ. ორბე-
 ლიანი, თხზულებათა სრული კრებული, თბილისი, 1959).

15. „თავადი ალ. ჰავჭავაძე, კავკასის ზევაგი. —
 ზვირთნი ხმოვანნი, აღქაფებულნი,
 შავთ კლდეთ ებრძვიან, ზე ემსხვრევიან...“ 10v—11r.

შენიშვნა: ლექსი გამოცემულია (ა. ჰავჭავაძე, თხზულებანი, ი. გრი-
 შაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებით და ლექსიკონით, თბილი-
 სი, 1940, გვ. 141—142).

16. „თავადი გ. ერისთოვი, თოვლი. —
 ნახეთ, ნინას როს სპეტაკ გულს ვით დაეცა თოვლი ქულად,
 მას ეგონა სითეთრითა ჰყოფდა ტურფას დაჩაგრულად...“ 11r.

შენიშვნა: ლექსი გამოცემულია (იხ. გ. ერისთავი, თხზულებანი, შ. რა-
 დიანისა და ი. ბალახაშვილის რედაქციით, თბილისი, 1936, გვ. 35).

17. [გ ი ო რ გ ი ე რ ი ს თ ა ვ ი, ლ ე ქ ს ი]. —

„უკუშ ცაში მზე ბრწყინვალეებს
და განფანტა ღამე ბნელი...“ 11v.

შენიშვნა: ლექსი შედის გ. ერისთავის კომედია-პოემა „შეშლილში“ (იხ. გ. ერისთავის თხზულებანი შ. რადიანისა და ი. ბალახაშვილის რედაქციით, ტფილისი, 1936, გვ. 97).

18. [ლ ე ქ ს ი]. — „ესვამ სადღეგრძელოს ჩემის მერისა,
სურვილ მესია მე სიმღერისა...“ 11v—12r.

19. [ს ტ ე ფ ა ნ ე ფ ე რ შ ა ნ გ ო ვ ა ნ ი, ლ ე ქ ს ი]. —
„მივიკირს, ასე რად გამწირა სოფელმან,
სისხლის ცრემლით აღმატირა სოფელმან...“ 12r—v.

შენიშვნა: ავტორი აღდგენილია H—935:56-ის მიხედვით.

20. [ს ა ი ა თ ნ ო ვ ა], მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი. —
„რომელ დავაბრალო, რისაგან არის?
ეს საქმეები ჩემის ჭკვისაგან არის...“ 12v—13r.

შენიშვნა: ლექსი გამოცემულია (იხ. ი. გრიშაშვილი, სააათნოვა, ტფილისი, 1918, გვ. 107), დაბეჭდილია სათაურით — „შე საწყალო ჩემო თავო“. ამ ხელნაწერში ლექსს სათაურად აქვს „მუხამბაზი“ და რედაქციულადაც განსხვავებულ ვარიანტს გვაძლევს.

21. [ს ა ი ა თ ნ ო ვ ა, ლ ე ქ ს ი]. —
„შავი მაყვალავით თვალებიანო,
მომკალ, მომკალ, ოღონდ მოგრჩე, კავებიანო...“ 13r—v.

შენიშვნა: ლექსი გამოცემულია (იხ. გ. ლეონიძე, მგოსანი საათნოვა, ბიოგრაფიული ექსიზი, თბილისი, 1930, გვ. 60).

22. „თავადი ნ. ბარათოვი, ელენეს და მარიამს. —
მე რად მაყვედრით ფედოროვს, თქვენვე მოგხვდებათ სიძედა,
არც იმაზედ ხართ უმცროსი, რაღას დაჰსკინით ხანზედა...“ 13v.

შენიშვნა: ლექსი გამოცემულია (იხ. ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, თბილისი, 1945, გვ. 67).

23. „მ ი ხ ე ი ლ ს. —
ლექსი თქვენი გვებოძა, დიდათ არეულია,
აჭინკასგან შეთხზული თქვენი საკადრისია...“ 13v—14r.

24. „ტ ა ტ ო ს. —
პალატაში ჯდომითა ხანი მოგმატებია,
ძეოდორის ყურებით სევდა გაგხშირებია...“ 14r.

25. [ლ ე ქ ს ი]. —
„ამ ალბომში ოღრო-ჩოდროებია,
ამ თქვენ სატრფოთ აზრი შემოჰკლებიათ...“ 14r.

26. [გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი], „მ ა რ ი ა მ ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ო ვ ი ს ა, ე ს კ ი
ჩ ა ხ რ ი ხ ა უ ლ ი გ ა ხ ლ ა ვ ს თ. —
როს გარდაშლიდე, მეც დამხედავდე,
გაიღიმებდე, მომიგონებდე...“ 14r.

შენიშვნა: ლექსი გრ. ორბელიანისა (იხ. მისი თხზულებათა სრული კრებული, 1959, გვ. 27).

27. [ლექსი]. —
 „თუ სიბერე არა გჯერა, ხელი მოისვი თავზედა,
 კბილები აღარ გივარგა, ყველა შეგატყობს ხმაზედა...“ 14r—v.
28. „თავადი მიხეილ ორბელიანი, ამისი პასუხი. —
 არაფერია, არაფერია, მეტათ ძეგლია თქვენი ლექსია...“ 14v.
29. „ანანას ჩივილი მძახალთან. —
 ჩემო მძახალო, არ გებრალები?
 გუშინ სტოლზედა მება თვალები...“ 14v—15r.
30. [ლექსი]. —
 „მძახალმა მნახა ტურფად მორთული,
 სტოლს მიმიწვიეს, მომისვეს მული...“ 15r—v.

(1874)

5191

ბაქრაძე ივანე, ავტობიოგრაფია. XIX

207 ფ.; 37X22; ქალაღი; უყდო; მხედრული; [XIX]; ივანე გრიგოლის ძე ბაქრაძის ავტოგრაფი; დაუწერელია: 9r, 47r—53v, 58v—63v, 71r, 205v—207v. დაზიანებულია: 169, 176, 177 ფფ.

„ცხოვრება ივანე გრიგოლის ძის ბაქრაძისა დაწვრილებით, რაც გადახედია თავსა სიყმაწვილიდგან სიბერემდისა. — ჯერ პირველათ მოგახსენებთ, მკითხველნო, ჩემს ვინაობასა და ჩამამავლობასა სათავიდგან, როგორც მამაჩვენმა გრიგოლმა აგვიწერა და გვიაშუბო თვისი ცხოვრება...“ 1r—205r.

შენიშვნები: 1. ივანე გრიგოლის ძე ბაქრაძე ყოფილა სამხედრო პირი, რომელსაც აქტიური მონაწილეობა მიუღია დაღესტნის ამზოხების ჩაქრობაში.

2. ტექსტის ბოლოს ავტორის ხელმოწერა: ივანე ბაქრაძე (205v).

3. ტექსტთან დაკავშირებული ავტორის შენიშვნები მიწერილია: 1r, 23v და 137v.

4. ხელნაწერში ჩადებულია რუსულად დაწერილი 1876 წლის 5 მაისის მმართვე ივანე ბაქრაძისადმი: „Командиру 7 сотни Дагестанской милиции капитану Бахрадзе“.

(1875)

5192

ორბელიანი გიორგი, სიყვარულის სასმელი, ვოდვეილი. XIX

23 ფ.; 35,5X22,5; ქალაღი; ქალაღის ყდა; მხედრული; [XIX ს.]; ავტორი: თავადი გიორგი ორბელიანი (1r, 20r); დაუწერელია: 20v—23v.

„გიორგი ორბელიანი, სიყვარულის სასმელი, მოქმედობა პირველი, გამოსვლა I. — გორჯასპირ (ზის დაფიქრებული კუშეტკაზედ) ღმერთი გაუწყრა ჩემს ცოდვას, არ იქნა, ვერ დავითანხმე ქეთევან ჩემს შერთვაზედ...“ 2r—20r.

შენიშვნები: 1. ყდაზე აწერია: „სიყვარულის სასმელი, ვოდვეილი ერთს მოქმედობით, აზრი რუსულიდან. თავადი გიორგი ორბელიანი სი, 1870 წელსა, თფილისში.“

2. 1v-ზე მოცემულია: „მომქმენი პირნი“ და სცენის აღწერა I მოქმედებისათვის. ქვევით მიწერილია: „მოქმედობა წარმოებს თფილისში 1870 წელსა“.

(1876)

5193

კვალიაშვილი გრიგოლ, ლექსები. 1882

31 ფ.; 35,5×32; ქალაღი; ქალაღის ყდა; მხედრული; ავტორი: გრიგოლ დიმიტრის ძე კვალიაშვილი (01r); 1882 წ. (01r); ნაკლული.

1. „გ ა თ ე ნ ე ბ ა პ ი რ ვ ე ლ ი ა ნ ვ ა რ ს ა, მძიმეთ სიმღერა. —
დილით იანვარს დაიძრა ხალხი,
პირველ ახალ წელს ყველა ხარობენ...“ 1r—2r.
2. „ჰ[ა]ზ[ა]რი, ისე თქმით. —
ღარიბი კაცი თავს ვერ იცოცხლებს,
ვერცა თუ თავსა მატულობს...“ 2r.
3. „უ პ ა ტ რ ო ნ ო, მგლოური სიმღერა. —
ვაი, რა ძნელია უპატრონობა,
მუდამ დღე ჩაგრულ ყოველთვის არის...“ 2r.
4. „შ ა მ ზ ე დ თ ქ მ ა, მგლოური სიმღერა. —
ტყუილათ ვხარჯამ ამტელ ჩემს ქამსა,
ჩემი ბედიცა არსაით არის...“ 2r—v.
5. „თ ა ე ი ს გ ა წ ი რ ვ ა, მგლოური. —
ჯიღმა ვაჟმა თავი გავსწირე,
ღმერთო, სხვერპლათა მე ხო შევესწირე...“ 2v.
6. „უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი ს ი ტ ყ ვ ა, მგლოური სიმღერა. —
ღმერთო, ღმერთო, შემიწყალე,
ჩემის ცოდვით შემობრაღე...“ 2v.
7. „დ ე დ ა ს თ ა ნ წ ე რ ი ლ ი, ტირილით სიმღერა. —
დედავ, ჩემო მშობელო,
მოკითხვას გითვლი...“ 2v—4r.
8. „დ ე ბ თ ა ნ წ ე რ ი ლ ი, ტირილით სიმღერა. —
გთხოვთ, ჩემო დებო,
თქვენ შეიბრალოთ...“ 4v—5r.
9. „გ ზ ა შ ი ნ ა ხ ვ ა, მუსაიფური სიმღერა. —
ვაი, რა ძნელია,
შორიღამ ვარდი
ეტრფის ბულბულსა
და ისე ჭკნება...“ 5r—6v.
10. „ო ბ ო ლ ზ ე დ თ ქ მ ა, შეტეურა სიმღერა. —
პი ობლობავ, ვინ მოგიგონა,
სიღარიბეცა შენ დაგყოლია...“
11. „მ ო შ ო რ ე ბ ა, სამშვიდობო სიმღერა. —
ეხლა კი, ქალო,
მათე გშორდება...“ 6v—7r.

12. „გ ზ ა შ ი ტ ი რ ი ლ ი, სიმღერა მძიმეთ გზაური. —
მოვდივარ, გზასა ცრემლითა ვნამამ,
თოვლიცა დნება, როს ცრემლი წვეთამს...“ 7r—8v.
13. „ს ი ზ მ ა რ შ ი ნ ა ხ ე ა, სიმღერა გასაკვირველი ხმაზე. —
სიშმარში ენახე ჩემი სამშობლო,
სამშობლო თითქოს მე დამტიროდა...“ 8v—9r.
14. „მ ე ო რ ე თ წ ა თ ვ ლ ე მ ა, სიმღერა გასაკვირველი ხმაზე. —
მეორეთ დავწექ და დავიძინე,
რომ მენახა ჩემი სამშობლო...“ 9r—v.
15. „ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი, დაბლური სიმღერა. —
ვისაც უყვარდეს სამშობლო
თავსა სტიროდეს ერთგულათ...“ 9v.
16. „ფ რ ი ნ ვ ე ლ თ ა ნ მ უ ს ა ი ფ ი, სიმღერა მუსაიფურ ხმაზე. —
გაფრინდი, გაფრინდი, ფრინველო,
ფრინველო, ნახე სამშობლო...“ 9v—12v.
17. „ყ ა ნ ი ს მ კ ა, სიმღერა დაძახულ ხმაზე. —
აგერ მოსულა ზაფხული,
ყანაც მოსულა სამკელი...“ 12v—14r.
18. „ყ ვ ა ვ ი დ ა ვ ი რ ი, ისე თქმა. —
ყვავი ვირზედა შესჯდა,
დახოდა ყვა-ყვასა...“ 14r—v.
19. „ს ა მ შ ო ბ ლ ო, სიმღერა ნატრულ ხმაზე. —
სამშობლო ტკბილო,
როგორც შაქარო...“ 14v—15r.
20. „ბ უ ლ ბ უ ლ ი ს მ ო ფ რ ე ნ ა, ისე თქმა. —
აგერ, მოფრინდა ბულბული,
ვარდსა დაუწყო დასტვენა...“ 15r—v.
21. „დ ა ტ რ ი ა ლ დ ა ჯ ა რ ა, სიმღერა ბანით. —
დატრიალდი, ჩემო ჯარა,
თან დარდი(!) მატყლი ჩქარა...“ 15v—16v.
22. „ა კ ვ ა ნ ზ ე დ მ ღ ე რ ა, ნანინა. —
ნანას გეტყვი, ჩემო შვილო,
რომ შენ ტკბილათ დაიძინო...“ 16v—18v.
23. „ა რ ა გ ვ ზ ე დ ლ ე ქ ს ი, ნატრულ ხმაზე. —
ჰი არაგო, რასა ღიღინებ,
შენ სამშობლო ხო არ გღიღინებ...“ 18v—19r.
24. „ი ს ა რ ი ს ს ტ კ ო რ ც ნ ა, ისე თქმა. —
ბულბულმა ვარდსა სტკორცნა ისარი,
გულს გეეხირა შვილდის ისარი...“ 19r.
25. „ვ ა რ დ ი ს ე რ თ გ უ ლ ე ბ ა, ისე თქმა. —
ვაი, რა ძნელია,
ერთგულათ ვარდი
ეტრფის ბულბულსა,
თვისი როა...“ 19r—v.

26. „ნათესაობა, ისე თქმა. —
ვაი, რა ძნელი ყოფილა
ნათესაობა საყვარელშია სცვლა...“ 19v—20v.
27. „ქანწულ ქალზედ, სიმღერა ტკეპნის ხმაზედ. —
შაე-თვალ-წარბავ კეკლუცავ,
ტანში წვრილო, დაბალო...“ 20v—23v.
28. „მოკითხვა. —
ჩემო საყვარელო, ვარ შენთვის მკვდარი,
სად არს ის დარდი წარსულით...“ 23v—24r.
29. „სამშობლოზედ, სიმღერა ნატერის ხმაზედ. —
ყველა კაცისთვის
სამშობლო ტყბილო...“ 24r—v.
30. „ვარდის დაჩაგვრა, დაჩაგრულ ხმაზედ. —
ვაი, რა ძნელია
ვარდის დაჩაგვრა...“ 25r—v.
31. „ქრისტე აღსდგა, ლოცვის ხმაზედ. —
ქრისტე აღსდგა მკვდრეთით
სიკვდილითა სიკვდილითა დამთრგვენლეითა...“ 26r—27v.
32. „ვარდის სწყრომა. —
ვარდმა ბულბული დასწყევლა,
ხელი აიღო მახედა...“ 27v—28r.
33. „...თუ არ იხევა, ჰჰაყო! ჰჰაყო! არ დაიყვია“ 28r.

შენიშვნა: 27v-სა და 28r-ს შორის ხელნაწერს აკლია. 34-ე ლექსის წინ შე-
მორჩენილია ნაკლები 33-ე ლექსის ბოლო ტაეპი.

34. „სომეხზე, ისე თქმა. —
სომეხმა დიდის თმენითა
შეინახა დიდი მარხვა...“ 28r—v.
35. „აღდგომის გათენება, ტკეპნის ხმაზე. —
აგერ ვსწერამ და ვსახამ
აღდგომის გათენებას...“ 28v—29r.
36. „მტრედის ღუღუნე, დაჩაგრულ ხმაზე. —
ტყე-ტყე, ტყე-ტყე დავდიოდი,
უცქერდი ყოველ მცინარს...“ 29r—30v.
37. „შოშიას სტვენა, მხიარულ ხმაზე. —
აგერ, მოფრინდა შოშია,
გვახარა იმან ზაფხული...“ 30v—31v.
38. „ზაფხული, მხიარულის ხმაზე. —
აგერ, მოვიდა ზაფხული
სულდგმულთვინ მხიარული...“ 31v.

შენიშვნები: 1. ხელნაწერს ყდაზე აწერია: „დღითრიდგან გადმოწერილი
ლექსები, შეთხზული გრიგოლ დიმიტრის ძე კვალაიაშვილის ა-
გან, აიანვარი, ჩუპბ წელსა“. ყდაზე აწერია აგრეთვე ლექსი:

„ა. შეწვენასა ჩემთა ჰაზრსა,
ვინ დამიკრამს მახედ კვე[რ]სა,
უგზანი ყველას მადლობასა:
მკითხველს, [მ]სმენელს და ყველასა.“

ბ. როგორ ვიცნო, რო შეეცყო
 გულში სიტყვებს ვინც ჩანვლევას(!),
 მაშინ იგრძნობს ნახვას გული,
 თუ რა არის დედ-ენის საძირკველი“.

2. ლექსები დანომრილია გადაწყვერის ხელით: ხელნაწერი შეიცავს 38 ლექსს, აქედან 33-ე ლექსი აკლია (იხ. შენიშვნა). ხელნაწერის ბოლო ფურცლები ამოუკრილია, ბოლო 38-ე ლექსი წყდება 5-ე სტროფზე.

(1877)

5194

გამრეკელი ნიკოლოზ, ელინების ყოფნა საქართველოში და მათი მყოფობის
 შედეგი. XIX

16 ფ.; 34×21; ქაღალდი; უყულო, დაშლილი, დაზიანებული ფურცლები;
 [XIX]; ავტორი: ნიკოლოზ გამრეკელი (16V); ავტორგრაფი.

გამრეკელი ნიკოლოზ, „ელლინების ყოფნა საქართველოში და მათი მყოფობის შედეგი, თავი მეორე. — რამეთუ ხანსა შემდეგ ეგვიპტელების მეფისა რამაზეს მეორისა (1392—1326) ქ. შ. წინა) გავრძელდა უფლება მისი(!) კოლხიდაში...“ 1რ | 16v.

შენიშვნა: ტექსტი ნიკოლოზ გამრეკელის შავად ნაწერი ავტორგრაფია. ადგილები ნასწორებია სხვა მელნით ნ. გამრეკელის ხელითვე. ტექსტი გამზადებული ჩანს დასაბეჭდად, დამოწმებული ლიტერატურისათვის დართული აქვს სქოლიოები. 1რ-ზე სქოლიოში ჩატანილია შენიშვნა: „ეს სტატია არის გავრძელება ჩემი სტატიისა „ეგვიპტელების ყოფნა საქართველოში“, დაბეჭდილია „მნათობში“, 1872, აპრილი და მაისი“. ავტორს ნაშრომი ცალკე წიგნადც გამოუქვეყნებია (იხ. ეგვიპტელები საქართველოში და ქართველები ეგვიპტეში, შედგენილი ნიკოლოზ გამრეკელისა, თბილისი, ნიკოლოზ გამრეკელის გამოცემა, 1885 წ.).

მინაწერები: 1. სტატიის ბოლოს ავტორის ხელითვე მიწერილია: „21 იანვარსა, 1878 ძღვის რის წვალებითა სტატიის თერთად გადაწერა მოვრჩი და ვგზავნი დასაბეჭდად. ნ. გამრეკელი“ (16V). მინაწერი შემდგომ გადაშლილია მელნით. ამრიგად, S—5194 ხელნაწერი შესრულებული უნდა იყოს 1873 წლამდე.

2. 16v-ზევე სხვა მელნით მიწერილია: „...ეს სტატია ჩაუარდა ხელში ანტონ ფურცელაძეს და მის საუკუნო პატარობაში დარჩა. იმისგან სულს ვეღარ გამოხსნეს. ნ. გამრეკელი“. ეს მინაწერიც გადაშლილია მელნით.

(1878)

5195

ყიფიანი კოტე, ყაჩაღის ცხოვრება. 1879

11 ფ.; 35,5×22; ქაღალდი; ქაღალდის ყდა; მხედრული; 1879 წ. (10v); ავტორი: კოტე ყიფიანი (1R); ადგილი: ქ. თბილისი (10V); დაუწერელია 4V.

ყიფიანი კოტე, „ყაჩაღის ცხოვრება, დრამატიული სცენები 2-ს მოქმედებად. თხზულება თ. ი. გ. ჭავჭავაძისა, სცენაზედ წარმოსადგენად გამმოკეთებული კოტე ყიფიანისაგან. — პირველი მოქმედება, I სცენა. სცენა წარმოადგენს მდიდრულად მორთულს ქართულს სახლს ყველაფრით, რაც ეკადრება მორთულობას: შუა კარების გვერდით კედელზედ ჰკიდია სხვადასხვა იარაღი, მარცხნივ, ავანსცენაზედ დგას ტახტი. ბატონი (შუა კარებიდან შემოვა) — უჰ, დავიღალე, კალოზედ ვიყავი. თუ თვითონ ჩემი ფეხით არ წავედი და მუშებს თავს არ დავადექი, არაფერს არ გამეკეთებენ...“ 1რ—10v.

შენიშვნები: 1. ტექსტს უძღვის მოქმედ პირთა სია: „მოქმედნი პირნი — თავადი, მდიდარი მებატონე...“ (1r).

2. ყდაზე, სათაურის ქვევით, წერია: „1879 წ. სექტემბრის 25, ქ. თბილისი“, ხოლო ტექსტის ბოლოს — „1879 წ. 26 სექტემბერს, ქ. თბილისი“ (10v).

5196

შვილი მოხუცებულის გმირისა, სერბიული მოთხრობა, თარგმნილი ილია ჯავახიძის მიერ.

გადატანილია ი. ჯავახიძის არქივში № 503.

(1879)

5197ა

ღუაწლშემოსილნი დედანი ხუაშაქ ცოქელი და კარავ ჭაყელი. XIX

9 ფ.; 22×17,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული; [XIX].

„ღუაწლშემოსილნი დედანი ხუაშაქ ცოქელი და კარავ(!) ჭაყელი, თამარ მეფის ცხოვრებიდგან. — თამარ მეფე, ასული დიდათ სახელოვანის საქართუშლოს მეფის გიორგი III-ის, თუმცა მამისაგან თუსსავე სიცოცხლესა შინა, ესე იგი 1174-სა წელსა იქმნა ცხებული მეფედ, გარნა შემდგომ გარდაცუალებისაცა მშობელთა მისთა, თხოვისამებრ ქართუშლთა წარჩინებულთა ჭელისუფალთა და საზოგადოდ ერთა, კუალად დაგვრგვნდა და ამალდა საყდართა ზედა, მსგავსად დიდათა წინაპართა თუსთა...“ 1r—9v.

შენიშვნები: 1. ტექსტი შავად არის ნაწერი, ადგილები გადახაზული და დაკეთებულია, კიდევზე ზოგან მთელი აბზაცებია ჩამატებული. ტექსტს ფანქრით დართული აქვს სქოლიოები, სადაც ჩატანილია სიტყვები და განმარტებულია.

2. ამავე თხზულების სხვა ვარიანტს შეიცავს S ფონდის ხელნაწერი № 5197ბ.

3. S ფონდის ხელნაწერები 5197 ა და ბ ნაწერია ერთი ხელით.

მინაწერი (ტექსტის ხელით): „კახელაშვილი კომენდიანი“ (5r).

5197ბ

ხუაშაქ ცოქელი და კარავ ჭაყელი, ისტორიული მოთხრობა თამარ მეფის ცხოვრებიდგან. XIX

10 ფ.; 22×17,5; ქაღალდი, სხვადასხვა; უყდო; მხედრული; [XIX]; დაუწერელია ფ. 10.

„ხუაშაქ ცოქელი და კარავ(!) ჭაყელი, ღუ[ა]წლშემოსილნი მეფის თამარის დროს მყოფნი დედანი, ისტორიული მოთხრობა თამარ მეფის ცხოვრებიდგან. მომხდარი 1183 წელსა. — თამარ მეფე, მამისაგან თუსსავე სიცოცხლესა შინა გაიფეებული, შემდგომ გარდაცუალებისაცა მშობელთა, თხოვისამებრ ქართუშლთა წარჩინებულთა ჭელისუფალთა და საზოგადოდ ერთა, აღმალდა საყდრად ცხებულ იქმნა, დაგვრგვნდა და დამტკიცდა ტახტსა ზედა წინაპართა თუსთასა...“ 1r—7v.

11. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. VII

შენიშვნები: 1. ტექსტი შავად არის ნაწერი, ნასწორებია ფანქრით და მელ-
ნით.

2. ტექსტს ერთვის ფანქრით შავად ნაწერი ორი ფურცელი (8r—9v), რომელიც ნაწერია იმავე ხელით, რომლითაც ძირითადი ტექსტი, შეიცავს თხზულების დასაწყისს და მის პირველ ვარიანტს წარმოადგენს.

3. ამავე თხზულების სხვა ვარიანტს შეიცავს S ფონდის ხელნაწერი № 5197ა.

4. S ფონდის ხელნაწერები 5197 ა და ბ ნაწერია ერთი ხელით.

(1880)

5198

წერილი საქართველოს მდგომარეობის შესახებ. XIX

12 ფ.; 22,5×17; ქალაღი; უყდო; მხედრული; [XIX]; კვირნიშანი: 1826 წ. (ფ. 6); ადგილი: ტფილისი (1r).

[წერილი საქართველოს მდგომარეობის შესახებ]. — „წერილი ესე, რომელსა ზედაცა არიან გარდმოხატულნი ჰაზრნი შენნი, შეადრგენს ჩემთვის სასიამოვნოსა კმაყოფილობასა...“ 1r—12r.

შენიშვნები: 1. წერილში განქიქებული არიან თანამედროვე ქართველი ქალები და ჰაბუკები, რომლებმაც დაივიწყეს სახელოვანი წარსული და ცდილობენ ევროპელთა მიბაძვას. შემდგომ მოკლედ მოთხრობილია საქართველოს ისტორია ფარნაოზ მეფიდან საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე.

2. ტექსტი შავადაა ნაწერი, ნასწორებია ყავისფერი და წითელი მელნით, ტექსტის ხელითვე.

მინაწერები: 1. 1v-ზე გადამწერის ხელით სწერია „ტფილისი“.

2. 12v-ზე სხვა ხელით ჩამოწერილია ლექსები, სიტყვები ალაგ-ალაგ გადამწერილი და ნასწორებია:

„მცირეს მანიაკს მოგიძღვნი ტრფობით,
ეს ჩემ მიერით გმონებს ღომს ხლებით“.

„სახვევი წვივსა აღვქველე თქვენად,
რადგანაც მივი სასურად, მშვენად.
გცნობ, არ ძიმილი მაქვს გულს საჩვენად,
რომ ქმარი ნეტრად თავს მაღ საშვენად“.

„გცნობ არ ძიმილად, ვრაცხ საძღვნილ თქვენად,
რომ ქმარი ნეტრად თავს მაღ საშვენად“.

3. „ეტლმან წაღმა ბრუნვანი თვსნი შესცვალნა და უბედობამან მუხლოლად (!) მოხედა ღუაწლთა ერეკლე მეფისათა“ (12v).

4. „Котцовский (?)...“ (1r).

(1881)

5199

კრებული. XIX

15 ფ.; 22,5×18; ქალაღი; უყდო, დაშლილი, დაზიანებული; მხედრული; [XIX], კვირნიშანი: 1829 წ. (ფ.ფ. 8, 14); დაუწერელა 8v.

1. „გაზაფხულის დამე. — უკანასკნელი ნათელი დღისა განქრა და დამისა სიბნელემან დაჰფარა ნახევარ სიმრგვველ ქვეყნისა...“ 1r—2v.

2. „ზამთარი. — ტყეთა და წალკოტთა ფერმიხდილნი ფურცელნი იწყებენ ხეთაგან შთამოცივენასა. ცივნი განმგმერნი ქარნი, მბერავნი თოვლიანთა“

მთათაგან, განშიშვლებულთა მდელთა შორის აწარმოებენ შტვენსა...“
2v—3v.

3. წყარო. — ვზი დაგვირგვინებული ლბილის რტოებითა ჩრდილსა შინა გაფურჩენილთა ხეთასა, მიყრდნობილი ხელით სარწყულზედ ცისადმი პირის მიმართველი და ვსჭერეტ შვენეირსა წყაროსა...“ 4r—5r.

შენიშვნა: მოთხრობებში მხატვრულად აღწერილია გაზაფხულის დამე, ზამთარი და წყარო.

4. [მოთხრობა]. — „Багрянная заря показалась на бледном своде неба и предупредила(!) ясное утро...“ 5v—6v.

შენიშვნები: 1. აღწერილია განთიადი და ბატალური სცენა.

2. 6v-ზე რუსულად წერია ლექსი, რომელიც საფულდაგულადაა გადახაზული ტექსტისვე მეღნივთ.

5. [ლექსი]. — „ოხვრანი ცრემლშერეულნი მქონან მე, გული სახმილით გზნებული დავნამე“ (7r).

6. [ლექსი]. — „ვინ დამასხას უკვდების(!) წყარო და, ვინ სახმილი განმიგრილოს მკმაროდა, ვინ მოისთელას კეკლუტთ ღმერთა საროდა“ (7r).

7. [ლექსი]. — „მედუღარენი ცრემლნი მისნი გულზედ მწვეთენ და მდაგვენ“ (7r).

8. [ლექსი]. — „მე ვარ სალომე, სალომე, მის ძალ-გულ ლომისა ყოველთა გმირთა მგობისა“ (7r).

9. [სტატია]. — „არა გვაქვს ღონე, არა გვივის მისალტოლველი თვნი-ერ როსიის საფარველისა და კმა არს იგი ჩვენთვის...“ 7v—8r.

შენიშვნა: სტატიაში გამართლებულია საქართველოს რუსეთთან შეერთების ფაქტი.

10. უსტარი. — გასინჯეთ, რარიგი მხიარულება აწარმოა ჩემს გულში თქვენმა წიგნმა, რომელიცა იყო ნაღვაწი მათ უდაბნოთა მთათა შინა, სადაცა თვთ ბუნებაცა მოუღრეკელ არს და ამაყ...“ 9r—10v.

შენიშვნა: უსტარი მიმართულია „№ ძმისადმი“, რომელსაც მიუტოვებია ჭალაქი და უდაბნოში განდევნილი ცხოვრობს.

11. „ი აღონი. — ძველსა დროსა, მხარესა აღმოსავლეთისასა სცხოვრებ-და კაცი დიდებული...“ 11r—15v.

შენიშვნა: ხელნაწერის ტექსტი ნასწორებია. ყველაზე მეტად ნასწორებია უკანასკნელი მოთხრობა „ი აღონი“. ამ მოთხრობაში გადახაზულია მთელი სტრიქონები, რომელთა სანაცვლოდ სტრიქონების თავზე და კიდევებზე მიწერილია ჩასამატი წინადადებები.

მინაწერები: მინაწერებია 4r-ზე.

(1882)

5200

კრებული. XIX

10 ფ.; 22×17,5; ჭაღალდი; უყდო, დაშლილი; მხედრული; [XIX]; აქვს პეირნიშანი (ფ. 1, 10).

1. „ოდენანი (ზრახუნანი) პირუჭლისა კაცისა ჟამსა გრძნობათა განხსნისა მისისა. — აწცა უკუჭ ცხოველად მახსოვს წამი იგი სიხარულისა და აღრევისა, ოდესცა პირველად ვგვრძნე უმშუ-ჭნიერესი მყოფობაჲ ჩემი...“ 1r—5r.

2. „კაცი ორისა ბუნებისა. — შინაგანი კაცი არს ორ გუარ, იგი შესდგების ორთა არსებათაგან, სხუა და სხუათა თვისებათა და წინააღმდეგობათა მოქმედებეთა(!) მიერ...“ 5r—10v.

შენიშვნები: 1. ხელნაწერის ტექსტი ნასწორებია იმავე ხელით. შავად ნაწერის შთაბეჭდილებას უფრო მეორე თხზულება ტოვებს. პირველ თხზულებაში მხოლოდ აქა-იქაა ნასწორები თითო-ორი სიტყვა, მეორე თხზულებაში კი მთელი წინადადებებია ხელახლა ნასწორები და გამართული.

2. მეორე თხზულებას სათაური ლათინურადაც აწერია: „Homo duplex“ (5r).
 მინაწერი (ტექსტის ხელით): „Милостивому Государу!“ (10v).

(1883)

5201

თომა კემფელი, მიბაძვისათვის ქრისტესა. XIX

10 ფ.; 21,5X17,5; ქაღალდი; უცლო, დაშლილი; მხედრული, ფანქრით და მელნით; ავტორი: თომა კემპიელი (1r); [XIX]; აქვს ჰვირნიშანი (ფ.ფ. 8, 9); დაუწერელია: ფ.ფ. 5, 10.

[თომა კემფელი], მიბაძვისათვის ქრისტესსა, წიგნი პირუჭლი, მოძღურებანი სასარგებლონი სულიერისა სიცოცხლისათვის. თავი პირველი, მიბაძვისათვის ქრისტესსა და შეურაცხყოფისათვის ყოველთავე მსოფლიურთა ამაოებათა. — 1. „ვიდოდე რა ჩემ თანა, არა ხვალ ბნელსა შინა — იტყვის უფალი...“ 6r—9v.

წყდება: „...შენ უნდა ჰგონებდე, რომელ არა გნახო ეგრეთ მოახლოებულნი...“

შენიშვნები: 1. უძღვის ფანქრით ნაწერი „წინასიტუაობა ლათინური დგან რუსულათ მთარგმნელისა — რიცხუთა შორის კეთილმსახურთა საზოგადოებათა XIV და XV საუკუნეთა შინა გამოჩენილი უსაკუთრესად დიდებულ იქმნა დაწესებულება, ცნობილი სახელითა საზოგადოს ცხოვრებად ძმათა, რომელნიცა შეუდგებოდნენ ნეტარის ავლუსტინის კანონსა...“ (2r—4v). წინასიტყვაობის ტექსტი თავდება 1v-ზე.

2. 1r-ზე აწერია: „მიბაძვისათვის ქრისტესსა, ოთხი წიგნი თომა კემპიელი სისა, თარგმნილი ლათინურიდან, მესამედ გამოცემული“.

3. ტექსტი შავადაა ნაწერი, ნასწორებია მელნით და ფანქრით.

4. ეს ტექსტი რეაქციულად განსხვავებულია ტლუკაანთ პაპაშვილი დავითის მიერ თარგმნილი ტექსტიდან (მღრ. Q—513).

5202

ნუსხა მეფის სძლის ქეთევან წერეთლის ნივთებისა.

გადატანილია დოკუმენტების კოლექციაში Sd—3038.

5203

მზითვის სია მაკრინესი.

გადატანილია დოკუმენტების კოლექციაში Sd—3039.

5204

მზითვის სია მაკრინესი.

გადატანილია დოკუმენტების კოლექციაში Sd—3040.

(1884)

5205

რიტორიკა. XIX

12 ფ.; 21,5×18; ქალაღი; უყდო, დაშლილი, დაზიანებული; მხედრული, სა-
 თური მთავრულით; [XIX]; ჰვირნიშანი: 1829 (ფ. 2, 3).

„რიტორიკა. — რიტორიკა არს ჰსწავლა, რომელიცა იპყრობს თვს
 შორის კანონთა პროზაიკებრთა თხზულებათასა მიცთომისათვს შვენიერსიტყუ-
 აობისა საზოგადოდ...“ 1r—9v.

შენიშვნები: 1. ტექსტი ნაწერია არაკალიგრაფიული ხელით, სხვადასხვა მელ-
 ნით. ზოგან კიდეებზე გატანილია სათაურები.

2. ხელნაწერის თავისუფალ ფურცლებზე (10v—12v) მიწერილია ცალკეუ-
 ლი სიტყვები და ციფრები, რომლებიც შემდგომ გადაჯღაბნილია. რამდენიმე ად-
 ვილზე იკითხება „Вахтанг“.

3. ტექსტი არ მისდევს მხითარ სებასტიელის რიტორიკას (შდრ.
 S—1111).

(1885)

5206

ვითარი არს დღე ანუ შვიდთა დედაკაცთა აღელორებრივი ზღაპარი. XIX

30 ფ.; 23×18,5; ქალაღი; უყდო, დაშლილი; მხედრული; [XIX]; ჰვირნი-
 შანი: 1830 (ფ. 10, 14); მე-5 ფურცლის ქვედა ნაწილი ჩამოჭრილია; დაუწერე-
 ლია: 11v—15v.

„ვითარი არს დღე ანუ შვიდთა დედაკაცთა აღე-
 ლორებრივი ზღაპარი. — ქაბრიციოს, აღზრდილმან თემსა შინა, ჰცნა
 ყოველივე, რასაცა ჩვეულებრივ ასწავლიან ქაბუტთა აზნაურთა...“ 1r—30v.

შენიშვნები: 1. ტექსტი შავადაა ნაწერი, ალაგ-ალაგ გადაშლილი და ნასწო-
 რებია ტექსტის ხელითვე.

2. თხზულება რუსულიდან ჩანს ნათარგმნი, ტექსტში აქა-იქ ჩართული
 გვხვდება რუსული სიტყვები.

3. ხელნაწერი შეიცავს ორ ნაკლებ ვარიანტს: I ვარიანტი (1r—15v), II ვა-
 რიანტი (16r—30v). ეს ვარიანტები ტექსტის სხვადასხვა ნაწილს მოიცავს. II ვა-
 რიანტი უფრო ადრეული ჩანს. ეს ტექსტი უფრო ნასწორებია და რუსული სიტ-
 ყვებიც სწორედ ამ ნაწილშია ჩართული.

4. ეს თხზულება არ არის დასახელებული: а. Опыт российской библиографии
 или полный словарь сочинений и переводов, напечатанных на славенском
 и российском языках... собранный Васильем Сопиковым, СанктПе-
 тербург, 1813—1817 гг. б. ტ. რუსთაველი. ქართულ-რუსული ლიტერატურული
 ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIII სს., თბილისი, 1960 წ.

(1886)

5207

რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი. XIX

37 ფ.; 22×18; ქალაღი; უყდო; მხედრული; ნაკლული; [XIX].

[რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი]. —

„...სამთავე ვლეს, ღმერთმან მათებრ სხვა ნურავინ დაბადოსა!
 მოეგებთან, მტერობა ვერავინ დაქადოსა...“ 1r—37v.

წყდება:

„...ხვარაზმშა თქვა: ვინადგან გწადს, აწ აგრე ვქნა რაცა ბრძანე...“.

შენიშვნა: ხელნაწერი შეიცავს პომეს მხოლოდ ბოლო (1578—1664) სტროფებს (შდრ. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1937), შემდგომ კი ერთვის გამგრძელებელთა მიერ დამატებული სტროფები (10v—37v). „გაგრძელებანი“ მეორე რედაქციისაა (იხ. სარგის ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, თბილისი, 1963, გვ. 134).

(1887)

5208

ლოლიკა. XIX

8 ფ.; 22×18; ქალღლი; უყდო; მხედრული; [XIX]; აქვს ჭვირნიშანი (ფ. 1, 8).

ლოლიკა. შეყუენილება. განსაზღვრებისათვის, სარგებლობისა და განყოფისათვის ლოლიკისაჲ 1. — „ლოლიკა არს სწავლა, რომელიცა განჰმარტებს საზოგადოთა და საჭიროთა კანონთა გულისკმის-ყოფისა ჩუჭნისათა...“ 1r—8v.

შენიშვნები: 1. შეიცავს 28 პარაგრაფს.

2. ტექსტი ალაგ-ალაგ ნასწორებია იმავე ხელით.

3. ტექსტი არ მისდევს არც ანტონ I მიერ ნათარგმნ ბაუმეისტერის ლოლიკას (შდრ. S—112) და არც იოანე ბატონიშვილის მიერ ნათარგმნ აბბატ კონდილიაკის ლოლიკას (შდრ. H—195).

(1888)

5209

ლოლიკა. XIX

6 ფ.; 21,5×17,5; ქალღლი; უყდო, დაშლილი, დაზიანებული; მხედრული; [XIX]; ჭვირნიშანი: [18]28 წ. (1 ფ.); ჩამოხეულია 6 ფ.; დაუწერელია 4v—6v.

ლოლიკა. — ლოლიკა არს სწავლა, რომელიცა განმარტებს საზოგადოთა და საჭიროთა კანონთა გულისკმის-ყოფისა ჩვენისათა...“ 1r—4r.

წყდება: „...ოქრო ეკუთვნის აღმონაკვეთთა, მაშასადამე არ ეკუთვნის ცხოველთა ანუ მცენარეთა...“

შენიშვნები: 1. ტექსტი არ მისდევს არც ანტონ I მიერ ნათარგმნ ბაუმეისტერის ლოლიკას (შდრ. S—112) და არც იოანე ბატონიშვილის მიერ ნათარგმნ აბბატ კონდილიაკის ლოლიკას (შდრ. H—195).

2. S—5209 ხელნაწერის ტექსტი რედაქციულად განსხვავდება აგრეთვე S—5208 ხელნაწერის ტექსტისაგან. თანხვდება მხოლოდ პირველი პარაგრაფი.

(1889)

5210

ზნეობრივი ღვთისმეტყველება. XIX

42 ფ.; 22,5×17; ქალღლი; უყდო; მხედრული, საზედაო ასოები მთავრული; [XIX]; ფრაგმენტი.

[ზ ნ ე ბ რ ი ვ ი ღ ვ თ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა]. — „[შ]ემდგომად სიკუდილისა აღდგომისა იქმნების შემწე მოგებად მრჩობლ საბლარდნელისა...“ 1r—42v.

წყ დ ე ბ ა: „...ოდესმე ითქმის საიდუმლო ფრიად გულისკმის-ყოფად შემეცნებად ხედვითა და...“.

შენიშვნები: 1. შედგენილობა: ა. „წიგნი მეორე, მზადველისა საქმისათვის“ (1r—8v), ბ. „მეორისა წიგნისანი აღხსნანი“ (9r—24v), გ. „წიგნი მესამე, ცოდვათა ხრწნილებისათვის“ (25r—28v), დ. „მესამისა წიგნისანი აღხსნანი“ (29r—36v), ე. „წიგნი მეოთხე, განკორციელებისათვის ქრისტესა“ (37r—40v), ვ. „წიგნი მეხუთე, განმწმედელისათვის მადლისა“ (41r—42v).

2. S—5210 ნაწილია S—5357 ხელნაწერისა, ამიტომ ეს ორი ხელნაწერი გაერთიანდა. S—5210 ჩართულია S—5357-ის შუაში (29r—36v).

3. ტექსტი არ მისდევს ანტონის ღვთისმეტყველებას (შდრ. S—3659, 3660).

(1890)

5211

ძალის წვრთნა და მოვლა. XVIII—XIX

8 ფ.; 22,5×17; ქალაღი; უყდო; მხედრული; ნაკლული; [XVIII—XIX]; აქვს ჰვირნიშანი: 1782 (ფ. 3, 4).

[ძ ა ლ ლ ი ს წ ვ რ თ ნ ა დ ა მ ო ვ ლ ა]. — „...კა. წელის სინჯისათვის — მწევარ მოკლე წელი, განიერი და ღარიანი უნდა ქონდეს...“ 1r—8v.

წყ დ ე ბ ა: „...მე. დაღებისათვის — თუ ვითარნი დაღნი უნდა დაასო ძალს, ანუ რას სენს არგებს...“

შენიშვნა: 8v-ზე დახატულია სხვადასხვა ფორმის დაღი და განმარტებულია, რა ფორმის დაღია საჭირო სხვადასხვა დაავადებისათვის.

(1891)

5212

ბესიკი, რუხის ბრძოლა. XIX

11 ფ.; 22×17,5; ქალაღი; უყდო; მხედრული; [XIX]; დაუწერელია: 1v, 10v—11v.

[ბ ე ს ი კ ი , რ უ ხ ი ს ბ რ ძ ო ლ ა]. —

„ათინურთ ენა, ქველშესაძენა, შესხმის მოცალედ გშენს წამიწამად, პლატონ, ჰუმეროს, პროკლეთურთ იროს, არისტოტელი ჰყვეს დასაწამად...“ 2v—10r.

შენიშვნები: 1. პომას უძღვის [მიმართვა] — „იხარა ღიღმან დავით სული[ე]რისა ქნარწყობით თან[ა] სულითა მეფეებრითა მღალადებლმან...“ (2r—v).

2. ბესარიონ გაბაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი, გამოკველვა, შენიშვნები, ლექსიკონი, ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურის რედაქციით, თბ., 1932, ხელნაწერი S—5212 გამოცემაში აღნიშნულია J ლიტერით.

3. 2r-ზე სხვა ხელით მიწერილია ლექსი:

„ვსთქვი: სიზმრად ვხედავ, ეს არის ძილი
და ან ვარ მკვდარი, სული დასჯილი...“

ლექსი ნაწერია შავად, ზოგი სტრიქონი გადაშლილია, ზოგან ცალკეული სიტყვებია ჩასწორებული.

(1892)

5213

საღმრთო გალობა, მიმოხილვა. XIX

6 ფ.; 35×21,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული; [XIX]; ნაკლული.

გ ა ლ ო ბ ა ა ნ უ გ ა ლ ო ბ ა ს ა ღ მ რ თ ო. — „გალობა არს სასიამოვნო კმა კაცისა, გამომატუჭლი ღუთის დიდებისა, მიმოზრილი სხუდასხუა კანონიერს კილოდ და შეწყობილი რაოდენთამე მსგავსთავე ხმათა თანა, რომელთაგან წარმოსდგების ღარმონია...“ 1r—6v.

წყ დ ე ბ ა: „...ხოლო მიქელ ანჯელომა და რაფაელმა, უყუდავთა გასაოცართა ამათ მხატვართა თვისის სამხატროს კალმით მომყუანთა თვთ უმადლესსა შინა სისრულესა თვისისა კელოსნობისა, დიდა[დ] აღამაღლეს და ადიდეს სრულაიდ...“.

შენიშვნები: 1. ხელნაწერში მიმოხილულია საერთოდ გალობის ისტორია და ქართული გალობის წესი.

2. ტექსტი შვადაა ნაწერი, ალაგ-ალაგ გადახაზულია და ნასწორებია ტექსტისავე ხელით, სხვა მელნით და ფანქრით.

3. ამ მიმოხილვის ავტორი არ არის ვასილ კარბელაშვილი (შდრ. მისი „მოხსენება შესახებ ქართულ სიმღერა-გალობისა“, ვასილ კარბელაშვილის არქივი, № 56).

(1893)

5214

სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი. (ფრაგმენტი). XVIII

15 ფ. (30 გვ.); 34×23,5; ქაღალდი; უყდო; ფრაგმენტი; მხედრული; სათაურები ზოგჯერ სინგურით; [XVIII ს.]; ჭვირნიშანი აქვს; გადამწერი: ზაქარია არხიმანდრიტი (გვ. 9, 12, 13); დაუწერელია: გვ. 6, 29, 30.

[ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი], „ს ი ტ ყ ს - კ ო ნ ა ქ ა რ თ უ ლ ი, რომელ-არს ლექსიკონი. — ა ნ ი არს პირველი ასო და კმიანი და ართრონი, მრავალ-რიგად თავად და ბოლოდ მოვალს მრავალთა ლექსთა ზედა, ვითარცა თავსა დაგვიწერია...“ გვ. 9—28.

წყ დ ე ბ ა: „...არტირია არს ძარღვი შეფეთქილი, რომელი, თუ გაიხს...“

შენიშვნები: 1. ლექსიკონს უძღვის: ა. „ანბანი პირველი სასწავლო ყრმათთვის...“ (გვ. 1—2); ბ. „ქართული რიცხვი ნულის მსგავსად ანუ არაბული სასწავლებელი...“ (გვ. 2—4); გ. „საქცევი ხუთთა ხმათა ასოთანი და სწავლა სხვათა ასოთა და თვე-ბოლოთანი...“ (გვ. 4—7); დ. „ესე ოთხნი ნიშანნი ქვეყანის მზომელობისა არიან კელოვნებანი...“ (გვ. 8); ე. „ეს ნიშანნი, სადაც სხენან, მიგასწავლის ცხოველი არს თუ მცენარე გონება განმხედველე...“ (გვ. 8).

2. ლექსიკონი A (გრეკლი) რედაქციისა (იხ. ლ. ქუთათელიძე, „სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები“, თბილისი, 1957 წ., გვ. 273).

3. ხელნაწერს აქვს რვეულობრივი პაგინაცია.

4. ხელნაწერის 9, 12, 13 გვერდების კიდებზე მოთავსებულია გადამწერის ზაქარია არხიმანდრიტის კომენტარები.

5. ხელნაწერის გვერდებზე მოთავსებულია ბეჭდები ლეგენდით: ა. „ნიკოლოზ სვიმონისძე გოდარელიძე“ (გვ. 1); ბ. „ქ. შ. შერაკითხვის საზოგადოების წიგნთ-საცავი“ (გვ. 1, 30).

6. პირველ გვერდზე ფანქრით აწერია: „ლექსიკონი საბა-სულხან ორბელიანისა“.

(1894)

5215

ჰომეროსი, ილიადა (ფრაგმენტი). XIX

22 ფ.; 35,5×22; ქალაღი; უყდო, დაშლილი, ფრაგმენტი; მხედრული; [XIX ს. I ნახ.]; დაუწერელია 1v.

„უ მ ი რ ო ს ი ს ი, ი ლ ი ა დ ა. ილიადა, გალობა პირველი. — ჰგალობდ წარწყმედიტსარე რისხვასა აქილესსა, ძისა პილეოსისსა, რომელმან ჰშთასთხინა აქველნი აღურიცხავთა უბედოებათა...“ 11r—22v.

წყდება „...გარნა დაჰსჯედ წყნარად და ყურად იხვენ სიტყვათა ჩემთა, ნემცა...“

- შენიშვნები:** 1. ფრაგმენტი „ილიადა“-ს პირველი გალობის ნაწილს შეიცავს.
 2. უძღვის: ა. თავფურცელი წარწერით: „უ მ ი რ ო ს ი ს ი, ი ლ ი ა დ ა. ნაწილი პირველი“; ბ. წინასიტყვაობა: „ო მ ი რ ო ს ი ს ი თ ვ ს და მისთა ნაჰპართა“ (2r—10v); გ. „პაზრი პირველისა გალობისა ო მ ი რ ო ს ი ს საგალობოასა“ (11r).
 3. თარგმანი ეკუთვნის იესე გარსევანიშვილს (იხ. „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექციისა“, ტომი I, ხელნაწერი № 338).
 4. ხელნაწერს აქვს ანბანური და რვეულებრივი პავინაცია (სულ ორი, ა და ბ რვეულია).
 5. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთ საცავის ბეჭედი მოთავსებულია: 1r, 10v, 12r, 22v-ზე.
მინაწერი: „1888 года июля 31 дня. Семень Глахуевич Годаб-релидзе“ (1r).

(1895)

5216

მგოსანი კეკელა. XIX

3 ფ.; 35×22,2; ქალაღი, ჰუჰყიანი; უყდო, დაშლილი; მხედრული; [XIX ს.]; ჰვირნიშანი: 1832 წ.; დაუწერელია 3v.

მ გ ო ს ა ნ ი კ ე კ ე ლ ა [სურათი]. — „შავესა უფსკრულსა ღრუბელს მოცვა ცისა კარავი და დაეხშო ბრწყინვალება მზისა...“ 1r—3r.

თ ა ვ დ ე ბ ა: „...და უკანასკნელად აღებრივის ამბორებისთანა ნებაც აღარა მისცეს და წარიტაცეს მსწრაფლად ჰაერში.“

შენიშვნა: ხელნაწერი წარმოადგენს შავად ნაწერს (დედანს). მთელი რიგი წინადადებები ხაზ გადასმულია, წაშლილია და შეცვლილია სხვა წინადადებებით.

(1896)

5217

სიტყვიერება მოქმედებისათვის სიტყვიერებასა და გამოცდილებასა თვისებასა ზედა ერთსა. XIX

4 ფ.; 36,5×23; ქალაღი, გაყვითლებული; უყდო, დაშლილი; მხედრული; [XIX ს.], ჰვირნიშანი: 1828 წ.

1. „ს ი ტ ყ ვ ი ე რ ე ბ ა მოქმედებისათვის ს ი ტ ყ ვ ი ე რ ე ბ ა-ს ა და გამოცდილებასა თვისებასა ზედა ერთსა. — სხუდასხუათა გარემოებათა შორის მოქმედებულთა, ვითარცა თვისებასა ზედა ერისასა, ეგრეთუჲ ღიდებასა ზედაცა და კეთილ მღგომარეობასა მისსა, სიტ-

ყვიერებასა ჰსწავლათა და გამოცდილებათა აქუსთ არა მცირედი ძალი...“
 1r—4v.

თ ა ე დ ე ბ ა : „...და არა მრავალი ერი შემეცნებოდნენ ამა სწავლასა ტრფიალებითა, დიდითა მხურულალებითა, დიდითა ძალითა, ვითარცა სკანდინოვნი“.

შენიშვნები: 1. 1r-ზე დასაწყისში აწერია: „ქე მამულსა 1827. № XVI“.

2. ტექსტი წარმოადგენს თარგმანს წერილისა, რომელიც დაბეჭდილი ყოფილა ჟურნალში „Сын отечества. 1827г“. თარგმანი ეკუთვნის გ რ ი გ ო ლ მ შ ხ რ ა ნ ე ლ ს. შუადარე S—531-ის ხელი.

3. ტექსტი ნასწორებია ტექსტის ხელითვე.

(1897)

5218

სცენები. XIX

10 ფ.: 35×21,5; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; თავ-ბოლონაკული; მხედრული; [XIX ს.]; კვირნიშანი აქვს.

[ს ც ე ნ ე ბ ი]. — „...მე. მაგისტვისაც მადლობა დმერთსა! ნ ი ნ ი. ბატონო, თქუჭნი მარანი სულერთიან გაქურდეს ოსებმა...“ 1r—10v.

წყ დ ე ბ ა : „...მივებართ იმისთანას კაცსა, რომ იმან იმთავნოს ეს საზოგადოობის სარგებლობა. — მეორე ჩუჭნ უნდა სასარგებლონი...“.

შენიშვნა: 1. ტექსტი ნასწორებია თვით დამწერის მიერ.

2. ეს ნაწარმოები წარმოადგენს A—1166-ის ნაწილს.

5219

სხვადასხვა პირების წერილები დ. ბ ა ქ რ ა ძ ი ს მიმართ.

გადატანილია დ. ზ. ბაქრაძის არქივში. იხ. № № 112, 117, 119, 122, 129, 130, 133, 135, 138, 139, 149, 165.

5220

მ. ბროსეს წერილი უცნობი მეგობრისადმი (პლატონ იოსელიანი?).

გადატანილია მ. ბროსეს არქივში № 20.

(1898)

5221

ღვთისმშობლის აპოკრიფი (ფრაგმენტი). X

1/2 ფურცელი; 19,5×32; ეტრატი (დაზიანებული); ფრაგმენტი; მთავრული, დასაწყისები სინგურით, ორ სვეტად; [X ს.].

[ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ა პ ო კ რ ი ფ ი]. — „...იოვანე, რამეთუ მოარული არიან და ზეციით...“ 1r—v.

წყ დ ე ბ ა : „...კაცსა მას განიზრახვიდა და ჰრქუა...“

შენიშვნა: ფრაგმენტი წარმოადგენს მთელი ფურცლის ზემო ნახევარს.

(1899)

5222

ფსალმუნნი (ფრაგმენტი). X

5 ფ.; 15,5×15; ეტრატი (ქვემო კიდეები თავის მიერაა დაღრღნილი); უცლო, დაშლილი, ფრაგმენტი; მთავრული, დასაწყისები სინგურით; [X ს.].

ფსალმუნნი. — „...ჩემით მე შენდამი, უფალო ვლადატყავ...“ 1r—5v.
 წყდებ: „...მითხრობად ცისკ...“

შენიშვნა: ფრაგმენტი ძველი, ათონამდელი რედაქციისაა, შეიცავს თავებს 87¹⁴—91³, (იხ. მ. შანიძე, ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, 1960 წ. გვ. 235—250).

(1900)

5223

ფსალმუნნი (ფრაგმენტები). X

7 ფ.; 21×14,5; ეტრატი (დაზიანებული, კიდეები შემოკვეთილია და ამიტომ ტექსტიც არ იკითხება); ფრაგმენტები; მთავრული, დასაწყისები სინგურით; [X ს.].

ფსალმუნნი. „...ყოველთავე მიაქციეს ერთბამად და უქმარ იქმნეს, არაინ არს, რომელმანმცა ქმნა სიტკბობა...“ 1r—7v.

წყდებ: „...ჩემისასა გზადღი შენ... ჩემი...“

შენიშვნები: 1. ფსალმუნის ტექსტი ძველი, ათონამდელი რედაქციისაა. გამოცემის მიხედვით (იხ. ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X—XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა მზექალა შანიძემ, 1960 წ.) შეიცავს: ფ. 1—2 — ფს. 13^ვ—16^ვ; ფ. 3 — ფს. 16⁴—17 სათაური; ფ. 4 — ფს. 17 სათაურის გაგრძელება — 17¹⁵; ფ. 5 — ფს. 60⁹—62⁴; ფ. 6—7 — ფს. 82¹⁶—85⁷.

2. ხელნაწერის მესამე ფურცელი გადმოტანილია S—5161 ხელნაწერიდან.

(1901)

5224

მარხვანი (ფრაგმენტი). XV

2 ფ.; 26,5×18,5; ეტრატი; უცლო; ფრაგმენტი; ნუსხური, დასაწყისები სინგურით; [XV ს.].

[მარხვანი]. — „...ლობაჲ. რამეთუ არა ემსგავსა იგი ძალთა მათ ცოფთა წყლბასა, რომელნი ენითა მათითა ჰლოწნიდეს ლაზარეს, რომლისა სიბრმისაგან გკნსენ მრავალმოწყალე. კვირიაკესა: მე: ე მწუხრი. ქ^ა ა, წ^ნო მარ...“ 1r—2v.

წყდებ: „...მასვე დღესა სხუანი ხუედრნი ლ^ყა...“

5225

ეტრატის ერთი ფურცელი მრავალთავიდან.

შეუერთდა A კოლექციის № 1109-ს.

(1902)

5226

მარხვანი (ფრაგმენტი). XVI—XVII

6 ფ.; 32,5×24; ქაღალდი, გაყვილებული; უყდო; ფრაგმენტი; ნუსხური, ორ სვეტად, სათაურები და დასაწყისები სინგურით; მოხატული საზედაო ასოები (1r, 4v, 5r, 6r); [XVI—XVII ს.]; გადაწერი: აბრ[ა]ჰ[ა]მ (1r, 4v, 5r).

[მარხვანი]. — „...1. ძეგლისწერაჲ სარწმუნოებისა, რომელი აღწეს(!) წმიდათა მამათა კოსტანტინეპოლისა შეკრებულთაჲ წმიდათა ხატთა თაყუანისცემისათუის, რომელი ესე წარიკითხვის სოფიაჲ წმიდაჲს და ყოველთა ეკლესიათაჲ პირველსა კუირიაკესა მარხვათასა. წმიდასა ყოველის წირვასა ზედა შემოსილისა ზუცისაგან. გ. მ. — სულსა აბრ[ა]ჰ[ა]მისასა შეუნდოს ღმერთმან, ამინ. — წინასწარმეტყუელთა ქადაგებისაგან დამტკიცებულნი...“ 1r—4v.

შენიშვნები: 1. ძეგლის წერის ბოლო ნაწილში, სადაც ჩამოთვლილნი არიან „მართლმადიდებელი მეფეები“, იხსენიებიან ქართველებიც: „...ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფისა მართლმადიდებელისა საუკუნოჲმცა არს საქსენებელი, კურთხევაჲ მათი.

გიორგი კესაროსისი აფხაზთა, ქართველთა მართლმადიდებელთა მეფეთა, საუკუნოჲმც არს.

დავით ყოვლისა აღმოსავლეთისა მეფისაჲ, ახლისა მართლმადიდებელისა, საუკუნოჲმც არს.

დემეტრე ყოვლისა აღმოსავლეთისა მეფისა, საუკუნოჲმც არს საქსენებელი და კურთხევაჲ.

გიორგი ყოვლისა აღმოსავლეთისა კელმწიფედ მპყრობლისა მეფეთ-მეფისაჲ, საუკუნოჲმც არს საქსენებელი და კურთხევაჲ.

თამარ ყოვლისა აღმოსავლეთისა ახლისა მართლმადიდებელისა, აფხაზთა, ქართველთა, პერთა, კახთა და ყოველთა ქრისტიანეთა მპყრობელისა, საუკუნოჲმც არს.

ძისა მათისა გიორგი ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა მტკიცედ მპყრობელისა და მეფეთ-მეფისა, მრავალმცა არიან წელი მეფობისა მისისანი...“ (4r).

ასევე პატრიაქთა „და ღმერთშემოსილთა მამათა“ რიგის შემდეგ ქართველთა ხსენებაჲ: „...უსხეულოთა მიმგავსებულისაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმე მთაწმიდელისაჲ, ახლისა ოქროპირისა, ქართველთა განმნათლებელისა, საუკუნოჲმც არს საქსენებელი და კურთხევაჲ მისი.

წმიდათა და მართლმადიდებელთა დედოფალთა მარიამისი და მართან, საუკუნოჲმც არს საქსენ.

წმიდათა მამათა იოანესი და იოანე სკვანელიზისა და გიორგისი, საუკუნოჲმცა არს საქსენებელი და კს. (!).

წმიდისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა, ქართველთა მნათობისა, საუკუნოჲმც არს საქსენებელი და კურთხევაჲ მისი.

ყოველთა ნათესავთა ჩუენთა ქართველთა მასპინძლისა, გრიგოლ სევასტოსისა, ბაქურიანის ძისაჲ, ყოვლისა დასავლისა დიდისა დემესტლიკოსისა, მართლმადიდებელისა, საუკუნოჲმც არს საქსენებელი და კურთხევაჲ გრიგოლისი.

ყოველთა მათ ღმერთშემოსილთა მამათა და მართლმადიდებლობისა ქადაგათა და ვიდრე სიკუდილმდე მოღვაწეთაჲ ღთისმსახურებისათა ლოცვითა და ვედრებითა დაგვეყვინ ღმერთმან და მობაძე-ყოფად ღირს გუყვენინ სლთასა მის მოქალაქობისა მათისა. მოწყალეებითა და მადლითა დიდისა მის მღდელთმოძღურისა ქრისტეს ჭეშმარიტისა მის ღთისა ჩუენისათა შეწევნითა სულსა ყოვლად წმიდისათა, მეოხებითა ყოვლად დიდებულისა დედოფლისა ჩუენისა წმიდისა ღთისშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისითა, წმიდათა და დიდებულ-

თა მთავარანგელოზთა და ყოველთა წმიდათა ზეცისა ძალთათა ვედრებითა ყოველთა წათა, რომელი საუკუნითგან სათნო ეყუნეს უფალსა, დიცივენ და აღიდენ მორწმუნენი მეფენი, სათნოდ ღმრთისა წინამძღუარნი კათალიკოზნი, მორწმუნენი ღირსნი და მართლმადიდებელნი ებისკოპოსნი და ყოველი მორწმუნე ნათელდებული მართლმადიდებელ სამწყსო ქართველთა.

დიდება და პატივი და თაყუანისცემა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკი უკე აწ. ნეტარო მღვდლო, ვითა მთაწმიდას წაიკითხვენ ამას ძეგლის წერასა, ეგრეთვე სრულებით აქა სწერია“ (4r—v).

2. ბოლოს მიწერილია სხვა ხელით (XVI—XVII ს. ნუსხურით): „მკნისა და ახოვანისა სწორტოვარისა და მრავალჯერ გამარჯვებულისა სახელოვნისა პატრონის იოთამისა საუკუნომცა არს სახსენებელი და კურთხევა მისი.

ძისა მათისა მკნისა და ახოვანისა სახელოვნისა და სახელგანთქმულისა და სიყმრთიან მრავალჯერ გამარჯვებულისა პატრონისა ართაქსადისა მრავალმცა არიან წელი ეხორებისა მისისანი.

თანამეცრებისა მისისა, მეფეთ-მეფეთა ასულისა, დაღუფებულად ღმრთის მადიდებლისა და გლახაკთა ქელისა ამპყრობელისა, სწორტოვარისა პატრონისა თამარისა მრავალმცა არიან წელი ცხორები...“ (4v).

2. „თუესა მარტას თ, წამება და წმიდათა ორმე[ოც]თა, რომელნი სევასტიას იწამნეს. გ. მ. — ორმოცთა მათ მოწამეთა, რომელნი იწამნეს სევასტიას...“ 4v—5r.

შენიშვნა: ტექსტს შუაში აკლია.

3. „თხოზა და სასწაულისა წმიდისა და ცხოველსმყოფლისა ხატისა, რომელი ზღვთ მოიწია ჰრომედ, რომელი იგი შთადგებულებო წმიდისა მამისა ჩუენისა გერმანოსისა მიერ, რათა წარივლინოს კოსტანტინეპოლით ჰრომედ. — რაჟამს იგი კეთილად ჰმართებდა საკუთა...“ 5r—6r.

4. „თხოზა და სასწაულისა, რომელი იქმნა წმიდასა მას ჯურღმულსა დიდისა ეკლესიისასა სოფიად წმიდას საუფლოსაგან და პატრონისა ხატისა უფლისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა და მუნ მოსრულისა მისთვის პატრიარქისა და ქრისტეს მოყუარისა მწიგნობრისა მისისა. გ. მ. — არა არს ესრეთ მახარებელ სულთა ღმრთისმოყუარეთა...“ 6r—v.

წყდება „...ვიდრედა უნებლით იიძულა უკეთური იგი და უნებლიეთ აღიარა...“

შენიშვნები: 1. თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ. იხ. A—162, 122r.

2. ეს ფრაგმენტი შეიცავს მარხვანის იმ ნაწილს, რომელიც ხშირად ერთვის მარხვანის ძირითად ტექსტს.

3. ხელნაწერს ჰქონია რვეულობრივი პაგინაცია.

ანდერძები (ვადამწერის): 1. „სულსა აბრჰისისა შეუნდოს ღმერთმან, ამინ“ (1r).

2. „წმიდანო ორმოცნო და წმინდანო გიორგი და თეოდორე ქალთა მთავარმოწამენო, შეიწყალეთ სულთა აბრჰის სურვილით მევედრებელი თქუენი და იოხეთ წინაშე საყდარსა ქრისტესსა“ (4v).

3. „აბრჰის შეუნდოს ღმერთმან, ამინ“ (5r).

შინაწერი (მხედრული): „სანჯმო აქ შეისწავე. ნიკოლოზ იშხნელი. აბრუწინ ბანებულა ბატონი იშხნელი“ (5v).

(1903)

5227

სადღესასწაულო (ფრაგმენტი). 1519

1 ფ.; 37,5×24; ქაღალდი; დაზიანებული; უცლო; ფრაგმენტი; ნუსხური, ორ სვეტად, დასაწყისები სინგურით; ბოლოსამკალი 1v; 1519 წ. (1v); გადამწერი: ზაქარია (1v); დამკვეთი: პატრონი ბაგრატ მეფეთ-მეფის კოსტანტინეს ძე (1v).

[ს ა დ ლ ე ს ა ს წ ა უ ლ ო]. — „...შეიცვა შეუცავად, რომელი იგი შეუცავ არს და შეუხებელ ანგელოზთაგან...“ 1r—v.

შენიშვნა: ფრაგმენტი წარმოადგენს სადღესასწაულოს ტექსტის დასასრულს, ე. ი. ხელნაწერის ბოლო ფურცელს.

ანდერძები: 1. „...ბ...ე ღ...ა... კურთხეულ არს ღმერთი უ...კი უ...კე, ამინ. ...ათ... [ეს]ე წიგნი წმიდა და უბიწო და მოუკ[ლე]ბელ [მ]ისითა სტიქარონ-წარღვომ-გალობითა ...სადღესასწაულოთა, საწინასწარმეტყულოთა სათნ... ყოველითა და [სვ]ნაქართა და ცხორებას სამოციქულოთა ...და გათავდა ბრძანებითა პატრონ... ღ...ის მოუყარისა და ღ...ის მსახურისა და ღ...ისაგან პატივცემულისა პატრონისა ბ ა გ რ ა ტ ი ს ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ა ესე წიგნი ყოვლად შემკობილი ქართონიკონსა ს ზ.

თავად ღმერთო და ამა შეკრებულთა მადლო, პატრონი ბ ა გ რ ა ტ ამა სოფელსა დღეგრძელობით და გამარჯულებით და მშვედობით ამყოფე და საუკუნოდ ცხოვნებით შეეწიენით. ამინ, უ...კი უ...კე“ (1v).

2. „ამის მჩხრეკელსა ცოდვილსა ზ ა ქ ა რ ი ა ს შეუწდოს ღმერთმან, ამინ“ (1v).

3. „თქუნ, დიდსა და ღმრთივ აღმართებულსა და ცოდვათა მობაძავსა კათოლიკე სამოციქულოსა საყდარსა ს უ შ ტ ს ა ც ხ ო ვ ე ლ ს ა შემოგწირენ წმიდანი ესე წიგნი თორმეტნი თუ შნი ყოვლითურთ სრულნი და უნაკლონი მე, ცოდვილმან ბ ა გ რ ა ტ, ძემან მეფეთ-მეფისა კოსტანტ[ი]ნესმან საქარად სულისათვს ჩემისა და ცოდვათა ჩემთა შესანდობლად. ვინცანი იკითხვიდეთ კათალიკოს-პატრიარქი და გინა სხუანი მკიობელნი, შენდობასა ბრძანებდით ჩემ ცოდვილისათვს, მადლსა თქუნსა წმინდანო, არა დასკისათვს დღესა მას დიდსა სიტყვს გებისისა. ჩემითა ალლიათ(!) საქმითა მოგებული ესე წიგნი დაისხნეს თუშსა აპრილსა ათსა, ქ...კნსა სვ“ (1v).

შენიშვნა: ეს უკანასკნელი ანდერძი დაწერილია ტექსტისაგან განსხვავებული ნუსხურით და შეიძლება ეკუთვნოდეს თვით დამკვეთს — ბაგრატს.

ეს ბ ა გ რ ა ტ ი უნდა იყოს ბ ა გ რ ა ტ მ უ ხ რ ა ნ - ბ ა ტ ო ნ ი, კ ო ნ ს - ტ ა ნ ტ რ ე ნ ე II-ის ძე. (იხ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველოს ისტორია, ნაწილი I, 1948 წ. ბაგრატიონთა სამეფო სახლის მთავარი შტოს გენეალოგიური ტაბულა).

მინაწერი: (მხედრული) „აურაცხელ არიან ცოდვანი ჩვენი უფალო“ (1v).

(1904)

5228

განთხული სახარება (ფრაგმენტი). 1701

2 ფ.; 38,4×27,4; ქაღალდი, დაზიანებული (მელნისაგან დამწვარი და ჰის მიერ დაჩრეტელი); უცლო; ფრაგმენტი; მხვილი ნუსხური, ანდერძები მხედრულით და წერილი ნუსხურით, დასაწყისები სინგურით, ორ სვეტად; 1701 წ. (2v); გადამწერი: მღვდელ-მონაზონი [გაბრი]ალ სერისთოელი (2v); დამკვეთი: ნიკოლოზ გაბაძიძე (1v, 2r); ადგილი: მოსკოვი (1r).

«გ ა ნ თ ხ უ ლ ი ს ა ხ ა რ ე ბ ა» — „...იგი მსწრაფლ მეფისა ჰრქუა: მნებავს, რათა აწვე მომცე მე ლაქნითა თავი იოანე ნათლისმცემელისა...“ (1r—v).

ანდერძები: 1. (დამკვეთის, მხედრულით): „ქ. მე, გაბადიძემ დავეწერინე, ნიკოლოზ, სახარება ესე დიდსა რუსეთსა. აღვეთებინე(1) სულისა ჩემისა საოხად, შენდობას მიბანებდეთ ღმრთის გულისთვის. დიდსა ტახტსა მოსკოვს დაიწერა“ (ხელრთვა: „ნიკოლოზ“) (1V).

2. (წერილი ნუსხური): „სახელითა ზესთა, ზემთთა და ზესთა ცათა ზემთა, ღმრთთა თანა უსაზღროსა და გარემოუწერელისა, გამოუქულებლისა და გამოუძღებელისა, უხილავისა და მოუწოდებელისა, არსშემცველისა და თვთ შეუცავისა, განუსაზღვრებელისა და განუცდელისა, უმიმწუხროსა ნათლისა უკადვისა და მარადის არსისა და არსებად უცვალეებელისა, სამთა პირთა და სამთა გუამთა შინა ერთ ღმრთებ ცნობ[ი]ლისა, სამბრწყინვალისა, სამნთობარისა, ყოველთა უხილავთა არა არსთაგან არსებად მომყვანებელისა, სამნათელისა ერთელვისა, ღმრთსა მამისა, ძისა და წმიდისა სულისათა, რამელსა ბრჭალით უპყირან კიდენი ქუეყანისანი და წამის ყოფითა ჰმრთებს და განაგებს, ვითარცა ჰუმუშნის ღმრთებასა არა იცვალეების, არცა დასრულეების. ვითარ არს მამაჲ, ეგევითარევე არს ქე, ეგევითარევე არს სული წმიდაჲ, რამეთუ მარადის სამნივე ანთობენ და ამის მიერ ყოველნი ვიძრეთ და ვართ, ამისა არა ძალგვეც ყოფად არცა ერთი. ეგრეთვე კაცობრივთა ბუნებათგან შესაძრწუნებელისა, ყოველთა ადამის ნათესავითგან მარადის საწატრელისა და უსხეულოთა ცხრა არეთა(1) ზეცის წესთა მთავრობათა ძალთაგან შიშით და მოწიწებითა მსახურებითა, ბუნებისა ჩუენისა განმრთობელისა, უმეტესად კურთხეულისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისითა, რამეთუ ესე იქმნა მიზეზ ქსნისა ჩუენისა და მარადის მზა არს მეოხებად წინაშე ძისა მისისა და ღმრთისა ჩუენისა ყოველთა მოსავთა და მევედრებელთა მისთა. რამეთუ ტკილი, სახიერი, სასო და მეოხი სულთა ჩუენთა მეძიებელთა მისთა ეპოვების და მრეკელთა განუღებს. და ეგრეთვე ძლიერისა და უძლეველისა, პატრონისა ცხოველსმოყვებისა ჭუარისათა, მეოხებთა წმიდისა და დიდებულისა წინასწარმეტყუელისა ნათლისმცემელისა იოანესითა და ყოველთა წმიდათა ზეცისა და ქუეყანისათა უტორცითა და ჭორციელთა.

ამითა სასოებითა და თანა ძა...ეობათა და შეწენითა(1) ღირს ვიქმენ მე, გლახაკი და უღირსი ცოდვილი ნიკოლოზ გაბადიძე. ღირს მყო მე წმიდამან ღმრთის მშობელმან აღწერინებამ წმიდისა ამის სულთა განმანათლებლის წმიდისა განთვსულის სახარებისა დიდსა მოსკოვს(1), რუსეთის ქალაქსა, იონა და პეტრე კელმწიფის ქაჲსა. მეფეს არჩილს ვახლი(1) და იქ დავეწერე(1) და მოვაკედინე და აწ ვინცა ვინ მიემთხუროდეთ, უფალნი ჩემნი, შენდობას მიბანებდეთ, თქუნენ მოგაცნოს(1) უფალმან. ჭორონკონსა შეიღიათას ორას ერთ წელსა დაიწერა“ (1V—2V).

შენიშვნა: ე. ი. ხელნაწერი გადაუწერიათ 1701 წელს (7201—5500=1701). ამას მხარს უჭერს მეფე არჩილის მოსკოვში ყოფნის წლებიც.

3. (წერილი ნუსხური): „ამის მჩხაბავს მღვდელმონაზონს [გაბრიელ] სერისტოელს შეუწდენს ღმერთმან, ვინცა შენდობას მიბანებდეთ, თქუნენცა შეგინდენს უფალმან ღმერთმან“ (2V).

მინაწერი: (მხედრული): „ქ. წმიდაო და დიდებულო კათოლიკე სამოციქულო ეკლესიაო, ერმრავალ შესაქრებულო სვეტო ცხოველო, კვართო საუფლოვო, მირონო წმიდა მყოფელო, ჩვენ მადლითა ნაღუღუევანმან დრადმან ცოდვითა გურიელმან მამია და თანამეტყებრემან ჩემმან მეფის ასულმან დედოფალმან როდამ შემოგწირეთ სახარება და ზიარანდაზი, თქვენის მონასტრისაგან წადებული იყო თათრის კელთაგან. ჩვენ ვიშოვეთ ისევე თქვენისავე მადლით, აწ ჩვენ თქვენთვის მოგვირთმევეთ, ნაცვლად ამისად ღირს მყავ მარჯვენთა ნაწილთა შეერთებასა, დღეთა სიგრძე, წელთა სიგრცე და ძეთა და ასულთა წყალობისა ბოძება ყავ ჩემზედა, ამინ. ხოლო უკადვსა ცხოვრებასა ღირს მყავ სასუფეველსა შენსა, ამინ, კირიელსონ“ (2V).

(1905)

5229

სამოციქულო (ფრაგმენტი). XVIII

2 ფ.; 20×15,5; ქაღალდი, დალაქავებული; უყდო; ფრაგმენტი; ნუსხური, სათაურები და დასაწყისები სინგურით, ლითოგრაფიული წესით შესრულებული დეკორატიული ჩარჩო, შემდეგ შეფერილი ყვითელი, მწვანე და ლვინისფერი საღებავებით. ჩარჩო წარმოადგენს ყვავილის ორნამენტებს, ცენტრში გამოსახულია შირქმის სცენა (2r); [XVIII ს.], ჭვირნიშანი აქვს.

[სამოციქულო. პავლე მოციქულის ეპისტოლეები]...

1. ...«წიგნი გალატელთა მიმართ». — „...ისა თქუენისა თანა ძმანო, ამინ. დასასრული კუირიაკისა და პირველისა ქამისაჲ. დასასრული ებისტოლისა გალატელთა...“ 1r.

2. „თავნი ეფესელთა ებისტოლისანი“ 1r—v.

3. „ეფესელთა მიმართ ებისტოლე პავლე მოციქულისა, თავი პირველი. — პავლე მოციქული, ნებითა ღმერთთა...“ 2r—v.

წყდება: „...პარსკევს ივ კუირიაკისასა. ძმანო, გქს ჩუენ გამოცხნა სისხლითა ქრისტესითა...“

შენიშვნა: აქვს რვეულბრივი პაგინაცია. ხელნაწერი წარმოადგენს კვ რვეულის დასასრულს და კვ რვეულის დასაწყისს.

(1906)

5230

სახარება (ფრაგმენტი). XIV—XV

1 ფ.; 25×17; ქაღალდი, ახალი რესტავირებული, უყდო; ფრაგმენტი; ნუსხური; [XIV—XV სს.]; მოხატული საზედაო ასო (1r).

[სახარება]. — „...უკეთუ სოფელი გძულობდეს თქუენ უწ... მომიძულა, უკეთუმცა სოფლის...“ (იოანე, თ. 15, 18—16 ვ).

მინაწერები: მხედრულით: [პირობის წერილი]. „...ულის ერთმან-ერთისი ნდომითა და დამოწმებითა ...მას დამრთავდეს ჩენსი, გაბილივანსი... იმა საქმესი მოჰყევს, გინდა შემოგაკდეს, გინდა ვინ...“ (1v).

2. „ღმერთო წმიდაო, მთავარმოწამეო გიორგი, ექმენ მონასა შენსა მხივანსა დღესა მას დიდსა განკითხვისასა. კელთა შენთა...“ (1v). იხ. აგრეთვე 1v.

(1907)

5231

ხადღესასწაულო (ფრაგმენტი). XI

2ფ.; 26×20,5; ეტრავი, დაზიანებული (ფურცლის მარჯვენა მხარე შეკუმულია თავის მიერ და ტექსტი აღარ იკითხება. დაზიანებული ნაწილი ახალი რესტავრაციის შედეგად შეესებულა ქაღალდით); უყდო; ფრაგმენტი; ნუსხური, სათაურები სინგურით; [XI ს.].

[ხადღესასწაულო]. — „...კაცთა ვითარცა მამა ...ელნი. ამინ, გატყვ თქუენ...“ 1r—2v.

წყდება: „...ქორცთა ჩუენთა. გამოცხად...“

შენიშვნა: ტექსტი უნდა წარმოადგენდეს 9 მარტის საკითხავის ნაწილს.

(1908)

5232

მამათა ცხოვრება (პატერიკი). XVIII

24 ფ.; 33×23; ქალღი დალაქავებული, მე-20-ე ფურცლის ზემო კიდის შუა ნაწილი ამოჭრილია; უყდო, ნაკლული, აკლია: 8v—9r-ს, 9v—10r-ს, 12v—13r-ს, 13v—14r-ს შორის და 23v-ს შემდეგ; მხედრული, ორ სვეტად, დასაწყისები ნუსხურით; თავსაქაული 1r; [XVIII ს.]; დაუწერელია: 24r—v.

[წიგნი წმიდათა და ნეტართა მამათა ჩუშნთა ცხოვრებათა და მოქალაქობათა. 1. ა: პირველი სიტყუაჲ, შესავალი წიგნისაჲ წმიდათა და ნეტართა მამათა ჩუენთა ცხოვრებათაჲს და მოქალაქობათა. გ. მ. — რ]ომელი იგი არს პირველიდგან ღისა თანა, ღისა სიტყუა...“ 1r—3r.

2. [ბ: სწავლანი შუშნიერნი წმიდათა და ნეტართა მამათანი, სისრულისათჲს სათნოებათაჲსა. გ. მ.] — [კ]ითხა ვინმე მამასა ანტონის და რქვა: რა დავიმარხო მამო...“ 3r—9r.

3. [თავი: გ: სწავლანი და თხოვრებანი სულიერნი წმიდათა მამათანი და ვითარმედ ჯერ არს ჩუენდა ყოვლითა ძალითა მიდევნებად დაყუდებასა]. — [მ]ამა ანტონი ჯდა ოდესმე უდაბნოს და მოწყინებასა შევარდა ფიცხელსა...“ 9r—v.

წყდება: „...და ესრეთ წილ მოვლო და მოვიდა კლდედ მსახურთავე თვისთათა...“.

4. [თავი: ე: სწავლანი და თხოვრებანი წმიდათა მამათანი მრავალსახენი და მრავალგუარნი. მარხვისათჲს და სხუათა მათ სათნოებათა და ვითარმედ არა ჭამდთა ოდენ ზედა გამოისახვის მარხვაჲ, არამედ ყოველთავე ზედა საცნობელთა და აღძრვათა სულიერთა. გ. მ.] — „...და არაოდეს განვიდა იგი ზღუდისა მისგან სენაკსა თვისისა...“ 10r—v.

5. [თავი: ვ: მოძღურებანი თვთოფერნი და მოთხოვრებანი მრავალსახენი წმიდათა მამათანი განკრძალვისათჲს ჩუენდა ბრძოლათაჲსა, რომელი იგი სიძვისა მიერ აღდგებიან ჩვენ ზედა. გ. მ.] — [თ]ქვა მამამან ანტონი: ვჰგონებ თუ აქვს ხორცთა ბუნებით აღძრვა თანა აღრეული ანაგებსა, გარნა არა მოქმედი...“ 10v—13v.

წყდება: „...ოდეს ენებოს ყრმისა მოწყვედა ძუძუსაგან, მშხამსა მოიცხებს...“.

6. [თავი: იბ: ვითარმედ ჯერ არს ჩუშნდა ყოვლადვე და მარადის მღვკარებაჲ და სიფრთხილჲ. გ. მ.] — „[ი]ტყოდა მამა ანტონი: ვითარმედ ვიხილე მონაზონნი, რომელნი შემდგომად მრავალთა შრომათა დაეცნეს...“ 14r—19r.

7. [თავი: იგ: ვითარმედ ჯერ არს მოუკლებელად და მღვკარედ ლოცვაჲ ყოვლადვე და ყოველსა ჟამსა]. — „[მ]ამა ანტონის კითხა მამან სიტყვა ლევიტელთაგან, ხოლო ბერი განვიდა უდაბნოდ...“ 19v—20v.

8. [თავი: იდ: ვითარმედ გვქმს და თანა გუაც უცხოთა მოყუარებაჲ და მოწყალებაჲ სიხარულით]. — „მამამან აპოლო თქუა შეწყნარებისა თავის ძმათსა, ვითარმედ ჯერ არს მომავალთა ძმათა მოკითხუა...“ 20v—23v.

12. ხელნ წერთა აღწერილობა, ტ. VII

წყდება: „...ვითარმედ იყო ვინმე ჯმნილი სოფლისაგან, რომელსა ცოლი ესუა, იყო რა სოფელსა შინა და ერთი...“.

შენიშვნები: 1. სათაურებისათვის და ზოგჯერ დასაწყისი ასოებისათვის დატოვებულია თავისუფალი ადგილები, ალბათ იმიტომ რომ აპირებდნენ სინგურით ჩაწერას.

2. თარგმანი ეკუთვნის თეოფილე ხუცეს-მონაზონს; შეადარე A—1105 (იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია) ტომი IV გვ. 86—90).

3. სათაურები აღდგენილია ხელნაწერ A 1105-ის მიხედვით.

მინაწერი: (ტექსტის ხელით) „ქელი საბრალო მწერლისა მიწათა შინა ღმების, ხოლო ნაწერი მისი ჰგვის ვამთა უკე“ (10r).

(1909)

5233

იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი (ფრაგმენტი). XVII—XVIII

2 ფ.; 31,5×22; ქალაღი (ახალი რესტავრირებული); უყდო; ფრაგმენტი, მხედრული, დასაწყისები სინგურით; [XVII—XVIII სს.]; კვირნიშანი აქეს.

[იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი]. — „...“

დილა გათენდა, და ვახსენეთ ღმერთი და წმინდა ყოველი:
 მარიამ, დედა ქალწული, და მერმე ძელი ცხოველი,
 კვართი და მკლავი მარჯვენა, ღთივ ქმნული სვეტი ცხოველი,
 და თქვენ დაგვიფარეთ, დაგვეციეთ, რა წყალში ვიქმნეთ სოველი!...“

1r—2v.

შენიშვნები: 1. ფრაგმენტი შეიცავს სტროფებს: მეორე კარის 51-დან მეოთხე კარის 66-მდე (იხ. იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გიორგი ლეონიძის რედაქციით, თბილისი, 1939 წ.).

2. 67—70 სტროფებისათვის მხოლოდ სტროფის დასაწყისი სიტყვებია დაწერილი სინგურით.

3. 67-ე სტროფისათვის დატოვებულ თავისუფალ ადგილზე სხვა ხელთ ჩაუწერიათ:

„მეფე გულგანისხებული, კრმალი გაბასრა სალადა,
 აღმოიღო და მიუხდა, შიგ ვაერია მსწრაფლადა,
 ღუთისა მადლობის მიმცემი კრმალს ქელი ახო მალადა
 და დადნო რისხისა კლმითა მტერნი ფარადა“.

(1910)

5234

კრებული (ფრაგმენტი). XVIII

4 ფ.; 30,5×21,5; ქალაღი, ახალი რესტავრირებული, უყდო; ფრაგმენტი; მხედრული, დასაწყისები სინგურით: 1v-ზე ქვემოთ დამფრთხალი, გატყეული კურდღელია დახატული; [XVIII ს. I ნახ.], კვირნიშანი აქეს; დაუწერელია 4v.

[კრებული] ... 1. „საქართველოს გამგებლის ბატონიშვილის ვახტანგის ნახტანები. —

ქ. ყამარ მთვარევე, შეიბრაღე მოგზაური წიღნი შენი,
 ოტერიდს და ერმის გვედრებ, ვის შექნია წერის სენი.

ზოპარი და აფროდიტე მკურნელ იქმნენ ჰირთა მღხენი
 და შამს და მზეო გაუმრავღე მეფეთ ღღეთა სიცოცხლენი...“ 1r—v.

2. „საბას ნათქუამი. —

ქ. მოგზაურთ ეტლი, მთოვარე, ყამარ არაბთა ენითა,
ოტერიდ ერმიმ მწერალთა დიდად ემწეოს სმენითა...“ 1v.

3. „მდივნის გივის ნათქუამი. —

ქ. ქართველთ უწოდეს მთოვარე, ერმი, აფროდიტ მზეოდა,
კრონოს, დია და არია თითო საქმისა მწეოდა...“ 1v—2r.

4. „ქ. ეს ლექსები შამბიანის წყაროზედ სწერია, მდივნის
გივის ნათქუამი. —

მე უმცირესი ძმათაგან, ვახტანგუე სახელ დებული,
ოთხს წელ ვქენ მცხეთა, ურბნისი, სადგრის კამარა გებული...“ 2r—v.

5. [ვახტანგ VI, ანბან-ქება. (ნაწყვეტი)]. —

„შეთნო, შემცდარნო, შეშლილნო, შლუებნო შმაგო, შენაო...“ 3r—4r.

თავდება: „...“

და ჰაგონ ჰავიდა ჰავთ ჰალძერა, ჰალეტოლების ჰამო“.

შენიშვნები: 1. იხ. ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, აღ. ბარამიძის
რედაქციით და შენიშვნებით, 1947 წ. გვ. 59—60.

2. ხელნაწერი გივი თუშანიშვილის ხელით უნდა იყოს დაწე-
რილი.

3. ზემოთ დასახელებული ლექსები გარდა ვახტანგ VI-ის „ანბან-ქები-
სა“, გამოქვეყნებულია, იხ. ე. შეტრეველი, ვახტანგ VI-ის ეპიტაფიის ავტო-
რი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1951 წ. № 43, გვ. 141—
152). წერილი ეხება სპეციალურად ამ ხელნაწერს.

(1911)

5235

კრებული (ფრაგმენტი). XVIII

3 ფ.; 31,5×22,5; ქალაღი (ახალი რესტავირებული); ფრაგმენტი; უყდო;
მხედრული, დასაწყისები სინგურით; [XVIII ს. I ნახ.], ჭვირნიშანი აქვს.

[კრებული]. — 1. „...“

ოდეს მობძანდა ტელმწიფე ერეკლე სვე დოვლათითა,

გმირთა უმჯობის ძალითა, ლომ-გულთა მოკამათითა,

მან განათლა ეს არე მზის შარვანდთ უფრო მნათითა,

და ერთგულთა მიხვდათ ზიენი მობძანებითა მათითა.

მაშინ მიბძანა ლექსითა შემკობა ტურფად სრისანი,

მე ვით ძალ-მედვა დაჰმუნდეს, ვის აქვს აღირნი ჭკვისანი,

გავბედე ქება უცებმან შიგ მსხდომთა წმინდათ ქვისანი,

და ვჰკადრე და მართლა ვერა ვთქვი მე ქება შესატყვისანი.

აქ მასპინძელი სარდალი სტუმარზედა არას ზვაობდა,

ვისთანაც ჰქონდათ მტერობა, ეწყობოდა და ზაობდა,

სახლთ-ხუცად იყო სარდლობდა, ურიცხესა სპაზედ თაობდა,

და მას წელს ქრონიკოდ თუ მკითხავ — სამასოთხმოც

და ცხრობდა.

ქიმ დიარ თარიფ ლაიპ ბუ ხალვათ ხანა ბალინან,
 ელი ვარ ოლსუნ უსტანუნ ქი პყაირ უფდურ თალინან,
 აბეზარ ოლდუხ ბულბულდან გულ უსტა დემალ ჩალინან,
 და ევ იესი დილგირ ოთფორმაზ ფიალა იჩარ სალინან“ 1r.

2. „ეს სხვარამე ანბავია. —

წიგნი გეპოძათ აღქატად, შიგ ვანახეთ წერებულება,
 პირველ წყალობით კართ-ღება, წყრომისთვინ მერე გულება,
 რას გასცემს, უხვიც რომ იყოს, თუ შინ კი არ ეგულება,
 და უნახვად ყმას მამულებს, პატრონსა ხანთ გამოსულება...“ 1v.

შენიშვნა: ლექსში მოხსენებულია ლენის ჯიშები ატენური და მანავური.

3. „...ვინადგან გული ყოველზედ გაქვთ უხვად ცაებრ მთოელი,
 მით მოწყალებას თქვენსას კმობს ადამის ძენი ყოელი,
 სიბრალულობა მონისა გაქვანდესთ ამას მოველი,
 და მაშინ ეგების შერამშრეს ცრემლთაგან თვალნი სოელი“ 2r.

4. „საწუთროსგან ასრე მექმნა, მარტო ვარ და დავჩი დულად
 სასიკუდილოდ შაშის ფეჭში ქვისრად ვზივარ მარტო სულად...“ 2r-v.

შენიშვნა: 4r-ზე, გვერდით კიდევ მიწერილია თათრულად:
 „მეი ბუხურ ამბარ ბისუზ ათეშინდახტ ხირლაზა თ:
 საქინი მეი ხანა ბაშ მარდუმი აზრი მაქუ...“

5. [არჩილი, ანბანთქება, ასულ ასულა]. —

„ასულ ასულა მჭვრეტნი დასულა, ესე ვინა ჩემი ასულა?
 ბროლ-მინა რევით, მზისა მორევით, თვალნი იმორევით(!)

მელნისა სულა...“ 3r-v.

წყდება: „...და ხარ საძებარი, შენი მაქებარი ვერ გიტყუის სწორად,
 მაშა რად სჩმახავს...“

შენიშვნა: იხ. არჩილიანი, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვი-
 ლის რედაქციით, ტ. I, გვ. 251—253.

5236

ისაკ მღვდელმონაზონი, მოხსენება საშინელისა მის და ყოველ-
 თა შესაძრწუნებელისა ზოგად ქრისტეანეთათჳს, ოდეს მეორედ იერუსალიმად
 წოდებული და ცათა დიდი მონასტერი გელათისა და ამას შინა ნივ-
 თნი ღღესა ამას მიტაცებული იქნა ავაზაკთაგან. დიდძალი იგი ნივთნი, რომელ-
 ნი აღწერილ არს აქა. გადაწერილია ისაკის ძმისწულის შვილის ამ-
 ბაკო დოლონაძის მიერ.

გადატანილია დოკუმენტების კოლექციაში, Sd—3041.

(1912)

5237

საქმე მეცნიერება მზისა და მთოვარისა და შეტყუება. 1864

7 ფ.; 22×18; ქაღალდი, უყდო, პირველი ფურცელი ამოვარდნილია; მხედ-
 რული; ტექსტი ჩასმულია სწორი ხაზით შესრულებულ ჩარჩოში; ფერადი თა-
 სამკაული (გვ. 1); ბოლოსამკაულები (გვ. 4, 7, 8, 14); შვიდი მნათობი, შესრუ-
 ლებულია უბრალოდ ფერებში (გვ. 9—11).

„საქმე მეცნიერება მზისა და მთოვარისა და შეტყუება. — აღმოსლვასა მზისასა მზე ღრუბელში შევიდეს და ოდეს გამოვიდეს, მკმუნვარედ იყოს...“ გვ. 1—14.

შენიშვნები: 1. შედგება თავებისაგან: ა. „მეცნიერება მზისა და მთოვარისა და შეტყუება“ (გვ. 1); ბ. „სასწაული მთოვარისა“ (გვ. 2); გ. „მდივანი ეწოდებოდა ამო, უკეთუ გინდეს მზისა, თუ რა არს სახე მისი ანუ რასა შინა არს იგი“ (გვ. 5—6); დ. „წინასწარ ცნობა პერ-კეთილისა“ (გვ. 6); ე. „მზისაგან ცნობა პერ-კეთილისა“ (გვ. 6—7); ვ. „ცნობა ზამთრისა მთოვარისა პერის კეთილისა“ (გვ. 7); ზ. „ცნობა ზამთრისა მზისა პერისაგან“ (გვ. 8); თ. „შვიდნი სარტყელნი სახედ შვიდთა მნათობთა“ (გვ. 9—11); ი. „მამა-სახლისნი ამათნი“ (გვ. 11—12); ი. „უკეთუ გინდეს ცნობა ვარსკვლავთა სლვა“ (გვ. 12—14).
2. ბოლოში მიწერილი აქვს „Г. Г. А. Б. 1864 რ.“ (გვ. 14).

(1913)

5288ა

წარწერები. XIX

14 ფ.; 11,5×9; ქალაღი; უყდო; მხედრული, [XIX ს.]; წარწერების გადმოწერი: მღუღელი ვასილი; დაუწერელია: 13v—14v.

[წარწერები]: 1. „ქუთაისის ღრის მშობლის ხატზედ“. 1r—v.

შენიშვნა: წარწერაში მოხსენებულნი არიან: მეფეთ-მეფე გიორგი, ძე მისი ალექსანდრე. ხატის მეორედ მომჭედნიეზელი ქუთათელ მთავარ-ეპისკოპოსი ჩხეტიძე ბასილი, რაფიელ მონაზონი.

2. „ხახულის ღრისმშობლის წინა და უკანა პირზედ“. 2r—3v.

შენიშვნა: მოხსენებულნი არიან: დავით, დიმიტრი, თამარ.

3. „გელათის ღრისმშობლის ხატზედ“. 3r.

შენიშვნა: მოხსენებულნი არიან: მეფე ბაგრატ, დედოფალი ელენე.

4. „აწყურის ღრისმშობლის ხატზედ“. 3r—4r.

შენიშვნა: მოხსენებულნი არიან: მეფეთ-მეფე გიორგი, მისი თანამეცხედრე თამარი, ძე მათი: ალექსანდრე და მამია. მეფეთ-მეფე სოლომონ, მისი თანამეცხედრე მარიამი (დადიანის ქალი), ძე მათი ალექსანდრე.

5. „მაცხოვრის ხატზედ“. 4r—v.

შენიშვნა: მოხსენებულნი არიან: მეფეთ-მეფე დავითი, რუსუდანი, იოვანე.

6. „ვედრების ღრისმშობლის ხატზედ“. 4v.

შენიშვნა: მოხსენებულია: მეფეთ-მეფე ბაგრატ.

7. „ნიკორწმიდის დასავლეთის კარის ბუის ქვაზედ მიწერილი“. 5r.

შენიშვნა: მოხსენებულნი არიან: ბაგრატ ყოველთა კუროპალატი და ძე მათი გიორგი, მღელთ-მთავარი ნიკოლოსი. მეფეთ-მეფე გიორგი, ლეონ, მისი ძე.

8. „აგარის წრის გიორგის ხატზედ“. 5v.

შენიშვნა: მოხსენებულნი არიან: მოძღუარი საბა, მისი შვილი ზოსიმე გაეაშელი, გაგუა დავით.

9. „ბუგეულის მაცხოვრის ხატზედ“. 5v—6r.

შენიშვნა: მოხსენებულნი არიან: ვარდენ ლაშხიშვილი, მისი თანამეცხედრე ბარათაშვილის ქალი თინათინ.

10. „ბარაკონის ღთისმშობლის ეკლესიის კარისბუკეზედ“. 6r—7r.

შენიშვნა: მოხსენებულნი არიან: კათოლიკოსი ბესარიონ, შმა ერისთვისა, რაჟის ერისთავი როსტომ, მისი თანამეცხედრე წულუკიძის ასული მარიაჲ, შვილები გიორგი და მეთოდი, ანნა, მელანია, ევფემია.

11. „მუნვე ვეცხლის ჯვარზედ“. 7r.

შენიშვნა: მოხსენებულნი: ოქრომკედელი მამნე.

12. „ნიკორწმიდის მაცხოვრის ხატზედ“. 7v.

შენიშვნა: მოხსენებულნი: კახაბერ-ყოფილი კირილე, ძე ერისთავთ-ერისთვის რატისა (რაჟისა).

13. „მუნვე დიდსა ჯვარზედ“. 7v—8r.

შენიშვნა: მოხსენებულნი არიან: დავით წულუკიძე, თანამეცხედრე მისი ლაშხიშვილის ასული ფარსანგიჯავარ.

14. „ონის მთავარ ანგელოსის ხატზედ“. 8r—v.

შენიშვნა: მოხსენებულნი არიან: გარაყანის ძენი მიქელი, ფორთხი და ივანე.

15. „მასვე ხატზედ“. 8v.

შენიშვნა: მოხსენებულნი არიან: სოსარა, გიორგის-ძე ჩოღედიანი.

16. „ბარაკონის მაცხოვრის ხატი“. 8v—9r.

შენიშვნა: მოხსენებულნი: ერისთავი როსტომი.

17. „ღების მთავარანგელოსის“.

შენიშვნა: მოხსენებულნი არიან: გარბაჩის ძე მიქელა, ფორთხი, ვაჩე.

18. „მუნვე მაცხოვრის ხატზედ“. 9v.

შენიშვნა: მოხსენებულნი: დედევანის-ძე.

19. „მუნვე ოქროს დიდს ჯვარზედ“. 10r.

შენიშვნა: მოხსენებულნი არიან: ლტორკაძე ივანე, შაყრთულაძის დელაჲ, ჯუფრა.

20. „მუნვე, მეორეს ჯვარზედ“. 10v.

შენიშვნა: მოხსენებულნი: დელაის ძე გოგა.

21. „იმავე ეკლესიის მაცხოვრის ხატზედ“. 10v—11r.

შენიშვნა: მოხსენებულია: გიორგი გოგრიძიანი.

22. „მუნითვე მთავარანგელოსის ხატზედ“. (11r).

შენიშვნა: მოხსენებულნი არიან: მიქელა, ფორთხო, ვახე გარბაჩის ძენი.

23. „გუმათის ეკლესიის წმიდის დიმიტრის ხატზედ“. 11v.

შენიშვნა: მოხსენებულნი არიან: გრიგოლ ჩხოტიძე, ჩხოტიძე ბედრა, მხევალი ჩუშარხია, ასული ანშიშაია.

ანდერძი: „ოდესცა მისი ყოვლად უსამღვდელოესობა, იმერეთის ეპისკოპოსი ეფთვიმი მგზავნიდა მე, მყოფსა მაშინ დიაკონობისა ხარისხსა შინა, ვანსახილველად ეკლესიებთა, მაშინ ვიგულსმოვდგინე და გადმოვსწერენ ესენი, რომელნიმე მხიად აღმოსაკეთხნი.

მღუდელი ვასილ“ (12r).

შენიშვნა: მღუდელი ვასილი გვარად ქუთათელაძეა, იხ. ხელნაწერ H—815-ის მინაწერი. (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, II კოლექცია, ტ. II. გვ. 206—207).

5238ბ

ოთხთავზე დართული გიორგი მთაწმიდელის ანდერძი. XIX—XX.

1 ფ.; 17,7×16,5; ქაღალდი, მხედრული; XIX—XX.

[ოთხთავზე დართული გიორგი მთაწმიდელის ანდერძი] — „ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ესე წმინდა ოთხი თავი ახლად გვითარგმნია, ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთათა და ბერძნულთა სახარებათა და შეგვიწამებია ფრიადითა გამოწულილვითა, და ვინცა ვინ დასწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ, თუ ამისგან ჯერ გიჩნდეს დაწერა, ღმრთისათვის სიტყვათა ნუ სცვალებთ, არამედ ვითარცა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ და თუ არა რაიმე გაბუნდეს, ჩვენნი ყოველნი სახიერებანი პირველითგან წმიდად თარგმანილია და კეთილად, ხანმეტნიცა და საბა წმიდურნიცა მუნით დაწერეთ და ღმერთისათვის ერთმან-ერთისა ნუ გაპრევთ, და გლახაკსა გიორგისათვის, რომელმან ესე ვთარგმანე, ლოცვა ყავთ“. 1r—v.

(1914)

5239

პასუხი მიწერილი ერთს სასულიერო გვამთან. XIX

4 ფ.; 22×17,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული; [XIX ს.].

„პასუხი მიწერილი ერთს სასულიერო გვამთან. — მივიღე შენი წიგნი; აქამოდე ვერ მოვიცალე მომეწერა პასუხი; ახლა ცოტა თავისუფალი ვარ, და მინდა ჩამოლაპარაკება შენთან პირახსნით...“ 1r—4v.

5240

ბაქრაძე დ. საქართველოს ისტორია (ნაწყვეტი).

გადატანილია დ. ბაქრაძის არქივში № 177.

5241

ბაკრაძე დ. საქართველოს მეფეთა გენეალოგია.

გადატანილია დ. ბ ა ქ რ ა ძ ი ს არქივში № 178.

(1915)

5242

კრებული. 1821

14 ფ.; 17×11; ქალაღი, ლურჯი ფერის; უყდო, დაშლილი; მხედრული, სა-
 თაურები მთავრულით და სინგურით, დასაწყისები სინგურით; თავსაკაული: (2r,
 7r, 10v); ბოლოსაკაული: (7r, 13r); 1821 წ. ოქტომბრის 18 (13r); ჰვირნიშანი
 აქვს; დაუწერელია: 1r—v; 13v—14v.

[კ რ ე ბ უ ლ ი]. — 1. „მამაო ჩუენოს თარგმანი. — კი: აღს-
 რულეებისათვს და დამტკიცებისა მცნებათა მათ ლუთისათა რაჲ საჭირო არს?...“
 2r—7r.

2. [პილატეს განჩინება]. — „წელსა ქეს აქეთ ჩუნ, დროსა
 კონსტანტინეპოლის პატრიარხოზასა უფლისა იერემიასსა, მოსრულ იქნა
 განჩინება ესე პონტოელისა პილატეს მიერ...“ 7r—10r.

შენიშვნა: ამის შესახებ იხ.: ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერა-
 ტურული ურთიერთობის ისტორიიდან, XVI—XVIII სს. გვ. 294, შენ. 5.

3. „წყალობის წიგნი მიცემული იეროსალიმის პატრიარქისადმი
 ომარის მიერ, ძისა ხათაფისა. თარგმანი ბერძოლისაგან ქართულად, სა-
 ხელსა ზედა დისასა. — დიდება ღმერთსა, რომელ დიდებულ გვყო ჩუმნ
 მართლმადიდებლობისა მიერ და პატივ გვცა ჩუმნ სარწმუნოებითა...“ 10v—13r.

შენიშვნა: ბოლოში მიწერილია: „1821-სა წელსა, ოკტომბერს 18-სა“ (13r).

(1916)

5243

ანტონ I, სიმეტნე ღრამმატიკისა. XVIII

67 ფ.; 13,9×9,5; ქალაღი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; ამოცენილია
 ფ.: 1, 64—67; მხედრული, სათაურები და დასაწყისები ნუსხურით და სინგურით;
 [XVIII ს.], ჰვირნიშანი აქვს; გადამწერი: იოანე (67r); დაუწერელია 1r, 67v.

[ანტონ I], „სიმეტნე ღრამმატიკისა პირუჭლისა
 კერძოჲსა კითხუა-მიგებანი ღრამმატიკისათვს და ნაწილთა მისთა, რო-
 მელთა ზებირ უქმსეე გამოხატუაჲ გონებათა შინა სწავლის შინათა ქუჭმო
 ამისსა. თავი პირველი. კითხუა: რაჲ არს ღრამმატიკაჲ? მიგება: ღრამმა-
 ტიკაჲ არს გამოცდილებაჲ სიტყვს-მოქმედთა...“ 2r—67r.

შენიშვნები: 1 უძღვის:

„მეუფებათა მშეჲმი სიბრძნე და ძალი,
 ექმნას უმაღლესს შენსა მეფობასა მცველ
 ფარვაჲ მისი ყოვლად მდიდრად არ კნინაჲ
 ეთან ემწყოს სიბრძნის წარმართების და
 იგურდივ ირისებრ ძალ გექმნას ძალი ძალებრ“.

(კიდურწერილობაში იკითხება: „მეფე ირაკლი“).

2. ერთვის:

„უნდოთა ამათ ქერდვათა მემქერდველთ
ღისადმი მვედრი სიბრძნითისა წყაროსაგან
ითხოეს მარადის მრავალს წელს სუფევასა,
რიცხვ ურიცხვოათ შენთვის, ში, მეფეთ,
სადაათ მისი წარმოებს სიხარული“. (67r).

(ვილურწერილობაში ვკითხულობთ: „უღირსი იოანე“).

3. ამ ხელნაწერის შესახებ იხ.: ნ. გოგუაძე, იოანე ბატონიშვილის „გრა-
მატიკა“, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, IV, 1962, გვ. 88, შენიშვნა 19.

(1917)

5244

პილატეს განჩინება. XIX

2 ფ.; 26,2×20,9; ქაღალდი; უყდო; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია:
2r—v.

[პილატეს განჩინება]. — „1550-სა წელსა, კოსტანტინეპოლის
იერემიას პატრიარქობისა ყამსა, განცხადნა განჩინება ესე პონტოე-
ლის პილატეს მიერ გამოცემული მაცხოვარსა ჩუენსა იესო ქრისტესა
ზედა...“ 1r—v.

შენიშვნა: იხ.: ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთი-
ერთობის ისტორიიდან, XVI—XVIII სს. გვ. 294, შენ. 5.

5245

თუმანიან გვარის შტო.

გადატანილია კ. თუმანიშვილის არქივში № 197.

(1918)

5246

ხელიმ ფაშასა და სვიმონ გურიელის დამოყვრების ამბავი. XIX

2 ფ.; 22×17,6; ქაღალდი; უყდო; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია: 4v.

[ხელიმ ფაშასა და სვიმონ გურიელის დამოყვრე-
ბის ამბავი]. — „წარსულს დროშიდ, ათას შვიდას ოთხმოცდაათს წელ-
შიდ, დაუცრომელად მტრობდა გურიის სამთავროს ახალციხის ფა-
შას ხელიმ ხემში-ოღლი, ასე რომ აოხრებდა სოფლებს ხშირათ თავდას-
ხმით, კაცის სულების მოტაცებით, ანუ დახოკით, ვითარცა აწვევდა სჯულის
გადმავლობა. მაშინ შეუიწრებია მწუხარებას თავისი სამთავროსას გურიის
მთავარი სვიმონ გურიელი და მოუპოვებია ღონედ დამოყვრება ფა-
შისა, რადგან სხვა ძალა აღარ შეეძლო იმათხედ მოეხმარა და უთხოვია მოყ-
ვრობა რაიმე გზით და უფრო დამზახლებით და დათანხმებია გურიელს ახალ-
ციხის ფაშა ხელიმი და უთხოვია სძლათ ასული სვიმონ გუ-
რიელისა და მით მოუსპიათ მტერობა ურთიერთ შორის. იმ ფაშის ძე და
საცოლო მისი გურიელის ასული — ორივე ყოფილან მცირე წლოვანი, ასე სა-
მისა, ანუ ოთხის წლისანი, და გაუზრდიათ მათს სარწმუნოებაზედ. და როცა
გახდენ სრულ-წლოვანი, შიაულლეს მათისა წესისამებრ ქორწინებით და ესვა
ცოლად რაოდენიმე ხანი და როდისაც დაიპყრო ყოველი მხარე რუსეთის

ძლიერებამ და არღარა შიშობდენ ოსმალოს თავდასხმისაგან, მამის მოიპატივა იგი ფაშის სძალ-ძმამან მისმან გურიის მთავარმან მამია გურიელმან და აიძულა მახმადის სჯულის დატევება მრავალ გუარის შეჩენით და მიფერებითა და რასაკვირველია ბუნებაც აწვევდა მოქცევისათვის თავისვე სამშობლოშიდ, და მოიქცა ქრისტეს სარწმუნოებაზედ ერთის პატარა ძუძუს შწოვარას შვილით, რომელიც აღიზარდა სარწმუნოებასა შინა და აქუს სარჩოდ მცირე ოდენი პენცია“ (1r—2r).

შენიშვნა: ტექსტში: „სელიმ ხეში ოღლი“-ს თავზე ფანქრით აწერია: „ბა-ბუა კნ. ეს მასი და შერი თბე ის ა.“.

მინაწერები (ფანქრით): 1. „АКТЫ, т. II, 541. Абдн...“

... .. воен. д. II, 17, 25, 33, 238“ (1r).

2. „ეს მასს ძმები აქარაში ოთხი: დედაბეგი, ქამილბეგი (სტამბოლშია, ქართულს კარვად ვერ ლაპარაკობს), ნორბეგი, შექარბეგი.“

შერი თბეგი არის ესმას ბიძაშვილი, მეორე ძმის ახმეტ ფაშის შვილი. დედა ესმასი დბრუნების შემდეგ დარჩა გურიაში და მიიცვალა 1861 წ. და დასაფლავებულია კულაშში.

მამა მიიცვალა 1859 წ. და დასაფლავებულია აქარაში. მიწერ-მოწერა ძმებთან იშვიათად. ქართული ყველამ იცის. ქამილბეგმა სუსტათ. 31 июня 1873 г“. (2r).

(1919)

5247

წარწერები. XIX

12 ფ.; სხვადასხვა ზომის; ქალაღი, უყდო, დაშლილი; გადმოწერილი „ვინ-მე შესხი“-ს მიერ. შესრულებულია მელნით და ფანქრით. წარწერები გადმოღებულია კელიდან, ქვებიდან და ხატებიდან.

(1920)

5248

ეჟენ სუ, მიმომავალი ურია, ნაწილი XIII. XIX

102 ფ.; 35,5×22,5; ქალაღი; უყდო, დაშლილი; თენაკული; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია: 94v, 95v—102v.

[ეჟენ სუ, მიმომავალი ურია, ნაწილი XIII]. — „...თავი ბ. ბო-დი ში. რა ნახა აღრიენამ, რო დაგობერმან ასე მძინვარედ წაუჭირა როდენს კელი საყელოში, წარსდგა სალდათისკენ რავდენიზე ბიჯი და შიშროებით დაი-კივლა...“ 1r—94r.

შენიშვნები: 1. ბოლოში მიწერილია: „დასასრული მეექუსისა ტომისა“.

2. ერთვის: „სარჩევი თავთა. ნაწილი მეცამეტე. მფარუჭლი...“ (95r).

(1921)

5249

ეჟენ სუ, მიმომავალი ურია, ნაწილი XIV—XV. XIX

I+117; 36×22,3; ქალაღი; უყდო, დაშლილი, მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია: Iv, Iv, 116r—117v.

„ეჟენ სუ“, „მიმომავალი ურია. ნაწილი მეთოთხმეტე. ქარხა-ნა. თავი ა. ნახვის ადგილი. — იყო კვირა დილა, სწორედ ის დღე, როდესაც

ადრიენამ მიიღო როდენისგან წერილი შესახებ მაიეს ლტოლვისა...“ 2r—115v.

მთავრდება: „... —და აგრე, ის აბბა სახავს თავისს თავს რეფორმატორად. მამ პატივის-მოყვარე უნდა იყოს ისი. საშიში კაცი ხო არ არი!“

შენიშვნები: 1. 1r-ზე წერია: „მიმომავალი ურია“.

2. 1r-ზე წერია: „მიმომავალი ურია, რომანი ექენსუსი. ძრანციულოთ გარდმოდებული ქართულად. ტომი მეშვდე“.

(1922)

5250

ჯორჯაძე ბარბარე, მკითხავი (კომედია ხუთმოქმედებად). XIX.

62 ფ.; 35,5×23; ქაღალდი; უყდო, დაშლილი; მხედრული, ავტოგრაფი; [XIX ს.]; დაუწერელია: 1v—2v, 61v—62r.

„მკითხავი, ხუთ-მოქმედებიანი კომედია. თხზულება ბარბარე ჯ. მოქმედი პირები: თავადი ივანე ქებულაძე. ხოშია, იმისი ცოლი... მოქმედება პირველი. სანახავი 1. სოფელი გლეხიკაცის გაუღესავი უფანჯრო ქვეითკრის სახლი...“ 3r—61r.

შენიშვნა: ხელნაწერში ჩადებულია ფურცელი ზომით: 23,5×19. ფურცლის r-ზე წერია: „შვილი შევსწიროთ მამულს. მშვენიერი კეკელა. დრამა ხუთ-ოთხ მოქმედებად. მეჩვიდმეტე საუკუნის ლეგენდიდამ. თხზულება ბარბარე ჯორჯაძისა. წელსა 1883. აბრისს გ. უძღენი ჩემ საყუარელ ძმას რაფიელ ერისთავს. v-ზე მოთავსებულია: „მოქმედი პირნი: ბაგრატ, მეფე საქართუშლოსი. ონოფრე — თავადი მდიდურაშვილი (მისი ვეზირი)...“

მინაწერი: „(№ 5250 წ. კ. S). ბარბარე ჯორჯაძე“ (1r).

5251

„თავადი ილია ჭავჭავაძე და სომხები“, სომხურიდან თარგმნილი გრიგოლ ფარსადანოვის მიერ.

გადატანილია ილ. ჭავჭავაძის არქივში № 327.

(1923)

5252

ვერიბიდე, იფიგენია ავლიდაში. 1885

32 ფ.; 35,5×22,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული, მთარგმნელის, კოწია მაქვარიანის ავტოგრაფი; 1885 წ. (1r; 2r); დაუწერელია: 1v, 2v, 3v, 30v—32v.

„იფიგენია ავლიდაში (ვერიბიდის ტრაგედია). — აგამემნონი: მოხუცო, გამოდი კარვიდგან...“ 4r—30r.

შენიშვნები: 1. ბოლოში მიწერილია: „კოწია მაქვარიანი“.

2. უძღვის: ა. „იფიგენია ავლიდაში. ტრაგედია ვერიბიდისა. მოქმედი პირნი:...“ (3r); ბ. „თქვენო ბრწყინვალეზე კნაზო ილია სიმონიჩ (გრიგოლის-ძე)! ერთად ამასთანავე გაახლებთ თარგმანსა ტრაგედისასა: „იფიგენია ავლიდაში“. შრომა მიიღეთ და წარითხეთ, და უკეთუ ღირსი შეიქმნას თქვენი ყურადღებისა, მაშინ მიეცით მას ადგილი თქვენს პატივცემულ ყურნალში.“

თქვენის ბრწყინვალეებისა უმორჩილესი მოსამსახურე კოსტანტინე დავითის ძე მაქვარიანი (სმოტიტიელი სოხუმის სასწავლებელისა). P. S. მუდამ ვსცხოვრებ სოხუმის ქალაქში. 1885 წელსა. 31 აგვისტოსა“ (1r).

გ. „უმცირესა შრომასა ამას ჩემსა ეუძღვნი ნიშნად სახსოვრისა და უმდაბლესის პატივისცემისა კნენინა ტერეზია შარვაშიძისა. დიდ ჯილდოთ მივითვლი, თუმც შრომა ესე დამსახურებს ყურადღებას მისის ბრწყინვალეობისა.

უმორჩილესი და ერთგული მოსამსახურე კოწია მაქავარიანი. 1885 წელსა, 31 აგვისტოსა“ (2r).

5253

დ. მეღვინეთ-უხუცესოვი, ანჩხლი ცოლი (კომედია).

გადატანილია დ. მეღვინეთ-უხუცესის არქივში № 43.

(1924)

5254

ანდრონიკოვი იოსებ, ღვიძლი სიტყვა. XIX

14 ფ.; 35×22,4; ქალაღი; ქალაღის ყდა; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია: 13v—14v.

«ანდრონიკოვი იოსებ», „ღვიძლი სიტყვა. —

J'aime qu'un Russe soit Russe.
 Et qu'un Anglois soit Anglois,
 Si l'on est Prussien en russe
 En France soyous Français
 Beranger.

მე მიყვარს რუსი და იყოს რუსათ,
 ან ანგლიჩანინი იყოს ანგლიჩნათ;
 თუ არის ქართველი, დარჩეს ქართველათ,
 ან თუა ფრანცუზი — ფრანცუზათ.

ადამიანი დიდხანს სრუტენიდა ჰაერსა, უწინარეს მანამ შეიტყობდა იმის არსებობასა და დიდხანს იცოდა არსებობა ჰაერისა...“ 1r—13r.

შენიშვნები: 1. 1r-ზე, ქვემოთ, ტექსტის ხელით გაცემებულია შენიშვნა: „თარგმანებული რუსულითგან“.

2. ბოლოს მიწერილია: „იოსებ ი. ანდრონიკოვი“.

3. ეპიგრაფად წამძღვარებულ ბერანჯეს ლექსის ქართულ თარგმანში „პრუსიელის“ ნაცვლად „ქართველი“ წერია. ეპიგრაფის ქართული თარგმანი ფანქრით შესრულებული განმეორებით მოთავსებულია 1r-ზე.

4. ყდაზე ფანქრით აწერია: „რეველი თარგმნისთვის ი. ანდრონიკოვისა“.

(1925)

5255

გობრონ საბინინი, კრწანისის ბრძოლა. 1895

3 ფ.; 30×22; ქალაღი; უყდო; დაშლილი; მხედრული, ავტოგრაფი; 1895 წ. (3v).

«გობრონ საბინინი, კრწანისის ბრძოლა». — ჩემ მიერ შედგენილ ახალ ქართლის ცხოვრებასა (!) შინა კრწანისის ბრძოლის შესახებ მოცდაათცხრამეტე მუხლი გვაუწყებს ამას:...“ 1r—3v.

შენიშვნა: ტექსტის ხელით ბოლოში მიწერილია: „უმორჩილესად ვითხოვ, ეს მცირე მოთხრობა იქნეს დაბეჭდილი თქვენს შესანიშნულს გაზეთსა შინა, საუწყებლად რომელთამე შემოთხრობელთა პირთა. — დავრჩები მომლოდნელი ჩემის თხოვნისა ცოდვი, ექსორიით მყოფი ტერტეროვანთაგან გობრონ საბინინი, ჩუყე წელსა, იე ოკლომბერს. მოსკოვი.“

ჩემი აღრესი: Москва, Большая Никитская, Брюссовский переулок, Д. Вельтишева, Меблир. ком. Горшковой, № 15“.

(1926)

5256

ქსნის-ხეველი, აღწერა კახეთისა. 1886

12 ფ.; 35,5×22,2; ქალაღი; უყდო; მხედრული; 1886 წ. (12r); დაუწერე-ლია 12v.

«ქსნის-ხეველი», „აღწერა კახეთისა. — კახეთი არის ერთი უმშვენიერესი მხარე საქართველოჲსა, როგორათაც თვალით სანახავათ, აგრეთვე მდებარობით, მიწის სიმდიდრით და მთიანის მშვენიერს შეფენილის მწვანე ტყეებით...“ 1r—12r.

შენიშვნა: ბოლოს მიწერილია: „ქსნის-ხეველი 12 მაისს 1886. Г. Телав“.

(1927)

5257

გოდებანი იერემია წინასწარ-მეტყველისანი. XIX

8 ფ.; 35,5×21,5; ქალაღი; უყდო, დაშლილი; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია: 7r—8v.

„გოდებანი იერემია წინასწარ-მეტყველისანი. ა. — და იქმნა შემდგომად წარტყვენისა ისრაილისა და იერუსალიმისა მოოხრებისა. დაჯდა იერემია მტირალი და გოდებდა გოდებასა ამას იერუსალიმსა ზედა და თქვა...“ 1r—6v.

შენიშვნა: ბოლოში მიწერილია: „დასასრული იერემიას გოდებისა, რომელსა აქვს თავი ზუთი“.

5258

უბინაო კაცი ნიუორკში. თარგმანი ილ. ჭავჭავაძისა.
გადატანილია ილ. ჭავჭავაძის არქივში, № 47.

5259

ტურგენევი, ლექსნი პროზითა, თარგმანი ილ. ჭავჭავაძისა.
გადატანილია ილ. ჭავჭავაძის არქივში, № 46.

5260

ჭავჭავაძე ილია, კატკოვის პახუხად.
გადატანილია ილ. ჭავჭავაძის არქივში, № 77.

(1928)

5261

გ. ერისთავი, ორი ლექსი. XIX—XX.

4 ფ.; 36×22,5; ქალაღი შეევითლებული და დალაქაეებული; უყდო; მხედრული; [XIX—XX]; დაუწერელია: 3v—4v.

(1930)

5265

ოპოჩინინი პ. ა., წმიდა ნინო. 1884

8 ფ.; 35,5×22; ქალღალი; უყდო; მხედრული; მთარგმნელის, ივ. კერესელიძის ავტოგრაფი; 1884 წ. 8 აპრილი (8v); ადგილი: ტფილისი (8v); დაუწერელია: 1v.

„წმინდა ნინო, პოემა პ. ა. ოპოჩინინისა, (ნათარგმნი რუსულით ივ. კერესელიძისაგან).

I

ეს იყო მაშინ, ოდეს ქვეყნისთვის
ჰსწავლა ქრისტესი, ჯვარზედ ცმულსა,
ერთი მეორეს რომ მოუთხრობდა
და გადასცემდა თვის შვილის-შვილსა...“ 2r—8v.

შენიშვნები: 1. შედგება 12 თავისაგან.

2. ბოლოში მიწერილი აქვს „8 აპრილს 1884 წელსა, ქ. ტფილისის (ადგომა დღეს)“.

3. 1r-ზე წერია: „წმინდა ნინო, პოემა პ. ა. ოპოჩინინისა, ნათ. ი. კერესელიძისაგან. 1884 წელსა, ქ. ტფილისი“.

(1931)

5266

შემოკლებული ამბავი. XIX

4 ფ.; 35×22; ქალღალი; უყდო; მხედრული; [XIX ს.]; კვირნიშანი: 1833 წ.; დაუწერელია: 2v—4v.

„შემოკლებული ამბავი. — ჩინებული ჰაბუჯი ვინმე სცხოვრობდა იტალიასა შინა. რაოდენსამე ჟამსა მისაღებელად შლია ვსტნთა, ანუ საკეთილ-შობილოს სწავლათასა...“ 1r—2r.

(1932)

5267ა

ივანე ბაქრაძის საჩივარი იოსებ ივანიჩ ყორღანოვთან. XIX—XX

2 ფ.; 35,5×22; ქალღალი; უყდო; მხედრული; [XIX—XX]; დაუწერელია: 2v.

„ივანე ბაქრაძისა მიერ საჩივარი იოსებ ივანიჩს ყორღანოვსთანა. —

ერთს საჩივარს მოგახსენებთ, ნუ შემრიცხავთ, მიგდეთ ყური, გთხოვთ მოილოთ მოწყალება, გამიჩინოთ ლუკმა პური, სიღარიბემ შემაწუხა, სევდისგან მეხვა ბუნდი, რათ დაეიბადე ამ დღისთვის, ჩემსა იღბალსა ვემდური...“ 1r—2r.

5267 ბ

ღმერთი (დერჟავინი). XIX—XX

2 ფ.; 35,5×22; ქალღალი; უყდო; მხედრული; [XIX—XX]; დაუწერელია: 2v.

„ღმერთი, დერჟავინო. —

ში შენ, რომლისა სივრცეს არსადა აქვს დასასრული,
 ყოველთ ნივთთ მოძრაობაში სჩანხარ ცხოველ-დიდებული,
 შენ ხარ მუდამ საუკუნე, თუმცა მიმდინარებს ჟამი,
 პირი არ გიჩანს, მაგრამ გაქვს ღვთაებრივი პირი სამი...“ 1r—2r.

შენიშვნა: ლექსს ბოლოში ხელმოწერა უხის: „აღქსანდრე შიილ[ა-
 შვილი]“ (?).

5267 გ

ჯორჯაძე ბარბარე, ქართულს ემაწვილ კაცებს. XIX

2 ფ.; 35×21,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული, ავტოგრაფი; [XIX ს.].

ჯორჯაძე ბარბარე, „ქართულს ემაწვილ კაცებს. —

გულ მტკივნეულად რომ დაჰქადაგებთ,
 თქუჟნ, საქართულსოს წრფელ სიყუარულსა,
 სნეულს უწამლოთ არარას არგებთ,
 სიტყვთ ვერ ჰკურნავთ დაკოდის წყლულსა...“ 1r—2v.

შენიშვნა: ლექსის ბოლოს მიწერილია: „ბარბარე ჯ.“

5267 დ.

ქვიციკირელი ვ., ლექსები. 1878

2 ფ.; 35×22; ქაღალდი, დაზიანებული; უყდო; მხედრული; 1878 წ. 27 იენისი (2v).

1. «ქვიციკირელი ვ.». — „ხმა საფლავიდგან. —

ბედნიერია, ბედნიერია ეს ჩვენი მწირი დედა მამული...“ 1r—2r.

2. [ლექსი], «თარგმანი ვ. ქვიციკირელისა». —

„შეხედეთ კოლტთა გუმანისტ ჩვენში!
 არა თუ მოწყალეებაში ღირებით ერთსა გროშაში...“ 2r—v.

შენიშვნები: 1. ამ ლექსის დასაწყისთან წერია: „ამას ქვევით ნათარგმნი გახლავს“.

2. ბოლოში მიწერილია: „ვ. ქვიციკირელი. 1878 წ. 27 იენისს“ (2v).

5267 ე

ყორჩიბაში რევაზ, სტიხნი. XIX—XX

4 ფ.; 35,5×22,3; ქაღალდი; უყდო; მხედრული; [XIX—XX]; დაუწერელია 4v.

„სტიხნი ესე რევაზ ყორჩიბაშის მიერ შეთხზულნი. —

აწ გავეცხსნა ეპოხა ახლისა ცხოვრებისა,
 მზე გაგვიბრწყინდა ქართულსო, ჟამი გვაქვს დღეობისა...“ 1r—4r.

შენიშვნები: 1. ყოველ „სტიხზე“ ვილაცას ლურჯი ფერის ფანქრით მიუწერია იმის გვარი და სახელი, ვისთვისაც განკუთვნილი იყო ეს „სტიხი“. მაგ.: „კენჭი“ (1r); „რევან მაყაშვილი (ცოცხალი)“ (1r); „ათანასე მაყაშვილი, მკვდარია“ (1r); „მაყა მაყაშვილი, მკვდარია“ (1v); „მიხეილ ჩოლაყაშვილის, თუშ-ფშაგ-ხევსურეთის მოურავი“ (1v); „რამან ჭავჭავაძე“ (2r); „გრიგოლ ჭავჭავაძე“ (2r); „ნინო რუსიშვილი“ (2r); „ნინა“ (2v); „სოლომონ გურგენიძე“ (2v); „დოშ გიორგი ჯანდიერი“ (2v); „ოთარ ჩოლოყაშვილი“ (3r); „ალექსანდრე ჩოლოყაშვილი, მკვდარია“ (3r); „დავით ერისთვის შვილი, სევერა“ (3v); „გულბათ“ (3v); „ზაქარია ავალიშვილი. შაქრებო ავალიშვილი“ (4r).

2. ბოლოში მიწერილია სხვა ხელით:

„აბრაზოვან მერზავეთ თავი გაურჩევია,
 ვაი, იმ საწყალს მისთვის რა ცუდით ურჩევია,
 ამ სოფლიერათ კარგავს, მკვდრებში გაურჩევია,
 პოლღეობას ამტკიცებს, სხვებიც შიგ ჩაურია,
 მეტსა ვერას უწოდებ, მერზავეცსა ურიას“ (4r).

(1933)

5268 ა

იორდანე ტუსალი, ციცა გულადი. XX

2 ფ.; 21×13,5; ქალღლი; უყდო; მხედრული; [XX]; ავტოგრაფი(?); დაუწერელია: 2v.

«იორდანე ტუსალი», „ციცა გულადი (ნინა კ-ს). —

ახალ დროს ნინავ! შენმა წერილმა,
 ხმამა ცოცხალმა, რისხვით ფერილმა,
 გამომიხატა შენი სურათი:
 წმინდ რწმენით საესე „ციცა“ გულადი...“ 1r—2r.

შენიშვნა: ბოლოში მიწერილი აქვს: „იორდანე ტუსალი. 20 დეკემბერს“.

5268 ბ

ბედერულაძე, საჩივარი გულის საგანზე. 1878

2 ფ.; 21×13,5; ქალღლი; უყდო; მხედრული; 1878 წ. 18 აპრილი (2r); ადგილი: ქუთაისი (2r); ავტოგრაფი (?); დაუწერელია: 2v.

«ბედერულაძე», „საჩივარი გულის საგანზე. —

ოჰ, შენ უღმერთო! რა დაგიშავე, რისთვის მკლავ?
 პირს უკუ იქცევ, — ზურგის მოქცევით გულს მიწყლავ?
 ნუთუ არ გამართებს — შენს მალმერთებელს
 ხშირად აღლევდ მტკიცე ძმობის ხელს?!...“ 1r—2r.

შენიშვნა: ბოლოში მიწერილი აქვს: „ბედერულაძე. ქუთაისი. ჩოქ წელსა, აპრილის იმ დღესა“.

(1934)

5269

დავით რექტორი, ლექსები. 1878

1 ფ.; 22×20,5; ქალღლი (კიდებზე დაზიანებული); უყდო; მხედრული; 1878 წ. 27 ანკრა (1v); ადგილი: ქუთაისი (1v); გადაწერი: ილია ჭყონია (1v).

13. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. VII

[დავით რექტორი, ლექსები]. 1. „თავადს ალექსანდრე ჰავჰავაძეზედ: დავით რექტორისაგან თქმული შიირი: —

მიწათა ივერისათა შენებრ არვინ არს შობილი...“ 1r.

2. „დავით რექტორისაგანვე თქმული იროიკო თავადს ალექსანდრე ჰავჰავაძეზედ, რომლისა კიდურწერილობა არს ესე გჳარ (ალექსანდრე): —

აცვფრებს უცხოდ
 ლექსთ წყობილება...“ 1r.

3. „დავით რექტორისაგან თქმული ოთხ ტაეპოვანი შიირი მისი ბრწყინვალეების თავადს ალექსანდრეს დედას კნეინა მაიაზედ, რომლისა კიდურ-წერილობა არს (მაია) და ბოლო (ია). —

მოთვარე მაშეენებელი, საწუოდ შემომწყარალია...“ 1r.

4. „ესეც კნეინა მაიაზედ არს თქმული დავით რექტორისაგანვე, რომლისა კიდურ-წერილობა შიირის თავი არს (მაია). —

მტილთა ვარჯთა ნარდილნი, ქუფრ შროშანებრ მეღვარე...“ 1r.

შენიშვნები: 1. ამ ლექსების შესახებ იხ. ტრ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, 1954 წ., გვ. 54.

2. 1v-ზე მოთავსებულია ილია ჭყონიას წერილი „ივერის“ რედაქციისადმი: „ვალად შევრაცხე ჩემი თავი გამეცნო „ივერის“ მკითხველი საზოგადოება იმისთანა ღირსშესამჩნევი სასწავლებლის ვითარებასთან, როგორც არს უფ. ა. ბ. ჰიქინაძეს სასწავლებელი. ფაქტების სინამდვილე საეჭვო არ არის, რადგანაც იგი თვით უფ. ა. ბ. ჰიქინაძის მკითხველი იმედია რომ ამ აღწერას თქვენს პატივცემულ დღეურაში მისცემთ ალავს. სირცხვილია ამისთანა სასარგებლო სასწავლებლის არსებობა დაახლოვებით რომ არ იცოდეს მკითხველ საზოგადოებამ.“

გარდა ამისა გიგზავნით რამოდენიმე ლექსს დავით რექტორისაგან ნათქვამს, რომელნიც ერის ჩემს ნაცნობისგან ჩამივარდა ხელში და გადმოვწერე იქიდან ისე, როგორც დედანიდან გარდმოწერილ პირში ეწერათ.

დავითები ილია მ. ჭყონია.

ქუთაისი, 27 იანვარი, 1878“.

წერილში ხსენებული მასალები ა. ბ. ჰიქინაძის სასწავლებელზე ამ ხელნაწერში არ ჩანს.

5270

ორბელიანი გრიგოლ, სადღეგრძელო ან ომის შემდეგ ღამე, ლხინი ერევნის სიახლოვეს.

გადატანილია გრ. ორბელიანის არქივში, № 113.

(1935)

5271

ლექსთა კრებული. XIX—XX.

16 ფ.; 20,5×13,5; ვარდისფერი ქაღალდი (პირველი ფურცლის მარჯვენა ქვემო კუთხე მოხეულია, ამოცვენილია ფ. ფ. 11—12); უყდო; მხედრული; [XIX—XX]; დაუწერელია: 16v.

[ლექსთა კრებული]. — 1. [ორბელიანი გრიგოლ].
 „ზღაპრები: — „ა. ვირი და ბუღბუღი“. [(კრილოვიდამ)]. —

„ვირმან ბუღბუღი ერთხელა
 ახლოს მდგომარე იხილა...“ 1r—v.

შენიშვნა: იხ. „გრიგოლ ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, აკ. გაწერელის და ჯ. ქუმბურიძის შესავალი წერილებით, რედაქციით და შენიშვნებით, თბილისი, 1959 წ., გვ. 114—115; ამ ლექსის ავტორის შესახებ იხილე იქვე გვ. 489—490.

„ბ. სოფელნი და მდინარე“ [(კრილოვიდამ)]. —

„სადღაცა ერთსა სოფელსა,
 პატარა ხევში წყარონი ჩაუდიოდნენ ახლოსა...“ 1v—2r.

შენიშვნა: იხ. გრიგოლ ორბელიანის ზემოთ დასახ. კრებული, გვ. 116.

„გ. ნადირთა ჭირი...“ [(კრილოვიდამ)]. —

„ჯოჯოხეთს შინა ნაშობნი, ქვეყნისა შესაძრწუნებლად,
 ცათა წყრომისა ნიშნადა მოვლინებული ამ სოფლად...“ 2r—4r.

შენიშვნა: იხ. გრიგოლ ორბელიანის ზემოთ დასახ. კრებული, გვ. 117—119.

2. [ლაფონტენი], „ჭრიჭინა და ჯინჯველა“ [თარგმანი ალ. ჭავჭავაძისა]. —

„ჭრიჭინამ ერთხელ ჭრიჭინით მთელი ზაფხული ატარა,
 მერმე შიმშილმა შებნიდა, რაც ამან (!) თოვა პატარა...“ 4r—v.

შენიშვნა: იხ. ალექსანდრე ჭავჭავაძე, თხზულებანი ი. გრიგორაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებით და ლექსიკონით, 1940 წ., გვ. 156; ამ ლექსის შესახებ იხილე იქვე, გვ. 332—333.

3. [ჭავჭავაძე ალექსანდრე]. — „დაუდგრომელი მწყემსი და კეთილი მწყემსი ანუ კობლე და ხლოე. — კობლე:“

ხლოე! რა(!)მაგრე ტარება?
 არცალა თუ მომახვლიხარ დღესა მე“ 4v—5v.

შენიშვნა: იხ. ალ. ჭავჭავაძის ზემოთ დასახ. გამოცემა, გვ. 27. და 280.

4. [ჭავჭავაძე ალექსანდრე], [საყვარლისათვის]. —
 „ღმიღმან ლალთ კართ განღებით მარგარიტთ მწყობრი აჩინა...“ 5v.

შენიშვნა: აქ გაერთიანებულია ერთ ლექსად ორი ლექსი: „საყვარლისათვის“ და „ზხამს ტრფიალსა საყვარელი“ იხ. დასახ. გამოცემა, გვ. 65—66 და 292.

5. [ჭავჭავაძე ალექსანდრე, სხვადასხვა დროისათვის კაცისა]. —

„ეს სოფელი, სამყო ძნელი, მგვენებელი ჭმუნვის ალთა!...“ 5v—6r.

შენიშვნა: იხ. დასახ. გამოცემა, გვ. 29 და 282.

6. „ლ ხ ი ნ ი“. —

ვეტრფი საღამოს სადილობასა,
 სადაცა სუფევს მხიარულება...“ 6r.

7. [ქ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ა ლ.]. —

„სვემ მიწვიმა მანანა
 მომივლინა მანანა,
 მას თან მოჰყუა მანანა,
 მიანანავა მანანა“ 6v.

შენიშვნა: იხ. დასახ. გამოცემა, გვ. 90.

8. [ქ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე]. —

„ცრუიან ბრძენნი, მეტყუტლნი შემთხვევით სოფლის ყოფასა...“ 6v.

შენიშვნა: იხ. დასახ. გამოცემა, გვ. 100.

9. [ლ ე ქ ს ი]. — „ჩემო სიაშვე, შეებავ, განცხრომისა სავსებავ...“ 6v.

შენიშვნა: ამ ლექსის ავტორად ხელნაწერ S—1512-ში, სათაურში დასახელებულია „პეტრე ორბელიანი, ხოლო კიდევ, ტექსტის ხელით ბეგლარ ორბელიანი“. (იხ. ხელნაწერთა აღწერილობა S კოლექცია, ტ. II, გვ. 266), ხოლო Q—438 ა-ში ალექსანდრე ქავჭავაძე. (იხ. ხელნაწერთა აღწერილობა Q კოლექციის I ტომი). ლექსი შეტანილია ალ. ქავჭავაძის 1881 წ. გამოცემაში.

10. [ლ ე ქ ს ი]. —

„გულთა საწყლავად კუბიდონს შენ უძღვენ ესე ისარი,
 ჰსტყორცნის სავანსა დასობს, ეს იყოს გინა ისარი...“ 6v—7r.

11. [ქ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე, ღ ვ ი ნ ი ს თ ვ ი ს ე ბ ი ს ა თ ვ ი ს]. —

„ღვინო ხასიათს არ სცუალებს,
 ხასიათს უმატებს ძალებს...“ 7v.

შენიშვნა: ლექსი ორ სტროფიანი. პირველი სტროფი, როგორც ვარიანტი, დაბეჭდილია ალ. ქავჭავაძის ზემოთ დასახელებულ გამოცემაში, იხ. გვ. 308. მეორე სტროფი გამოცემაში არ ჩანს.

12. [პ უ შ კ ი ნ ი], „ს ი ზ მ ა რ ი“ [თარგმანი ალ. ქავჭავაძის]. —

„სადა არიან, ოცნებაო, სიტკბონნი შენნი!
 სადა ხარ ღამისა სიხარულო, მსწრაფლ განასრბოლო!...“ 7r—v.

შენიშვნა: იხ. დასახ. გამოცემა, გვ. 140 და 318.

13. [ქ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე]. —

„სძგერს გლაზ-გული, საყუარელო, მლოდე შენი უწყლავს თმენას...“ 7v.

შენიშვნა: იხ. დასახ. გამოცემა, გვ. 24 და 278.

14. [ქ ა ვ ჳ ა ვ ა ძ ე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე]. —

„სიყვარულო, ძალსა შენსა ყოველი ჰკრძნობს არსებს რაცა...“ 7v—8r.

შენიშვნა: იხ. ალ. ქ ა ვ ჳ ა ვ ა ძ ი ს ზემოთ დასახელებული გამოცემა, გვ. 10 და 271. გამოცემის პირველი სტროფი ხელნაწერში მესამე სტროფია. გამოცემის მესამე სტროფს ხელნაწერში ბოლო ორი სტრაქონი აკლია.

15. [ქ ა ვ ჳ ა ვ ა ძ ე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე]. —

„მცირეს სენის ეგზომ შიში სიმხნეს, ვჰგონებ, არა ჰგევანდეს...“ 8r.

შენიშვნა: იხ. დასახ. გამოცემა, გვ. 97 და 303.

16. [ქ ა ვ ჳ ა ვ ა ძ ე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე]. —

„სიბრძნე და გონიერება რაგინდ მარად ფხიზლად გვეფლობდენ...“ 8r.

შენიშვნა: იხ. დასახ. გამოცემა, გვ. 100 და 303.

17. [ქ ა ვ ჳ ა ვ ა ძ ე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე]. —

„ენა მდუმარებს, გული მწყევლია, ხედვა მსზომია...“ 8r.

შენიშვნა: იხ. დასახ. გამოცემა, გვ. 100 და 303.

18. [ქ ა ვ ჳ ა ვ ა ძ ე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე]. —

„მეორეთ მოსვლა ვამგავსოთ საყვარლისა შორეებასა...“ 8r—v.

შენიშვნა: იხ. დასახ. გამოცემა, გვ. 96 და 303.

19. [ქ ა ვ ჳ ა ვ ა ძ ე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე]. —

„შენნი გამტელნი ჩივიან: ვაჟი დავკარგენით გონიო...“ 8v.

შენიშვნა: იხ. დასახ. გამოცემა, გვ. 100 და 303.

20. [ქ ა ვ ჳ ა ვ ა ძ ე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე]. —

„ეს ცეცხლი რო მე მეგზვნება,
რად მკითხავ, როდის განქრება?...“ 8v.

შენიშვნა: იხ. დასახ. გამოცემა, გვ. 99 და 303.

21. [ქ ა ვ ჳ ა ვ ა ძ ე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე, დ უ გ ა]. —

„გვედრი, თვით მიხვდე, — მიკვირს, ცნობად მეძნელებიან...“ 8v.

შენიშვნა: იხ. დასახ. გამოცემა, გვ. 127 და 315.

22. [ქ ა ვ ჳ ა ვ ა ძ ე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე]. —

„ძვირფასო საყვარელო, მხოლოდ მფლობო გულისავ...“ 8v—9r.

შენიშვნა: იხ. დასახ. გამოცემა, გვ. 87 და 298.

23. [ქ ა ვ ჳ ა ვ ა ძ ე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე]. —

„შენის გონების სხივნი ესრედ ბრწყინვენ ძლიერად...“ 9r—v.

შენიშვნა: იხ. დასახ. გამოცემა, გვ. 86 და 298.

24. [ქ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე]. —
 „როს გიყვარდი სურვით შეყვარებულსა,
 მეც სიცოცხლე მაშინ მიღირდა ძვირად...“ 9v—10r.
 შენიშვნა: იხ. დასახ. გამოცემა, გვ. 94 და 303.
25. [ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი გ რ ი გ ო ლ , ა ნ ტ ო ნ ს]. —
 „შე ჰაბუეო, სიხარულით დღენნი შენნი განატარე...“ 10r.
 შენიშვნა: იხ. გრ. ორბელიანის ზემოთ დასახელებული გამოცემა, გვ. 3—4 და 459.
26. [ი ო ს ე ბ ნ ა ც უ ა ლ ი]. —
 „ბუნდოვანს გულს შენ აღმიჩნდი დარადა...“
 შენიშვნა: ავტორი აღდგენილია S—1512:200 ხელნაწერის მიხედვით.
27. [ქ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე]. —
 „თავსა უფლად ნურვინ ჰგონებთ,
 ერთხელ თქვენცა ტრფიალებთ...“ 11v—12r.
 შენიშვნა: ხელნაწერში პირველი სტროფი სამ ტაეპიანია. გამოცემასთან შედარებით აკლია მეორე ტაეპი „ყოველთ ესრეთ გაიგონეთ“, ხოლო ბოლო ორი სტროფის ადგილი შენაცვლებულია, იხ. გამოცემის გვ. 91 და 299.
28. [ქ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე]. —
 „ნეტარ მას ვინცა შენს ახლოს შენ მხოლოსათვის ოხრევედეს...“ 12r.
 შენიშვნა: იხ. დასახ. გამოცემა, გვ. 75 და 294.
29. [ქ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე]. —
 „მას წალკოტსა მშვენიერსა, სად მდღელონი შენაკრბიან...“ 12r.
 შენიშვნა: იხ. დასახ. გამოცემა, გვ. 75 და 294.
30. [ვ ი თ ქ ა რ ი ც ე ც ხ ლ ს ა , (თარგმანი ა ლ . ქ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ა)]. —
 „ვით ქარი ცეცხლსა, ეგრეთვე სიშორე ტრფიალებასა...“ 12r.
 შენიშვნა: იხ. ალ. ქავჭავაძის დასახ. გამოცემა, გვ. 154 და 332.
31. [ქ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე , დ უ გ ა]. —
 „ვიეც გიხილოს, ისურვოდეს კულავცა გნახოს, კულავცა გნახოს,
 რაკი გნახოს, მყისვე გიცნოს, რაკი გიცნოს შენთვის ახოს
 გნახოს, ცნობას ისურვოდეს და რა გიცნოს შენთვის ახოს...“ 12r.
 შენიშვნა: ხელნაწერთან შედარებით გამოცემას აკლია მეორე ტაეპი. იხ. ალ. ქავჭავაძის დასახ. გამოცემა, გვ. 128.
32. [ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი გ რ ი გ ო ლ], „ი ა რ ა ლ ი ს ა დ მ ი.“ —
 „ჩემო იარალი, ნეტავი ოდეს,
 ლხინით აღვსილი ვსხდეთ ველსა მწვანეს...“ 12r—13v.

შენიშვნა: იხ. გრ. ორბელიანის ზემოთ დასახელებული გამოცემა, გვ. 14—17.

33. [ორბელიანი გრიგოლ], „მტირალი ნ...სადმი, —
 „თუ ტურფანი თვალნი შენნი ცრემლთ აფრქვევენ მწუხარებით...“ 14r.

შენიშვნა: იხ. დასახ. გამოცემა, გვ. 8.

34. [ორბელიანი გრიგოლ], „ლხინი“ [მიბაძვა პუშკინისა]. —

„მე იგი მიყუარს ლხინი სადა თავისუფლება მეფობდეს...“ 14r.

შენიშვნა: იხ. დასახ. გამოცემა, გვ. 110.

35. [ორბელიანი გრიგოლ], „ნ...სადმი,
 „მნათობო! თვით შენ აღმიხსენ, რა მემართების, რასა ვგრძნობ?...“ 14r.

შენიშვნა: იხ. დასახ. გამოცემა, გვ. 10.

36. [ორბელიანი გრიგოლ], „ნ...სადმი. —

„როს გხედავ მნათო! ღიმილით ჩემ კერძოდ წარმოვლენილსა...“ 14v.

შენიშვნა: იხ. დასახ. გამოცემა, გვ. 5.

37. [ორბელიანი გრიგოლ], „მასვე. —

„ამა სოფელს დამშთომიეს მხოლოდ ესე სანატრელი...“ 14v.

შენიშვნა: იხ. დასახ. გამოცემა, გვ. 6.

38. [ქუკოვსკი დამ. თარგმანი გრ. ორბელიანისა, (ნაწყვეტი)]. —

„ბედნიერება დღეთა ჩვენთა არს სიყუარულის ყუავილი,
 რა განქრეს მისი სიტურფე, სიხარულს ნულარ მოელი...“ 15r.

შენიშვნა: იხ. დასახ. გამოცემა, გვ. 109.

39. [ორბელიანი გრიგოლ]. — „მირზაჯანას ეპიტაფია“.

„მუხთალს ამ სოფელს გსურს ვისაც იყო ბედნიერ
 სიყუარულითა და ღვინითა ჩემებრ დაითვერ!...“ 15r.

შენიშვნა: იხ. დასახ. გამოცემა, გვ. 24.

40. [ორბელიანი გრიგოლ]. —

„საამო არს სახილველად ოდეს ვარდი ნ...ოს ეპყრას,
 მარა ვინ ჰსცნას, ვინა სუნავს: ნ...ა ვარდსა, თუ ვარდი მას...“ 15r.

შენიშვნა: იხ. დასახ. გამოცემა, გვ. 31.

41. [ორბელიანი გრიგოლ, მ...დმი] „(გზის გუშაკად მღვთმარეს ხმაზედ)“.

„თაყუანის მცემელთ როს გუნდი გარე შემოგფრფს(!) ფარვანებრ...“
 15r—v.

შენიშვნა: დასახელებულ გამოცემასთან შედარებით (იხ. გვ. 13), ხელნაწერი იძლევა მცირე ვარიანტულ სხვაობებს, ბოლო ტაეში კი განსხვავებულია.

42. [ორბელიანი გრიგოლ]. —

„როს ბულბული ვარდს შესტრფოდეს, უგალობდეს, შეჰხაროდეს...“
 15v.

შენიშვნა: ხელნაწერში გაერთიანებულია ორი ლექსი: „როს ბულბული ვარდს შესტრფოდეს...“ და „სიყუარულსა ჟერარს რათა...“ იხ. დასახ. გამოცემა, გვ. 31.

43. [ორბელიანი გრიგოლ, ყუქოვსკი დამ]. —

„მის უხაროდეს, ვისაცა ლხინი,
 მაისის ვარდი, ხმა იადონის...“ 15v—16r.

შენიშვნა: იხ. დასახ. გამოცემა, გვ. 113.

44. [ორბელიანი გრიგოლ, გამოსალმება. ს-ს]. —

„მარგალიტთ ცრემლთა ცრემლი ჰსდევს ნიშნად ჭმუნვისა შენთ
 ღაწვზედ
 და ვით ცის ნამი დილთა ბრწყინვალეებს ახლად შლილს ვარდზედ...“
 16r.

შენიშვნა: ხელნაწერში ამ ლექსის წერა არაა დამთავრებული. წყდება სიტყვებზე: „ცრემლთა ვერ ვაფრქვევ“ იხ. გრ. ორბელიანის ზემოთ დასახელებული გამოცემა, გვ. 20.

(1936)

5272

ნიკო ნიკოლაძე, ქუთაისის ბანკის საქმე. XIX

29 ფ.; 20,5×13,2; ქაღალდი; უყდო; დაშლილი, ბოლონაკლული; მერვე ფურცელი შუაზეა გაბეული; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია ყველა ფურცლის v.

«ნიკო ნიკოლაძე», „ქუთაისის ბანკის საქმე. — შესავალი. რაკი მკითხველი ამ ჩემი სტატიის სათაურს და ხელ-მოწერას თვალს გადაავლებს, მის გონებაში აუცილებლათ ერთი ახირებული აზრი გაელავს...“
 1r—29r.

შენიშვნა: 1r-ზე ქიმიური მელნით გაკეთებულია მინაწერი: „დაბეჭდილია გაზ. „დროებაში“ № 35. 1876 წ., ს. ხუნდაძე. 3/VI, 30 წ.“

(1937)

5273

ვინივინი, მოხუცი უტუია. 1878

18 ფ.; 22×17,7; ქაღალდი; უყდო; მხედრული; 1878 წ. (17v); დაუწერელია: 18r—v.

„ვინივინი, მოხუცი უტუია (სამეგრელოს წარსული ცხოვრებიდან). —

I

იქ, სადაც მზე და მთუარე, ვარსკვლავნი,
 უხვად და მულამ განაბრწყინებენ...”

- შენიშვნები: 1. ბოლოს მიწერილი აქვს: „ვინივინი, 1878 წელსა“.
 2. 8r-ზე და 9v-ზე მოთავსებულია ავტორის შენიშვნები ტექსტისათვის.

(1938)

5274

მოქალაქური სიკვდილი (ხუმოქმედებიანი დრამა). XIX

16 ფ.; 22,1×17,9; ქაღალდი, ფ. 1—2 დაზიანებულია; ფ. 14—15 ნახევარი ჩამოპრილია; უყდო; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია: 1v, 13v—16r.

«მოქალაქური სიკვდილი, ხუმოქმედებიანი დრამა, (მეოთხე და მეხუთე მოქმედება)». — „მოქმედება მეოთხე. დეკორაცია 1 და 3 მოქმედებისა. გამოსვლა 1. კორრადო და ქერნანდო. კორრადო. (ზის სტოლთან): კიდევ გთხოვთ, ჩემო მეგობარო, თავი დამანებეთ...“ 2r—12v.

შენიშვნა: 1r-ზე წერია: „მოქალაქური სიკვდილი. ხუმოქმედებიანი დრამა. მეოთხე და მეხუთე მოქმედება“.

მიწიწერები: 1. (შავი ფანქრით): „აექსენტი ანტონისძე ცაგარელი“ (13r).

2. (ლურჯი ფერის ფანქრით): „Константину Димитрев. Кипиани. Гранд—Отель“ (16v).

5275

პეტრე უმიკაშვილის წერილი ილია ჭავჭავაძისადმი. აქვეა ვახტანგ ორბელიანის წერილების პირები ეკატერინე ორბელიანისადმი (პეტრე უმიკაშვილის ხელით).

გადატანილია ილ. ჭავჭავაძის არქივში № 202.

(1939)

5276

ხერხულიძე ბარბარე, პოემა ბედნიერება. 1896

15 ფ.; (30 გვ.); 18×11,3; ქაღალდი; უყდო; მხედრული; ავტოგრაფი (1); 1896 წ. 22 ნომბერი (იხ. თავფურცელი); დაუწერელია: გვ. 25—30.

«ხერხულიძე ბარბარე», „პოემა ბედნიერება. —

მთვარისა შუქით განათებული
 ბალი თავადის ერისბარისა
 იყო მოწამე შეყვარებულთა
 ურთიერთთადმი ფიცის დებისა...“ გვ. 1—24.

შენიშვნა: თავფურცელზე წერია: „პოემა ბედნიერება. ბარბარე ვ. ასულის ხერხულიძისა. 1896 წ. 22-ს ნომბერს“.

(1940)

5277

ზარაფოვი ილია, უკულმართობა. XIX

10 ფ.; 26,5×21,3; ქალაღი; უყდო, დაშლილი, ახალი რესტავირებული; მხედრული; ავტოგრაფი; [XIX ს.]; დაუწერელია 10v.

«ზარაფოვი ილია», „უკულმართობა. უძღვნი ერთადერთ ჩემ მცნობებში გლეხთადმი თანამგრძობედის (!) კნიაჲნა იულიას. ხან და ზოგან თვითმართველობა, როგორი სახითაც უნდა გამოსცხადდეს, აძლევს ხალხს, თითქმის, ყოველს, რაც კი მის კეთილ-მდგომარეობის სახსარს შეადგენს...“ 1r—9v.

შენიშვნები: 1. ბოლოს დართული აქვს: „უ. რედაქტორო! გიგზავნით ამ სტატიას, თუ ღირსი აღმოჩნდა ამ სახით დაბეჭდევით და თუ არა, გადაასწორეთ, როგორც ისურვებთ. ამასთან გთხოვთ უმორჩილესად, მაცნობოთ თუ შეიძლება ბოლდეს, რამდენათ გაბედვით შემოძლიან ვსწერო თქვენი რედაქციის მფარველობის ქვეშ და რომელ საგნებზე წერა უფრო საჭიროა ჩვენ მწერლობაში.“

ქიზიყელი ვმსახურობ თელავს. — ოცდა ექვს აგვისტოდან თელავს ვიქნები. დავუთები მარად თქვენი პატივისმცემელი მასწავლებელი. ილია ზარაფოვი“ (10r).

2. ტექსტს დართული აქვს ქვემო კიდებებზე, ავტორის შენიშვნები.

3. 1r-ზე წერია: „ავვისტოს 20“.

(1941)

5278

ლამარტინი, უკვადება. XIX

4 ფ.; 26,2×21; ქალაღი; უყდო; დაშლილი; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია 4v.

„თქმული ლამარტინისა უკვადება, თარგმნილი იოსებ გორგის ძის ზუბალოვისაგან. —

მზე დღეთა ჩუჭნთა გამოსცემს სიცხესა თვისს განთიადიდგან, სახეთა ჩუნთა უძღურთა ზედა ძლივსლა გარდმოჰვენს...“ 1r—4r.

(1942)

5279

ერისთავი გიორგი, ლექსები. XIX—XX

13 ფ.; 18,5×11; მღარე ხარისხის ქალაღი; უყდო; მხედრული; [XIX—XX]; დაუწერელია: 1r—v, 13v.

[ერისთავი გიორგი, ლექსები]. 1. „კურთხევა, პეტრარკისა. —

კურთხეულ იყოს იგ წელი, თუე იგი, იგივე კვირაცა...“ 2r—v.

შენიშვნა: იხ. შალვა რადიანის და ი. ბალახაშვილის რედაქციით გამოსული გიორგი ერისთავის თხზულებანი, 1936 წ., გვ. 32.

2. „მებრალვის. —

მებრალვის იგი, ვინცა არს ამაოდ შეყვარებული...“ 2v—3r.

შენიშვნა: დასახ. გამოცემაში ამ ლექსს სათაურად უზის: „გაქსუებული — (მიბაძვა მიცეკვიჩისა). იხ. გვ. 30.

3. „ყ ა ბ ა ხ ის ა დ მ ი. —

ჰი, მოედანო მიყვარდა მე ჟამსა გაზაფხულის...“ 3r—v.

4. „მ ტ კ უ ა რ ს. —

მტკუარო, მდინარევე ჩემის მამულის!... 3v—4r.

შენიშვნა: გ. ერისთავის ზემოთ დასახელებულ გამოცემაში ამ ლექსს სათაურად უზის: „მტკერისადმი“. იხ. გვ. 5.

5. „ხ ე ლ ჯ ა გ ვ ი, შილერისა მოთხრობა. —

მსურის ვიხილო მე მხეტთა ომი...“ 4r—5v.

6. „უ ც ხ ო ქ ე ვ ე ყ ნ ის კ ა ც ს. —

მოვედ, ჭაბუკო, რისთვის ოხრამ, უცხო ქუეყანის...“ 6r—v.

7. „ბ ა ლ ლ ა დ ა I. —

მოდით აქ დაჯექ, შვილო, კარგათ მომიგდე ყური...“ 6v—7v.

შენიშვნა: გ. ერისთავის დასახელებულ გამოცემაში ამ ლექსს სათაურად უზის: „დედა და ქალი“. იხ. გვ. 27—28.

8. „ბ ა ლ ლ ა დ ა II. —

ეე! მართლა მითხრა დედამა, რათ გინდა ბეგლარ ქმრად...“ 8r—9r.

შენიშვნა: გ. ერისთავის დასახელებულ გამოცემაში ამ ლექსს სათაურად უზის: „ფიქრი ყმაწვილის ქალისა“. იხ. გვ. 33—34.

9. „ჩ ე მ ს ძ მ ა ს ი ვ ა ნ ე ს. —

ნუ მანუგეშებ, ძმაო, იმედით,
არ ვარ შობილი მე იმა ბედით!...“ 9v—10r.

10. „ს. მ ა ჩ ა ბ ე ლ ს. —

ბედმა კულად, ძმაო, ხშული განმიღო კარი...“ 10r—v.

11. „ბ. ო...ს (პუშკინის გვარად).

შენ ვერა მიხედი მომღერლის გულსა...“ 10v—11r.

12. „გ ა უ თ ხ ო ვ ა რ ი ყ მ ა წ ვ ი ლ ი ქ ა ლ ე ბ ის რ ე ც ე პ ტ ი. მ...ო...“

ოდეს ყმაწვილსა ქალსა გული უწუხდებოდეს...“ 11r—v.

შენიშვნა: გ. ერისთავის დასახელებულ გამოცემაში ამ ლექსს სათაურად უზის: „რეცეპტი. მ. ო.“ იხ. გვ. 31.

13. „№. №.-ს. —

რადა ხარ აგრე შენ ფერმიხდილი...“ 11v—12r.

შენიშვნა: გ. ერისთავის დასახელებულ გამოცემაში ამ ლექსს სათაურად უზის „მ...ოს“ იხ. გვ. 64.

14. „ყმაწვილ ქალზედ, რომელიც უჩიოდა სიყუარულსა. —

მითხარ, ტურფავ, რად უჩივი, რადა ჰყუედრი სიყუარულსა?...“

12v—13r.

შენიშვნები: 1. გ. ერისთავის ზემოთ დასახელებულ გამოცემაში ამ ლექსს სათურად უზის „თეოდოსია მირეცკას“.

2. ეს ხელნაწერი გამოყენებულია 1936 წ. გიორგი ერისთავის თხზულების გამოცემაში. ყველა ზემოთ დასახელებული ლექსი გამოქვეყნებულია ამ გამოცემაში.

(1943)

5280

ლექსთა კრებული. 1852

8 ფ. (16 გვ.); 17,6×11,3; ქალაღი; ქალაღის ყდა; მხედრული, ზოგიერთ გვერდებზე ტექსტი მოთავსებულია ფანქრით შესრულებულ ჩარჩოში. ზემო ყდის v მოხატულია შავი ფანქრით; 1852 წ. (გვ. 10); გადამწერი: ვასილ სავანელი, იოვანე მღვდლის შვილი (გვ. 10); ადგილი: ტფილისი (გვ. 10).

[ლექსთა კრებული]. — 1. [თეიმურაზ I, შვიდთა კრებათათვის]. — „ქება და დიდება წმინდისა და ერთ არსების სამებისა და ღვთაებისა ბუნებით ქანყოფილისა(!), ხოლო გვაშებით განყოფილისა, კრებათაგან დამტკიცებული, ლექსად თქმული მეფედ-მეფის, ღვთივ-გვირგვინოსნის პატრონის თეიმურაზისაგან. კურთხევეითამც სახსენებელი მისი სასუფეველსა ცათასა. უკეან.“

აღვალო პირი, სიბრძნე და მძოვრი ზესთა ძალისა ჩემისა მობოად...“
 ზემო ყდის v— გვ. 8.

შენიშვნა: იხ. თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, აღ. ბარამიძის და გ. ჯაკობიას რედაქციით, 1934 წ., გვ. 161—167.

2. [ლექსი]. — „ღმერთო მიკეთე მეღანი, რომ ვსწერო შენი ქებანი...“ 8 გვ.

3. [თუმანიშვილი გივი], „ესე ვახტანგ ბატონიშვილის თქმული განმგებელისა. —

ესე მე უმცირესმან ძმათაგან, სახელდებულად
 ოთხ წელთა მცხეთა და ურბნის, სადგურ-კამარ აგებულად...“ გვ. 9.

შენიშვნა: ამ ლექსის ავტორის შესახებ იხ. ელ. მეტრეველის წერილი „ვახტანგ VI-ის ეპიტაფიის ავტორი“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, № 43, 1951 წ., გვ. 141—152.

4. [ლექსი]. —

„რა აქლემი ცასა ზომდეს, ზაქმა სიბრძნე იჩინოსა,
 ვირი მღერდეს, მგელი მღვდლობდეს, დათვი მოძღვრად იდგინოსა...“
 გვ. 10.

5. [თეიმურაზ I, სოფლის სამღურავი]. —

„ღმერთო, რომელი შენ სუფევ ჰაერთა თანა ცაშიგან...“ გვ. 11—16.

შენიშვნა: იხ. თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, 1934 წ., გვ. 138—141.

ანდრძი: „ესე მცირედ რამ მეფეთ ნათქვამი სიბრძნე-სწავლანი გარდმოვ-სწერე ტფილისს იოვანე მღვდლის შვილმა ვასილი სა-ვანელმა, ვიწყებ აპრილის თხუთმეტს და გაათავე თერამეტს, წელსა ჩუნბ, 1852-го года. წარმოთხვეწილ, აღმწერელსა (!) მისთვის ყავთ ლოცვა თქვენი და ღმერთსა სთხოვეთ მისთვის ცოდვის შენდობა. ღმერთო, მშვიდობაში და დღეგ-რძელობაში ახმარე პატრონსა ამისა“ (გვ. 10).

(1944)

5281

როუნოვი ა., ნოტების ანბანი. 1876

18 ფ.; 22×17,7; ქაღალდი; უყდო; მხედრული; ფ. ფ. 12v—14r დახატულია სანოტო ხაზებით. 1876 წ. დეკემბრის 2 (1r); დაუწერელია: 14v—18v.

«როუნოვი ა., ნოტების ანბანი». — „№ 1. ნოტებზე. ნოტებად იწოდებიან მუსიკალური ნიშნები, რომლებიც იხმარებიან ადამიანის, ანუ რო-მელიმე საკრავის ხმების გამოსახატავად...“ 2r—12r.

შენიშვნა: უძღვის: 1. 1v-ზე სარჩევი.

2. წარწერა: „ნოტების ანბანი ანუ სახელმძღვანელო წიგნი გალობის შე-სასწავლად. შედგენილი ა. როუნოვისაგან. თარგმნილი რუსულით. 1876-სა წელსა, დეკემბრის 2-სა რიცხსა“ (1r).

(1945)

5282

მღებრიევი გ., მოძღვრებანი პირუტყვთ მფარველობისათვის. XIX

1+32 ფ.; პირველი ფურცლის ზომა: 35×21; სხვა ფურცლების ზომა 22×17,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია: 1v; 8r—12v; 18v; 24v; 31r—32v.

«მღებრიევი გ.», „მოძღვრება იმაზე, თუ რა მავნებელი არის ჩვენის სულისთვის, როდესაც ჩვენ ცუდათ ვექცევით ცხოველებს და რა ზნე-ობითი სარგებლობა გამოდის, როდესაც ჩვენ მათ კარგათ ვემყრობით(!). — ძმანო ქრისტიანენო! ნუ შეგეზარებათ სმენა კიდევ ჩემის ქადაგების ცხოვე-ლების შებრალებზედ...“ 1r—30v.

შენიშვნები: 1. 1r-ზე გაკეთებულია წითელი მელნით, რუსულ ენაზედ ასე-თი შენიშვნა: „Проповеди священника Мгебриява, переведенныя с русскаго языка на грузинскій архимандритом Авраамием в 1848 году и пожертвовавшую тифлискому обществу покр. животных. Секретарь Мишерскій.“

2. 1r-ზე წერია შვიი ფერის ფანქრით: „მოძღვრებანი პირუტყვთ მფარვე-ლობისათვის დეკანოზის გ. მღებრიევისა, ტფილისის პირუტყვთ-მფარ-ველობის საზოგადოების წევრისა — თანამშრომლისა.“

გამოცემული ტფილისის პირუტყვთ მფარველობის საზოგადოებისაგან. ტფი-ლისი. სტამბა. 1879“.

(1946)

5283

არაგველი დ., ღირსეული სასჯელი. XIX

52 ფ.; 22×17,5; ქალაღი; უყდო; მხედრული; აეტოგრაფი (!); [XIX ს.];
 დაუწერელია: 1v—2r, 49v—52v.

«დ. არაგველი, ღირსეული სასჯელი» (კომედია ოთხ მოქმედებად). „მოქმედება პირველი. გამოსვლა 1. (ვახტანგ ჯორაძე, უეზდის ნაჩაღნიკის თანაშემწე. მისი შვილი ბარამი). (სცენა წარმოადგენს ერთ მოსდილ(!) ოთახს. მარცხნივ კედელთან სდგას ერთი ქართული ტახტი და მასთან ერთი სუფრა-გათათარებული(!) სტოლი. მარჯვნივ — ერთი რვეალი სტოლი და რამდენიმე დაწნული სკამები. ქვემო ბოლოშიაც ერთი ხის კრაოტი, ზედ ლოგინგაშლილი).

ვ. ჯორაძე — (გაფარალატებული წევს მუთაქაზედ...“

შენიშვნები: 1. უძღვის მოქმედ პირთა სია: „მოქმედნი პირნი: ვახტანგ ჯორაძე (უეზდის ნაჩაღნიკის თანაშემწე...“ (2v).

2. 1r-ზე წერია: „ღირსეული სასჯელი. (კომედია ოთხ მოქმედებად). თხულება დ. არაგველისა.

(1947)

5284

ხუსკივაძე თეოფილე, დაბა ზესტაფონის აღწერა

(ზემო იმერლების ყოფა-ცხოვრებიდან). 1888

32 ფ.; 22,4×18; ქალაღი; უყდო; მხედრული; აეტოგრაფი; 1888 წ. (31r)-ს. კვალთი (31r); დაუწერელია: 31v—32v.

«თეოფილე ხუსკივაძე», „დაბა ზესტაფონის აღწერა. (ზემო იმერლების ყოფა-ცხოვრებიდან). — დ. ზესტაფონი ანუ, როგორც ეხლა რუსები უწოდებენ „ყვირილას“ სძევს კავკასიის აქეთა მხარის რკინის გზაზე...“ 1r—31r.

შენიშვნები: 1. ბოლოს მიწერილი აქვს: „ს. კვალთი, 1888 წ თეოფ. ხუსკივაძე.

ბ. რედაქტორი! გთხოვთ ამ ზემს აღწერას თქვენს გაზეთ „ივერიაში“ აღვილი მისცეთ. თეოფ. ხუსკივაძე (ყვირილის სკოლის მასწავლებელი).

2. ტექსტი ფოლკლორულ მასალასაც შეიცავს.

(1948)

5285

კრებული. XIX

10 ფ.; 22,5×17,8; ქალაღი; უყდო; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია: 2v; 9r—10v.

1. „პირი წიგნისა იერუსალიმით ტიბერიის კეისრისადმი ფუბილიანე დენტულო მთავრისაგან ურიასტანისა იესო ქრისტესთვის და წიგნი ესე დამარხულ არს რომს მონასტერსა შინა, ბატონთა კესარინელთა წიგნის საცავსა, ხოლო თარგმნილ არს წიგნი ესე ლათინთა ენისაგან ფილიპპეს ვისმე ლათინელთავე ხუცისა. — სათნო ჰყოფად იყავ შენდა, ჰი! კეისარო...“ 1r—2r.

შენიშვნა: ბოლოს მიწერილი აქვს: „აღწერა მეშვიდესა საეროს კრებაშიდ, მეორე მთვარეს უმაღლესობისა შენისასა“.

2. „რ ა პ ო რ ტ ი ე ს ე, ქუჭმორე ამისა, თარგმნილ არს წიგნისაგან ი ა კ ო ბ ძ მ ი ს ა უფლისა და დაბეჭდილ არს კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე პ ო ლ ს ა შინა წელსა ჩუთ. — გონებითა დამბრმალმან, ჭკუითა სუბუქმან და ჭეშმარიტებასა ზედა იქვენულმან უსჯულომან პ ო ნ ტ ო ე ლ მ ა ნ პ ი ლ ა ტ ე მ ი ხილა რა ფიცხელნი და სიცრუით აღსავსენი შესემენანი ღვთის მკვლელთა ურიათანი ყლისა ჩვენისა იესო ქრისტესა მიმართ, მას უამსა შინა საცნაურებითმან გრძობამან...“ 3r—8v.

(1949)

5286

ა. მარლინსკი, დამე ხომალდში. XIX

12 ფ.; 22×17,7; ქალაღი; უყდო, დაშლილი; მხედრული, აღქმანდრე ჰავ-ჰავადის ავტოგრაფი(1). [XIX ს.]; დაუწერელია: 1v, 12r—v.

ა. მ ა რ ლ ი ნ ს კ ი, „დ ა მ ე ხ ო მ ა ლ დ შ ი. — ქარი გვაგრილებდა ჩუშენ, ლღვანი ზღვისანი უფრო და უფრო ხლტოდნენ...“ 2r—11v.

შენიშვნები: 1. თარგმანს წინ უძღვის ლექსი:

„.....ხან აჩრდილნი მაცდუნებენ,
ხან ფოთოლნი შერბეულნი შრიალითა მცემენ ზრზუნას,
ზოგჯერ დამის სიწყველიადე მამაჩვენებს გიჟრის თბათა,
ზოგჯერ ცისა გაელეება ბროლის ფიცრის შუქთა ფენას,
თვთ ნიათა ნელი ქროლაც წარმოიმოდგენს სუნთქმა ტბილსა,
რომელიცა ცეცხლ-მოდებულს ლალით გამობერდა ლხენას.
ჰ ა ვ ჰ ა ვ ა ძ ე მ .“

2. 1r-ზე წერია: „დამე ხომალდში (ночь на корабль, А. Марлинско-го“.

3. ა. მ ა რ ლ ი ნ ს კ ი ა. ბ ე ს ტ ი უ ე ე ვ ი ს ფ ს ე ვ დ ო ნ ი მ ი ა .

(1950)

5287

ანთიმოზი, წერილები შკოლებზე. 1878

8 ფ.; 22×17,5; ქალაღი, დალაქავებული; უყდო; მხედრული; ავტოგრაფი(?); 1878 წ. (8v).

«ანთიმოზი, წერილები შკოლებზე»: 1. „წერილი I. — ვხედავ რა უკიდურეს მდგომარეობაში ჩვენებურ შკოლებს, ვხდები იძულებული, ძვირფასო მკითხველო, ორიოდე სიტყვა ვთქვა მათზე...“ 1r—3r.

შენიშვნა: ბოლოში მიწერილია: „ანთიმოზი“.

2. „წერ. შკოლ. (წერილი II). — პირველ წერილში გწერდი, ჩემო მკითხველო, ხალხი დიდს სიხარულით მიეგება შკოლების გახსნას...“ 3r—5v.

შენიშვნა: ბოლოში მიწერილია: „ანთიმოზი“.

3. „წერილი შკოლებზე (წერილი III). — საგნები დედა-ენაზე უნდა ვისწავლოთ, მეთქი, უცხო ენა კი, როგორც ენა მეთქი...“ 5v—7v.

შენიშვნა: ბოლოში მიწერილია: „ანთიმოზი“.

4. „წერილი შკოლებზე. (წერილი IV). — მე მოგწერე, ყმაწვილებს დედა-ენაზე უნდა ვასწავლოთ საგნები, რუსული კი ისე, როგორც ენა საზოგადო...“ 7v—8v.

შენიშვნა: ბოლოში მიწერილია: „ანთიმოზი“.

(1951)

5288

სონიჩკა (პიესა). 1877

16 ფ.: 17,7×11; ქალაღი; უყდო; მხედრული; 1877 (10r); დაუწერელია: 9v.

[სონიჩკა (პიესა)]. — „სონიჩკა არის მშვენიერი ყმაწვილი ქალი, 22 წლისა, ბუნებით ჭკვიანი და ნასწავლი.“

(სონიჩკა წამოწოლილი არის თავის კრაობტში. ხელში უჭირავს თავისი საყვარელის გასტონის წიგნი, რომელიც კითხულობს შეწუხებულის სახით. ამ დროს, შემოაღებს კარებს თავისი მეგობარი ქალი ნატაშა, რომელიც არიან საყვარელი ერთმანეთისა და კარგა ხნის მეგობრებიც. გედევხვევიან ერთმანეთი(!). ამ სონიჩკას ცრემლები მოერევა თვალებში).

ნატაშა: მაგ შენს მშვენიერს თვალებს რათ აჩვენებ ცრემლებს?...“ 1r—16v.

შენიშვნა: ბოლოში მიწერილია: „Конец“.

მინაწერები: (ტექსტის ხელით): 1. „1877 года, 21 Августа. Нины“ (10r).

2. „Нины Богратовой“ (16r).

(1952)

5289 ა

[გრიგოლ მუხრანელი], დავითის ფსალმუნებიდან გამოწერილი და ლექსად გარდმოღებულნი პუნქტები. XIX

10 ფ.: 22×17,5; ქალაღი; უყდო; მხედრული, ავტოგრაფი, დაწერილი მელნით და ფანქრით; [XIX ს.]; დაუწერელია: 3v, 7v—10v.

1. „დავითის ფსალმუნებიდან გამოწერილი პუნქტები თავ-თავის დროს შესაბამად სახმარებელნი. — 1. განრისხნებოდეთ და ნუ სცოდავთ, რა მსთქვათ გულთა შინა თქვენთა, სარეცელთა თქვენთა ზედა შეინანეთ (ფს. დ. მუხ. დ)...“ 1r—3r.

2. „დავითის ფსალმუნებიდან გამოწერილი პუნქტები, ლექსად გარდმოღებულნი. —

ჰიკაცო! განრისხებაში ნუ აწარმოებ ცოდვასა,

რაცა მსთქვა გულში ცოდვაჲ, იზრახდე ბოროტებასა...“ 4r—7r.

შენიშვნები: 1. ხელნაწერი წარმოდგენს შავს.

2. ფსალმუნი გაულექსავს „გრიგოლიანის“ ავტორს — გრიგოლ მუხრანელს. „ადრევე გაულექსე „გრიგოლიანში“ პირველ ფსალმუნს დავითისაო...“ (7r).

მინაწერი: (ტექსტის ხელით): „Учитель Ставропольской Гимназии надворный советник Климентий Фомичь Прага“ (7r).

5289 ბ

[გ რ ი გ ო ლ მ უ ხ რ ა ნ ე ლ ი], ლექსები. XIX

20 ფ.; 22,5×17,9; ქალაღი; უყლო; მხედრული, ავტოგრაფი; [XIX ს.];
 დაუწერელია: 11v—20v.

ლექსები: 1.

„მოეწერა მეგობარსა ეპისტოლე დია ვრცელი,
 წავიკითხეო თარგმნილიც, შესხმა ფრიად საქებელი...“ 1r.

2. „უფლის გრიბა ედოვისაგან შეთხზულის კომედიის ჰაზრი:
 (ვაჟ! კეუსიგან). —

თუ ვინც ვის უყვარს გულითა, ტრფიალებითა
 სრულითა...“ 1r—3v.

3. „ცუდის და მტარვლის პირისთვის საბამად პროზად თხზულია,
 ვისიამოვნე, გავლექსე, არც დამხარჯვია ფულია...“ 4r—v.

შენიშვნა: ამ ლექსზე ასეთი შენიშვნაა გაკეთებული: „რუსულს ჟურნალში,
 (რომელსაც ეწოდება: „ძე მამულისა“), წავიკითხე და ლექსად გარდმოვიღე ქარ-
 თულს ენაზედ, რადგანაც უფლის გრიბა ედოვის ჰაზრებს არა შორავს“ (4r).

4. „ვაება. —

ოხ! ცხოვრება ხარ, შენ ცხოვრებო?
 მწარეო ჩემთვის, და ვაებაო!...“ 5r.

შენიშვნა: წინ უძღვის: ა. „აწ გაგაცინებს მეგობარს, როზენდემის
 ლექსია,

ვსთარგმნე ქართულსა ენაზედ, ვითა რიქმისა წესია,
 ქრმის სამღურავი ცოლისგან, ვაი! რა დასაკვენისია,
 ნურვინ იმეცნებს ქალებში, არც გულში ჩასათესია...“ (4v).

ბ. „მ. როზენდემისაგან არის შეთხზული ესე შემდგომი ლექსად
 რუსულს ენაზედ და გადმოვთარგმნე ქართულად ჟურნალიდამ, (რომელსა ეწო-
 დების „ძე მამულისა“) (4v).

5. „მეგობრისადმი. თვის კეთილ ზნეობითა და კეთილ-დღეობითა
 ცხოვრებათა კაცთასა. დავითნის ფსალმუნებიდან გამოწე-
 რილნი პუნქტები ლექსად გარდმოცემულნი.

ადრევე გავლექსე გრიგოლიანში, პირველ ფსალმუნს დავითისაო,
 არს სანეტარო ყოვლის კაცისთვის, მასწავლებელი კეთილ ზნისაო...“
 6v—11r.

შენიშვნები: 1. სათაურში სიტყვებზე: „დავითნის — გარდმოცემულნი“ გა-
 დასმულია ხაზი

2. ხელნაწერის ქვემო კიდებზე მოთავსებულია ავტორის შენიშვნები.

3. ხელნაწერი ავტოგრაფია და ავტორის მიერვე ნასწორები.

4. ამ ლექსების ავტორია „გრიგოლიანის“ ავტორი გრიგოლ მუხრანე-
 ლი: „ადრევე გავლექსე გრიგოლიანში, პირველ ფსალმუნს დავითისაო...“ (6v).

14. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. VII

(1953)

5290

პაიჭაძე გიორგი, ლექსები. 1900

14 ფ.; 22×18; ქაღალდი; უხელო; მხედრული; ავტოგრაფი; 1900 წ. (1r, 2r, 10v); დაუწერელია: 1v, 11v—14v.

«პაიჭაძე გიორგი, ლექსები»: 1. „ლადო! —

სულით და გულით მოგიძღვენ
 ეს ჩემი ლექსთა კაზმულემა...“ 1r.

შენიშვნა: ლექსს ქვემოთ მიწერილი აქვს: „გიორგი პაიჭაძე, 20 დეკემბერი, 1900 წ. ს. შირაზაანი“.

2. [ლექსი]. —

„ამ სოფლად ჩვენი ცხოვრება,
 სწორეთ(!) რომ სიზმარი არი...“ 2r.

3. „გლახი კაცი სომეხს. —

რას მემართლები, რა გინდა,
 რად მართმევ ჩემსა მამულსა...“ 2r.

4. „ჩემი სიჭაბუკის მოგონება სიბერეს დროს. —

შენს დროს ჩემო სიჭაბუკევე
 მეც ვხარობდი და ვსტკებობდი...“ 2r.

შენიშვნა: ლექსს ქვემოთ მიწერილი აქვს: „გ. პ. 15 დეკემბერი, 1900 წ.“.

5. „ჩემ თარს. —

მოდი, მოდი ჩემო თარო,
 ჩემი დარდი შემოგჩვილო...“ 2v.

6. „ჩემი(!) სიბერეზე. —

დავბერდი, დავჩაჩანაკდი,
 მამაკლდა ჩანი და ღონე...“ 2v.

7. [ლექსი]. —

„სულს უნდა რომ გაფრინდეს
 ახალ გაზდა გულიდამ...“ 2v.

8. „ძველ გმირებზედ. —

მისთვისა მაქვს მე უდროვოთ გული დამკუნარი,
 რომ სამშობლოს სიყვარულით არ ვარ მაძლარი...“ 3r.

9. [ლექსი]. —

„წელან ჩემი ნინიჩკა დედას ებუტებოდა
 და თამრიკო საყვარლად გულში ეხუტებოდა...“ 3r.

10. [ლექსი]. —

„მე იმ კაცს ვეტყვი მდიდარსა,
 ვინც ცოტასიც მადრიელია...“ 3v.

11. [ლ ე ქ ს ი]. —

„კაცი ის არის, ვინცა რომ
სთესავს მაღლსა და სიკეთეს...“ 3v.

12. [ლ ე ქ ს ი]. —

„შენ რისთვის, რისთვის ყმაწვილო
გამოეპარე სამშობლოს...“ 3v.

13. [ლ ე ქ ს ი]. —

„ეს შავად მოღრუბლული დღე
გულს სევდასავით მაწვება...“ 3v.

14. „მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა კ ა ხ ე თ ი ს ა და შ ი გ ა და შ ი გ ს ო ფ ლ ე ბ ი ს ა.—

I

„უთქვამთ, რომ სამოთხესა ჰვავს
ეს მშვენიერი კახეთი...“ 4r—5r.

შენიშვნები: 1. ბოლოში მიწერილი აქვს „4 იანვარი 1898 წ. ს. შირზაან ი. ქიზიყი. გ. პ.“.

2. ლექსს ხელნაწერის ქვემო კიდევებზე გაკეთებული აქვს შენიშვნები:
ა. „ქერივი სოფიო არის აწ გარდაცვალებულის თავადი გაბრიელ მაყაშვილის მეუღლე. ამ გაბრიელ მაყაშვილის პაპის ძმა იყო ბოდბის მიტროპოლიტი“ (4r); ბ. „მაყაშვილები არიან თავადი-შვილები 16 კომლი“ (4r); გ. „დოშგიორგი იყო თავადი ჯანდიერი შვილი. გარდაიცვალა პოლკოვნიკობის ჩინში 65 წლისა“ (4v); დ. „(1) ლევანი თავადი ჯანდიერი შვილია ს. ვაჩნაძიანში, თფილისის მაზრის უფროსი. (2). ალექსანდრე, სფირიდონ და გულბაათ ჰავაძეები“ (4v).

15. „ჩ ე მ თ ა რ ს. —

თარო, მომესმა შენი ტკბილი ხმა
და მომაგონდა ბევრი წარსული...“ 5v.

16. [ლ ე ქ ს ი]. —

„ცხოვლად მსვლელი, ცისკარო, ბნელში მანათობელო,
წყლულის გულის მალამოვ, მარად გამკურნებელო...“ (5v).

17. „ჩ ე მ ი ვ ე დ რ ე ბ ა. —

ღმერთო, ღმერთო გეაჭები
გარდომხედე მე უზადრუქს...“ 5v.

18. „ვ ა რ დ ი და ბ უ ლ ბ უ ლ ი. —

ვარდის მახლობლად ბულბულმან
იწყო მშვენიერად გალობა...“ 6r.

19. „ჩ ე მ ს მ ე გ ო ბ ა რ ს. —

რიტორიკა გცოდნია
და თითქოს ჰქვიანიც ხარ...“ 6r.

20. „მდიდარი და მეცნიერი. —
 მდიდარსა და მეცნიერში
 ვხედამთ დიდსა განსხვავებას...“ 6r.
21. „ჩემი პაწია მოთხოზა. —
 სინამ ვიყავ ახალგაზრდა,
 გულით მსურდა ლექსის წერა...“ 6v.
22. [ლექსი]. —
 „ერთი ვილაცა ნასწავლი
 გამხდარა მუქთა ხორიო...“ 6v.
23. „უძღვნი თებროს. —
 შენმა ტუბილმა ხმამ მომხიბლა,
 თავსა დამხვია მე რეტი...“ 6v.
24. [ლექსი]. —
 „ღმერთო ძლიერო, ქვეყნის გამჩენო,
 დიდხანს გვიცოცხლე ჩვენი ხემწიფე...“ 7r.
25. „საუნჯის დაკარგვა. —
 ბევრის დარდით და ფიქრებით
 მე კისერი ჩამოვკიდე...“ 7v.
26. „მტარვალს. —
 რას მემართლები მტარვალო,
 რად დამიდუნე ენაო...“ 7v.
27. „ბულბული და ვარდის ყვედრება. —
 ვარდო, ვარდო! რა გეწყინა ჩემგანა,
 რომ არ მბრალობ, არც მიკარებ შენთანა...“ 7v.
28. „ჩემ თარს. —
 „თარო შენგნითა ბევრჯელ მლხენია,
 რადგანც ხარ ჩემი დამამტკობელი...“ 8r.
29. [ლექსი]. —
 „გულო რას შემომკვნისი,
 რას ჰგრძნობ იმისთანასა...“ 8r.
30. „მთასა და ბარზედ. —
 აგერის დიდი თოვლის მთა,
 რომელიცა სჩანს შორსაო...“ 8r.

31. „მ გ ე ლ ი და ბ ა ტ კ ა ნ ი. —
 მგელმა უთხრა ბატკანსა:
 წამომყევი შინაო...“ 8v.
32. „გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ა ზ ე დ. —
 ვინც უფრთხილდება მშობლის მონაგარს
 და კეთილ საქმეს იგი ადგია...“ 8v.
33. „ჭ ი რ ვ ე უ ლ მ ე გ ო ბ ა რ ს. —
 მეგობარო! ნულარ გვიქრობ ცეცხლს ჩვენგან ანთებულსა,
 ნურც მოგვიშლი სუფრას გაჩაღებულსა...“ 8v.
34. [ლ ე ქ ს ი]. —
 „მე არ ვეძებ მილიონის ქონებას,
 უამისოდ არც დავიწყებ ღონებას...“ 9r.
35. [ლ ე ქ ს ი]. —
 „მშვენიერო, რისთვისა ხარ შენ თავდახრილი,
 რასა ჰფიქრობ, მეც მაუწყე ეგ შენი ღარდი...“ 9r.
36. „უ ძ ღ ვ ნ ი ი ნ. გ ო მ ე ლ ა უ რ ო ვ ს. —
 ძმად ი ვ ა ნ ე შევიტყე, რომ კარგი საქმე გიქმნია,
 ხომ გახსოვს რუსთველის სიტყვა...“ 9r.
37. [ლ ე ქ ს ი]. —
 „ამ ჩემსა მტერ-მოყვარესა,
 მეზობელს გაიძვიერასა...“ 9r.
38. [ლ ე ქ ს ი]. —
 „ზოგიერთი მდიდრები
 მტარვალთ ქადებს აკუმევენ...“ 9r.
39. „მ ო ხ უ ც ი ს ლ ო ც ვ ა ჩ ი ნ ე თ ი ს ო მ შ ი წ ა ს უ ლ შ ვ ი ლ-
 ზ ე დ. (რუსულიდან ნათარგმნი). —
 თითბრით მოჰქედილ ხატწინა
 დგას საწყალ ქოხში მოხუცი...“ 9v.
40. [ლ ე ქ ს ი]. —
 „სიბრალული ვისაც არა ჰქონია,
 სხვისა ღარდი, სხვისი ტანჯვა ჩალათაც არ ჰგონია...“ 9v.
41. „მ დ ი დ ა რ ს. —
 მდიდარო ნუ მალამ ფულეებს,
 ნურც საუნჯეს, ნურც ქონებას...“ 9v.

42. [ლექსი]. —

„სიმართლე გაცვეთილა, არალის დაფარული,
ზოგს ლობიო ჰგონია, ქოთანში მოხარშული...“ 9v.

43. „თ არ გ მ ა ნ ი ლ ე რ მ ო ნ ტ ო ვ ე ს თ ხ ზ უ ლ ე ბ ი დ ა მ. Скажи ветка Палестины где ты росла, где ты цвела... —

მითხარ შენ ნორჩო პალესტინისავე,
სად აღმოსცენდი და სად აღყვავდი...“ 10r.

44. [ლექსი]. —

„ედემიც არის სამშობლოც
ეს ჩემი კუთხე პატარა...“ 10v.

45. [ლექსი]. —

„სინიდის გვირგვინია კაცისა,
და მნათობი ჩვენი ბნელი გულისა...“ 10v.

46. „ო ტ ს ტ ა ვ ნ ო ი ჩ ი ნ ო ვ ნ ი კ ი ს ჩ ი ვ ი ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა ზ ე დ. —

ტანჯვით, ვაებით სიცოცხლეს
ბევრით სიკვდილი სჯობია...“ 10v.

შენიშვნა: ბოლოში მიწერილია: „გ. პ. 24 დეკემბერი, 1900 წ. ს. შირზანოვი“.

47. [ლექსი]. —

ტანჯვით, ვაებით სიცოცხლეს
გაეხდი მკურნალის მძებნელი...“ 11r.

48. „ვ ი ს ა ც ვ ი ნ უ ყ ვ ა რ ს. —

თუ ვისაც რომ ვინ უყვარს,
ვერკი ხედამს თვალითა...“ 11r.

49. „მ ა ე ა ლ ო. —

სხვით მოტანილმან მაქალომ
მკვიდრად გაიდგა ფესვები...“ 11r.

შენიშვნა: ყველა ლექსი ქვემოთ მიწერილი აქვს ავტორის სახელი და გვარი: „გ ი ო რ გ ი პ ა ი ჭ ა ძ ე“ ან „გ. პ.“.

(1954)

5291

გრიგოლ მუხრანელი, გრიგოლიანი. XIX

I+42 ფ.; 21,5×17; ქალაღი; უყდო; თანაკლული; მხედრული; [XIX ს.];
დაუწერელია: I, 22v, 34v, 35—42 ფ.ფ.; ავტოგრაფი.

[გ რ ი გ ო ლ მ უ ხ რ ა ნ ე ლ ი, გ რ ი გ ო ლ ი ა ნ ი]. —

„...ებოძა ჩემთვის პასუხად წერილი მადლობისაო,

განსვენებით მყოფ კმა მესმეს, შენის მანდ მყოფობისაო,
 მსურს მომითმინო ორს თვესა, კვლავ აზრი მაქვს მგზავრობისაო...“
 2r—34r.

შენიშვნები: 1. ტექსტის სათაური აღდგენილია S—531 ხელნაწერის მიხედ-
 ვით (იხ. S ფონდის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, გვ. 596).

2. ხელნაწერი გრიგოლ მუხრანელის ავტოგრაფია, შავად ნაწე-
 რი და ნასწორები.

3. ტექსტი S—531 ხელნაწერის შავს წარმოადგენს.

მინაწერები: ტექსტისავე ხელით: 1. „ზარი ესე პირველ შეეწირა დილ-
 მის წმინდის გიორგისათვის როსტომ მეფეს. და შემდგომ მეფეს
 გიორგის ეხილვა გატეხილი, განეახლებინა და შეეწირა მისვე წმინდის გი-
 ორგისათვის. ქრონიკონს ტნიჴ“ (1r).

2. „ჩვენ ტელმწიფემან, მეფემ გიორგიმ, ვიხილეთ ზარი ესე დილ-
 მის წმინდის გიორგისა გატეხილი. პირველად როსტომ მეფეს შეეწირა
 და გატეხილ იყო. ახლა ჩვენ ვავაკეთებინეთ და იმავე წმინდას გიორგის შეეს-
 წირეთ, დღეთა ჩვენთა საღვთგებულად და მეფობისა ჩვენისა წარსამართებლად,
 და სულთა ჩვენისა საოხად, და ცოდეთა ჩვენთა შესანდობელად. ქრონიკონს
 ტნიჴ“ (1v).

3. „ხოლო შემდგომთა ქამთა შინა, ვინაჲდგან ზარი ესე კვლად გატეხილ
 იყო, კვლავად ჩამოვასხმევეინე ზარადვე, და შეეწირე იმავე დილმის წმინ-
 დას გიორგის, სახსენებელად პირველ შემწირველთა მეფეთა მათ, და საოხად
 სულთა ჩემ მცირისა მონის ღენერალ-მაიორის კნიაზ გრიგოლ იოვანეს
 ძის ბაგრატიონის მუხრანეცისა, წელსა ჩუგმს-ს, იანვრის ლ-ს
 დღესა, და მეუღლისა ჩემისა მარიამ ქაიხოსრო წერეთლის ასუ-
 ლისა“ (1v).

5292

გ. ორბელიანი, ლექსები.

გადატანილია გ. ორბელიანის არქივში № 120.

(1955)

5293 ა

ხალხური სიტყვიერების კრებული. 1877

8 ფ.; 17,5×11; ქალაღი; უყდო; მხედრული; 1877 წ. 20 თებერვალი; ქ.
 ახალციხე (1r); შემკრები — ივანე გვარამაძე (მესხი) (1v).

1. ანდაზები. — „ანაზურმა გლესს უთხრა: მარილი მაჭამე, თვარემ
 შინა ყმაღ გაგხტილიო...“ 2r—6r.

შენიშვნები: 1. ტექსტი 175 ანდაზისაგან შედგება.

2. ანდაზები ანაზურ რიგზეა დალაგებული.

2. ანდაზები. — „არა შეჯღა მწყერი ხესა, არ მჯდარიყო გვარი მი-
 სი...“ 6r—7v.

შენიშვნები: 1. ტექსტს უძღვის ივ. გვარამაძის შენიშვნა: „უ. ჩუბი-
 ნოვისა და უ. უმიკაშვილის გადასხვაგებულნი ასრე უნდა“.

2. ანდაზები ანაზურ რიგზეა დალაგებული. ტექსტი შედგება 59 ანდაზი-
 საგან.

3. გამოცანა. —

„კაცმა თქვა და ღმერთმა ბრძანა,
 დევს დევადგათ უნაგირი...“ 7v.

4. ლექსები. —

ა. „აბულაძიანთ ქალები კაცმა ნახოს იამება...“ 7v.

ბ. „ნათლის დედავ, მშვედობით,
 ღმერთმა მშვედობა მოგცეს...“ 8r.

გ. „არსიანისა მთაზედა ბებერი ბებერს უძახის...“ 8r.

დ. „სადაური სად მოკვდება, სად უთხრიან სამარესა...“ 8r.

ე. „სპარსები ვილაცას უჭია,
 სომხების ზრაქა-ზრუჭია...“ 8v.

ვ. „რტოდ ვარ დავითის,
 მგელლომად ვით ის...“ 8v.

5. ანდაზები. — „არ ერგება, არც შეერგება...“ 8r—v.

შენიშვნები: 1. № 4 და № 5 ტექსტს უძღვის შენიშვნა: „ანდაზები, ლექსე-ბი, რაც ძველ წიგნებში მიპოვნია“.

2. ტექსტი მოიცავს 11 ანდაზას.

3. ხელნაწერს უძღვის ივ. გვარამაძის შენიშვნები:

ა. „ახლად დაბეჭდილი ანდაზებისა და ლექსების გარედ დაშთენილი ანდა-ზები და თითო-ოროლა ლექსები. ამათანავე არიან შესწორებულები, რაც გარ-დასხვაფერებულობით დაბეჭდილან 1876.

20 თებ. 1877 წელსა, ქ. ახალციხეს“ (1r).

ბ. „შეკრებილი სახალხო ლექსებისა და ანდაზების მბეჭველობა გგონიათ პატარა თანამდებობა იყოს? არა, ის დიდი თანამდებობა არს. რალა ერთი დიდი კელმწიფის ხაზინადარის ოდენი ვალდებულება სძევს იმასა. როგორც ის სარ-წმუნო იქმნება, ვერ გაბედავს ურიგოდ და უჯერმაჯეროდ ფულების ფლანგვასა, რადგან წერილად ანგარიში მოეთხოვება კელმწიფისაგან, ისე მბეჭდავს არას-დროს არ შეუძლია სინიღისით ხალხში ხმარებული ლექსების და ანდაზების შეცვლა-შემოცვლა, თუ არადა დაჰკარგავს სრულიად რწმუნებასა საზოგადოები-საგან. თუმც მე ამას პირდაპირ გაბედვთ არ მოველი ახლანდელი პატივცემული მბეჭდავებისა თუ გამომცემლებისაგან, მაგრამ კერძობითად კი თითო-ოროლა ფიქვებს ჰყოფენ თუ ლექსებში და თუ ანდაზებში. მიზეზი ვგონებ ეს უნდა იყოს, რომ იმათ არ ესმისთ ხალხის აზრის მნიშვნელობა, თუ რა ლექსი ან რა ანდაზა რისთვის უთქვამსთ. მაგ. როგორც თქმულა: — „ქალი მორცხვ ქვეყნის ფასი და კაცი მორცხვ კვერცხის ფასიო“. ეს უთქვამსთ საზოგადოდ დედაკაცის სისაბატოტოზედ(!) და კაცის გაუმტრიახობაზედ და არა უაზროდ, როგორც ჰგონიათ. ასრე უნდა ავიღოთ სხვანიცა. იმედია მომავალად ამისთანა დიდი ნაკ-ლებულება აგვიღებდა თავთან მათის სიფრთხილითა და არ დავრჩებით პირ-შავად სამშობლო მამულის წინაშე. ვინმე მეცხი“ (1v).

4. ხელნაწერში შესული ზოგიერთი ანდაზა გამოქვეყნებულია (იხ. „ხალხუ-რი სიტყვიერება“, წიგნი I, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, გვ. 452—465).

5293 ბ

ხალხური ლექსები. 1877

8 ფ.; 22X17,5; ქალაღი; უყდო; მხედრული; 1877 წ. 18 აგვისტო (7r).

1. „ვაჟ, შენ ჩემო ნარი ხვრიემო,
რეხელებს დაგახვრიემო...“ 1რ.
2. „ბატონყმობისა ძალითა მიწა ვერა ეხან მოზვრიითა...“ 2რ.
3. „ბიჭო! წყალი მოიტა, ნელა რიგიანათა...“ 2ვ.
4. „ეს ვაჭიური ცუცუნა მონადირეა ტყისაო...“ 4რ.
5. „ეს ომანი ხაჩიშვილი ტანწვრილი და სუფთა არი...“ 6რ.
6. „ამილახვარმა გატეხე შამშე იკოთის კარები...“ 7რ.
7. „გაეხვედ ბროლის მინდვრებსა, შიგ იაგუნდის ლალები...“ 8რ.
8. „ქალი წავიდა წყალზედა, თან გავაყოლე თვალი...“ 8რ.
9. „მი(!) იმერეთს რა მიჭირდა, მთვარე იდგა მზესავითა...“ 8რ.
10. „ყველიერში ყველი ვსჭამე, აღდგომასა ჩამიჩიო...“ 8ვ.
11. „ქალმა სთქვა გასათხოვარმა: ნუ გამათხოვებ დედაო...“ 8ვ.
12. „აკი გითხარ დედამთილო ნუ გამგზავნი წისკვილშია...“ 8ვ.
13. „ამოდი მზეო, ამოდი ნუ ეფარები გორასა...“ 8ვ.
14. „მინდორში დაიარება ერთი პატარა ალალი...“ 8ვ.

შენიშვნები: 1. № № 1, 2, 3, 4, 5 ახლავს შემკრების შენიშვნები. ლექსები ბატონყმობასა და ლეკიანობას ეხება.

2. შენიშვნებში მოთხრობილია გადმოცემები და ლეგენდები, რომლებიც ხალხში იყო გავრცელებული ამ ლექსებთან დაკავშირებით.

3. № № 1, 3, 4, 5 ლექსები მეორდება 7რ—8ვ.

4. ტექსტი ხელმოწერილია ვ. ნელამოსიარულეს მიერ (2ვ, 4ვ).

5. ტექსტში ჩართულია: „წინა კაცი უკანა კაცის ხილიაო“. მადლობა ღმერთსა, რომ ჩვენკენაც ვილაც „მურომ“ დაიწყო კავ-კავი. მადლობა უფალს, რომ დღეს ჩვენში „მბაძველობა“ საქრახისი არ არის და ჩვენებური „მურო“ თამამად შეუდგა კლარჯეთელ „მუროს“ კვალს.

„დროების“ მე-111-ტე №-ში წავიკითხე „ქართველი მუროს“ წერილი ამავე გაზეთის რედაქტორთან, რომელმაც აღმძრა ავხადო ფარდა „ქართველ მუროს“ კავ-კავს. „ქართველ მუროს“ ეტყობა, რომ საქმე დაწვრილებით სცოდნია, მაგრამ რიგიანად არ მხატვებს მას და უნებური უსინდისობა ემჩნევა. „მურო“ ლაპარაკობს სიმართლევზედ, მაგრამ სიმართლეს ისრე ცხადათ ვერ გვიდგენს, როგორც შემეგნის სიმართლეს. ამის უმთავრესი მიზეზი, ჩემის აზრით, შესდგება იმ გარემოებაში, რომ სიმართლის გამოქვეყნება თვალსა სთხრის იმას, ვისაც შეეხება. 1877 წ. აგვისტ. 18-სა დღესა“ (7რ).

5293 გ

ხევსურული ლექსები. XIX

11 ფ.; 22×17; ქალღლი; უყდო; მხედრული; [XIX ს.]; აუკინძავი; [შემკრები ნ. ხიზანიშვილი].

1. [ზურაბის მოკვლა]. — „ზურაბ თან გახლდეს მსახურნი...“ 1რ—2რ.
2. [ომი ორწყალში]. — „ერისთავ შაჰყრის ლაშქარსა...“ 2რ—3რ.
3. [წერონი]. — „წერონ მავიდეს ფხიტუთა...“ 3რ—4ვ.
4. „...ბრძანება იქნა ხთისაო. სანამ მივსდიოთ, ხევსურთ თქვეს...“ 4რ—5რ.
5. [სათრუსოლო]. — „ერეკლე ბატონიშვილი არს ღთისგან დავლათია-ნი...“ 5რ—6ვ.
6. „თურსოს ჩავიდეს ხევსურნი...“ 5ვ—6ვ.
7. [გაბრიელ]. — „ანდრეზად არ მადიოდა...“ 6ვ—7ვ.
8. „რად არ გარდმახოლ ფშაველო...“ 7ვ—8რ.

9. „სოფლის უფროსად მინდოდი...“ 8r—v.
10. „კაი ყმა-ხმალა ჩახედავს...“ 8v—9r.
11. „ვაყასა შენისთანასა განა თუ აგრე სმა უნდა...“ 9r.
12. „ან უნდა ძმასა ძმა ჰყვანდეს...“ 9v.
13. „ჯორი სჯობს საქონელშია...“ 9v.
14. „თუშის ქალმა თქო...“ 9v—10r.
15. „სტუმართად უფერ ღიაცი...“ 10r.
16. „ზენ ბაკალიგოს თოლსა თოვს...“ 10v—11r.
17. „ამბობდა გუდანის ჯვარი...“ 11v.

შენიშვნები: 1. № № 1, 2, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12 ლექსები გამოქვეყნებულ ტექსტს მისდევს (იხ. ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, ზევსურული, 1931 წ., გვ.გვ. 8, 3, 20—22, 124, 120, 279, 282, 129).

2. ნაბეჭდი ტექსტისაგან განსხვავდება № № 4, 5, 16 ლექსები (შდრ. დასახ. ნაშრომი, გვ.გვ. 3—4, 19, 206).

3. ლექსების სათაურები აღდგენილია გამოცემის მიხედვით.

4. ხელნაწერი შეიცავს ცნობებს მთქმელებისა და ჩაწერის ადგილის შესახებ:

№ № 1, 2, 3 ჩაწერილია სოფ. წინახალოში, მთქმელი — გიორგი თათარას ძე არაბული.

№ № 5, 6, 15, 17 მთქმელი — ბადია ბალიაური.

№ 7 მთქმელი — გიორგი სუმბათაშვილი არაბული.

№ № 8, 9, 10 მთქმელი — მამისწყვერა არაბული, სოფ. წინახალო.

№ № 11, 12 მთქმელი — აფშინა გიგაური.

№ № 13, 14 მთქმელი — ბათაკა თოთიას ძე არაბული, სოფ. ბაკალიგო.

№ 16 მთქმელი — ალუდა ხირჩლას ძე ზვიადაური.

5. ამ ხელნაწერის შავი იხ. S ფონდის № 5293-ღ.

6. შემკრების ვინაობა აღდგენილია S—5293-ღ ხელნაწერის მიხედვით.

7. სქოლიოებში მოცემულია ზოგიერთი სიტყვის განმარტება.

8. ტექსტი ნაკლულია.

მინაწერი: „ოთხი კალონა ააწყეთ, მეტი არა. გ. ყ.“ (1r).

5293 ღ

ხევსურული ლექსები. XIX

14 ფ.; 34,5×21,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული; [XIX ს.]; შემკრები — ნ. ხიზანიშვილი; დაუწერელია: 14 ფ.

„ხევსურული ლექსები შეკრებილი ნ. ხიზანიშვილის მიერ.“ —

1. „ერეკლე მეფეზედ. —

„ავარდა ბატონიშვილი, ერეკლე ნათათრალიო...“ 1r.

2. „მეგობრული. —

ა. „გუროს ველობა ნუმცქნილა, გამასვლა ორის ძმისაო...“ 1r.

ბ. „ვისტანს მოვიდა ლაშქარი, ლეკისა ახეაისაო...“ 1v.

3. „ვაქკაცური. —

ა. „ლაშარს შამახდა თილისძე, გულდიდად დაჯდა ხარიო...“ 2r.

ბ. „ივანეც ჯოყოლიკათო, კაცი გამოხველ რაფერი...“ 2r.

შენიშვნა: 2რ-ზე მოცემულია ბ ლექსის ვარიანტი.

4. „ისტორიული. —
 „თრუსოს ჩაივლეს ხევსურნი, ჰეხა ჩაივლეს ცისაო...“ 2v.
5. „მეგობრული. —
 ა. „რად გავიხარდათ დიღვლებო, არხოტიონთა ზიანი...“ 2v.
 ბ. „ველობა გაუბედავა სულხანაური შეილთაო...“ 2v.
6. „ნარევი. —
 „ზენ ბაცალიგოს თოლსა თოვს, ქვენ ბაცალიგოს შრებოდა...“ 3r.
7. „ისტორიული. —
 „ბედიანათმც დაჯდება ლიკოკს ლიკოკელთ ჯარზედა...“ 3v.
8. „მეგობრული. —
 ა. „ხახმატით გაუბედავის საქისტეთოდა მზირსაო...“ 4r.
 ბ. „ხევსურებ ბედავს ლაშქარსა, ბრძანებს გულანის ჯვარიო...“ 4r.
9. „სავაეკაცო. —
 ა. „მარტია ხირჩლაიშვილი, ქორ მთაში იარებოდა...“ 4v.
 ბ. „მამა გემდურის მინდიო, შვილო უჯერო ხარიო...“ 5r.
 გ. „ემზადებიან ჯან-რჩანნი, შური გვაქ საქებარიო...“ 5r.
10. „მეგობრული. —
 „თუშთა, ხევსურთა, მშაველთა, ლაშარს პირობა შაჰკრიან...“ 5v.
11. „ისტორიული. —
 ა. „ზურაბ თან გახლდეს მსახურნი, ერთხან რო დაიბადეო...“ 5v.
 ბ. „ერისთავ შაჰყრის ლაშქარსა, კანჭის ქედს დაგროვდებისა...“ 6r.
 გ. „წერონ მავიდეს ფხიტუთა, მამურალნი შორის გზისანი...“ 6r.
12. „სავაეკაცო. —
 „ხევსურთა საურუმოში დღე დაღამეს მზიანი...“ 6v.
13. „ნარევი. —
 ა. „მე რო რძალი მოვიყვანე, სახელად ერქა ნანუა...“ 7r.
 ბ. „მაყმემ თქვა პირშიშველამა, ცერ გავიარე მთისანი...“ 7r.
14. „ისტორიული. —
 „ანდრეზად არ მადიოდა ახლა გაბრიელ ქნისაო...“ 7r.
15. „ნარევი. —
 ა. „ჯერ უფრო ღმერთი დიდია, სვეტიან-სამართლიანი...“ 7v.
 ბ. „სიკვდლმ(!) თქვა ზღვათით გამოველ...“ 7v.

16. „ს ა ვ ა ე კ ა ც ო. —

„ზეზეაის ცხენო, ამ ზამთარ ბავა გამახარ კბილითა...“ 8r.

17. „ნ ა რ ე ვ ი. —

ა. „ამოზდა გუდანის ჯვარი, დიდი ვორ, როგორც ყენი...“ 8r.

ბ. „სტუმართად უფერ დიაცი არხოტის მთასამც დარჩება...“ 8r.

გ. „ქალა ქმრის მწუნობარი, ბაზირგნის ქარსამც ჩაყეების...“ 8r.

18. „ი ს ტ ო რ ი უ ლ ი. —

ა. „ერეკლე ბატონიშვილი არს ღთისგან დავლათიანი...“ 8r.

ბ. „ბატარაი — სნოს წყალი, ჯერ დიდ არ მასულა...“ 8v.

გ. „ჯარს ეძახს ბატონიშვილი, ერეკლე თავის ყმათაო...“ 9r.

დ. „ღმერთო, რა დიდი ბრალია არევა ქალაქისაო...“ 9r.

19. „ნ ა რ ე ვ ი. —

ა. „ნადირნი, მონადირეო, მთას წახვალ გებედებიანი...“ 9r.

ბ. „ხმა მამწონს თქვენის თოფისა, გველებურ იცის წივილი...“ 9r.

გ. „ვაქისა შენისთანასა განა თუ აგრე სმა უნდა...“ 9v.

დ. „კაცისა მიყვარს კაცობა, კაცისა კაცნახულისა...“ 9v.

ე. „ერთი შენც გაედარები, ქუჯა რაიმეს ქერთაო...“ 9v.

ვ. „ან უნდა ძმასა ჰყევანდას(!), ან კაი შვილი მამისა...“ 9v.

20. „ს ა ვ ა ე კ ა ც ო. —

ა. „ბლოში გაზდილა მინინო, ქორი ზარებულ მკივანი...“ 9v.

ბ. „ღმერთო, რა დიდი ბრალია სიკვდილი კაის ყმისაო...“ 10r.

21. „ი ს ტ ო რ ი უ ლ ი. —

„ავარდა ბატონიშვილი, ერეკლე ნათათრალიო...“ 10r.

შენიშვნა: ეს ლექსი № 1 ლექსის ვარიანტია.

22. „ნ ა რ ე ვ ი. —

ა. „რად არ გარმახოლ ფშაველო, რად აღმისუქებ ნადირსა...“ 10v.

23. „ს ა ვ ა ე კ ა ც ო. —

ა. „ცხენს ხეაზმებს მიქელის შვილი, ცხენ დავდვათ ჯუთის გზაზედა...“
11r.

ბ. „დაჯე, დაგვეხსენ ვაყუს ძეგ, თუშეთს იკმაე რიალი...“ 11r.

24. „ნ ა რ ე ვ ი. —

„სოფლის უფროსად მინდოდი, ატანად ძალ-ამბავისა...“ 11r.

25. „ს ა ვ ა ე კ ა ც ო. —

ა. „ბევრსა სახელობს ხევსური, ბევრამ გაბანდა ჯღანო...“ 11v.

ბ. „ახნაგეს ქალნი ატირდეს, ცრემლით იბანდეს პირსაო...“ 11v.

გ. „რა უქნავ ოჩიაურთა, შორად გამტანთა გზისაო...“ 11v.

26. „ნ ა რ ე ვ ი. —

- ა. „მზე მოვა წინ-წინ გამბორზედ, შუქი ალავერდ ჩადგება...“ 12r.
- ბ. „კაი ყმა ხმალსა ჩახედავს, ნეტა გამიჭრის თუ არა...“ 12r.

27. „ს ა ვ ა ე ქ ა ც ო. —

- ა. „გავგორგულდა ზეზვაო გაფრინდაულო ცხენიო...“ 12r.
- ბ. „ობლობით ამიზარდა თორღვაი ძაგანთ გვარიო...“ 12r.

28. „მ ე გ ო ბ რ უ ლ ი. —

„შატოლში რა ამბავ იქნა, რა წყრომა დადგა ღთისაო...“ 12r.

29. „ს ა ვ ა ე ქ ა ც ო. —

„ანდაკით ამაღიოდეს მენადირენი რვანიო...“ 12v.

30. „ნ ა რ ე ვ ი. —

„თუმის ქალმა თქო, წაუვალ ბასრის ხმლის ამამღებელსა...“ 13r.

31. „მ ე გ ო ბ რ უ ლ ი. —

- ა. „ბაგაის ძოძივ გერჩიყვავ. ღლილო გექამა კეკითაო...“ 13r.
- ბ. „ჯორი სჯობს საქონელშია, შინ მოვას აკიდებულნი...“ 13v.
- გ. „ატირდა ტუტილ წისქვილში ნანა, თორღვაის ქალიო...“ 13v.

შენიშვნები: 1. ხელნაწერი წარმოადგენს S—5293-გ ხელნაწერის შავს.

2. ხელნაწერში შესული ბევრი ლექსი S—5293-გ გადატანილი არ არის.

3. S—5293-გ ხელნაწერში შესულია № № 4, 6, 11ა, ბ, გ, 14, 17ა, ბ, გ, 19გ, ე, 21, 23ბ, 29, 31ბ ლექსები.

4. ხელნაწერის კიდეებზე გადატანილია შემკრების შენიშვნები და ცნობები მოქმელობისა და ჩაწერის ადგილის შესახებ:

№ № 3ა, 8ა მოქმელი — ა ლ უ დ ა ხ ი რ ლ ა ს ძ ე ზ ვ ი ა დ ა უ რ ი.

№ 3ბ მოქმელი — ხ ო ლ ი გ ა ა რ ა ბ უ ლ ი.

№ № 4, 8ბ, 9ა, ბ, გ, 10ა მოქმელი — ბ ა დ ი ა ბ ა ლ ა უ რ ი.

№ № 13ა, 15ა, 17ა მოქმელი — გ ი ო რ გ ი თ ა თ ა რ ა ს ძ ე ა რ ა ბ უ ლ ი.

№ 14 მოქმელი — გ ი ო რ გ ი ს უ მ ბ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ა რ ა ბ უ ლ ი.

№ 19გ მოქმელი — ა ფ შ ი ნ ა გ ი გ ა უ რ ი.

№ 24 მოქმელი — მ ა მ ი ს წ ე ვ ე რ ა ა რ ა ბ უ ლ ი.

№ 25ა მოქმელი — მ ა მ ი ს წ ე ვ ე რ ა მ ა ლ ლ ი კ ა შ ვ ი ლ ი ა რ ა ბ უ ლ ი, სოფ. წ ი ნ ა ხ ა დ ო.

№ 30 მოქმელი — ბ ა თ ა კ ა თ ო თ ი ს შ ვ ი ლ ი ა რ ა ბ უ ლ ი, სოფ. ბ ა ც ა ლ ი გ ო.

5. № № 3ბ, 4, 8ა, ბ, გ, 9ა, 11ა, ბ, 14, 16, 18ა, 19 გ, ვ, 20ბ, 28, 29, 31ბ, გ ლექსები მისდევს გამოცემას (იხ. აკ. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური პოეზია, ხევსურული, 1931 წ. გვ.გვ. 81, 21, 40, 38, 83, 74, 8, 3, 22, 10, 21, 120, 279, 39, 71, 129, 75, 282, 65).

6. № № 1, 11გ, 15ბ, 18გ, დ, 20ა, 21, 25ბ ლექსები გამოცემულისაგან განსხვავდება (შდრ. დასახ. ნაშრომი, გვ.გვ. 17, 3, 213, 20, 23, 73, 17, 16).

მინაწერები: 1. „ამ ლექსის ვარიანტი იხილე შეათე ფურცელზე“ (1r).

2. „ეს მეორე ლექსი ვარიანტია“ (9r).

5298 გ

ხევსურული სიმღერები და ლექსები. 1887

1+5 ფ.; 22×17,5 (1); 35×22; ქალალი; უყლო; მხედრული; 1887 წ.; მწე-
რალი ლევან მურღოვეი (IV).

1. ს ი მ ლ ე რ ე ბ ი ხ ე ვ ს უ რ ე თ ი თ ნ ა დ ი რ ო ბ ი ს ა — 1. „ჯიხვო,
შენ გუნებთა მიძიეო...“ 1r.
2. „ვეფხვი ნადირობს, ვეფხვი მთა წვერთა ჯიხვებსა ეგ თუ ეპარებაო...“
1r—v.
3. „ბისნაშია მენადირეთაო გულშია აქვა ჯიხვებისაო...“ 1v—2r.
4. „ღმერთო, რა დიდი, ღმერთო, ბრალია არევა ამაგ ქალაქისაო...“ 2r—v.
5. „ერეკლე ბატონისშვილი ტანტზეით გადმოხდებოა...“ 2v—3r.
11. ლ ე ქ ს ე ბ ი ხ ე ვ ს უ რ ე თ უ ლ ი. — 1. „ზენ უბან შეთეკაურთა ყო-
რე გაღმართეს მართალი...“ 3v.
2. „ვირი ჩავაქცი წყალზედა, სვი წყალი, ხვრიმე ნარიო...“ 3v.

შენიშვნები: 1. ტექსტს უძღვის: „მის კეთილშობილებას უ. თიანეთის
მიროვის სულის სლუდავოტელს, გამომძიებელს ნ. ხიზანოვს, არღოტის სა-
ზოგადოების მწერალ ლევან მურღოვეისაგან უმორჩილესი თხოვნა.

უმორჩილესათ ვსთხოვე თქვენს კეთილშობილებას, რომელ ჩემი შენი უღირ-
სის ლევან მურღოვეის ნამსახურევი მწერლად, ეხლა მეცხრე წელშია-
დია, რომ მამასახლისების მწერლად ვარ, როგორც იმ დღეს მოწმობა მოგარ-
თვით დაბეჭდილი მანდ თიანეთში და თქვენც იკადრეთ მაშინ ჩემი დიდი სი-
ნაზით იმა საქმის შეტყობა უეზდის ნაჩანიკთან. და თუ ეხლა, რომ ამ ვეშავურს
და ნათელიძეს გიგზანი, შენს დავალებულს ყოველს, სხვას რასაც დამავალო,
მე მის აღმსრულებ ვარ, იმ ნადირობის სიმღერაებს(!) კი კარგათ შევადგენ,
რომლებიც თავია და ჭოყალას ხელით გამოგიგზავნი. და ჩემი საქმისა შენზედ
მომიგდია, როგორც ღმერთზედ. ისე, მე ეხლა ასე სიხარულით და შენი გამოგ-
ზავნილი ცნობის მოლოდინით — ჩემი გული სულ ტრიალებს და აბა თუ კიდევ
ეცადე ნაჩანიკთან, რაც იყოს ჩემთვის მისაცემი კანონით, მაზედ ამაგ ვეშავურს
და ნათელიძესვე დამიბარეთ, რომ როგორ ჩამოვიდე. შენ და ნაჩანიკი თუ ჩემი
შეწყალების გულისთვის იკადრებთ ყურადღებასა და შემწეობას მიზამთ, მაშინ
მეც უნდ ერთ რამეთი გადავიხადოთ მაგიერ. 22 მარიანობა, 1887 წელი. ს. ა. რ-
ლოტი.

2. № № 1—4 სიმღერებს ახლავს შენიშვნა: „ამას ზემოთ ეს ოთხი სიმღერა
დავსწერე ისე, როგორც ხევსურები ფანდურზედ იმღერებენ და ამას ქვემოთ კი
ისე, რომ ასე უფანდუროდ პირად ითქმოდეს“ (2v).

3. № № 1, 2 ლექსებს წინ უძღვის ცნობა მოქმელისა და ჩაწერის ადგილის
შესახებ: „ს. მუცო დან თქმული ნათელიძე შეთეკაურისაგან“ (3v).

ანდერძი: „დასრულდა 1887 წ. მარიანობის 27 დღესა, ს. ა. რლოტის. არ-
ღოტის საზოგადოების მწერალი ლევან მურღოვეისაგან“ (3r, v).

მინაწერი: „მიერთოს თიანეთის გამომძიებელს ბატონ ნ. ხიზანოვს“
(4r).

5298 გ

შაირები. XIX

1 ფ.; 35,3×21,5; ქალალი; უყლო; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია 1v.

1. „იარე ქალო, წავიდეთ, ჩავკრიფთ მარგალიტები...“
2. „ამბავს ვაგზავნილი კაცი უნდა იყოს ჭკვიან ბრძენი...“

3. „ხომალდში ჩაგვე, ზღვას გაველ, ფრანგის ქვეყნები ვნახო...“
4. „ერთსა ხესა სამკვიდროსა გამოვიდა ორი გველი...“
5. „ა, ქალო, ვაში(!) რა ვაშლი, უბეს ნადები ნასეტყვიო...“
6. „ხოხბის ყელი ეიპოვნე, მინდორში თრითელი არიო...“
7. „ჩალაუბანს ჩავიარე, გადვიხედე ბახჩაშია...“

5293 ზ

ხალხური ლექსები. XIX

16 ფ.; 35×21,5; ქალღლი; უყდო; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია
4, 14 ფ.ფ

1. „ო ლომონ ბუტულაშვილის ლექსი, გაბრიელ პირ-
მისაშვილისაგან გაგონილი. — თორმეტი წელიწადია, რაც ხონთ-
ქარი დაფიქრდესა...“ 1r—2r.
2. „დალოცვილი ქრისტე-ღმერთი, პირველი ჩვენი სარდალი...“ 2r.
3. „სიზმრითა ვნახე ედემი ამოსავლეთის თავშია...“ 2r.
4. „სულ-ხორცის გაყრას მოგიყვე, ვაი, სათქმელათაც ძნელია...“ 2v—3r.
5. „სანადიროდ გამოვედით ამირან და ძმანი მისნი...“ 3r.
6. „დავბერდი, შეილდი ჩამვარდა, მალლა მთაშია ძვეს სადმე...“ 3r.
7. „არ გათეთრდება ყორანი, თუნდა რო ხეხოს ქვიშითა...“ 3r.
8. „ავი პატარძლის შავსელასა სახადი ჰსჯობს სახლშიო...“ 3r.
9. „ზოგიერთი პატარძალი წამოწვება ძელივითა...“ 3r—v.
10. „ზოგიერთი პატარძალი ხეს ეხვევა ვერხვივითა...“ 3v.
11. „ზოგიერთი ბებერია, სიბერის დროს გაფრანგდება...“ 3v.
12. „ზოგიერთი კაცი ვიცი, ცოლით გაეყრება ძმასა...“ 3v.
13. „ქალბატონმა დამარბია, ცეცხლზედ დამისხა წყალიო...“ 5r.
14. „მოგესენებათ ჭიტესა ეშმაკის მოუბარაო...“ 5v.
15. „ჩიოდა ოთარას ქალი...“ 5v—6r.

შენიშვნა: ლექსი პორნოგრაფიულია.

16. „ხაზარაშვილი გიორგი ამ ქალებს აედევნაო...“ 6r—v.
17. „კობიაშვილმა გიგომა რა საქმე ჩაიდინაო...“ 6v—7r.
18. „ჩვენო ყიურო ივანე, ბეჭები გიგავს გმირსაო...“ 7r—v.
19. „დათუნა ცქიმიანური ჰკვიანია და ბრძენიო...“ 7v—8r.

შენიშვნა: ლექსს ბოლოში მიწერილი აქვს: „ან დ რ ე ჰ ი კ ა ძ ე ს თ ა ი ს ი ა დ
ნ ა თ ქ ო მ ი“.

20. „ადღომელა სიხაშვილის ნათქვამი. —
„სახლში უფროსობა შავქმენ, ის დავითამ გაუკმარაო...“ 8r.
21. „რასაც კაცსა ღმერთი სწყალობს, ერთიც არ დაუკვნესიაო...“ 8r.
22. „ზოგი კაცია ამ სოფელს ღმერთს ტყუილად ემადლება...“ 8v.
23. „შენი ჭირიმე გუთანო, შენი მამრუდე ყელისა...“ 8v.
24. „შენი ჭირიმე... მაგ შენი მურა პირისაო...“ 8v.

შენიშვნა: ლექსი პორნოგრაფიულია.

25. „ნეტავი ჩენი სასახლე შუა შარაზედ აგვეგო...“ 8v.

შენიშვნა: ლექსს წინ უძღვის: „პეტრე პეტრიაშვილი ფშაველი, ჩარგალში მცხოვრებელი“.

26. „ჯოჯოხეთისა კუთხეზედ რა ძნელი შესასვლელია“ 8v.

27. „არას გერჩი შე პირმზეო, თუ მტერს მამიკიდებ ხელსა...“ 9r—v.

28. „გადამხდა გადასავალი, ლეკებმა დამიჭირესა...“ 9v.

შენიშვნა: ტექსტს მოსდევს პორნოგრაფიული შინაარსის ლექსები.

29. „მე ვარ და ჩემი ნაბადი გამთენებელი დამისა...“ 10r.

30. „მეუფესა სამი ესთხოვე: ენა, პირი, ხელოვანი...“ 10r.

31. „ო რ ო ვ ე ლ ა. —

ია დაიგე ბულბულო, ზედ ვარდი მოიშალეა...“ 10r.

32. „ჩ ო ნ გ უ რ ო. —

ჩონგურო ჩემო, ჩონგურო, შორით მოჭრილო მსხლისაო...“ 10r—v.

33. „ჩონგურის ალყა გამიწყდა, ვაი შენ ჩემო დამბურა...“ 10v.

34. „წყალი მწყურთან, წყალს დავლევე, დავეწაფები გუბასა...“ 10v.

35. „ატოცის წმინდა გიორგი მალლა გვერდაში სვენია...“ 10v.

36. „ატირდა და მაახსენა, ბედნიერო ხელმწიფეო...“ 10v.

37. „ბ ე ე ა ნ ი ს ლ ე ქ ს ი. —

დიდებულის სმაზე ისხდნენ, სვადნენ, სჰამდნენ, ნაიბობდნენ...“

11r—12r, 13r—v.

38. „კ უ ნ წ უ ლ ე ლ ი ს ლ ე ქ ს ი. —

სოლომონ და დედოფალი, მეფე წყლიბირს(!) ჩამოხდესა...“ 12r—v.

39. „ეგ ქალი ასეთ კაცს მიე, მე მჯობდეს თვალად ტანათა...“ 15r.

40. „აღზევან წავალ მარილისათვის...“ 15r—v.

41. „ჩემო ყურშავო, ყორნისა ლეკვნო...“ 15v.

42. „სურამისა ციხეო, სურვილითა გნახეო...“ 15v.

43. „ს ო ლ ო დ ა ს ლ ე ქ ს ი (ფ ე რ ხ უ ლ ი). —

სოლოლამ სწერა წიგნები, წერა დაიწყო თავზედა...“ 15v—16v.

44. „კ უ ნ ძ უ ლ ე ლ ი. —

სამი კაცი მოდიოდა, სამნივ ჩვენსა მოსასვლელსა...“ 16v.

5293 თ

ხალხური სიმღერა. XIX

2 ფ.; 35×21,5; ქალაღი; უყდო; მხედრული; [XIX ს.]; შემკრები კირილე ლებრიშვილი; დაუწერელია 2r—v.

„ფ ე რ ხ უ ლ ი ს ი მ ღ ე რ ა. —

ერთსა ლექსსა მოგახსენებ,
მაგრამ გვიან გათავდება...“ 1r—v.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს მიწერილია: „შეგროვილი კირილე ლებრიშვილისაგან“ (1v).

5293 ი

ხალხური სიტყვიერების კრებული. XIX

4 ფ.; 22×18; ქალალი; უყლო; მხედრული (ფანქრით და მელნით); [XIX ს.];
შემკრები ს. ლოდავეი (ავტოგრაფი).

«ს ი მ ლ ე რ ე ბ ი ა» —

1. „რომელი მყ[ო]ფ ხარ მაღალთა შინა...“ 1რ.
2. „პირველად მქვიან სოლოღანს, მერმე მეძახიან ბრძენსა...“ 1რ.
3. „დედოფალმა ასე ბრძანა: თორმეტი წელიწადია...“ 1ვ.
4. „ყიცილიყო მამალო, თავზე გადასავალო...“ 2რ.
5. „წყალი წავა და წამოვა, ქვიშიანი დარჩებია...“ 2რ.
6. „ქორო, ფრინვა ვინ გასწავლა...“ 2რ.
7. „გალმეც გამოღმეც ბალები, ზედ გახვეულან ქალები...“ 2ვ.
8. „ალაზნი პირას მოსულა წითელი სატაცურიო...“ 2ვ.
9. „დავჯექ და წიგნი დავწერე, ტრედს გამოვაბი მხარათა...“ 3რ.
10. „შენ დილობავ შენებულო, თვით ბოლომდინ საესეო...“ 3რ.
11. „რგული ვერ დამიგდიაო ლამაზ-ლამაზონაო(!) ვაჯაკანო...“ 3ვ.
12. „ჩიკრიკისა მთაზედა გველი იწვა ქვაზედა...“ 3ვ.
13. „ბერი კაცმა გა... (sic) ყმაწვილები აატრია...“ 4რ.
14. „იასა და ბიასა, ხევ-ხევ დაჰყე ნიავსა...“ 4რ.
15. „მ ა ყ რ უ ლ ი ს ი მ ლ ე რ ა. —
ქალი შარასაო იჯდა ტიროდაო...“ 4ვ.

16. «გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი ა» —
„აჯუნჯარა, ბაჯუნჯარა, თხის ფეხით მამიჯარა...“ 2რ; 3ვ.

შენიშვნა: ტექსტი შეიცავს 11 გამოცანას.

17. «ე თ ნ ო გ რ ა ფ ი უ ლ ი ჩ ა ნ ა წ ე რ ე ბ ი ა» — ა. „მილოცვა ახალ-
წლის დღეს:

შამოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი...“ 2ვ.

- ბ. „ნეფე და დედოფალი, როცა შაჰყავთ ნეფის სახლში...“ 3რ.

შენიშვნები: 1. ტექსტს უძღვის შენიშვნა: „ქ ი ზ ი ყ შ ი გ ა გ ო ნ ი ლ ი ს ი მ ლ ე რ ე ბ ი ა, ანაზები და გამოცანები“ (1რ).

2. ხელნაწერში არ არის მოცემული ანაზები.

3. გამოცანება ახლავს ახსნა.

4. № 15 სიმღერას აქვს შენიშვნა: „ფერხისულ რო ჩააბმენ, მაყრები მამო-
ნაც მღერა აჩქარების ხმით“ (4ვ).

5. ტექსტის ბოლოს მიწერილია „ს. ლ ო დ ა ვ ე ი“ (4ვ).

(1956)

5294

წარწერები ჯავახეთის საყდრებისა. XIX

9 ფ. (საკლასკვა); 20,5×12,5, 21,5×16,5; ქალალი; უყლო; მხედრული;
[XIX ს.].

1. Сел. Хорения (она же ჯვარია). — Жители в Хорении в настоящее время А. м. не. Парятниками же пребывания здесь грузин остались две старинные грузинские ц. кви...“ 1რ-ვ.

15. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. VII

შენიშვნები: 1. ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. И. П. Ростовов, Ахалкалакский уезд в археологическом отношении, 1898, стр. 119—124).

2. 1v—2v მოცემულია გამოცემიდან გამოკრებილი ცნობები ახალციხის წარწერებზე (იხ. И. П. Ростовов, დასახ. ნაშრომი).

2. თ. ანდრონიკაშვილების საგვარეულოს ისტორიის მასალად. — თავადნი ანდრონიკაშვილები თავის გვარს აწარმოებენ ვიზანტის (!) სამეფო გვარიდან...“ 3r—5r.

შენიშვნები: 1. ტექსტს ხელს აწერს: „ბ. ცხვილოელი, 1895 წ., ნომბრის 10“.

2. მასალა ამოღებულია ვახუშტის ისტორიიდან და ქართლის ცხოვრებიდან (იხ. ვახუშტი, საქართველოს ისტორია, 1885, გვ. 192; ქართლის ცხოვრება, ნაწილი მეორე, გამოცემული უ. ჩუბინოვის აგან, 1854, გვ. 99—100, 425, 446, 456, 467).

3. „ჩვენი ისტორიისათვის მასალები წედ წარწერანი (!) ხატებზედ და კედლებზედ. ს. ჭალის ჯვარპატიოსნის საყდარში. — ა. ჯვარპატიოსანზედ. ღმერთო და ჯვარო პატიოსანო, ადიდე ორთავე ცხოვრებასა ზედგინიქე ამირინდო ამილახორი...“ 6r.

შენიშვნა: წარწერა გამოქვეყნებულია (იხ. M. Brosset. Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l' Arménie. Sixième rapport, 1851, p. 117).

ბ. „1-ლ ღმრთისმშობლის ხატზედ. — ეპა საყდარო და სადგურო სულისა წმიდისაო, უსაზღვროასა და უხილავისა ღმრთისა...“ 6r.

შენიშვნა: წარწერა გამოქვეყნებულია (იხ. M. Brosset, დასახ. ნაშრომი, გვ. 120).

გ. „მეორე ღმრთისმშობლის ხატზედ. — ესე ყოვლად წმიდისა ხატი მოვაკედინეთ ჩვენ პატრონის ანდრუყაფარის ძემან ფარემუხ...“ 6r.

შენიშვნა: წარწერა გამოქვეყნებულია (იხ. M. Brosset, დასახ. ნაშრომი, გვ. 119).

დ. „მესამე ღმრთისმშობლის ხატზედ. — ჰ დედოფალო; ყოვლად წმიდაო ქალწულო, ღმრთისმშობელო...“ 6v.

შენიშვნა: წარწერა გამოქვეყნებულია (იხ. M. Brosset, დასახ. ნაშრომი, გვ. 119).

ე. „წმიდის გრიგოლის ჯვარზედ. — ქ. ჩვენ, გვიე ამილახორის ძემან გიორგი ეშეკალაბაშმან, მოვაკედინეთ ხატი ესე...“ 6v.

შენიშვნა: წარწერა გამოქვეყნებულია (იხ. M. Brosset, დასახ. ნაშრომი, გვ. 120).

ვ. „ვერცხლის სასანთლეზედ. — ქ. ჰ ჯვარო, ქრისტეს მხსნელისა ჩვენი-საო, ძლიერებაო და შესავედრებელო ქრისტეანეთაო...“ 6v.

ზ. „ჯვარპატიოსნის საყდრის გალავნის კარისბჭის ასწვრივ ქვაზედ. — მოოხრდებოდა რა ქართლი ცოლვითა ჩვენითა, ლეკნი რა წარსტყვენიდენ ქართველთა ერთა...“ 6v.

თ. „სამთავისის ღვთაების ხატზედ. — ეპა ერთარსებო, ერთუფლებო, მამო უშობელო და ძეო მხოლოდშობილო და სულო წმიდაო, ორთავე შორის განსვენებულო...“.

შენიშვნა: წარწერა გამოქვეყნებულია (იხ. M. Brosset, დასახ. ნაშრომი, გვ. 120).

4. «წარწერა მჭადის ჯვრის აღმოსავლეთის კარზე». — ა. „ოდეს ჟამთა მეტყველებისაგან და ცოდვათა ჩუენთა მიერ მოოხრებულ იყო ქვეყანა ქართლისა ლეკთაგან...“ 8r.

ბ. „დასავლეთის კარზედ. — თქუენ უსხეულოთა ძალთა ერის მთავარნო, მსწრაფლ აღმასრულებელნო ბრძანებათა მღვთისათა(!), ბრწყინვალენო ნათელნო...“ 8v.

გ. „სამხრეთი კარი. — ქ. თქვენ ყოვლად წმიდანო სამებისა მსახურნო, ანგელოზთა მთავარნო მიქაელ და გაბრიელ...“ 9r.

შენიშვნები: 1. წარწერები გამოქვეყნებულია (იხ. M. Brosset, დასახ. ნაშრომი, გვ. 87, 88).

2. ხელნაწერის საცავ ფურცელზე მ. ჯანაშვილის ხელით გაკეთებულია წარწერა: „წარწერები ჯავახეთის საყდრებისა: ა) ხორენია, სათხე, სამსარი; ბ) ჭალის ჯვარპატიონისისა და სხვ.“.

5295

რ. ერისთავი, ლექსი.

გადატანილია რ. ერისთავის არქივში № 458.

5296

წერილები ილ. ჭავჭავაძის მიმართ.

გადატანილია ილ. ჭავჭავაძის არქივში № 128, 135, 147, 150—151, 155—160, 171, 188, 190, 194—5, 202, 206—216, 221, 223, 233, 237—238, 243, 247—8, 281.

5297

ი. ჭავჭავაძე, საგაზეთო წერილები.

გადატანილია ი. ჭავჭავაძის არქივში № 56—71.

5298

ი. ჭავჭავაძე, ვახტანგ ორბელიანის ბიოგრაფია.

გადატანილია ი. ჭავჭავაძის არქივში № 72.

5299

ი. ჭავჭავაძე, ხალექსიკონო მასალა.

გადატანილია ილ. ჭავჭავაძის არქივში № 73.

5300

ო. ჰავჭავაძე, ა. ცაგარელის პოემა „გულჯავარის“ მეორე ნაწილი.
 გადატანილია ი. ჰ ა ვ ჰ ა ვ ა ძ ი ს არქივში № 48.

5301

გ. ავალოვი, წერილი სამარაგდის მიმართ.
 გადატანილია სხვადასხვაში № 100.

(1957)

5302

ქრონიკონი (ქრონოლოგიური ცნობები (1623—1825)). XIX

2 ფ.; 34×22; ქალაღი; მხედრული. [XIX ს.]; ჰვირნიშანი — 1821 წ.;
 მფლობელი — პ. კარბელოვი.

- „ქს ტია (1623) — შაჰბაზ ყენმა (!) ყანდარი დაიჭირა.
 ქს ტით (1631 წ.) — როსტომ მეფე და როსტომ სარდალი საქართველო-
 ში მოვიდნენ და ოც დღეზე დაქცეული გორის ციხე აღაშენეს.
 ქს ტმე (1659) — როსტომ მეფე მიცვალა გიორგობის თვის იზ.
 ქს ტლე (1647) — შაბაზ ყენმა ყანდარი დაიჭირა, ინდოეთის მეფესა
 წართო და მერაბ ბეგს უბოდა.
 ქს ტნთ (1671 წ.) — ერეკლე მეფე რომ რუსეთიღამ მობძანდა მცხეთასა
 და ყენთან წაბძანდა.
 ქს ტდდ (1676) — შანაოზ მეფე მიცვალა ისპანს, გზაზე.
 ქს ტდე (1677) — გიორგი მეფე რომ ბატონის შვილად ბძანდებოდა, ის-
 პანსა წაბძანდა მარტის იზ.
 ქს ტნთ (1671 წ.) — მეფე არხილ რუსეთს წაბძანდა მარიამობის დ.
 ქს ტობ (1684) — დიდს მტრობას ქალაქი რომ აიყარა, მარიამობის დ.
 ქს ტოდ (1686) — ლევან მეფე წაბძანდა ისპანს.
 ქს ტოზ (1689) — ერეკლე მეფე მობძანდა ქალაქს, იდ წელიწადი იბა-
 ტონა.
 ქს ტპა (1693) — გიორგი მეფე მონასტერს მობძანდა, მეფე ერეკლე ქა-
 ლაქის ციხეში ბძანდებოდა.
 ქს ტპბ (1694) — ქალბალიხან ქალაქში მობძანდა.
 ქს ტპვ (1698) — ყილჯა-ზადა მიცვალა მარტის გ.
 ქს ტუა (1703 წ.) — მეფე ლეონ მობძანდა ისპანიღამ, 5 წელიწადი იბა-
 ტონა.
 16. ქს ტუთ (1711 წ.) — ისრაელა ელზი მიცვალა ასტრახანსა, ენკენის
 თვის იზ.
 ქს უ (1712) — მეფე ვახტანგ წაბძანდა ისპანს მაისის ა.
 ქს უბ (1714) — მეფე იესე მობძანდა ქალაქსა, ბატონად დაჯდა ღვინო-
 ბის თვის ა.
 ქს უე (1717) — ფრანგების საყდარი დააქციეს ქალაქსა ენკენის თვის ა.
 ქს უვ (1718) — პირველად რომ ლევი გამოვიდა მარნეულს და ბაქარ
 შება კათათვის იე.

კ^ს უთ (1721) — მიწა რომ იძრა და თეთრიხის მალა ჩაძვრა, აპრილის ივ.

კ^ს უი (1722) — მეფე ვახტანგ წაბძანდა განჯაზე ლაშქრათ ენკენის თვის ივ.

კ^ს უია (1723) — ლეკი შემოესივა ქალაქსა მისის დ.

კ^ს უიბ (1724) — ურუმი რომ ქალაქს მოვიდა, ქალაქი დაიჭირა თიბათვის ი.

კ^ს უკ (1732) — რუსმა მილიონი დაცალა მარიამობის თვის ივ.

კ^ს უკგ (1735) — ხანჯალ-ხან რომ მობძანდა ქალაქს, კათათვის გასულ.

კ^ს უკე — თამაზ-ხან ქალაქს მობძანდა ღვინობის თვის ვ და საქართველო აპყარა.

კ^ს ულ — დედამიწა იძრა, ალავერდის გუნბათი დაიქცა მკათათვის დ.

კ^ს ულბ — მეფე თეიმურაზს საქართველო მოსცეს მისის ა.

კ^ს ულბ — ნიკოლაოზ კათალიკოზი თაზიშვილმა მოკლა.

კ^ს ულგ — შიოს ძვლები ამოკრიფეს, თამას-ხანს ეთხოვნა თებერვლის კა.

კ^ს ულგ — ყაზარ კათალიკოზი დაიჭირა თამას-ხანმა აპრილის ა.

კ^ს ულდ — თამარ დედოფალი მეფის თეიმურაზის მეუღლე მიცვალა.

კ^ს ულდ — მეფეს თეიმურაზსა შავის გამოსაცვლელი მოუვიდა ყანდარიდამ თიბათვის ვ.

კ^ს ულდ — მეფე თეიმურაზმა რომ იქორწინა ანახანუმს დედოფალზე, მარიამობის თ.

კ^ს ულე — ნადირშაიმ ქალაქსა და სრულიად საქართველოს არბაბი თხოვა და ქართლი აიყარა თებერვლის ი.

კ^ს ულე — მეფე თეიმურაზ წაბძანდა ნადირ-შაისთან მისის ი.

კ^ს ულე — ნადირშაი მოკლეს მკათათვის თ.

კ^ს ულე — ალიხან და აბდულ ბეგი მოუხდენ ქალაქსა მარიამობის კთ.

კ^ს ულვ — მეორეთ კიდევ სარდლის ჯარი და აბდულა ბეგი მოვიდნენ და დამარცხდნენ.

კ^ს ულვ — ქალაქს ციხის კარები მოკეტეს თათრებმა და უკუდგნენ თიბათვის ა.

კ^ს ულვ — ალა მელიქი დაიჭირა ბატონმა თიბათვის ა.

კ^ს ულვ — თაბურის ციხე აიღო ბატონმა, იოვანე ფალევიანიშვილი მოკლეს.

კ^ს ულთ — მეფე ერეკლემ რომ ერევანსა ავღანი დამარცხა, კათათვე იყო.

კ^ს ულთ — აჯი ჩალაბმა რომ ჩვენი ჯარი დამარცხა, თებერვლის ია.

კ^ს უმ — მეფე თეიმურაზ და მეფე ერეკლე რომ განჯას წაბძანდნენ, ფნა-ხან და ქაყნმა-ხან დამარცხა.

კ^ს — განჯის ხანი დაიჭირა მარტის კბ. მეორე კვირას აჯი ჩალაბი გამოვიდა და ჩვენი ჯარი.

კ^ს უშგ — ანტონი კათალიკოზი რომ გაგდეს რუსეთს, ქრისტიშობის თვის კგ.

კ^ს უშდ — მუხრან ბატონი კოსტანტინე ღართის კარში მოკლეს ლეკთა ღვინობის თვის ივ.

კ^ს უნ — მეფე თეიმურაზ რუსეთს და იქ მიცვალა იანვრის ივ.

- კ^ს უნა — დიდი სეტყვა რომ მოვიდა ცხინვალის ხეობაზე, თიბათვის კე.
- კ^ს უნბ — მეფე ერეკლე მობძანდა კეხესა და ლეკზე გაიმარჯვა მკათათვის იმ.
- კ^ს უნგ — დემეტრე სალთხუცესი და თათქთაქისშვილი დაწვა(!) ქრისტიანობის იე.
- კ^ს უნე — მეფე ერეკლემ რომ იმერეთის ნაშოვრიანს ლეკსა დახვდა უდაბნოების ბოლოსა, ასსამოცი ლეკის თავი ქალაქში შემოიტანეს და ორმოცი ცოცხალი.
- კ^ს უნვ — წერეთელი ქაიხოსრო სვინებმა(!) მოკლეს, გელოვანმა უღალატა.
- კ^ს უნვ — რაჭის ერისთავი დაიჭირა, ორნი მამა-შვილნი, სოლომან მეფემ.
- კ^ს უნვ — ღრაფი რომ მოვიდა უწინ.
- კ^ს უნვ — შუქიანი მასკლავი გამოჩნდა აღმოსავლეთისაკენ, გძელი კუდიანი.
- კ^ს უნზ — მეფემ ირაკლიმ რომ ისპანს გაიმარჯვა, აპრილის ვ.
- კ^ს უნთ — სევეთისის ციხე რომ ააღებინა მეფემ ირაკლიმ, გიორგობის თვის გ.
- კ^ს უჟა — კათალიკოზი ანტონი და ლეონ ბატონისშვილი რომ რუსეთს წაბძანდნენ.
- კ^ს უჟა — გორელები დამარცხდნენ მასის ივ.
- კ^ს უჟა — ცხინვალი წახდინა ხიდირბეგის შვილმა გიორგობის თვის ია.
- კ^ს უჟა — უფლისციხეს ჩვენი ჯარი დამარცხდა თიბათვის ი.
- კ^ს უჟა — მორიგე რომ გაჩნდა მარტის ა.
- კ^ს უჟა — მაჩაბლიანთ დაქერა მკათათვის ე.
- კ^ს უნძ — დიდი ჭირი რომ გაჩნდა ქალაქსა, თიბათვის იდ.
- კ^ს უჟგ — იულონ ბატონისშვილს ქორწილი უყვეს მკათათვის ვ.
- კ^ს უჟვ — ქარიმხან მოკვდა მარტის ი.
- კ^ს უჟზ — მეფე ერეკლე ერევანს რომ წაბძანდა ენკენის თევში.
- კ^ს უჟთ — ბატონისშვილი მიცვალა ლეონ თებერვლის იბ.
- კ^ს უჟთ — დიდი ბატონი კათალიკოზი მიცვალა მარტის ა.
- კ^ს უჟვ — მეფე ირაკლი მიცვალა თელავსა იანვრის ია, ჩღუჭ წელსა.
- ჩღუჭ წელსა ქ. ტფილისი ალაოხრა ხოჯა-მამადხანმა ენკენისთვის ია.
- კ^ს უჟთ — მეფე გიორგი მიცვალა იანვრის მ.
- ჩყა წელსა ალექსანდრემა იმპერატორმა ხელი დაჰსდო საქართველოსა, ლუბერნია გაიხსნა სიონში ტფილისის ქალაქსა და მანიფესტები დაერიგა ყოველსა სოფელსა. ესე იგი სჯულის დება იანვრის იე, ქ^ს კს უჟა.
- ჩყია წელსა ჩრდილოეთის მხარესა ვარსკვლავი გამოჩნდა კუდიანი, სხივი მისი ოც ადღამდინ იხილვებოდა, აღმოსავლეთისაკენ ჰქონდა სხივი. დასავლეთით გამოჩნდა, აღმოსავლეთისაკენ ჩავიდის, მარიამობის თვის იე. ამასვე წელსა შიმშილობა, ადრეულობა, დიდი მოყა ქ^ს კს ფ.
- ჩყი წელსა კათალიკოზი ანტონი, მეფის ირაკლის ძე, წაიყვანეს რუსეთს ღვინობის თვის ნოენბრის თ, ქ^ს კს უჟთ.
- ჩყი წელსა ქსნის ერისთვის შვილსა ვარლამს, არხივისკობოს, სრულიად საქართველოს ეკლესიის გამგეობა მიეცა იმპერატორისაგან, ენკენის თვის იბ. ამისვე მეორე წელსა, მიტროპოლიტობა მოუვიდა. მესამეს წელსა თეთრი

ბარტყულა კავალერის ვარსკვლავი, ჯვარი შუბლზე, ექსარხოსობა სრულიად საქართველოსი და იმერეთისა ქ^ს უფ^მ.

ქ^ს ფა — კახეთის თავადები წასხეს რუსეთსა მარტის ა, წელსა ჩყივ.

ჩყივ წელსა საქართველოს ექსარხოსთა რუსეთის იმპერატორმა წარმოავლინა თეოფილაქტე არხიებისკოპოსი ავეისტოს ლა.

ჩყა წელსა ივანე მუხრანბატონი ჩამოვარდა ცხენიდან, ჯაბჯაურში მდევარზე მიბძანდებოდა, გარდაიცვალა ღვინობის თვის აპრილსა(!).

ჩყივ წელსა მოვიდა ტფილისის მცხეთის მიტროპოლიტი და ს^დ საქართველოსა და იმერეთის ექსარხოსი. ქსანის ერისთვის დავითის ძე ვარლამ, რუსეთს წაბძანდა მეორე სინოდის ჩნელათ(!) იმპერატოს(!) ალექსანდრეს ბრძანებით სეკდენბრის მ და მაგიერად სულიერის მართებლად რუსეთის არხიებისკოპოსი დაიდგინა თეოფილაქტე.

მეორეს წელსა მიიღო მიტროპოლიტობა. იენისის კ გამოჩნდა ვასკვლავი კუდიანი, ჩრდილოეთის მხარესა, სხივი მისი სამხრეთისაკენ ჰქონდა.

ჩყა წელსა ივლისის ით მიიცვალა მიტროპოლიტი თეოფილაქტე.

ამავ წელსა მიცვალა დეკანოზი იოანე და კავალერი მაღალოვი ოკლონბრის ი. ამავ წელსა მობძანდა არხიებისკოპოზი იონა დეკენბრის კ, საქართველოს ექსარხოსი.

ჩყივ წელს ჩემი გრიგოლი დაიბადა მარტის ა დღეს. დღე იყო ხუთშაბათი (გადახაზულია).

ჩყე წელსა გიორგობის თვის ით გარდაიცვალა რუსეთის ხემწიფე იმპერატორი ალექსანდრე პავლოვიჩი.

შენიშვნები: 1. ტექსტს ვაქვეყნებთ მთლიანად.

2. ქ^ს უფ^მ პ. კარბელოვის მიერ გაკეთებული აქვს შენიშვნა: „ეს სახლთხუცესი იყო ამილახვარი და დაიწვა ან ჩხატის(!) პირდაპირ მტკვრის რიყეზედ მეფის ღალატისათვის. ამ სახლთხუცესზედ თავის დროზე იქნება ლაპარაკი. პ. კ.“ (1v).

3. კიდევ ტექსტის ხელით მიწერილია ქრონიკონი: „ქ^ს ფა ქ. კახეთის თავადები რუსეთს წასხეს მარტისა ა“ (2r). იგივე ქრონიკონი შეორდება 2v.

4. ქრონიკონი წარმოადგენდა პ. კარბელოვის კუთვნილებას, 1r-ზე მისივე ხელით სწერია: „პ. კარბელოვისა“.

5. ტექსტში ხშირია ხმოვანთა დაკლების შემთხვევები. დაკლებულ ხმოვნებს არ აღვადგენთ.

(1958)

5303

გ. დაღელაშვილი, ხილთა ქება. XIX

2. ფ.; 35,5×21,5; ქაღალდი; მხედრული; [XIX ს.].

«გ. დაღელაშვილი, ხილთა ქება» —

„ჯერ გადიდო პირველ ღმერთო
 ხარ ყოვლის შემძლებელი,
 ცოდვილს ნუ მრისხავ მათქმე,
 ვარ შენი მაქებელი...“ 1r—2v.

შენიშვნები: 1. „ლექსის ავტორი აღდგენილია ტექსტის მიხედვით: „იყო მოსკოვსა გიორგი დაღელაშვილად წოდებით, ეთქვა სენთაგან ვნებულსა, მწარედ ცეცხლსა მოღებით,

ხეხილთა ქება შევახოთ, ვინც ღედათა მეღებით,
 და მეცა ესე ვსთქვი, რაიცა გულს მეღვას გასაბოდებით“.

(1r, 3 სტრფ.).

2. გიორგი დაღელაშვილი არის იგივე გიორგი ქაბუჯა-
 შვილი (იხ. S ფონდის ხელნაწერი № 1408 და გ. ქიქოძე „გაბაასების უან-
 რის ისტორიისათვის“, 1955 წ., გვ. 48).

3. გაბაასებაში მონაწილეობს 20 სახელწოდების ხილი: თუთა, ტყემალი,
 ბალი, ჭერამი, მსხალი, კიტრი, თხილი, ქლიავი, ვაშლი, კომში, ნესვი, საზამთრო,
 ატამი, ყურძენი, ლეღვი, უნაბი, შინდი, ნუში, ზღმარტლი, ხურმა.

4. ტექსტი რედაქციულად განსხვავდება S—1408 ხელნაწერისაგან.

(1959)

5304

სასულიერო ხასიათის ეპისტოლე. XIX

(ფრაგმენტი)

2 ფ.; 37×23; ქალღლი; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია: 2r—v.

„მე წარმოგიწერე თქვენ, რათა დღესა წმინდისა აღდგომისა ჰქნათ კეთილ-
 მორწმუნება. უკუეთუ არ აღასრულებთ ამას, ვერ განერებით ჩემის წყევლი-
 საგან...“ 1r—v.

მინაწერი: ტექსტისავე ხელით: „წერილი ესე წაუციოთხავს და უთარგმნია
 შვიდის წლის ყმას, ობოლსა, რომელსაც მანამდინ ენა არა ჰქონია. აჰა,
 აჰინ“ (1v).

(1960)

5305

მოთხრობა, სისხლის მოჩვენებაზე. 1878

24 ფ.; 35,3×22; ქალღლი; უყდო; მხედრული; 1878 წ. (23r); დაუწერელია:
 23v, 24r—v.

„სისხლის მოჩვენებაზე, ნაამბობი კატრელისა. —
 თავმჯდომარე: ბრალდებულო, გაქვთ რამე სათქმელი თქვენის თავის გასამარ-
 თლებლად? — ბრალდებული: ღმერთმა დამიფაროს, ბატონო თავმჯდომარევე,
 თავი ვიმართლო! ღმერთმა დამიფაროს, ვჰსთქვა ისეთი რამ, რომ მით გავიად-
 ვილო თქვენი სასჯელი, ან განაჩენი თქვენი შევაფერხო...“ 1r—23r.

მინაწერი: „1878 წელსა, აპრილი“ (ტექსტისავე ხელით).

(1961)

5306

მაკარი მეგვპტელი, მკუდართა აღმადგინებელისა სწავლა. XIX

7 ფ.; 23×18; ქალღლი; უყდო; მხედრული; დაზიანებული; [XIX ს.].

„ჩუენთაგანისა მამისა ჩუენისა მაკარი მეგვპტე-
 ლისა, მკუდართა აღმადგინებელისა, სწავლა, საკვირველი
 დასამარხი, ღრმად განსჭვრიტე და ეგრეთ ჩაიგემე. — ნეტარ არს, რომელი და-
 ადგრა სინანულსა, ვიდრე მისულამდე ღმრთისა“... 1r—7r.

შენიშვნა: ტექსტს ერთვის რუსულ ენაზე „Лекарство от чахотки“ (7r).

(1962)

5307

გილიარესკი პეტრე, ფიზიკის სახელმძღვანელო. 1917

(ტომი II)

153 ფ.; 34,8×21; ქალაღი; კოლენკორგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; 1917 (150r); გაღამწერი — ელენე იოსების ასული გულისაშვილი; დაუწერელია: 1,150v, 151—153 გვ.

„დასაბამითნი საფუძველნი მცნობელობითისა ფიზიკისანი. — თავი ი. შეუღრეკელთათჳს თხელთა ჰაერის სახეთა ნივთებათა.

587. თხელნი ისე სხილულნი არიან ყოველნი იგი, რომელნიცა შეიქმნიებიან მსგავსად ჰაერისა ატმოსფერებისა...“ 2r—150r.

შენიშვნები: 1. ტექსტის ბოლოს დ. კარიჭაშვილის მიერ გაკეთებულია შენიშვნა: „გაღამწერილია დედნითგან, რომელიც ინახება ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთსაცავში (იხ. № 3), ელენე იოსების ასულის გულისაშვილის მიერ, 1917 წელში. დ. კარიჭაშვილი“ (150r).
2. იხ. S ფონდის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ტ. I, გვ. 8.

(1963)

5308

ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა. XIX

25 ფ.; 22,5×16,5; ქალაღი; უყდო; მხედრული (სათაურები სინგურით); [XIX ს.]; ჭვირნიშანი 1841 წ.; დაუწერელია 25v; შემოწირულია აღ. ჯაბადარის მიერ.

«ომან ხერხეულიძე». — „შემოკრებული ისტორია ქართლისა ირაკლი მეორისა მეფისათვის იწყების, თუ ვითარის შრომითა მიღო(!) მეფობა ქართლისა. — წელსა ჩღკბ დაჯდა ყაენად ძე შაჰსულტან უსენისა შაჰთამაზ და ამჟამად იჯდა ქართლში მეფედ ვახტანგ ლეონის ძე...“ 1r—24v.

შენიშვნა: ტექსტი მისდევს გამოცემას, მცირედენი სხვაობით (იხ. „ქართლის ცხოვრება“, ნაწილი მეორე, გამოცემული უ. ჩუბინოვისაგან, 1854, გვ. 475—500).

შინაწერები: 1. „ნიკოლოზ ოქრომძეველოვისა არის წიგნი იეს“ (3r).

2. „მივიღე სახუქრად ზ. ჭიჭინაძესაგან, 1888 წ. 18 აპრილი, თ. ჟორდანიან“ (24v).

3. „ესე არს მეფის თეიმურაზის და მეფის ირაკლი მეორისა“ (25r).

(1964)

5309

ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსღვა. XIX

87 ფ.; 20×16,5; ქალაღი; ტყავგადაკრული; ტვიფრული ხის ყდა; მხედრული; [XIX ს.]; ჭვირნიშანი 1809 წ.; გაღამწერი — იოსებ ფოცხვეროვი; დაუწერელია: 1, 85—87 ფგ; შემოწირულია აღ. ჯაბადარის მიერ.

„მთაწმიდისა და წმიდის იერუსალიმის მოხილვა ტიმოთე მთავარეპისკოპოსისაგან. — სამარადსაგონებელ ჩემდა იყუნეს, თუ ვითარ არა საზღვევო იყოს ზენაძსათჳს მორთვა სიტყუთა, და

კულად დახსნილობითა და უღებად ცხოვრებულთაგან არა შესაძგზავს არს ტკივილთ-მოყუარებით მოსწრაფება...“ 2r—84v.

შენიშვნა: ტექსტი მისდევს გამოცემას (იხ. ტიმოთე გაბაშვილი, „მიმოსლვა“, 1956, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა).

ანდერძი: „იოსებ ფოცხვეროვისა მიერ არს აღწერილ ესე ტომოთესაგან წმიდა ადგილებისა მოხილვა“ (84v).

(1965)

5310

მ. ხონელი, ამირანდარეჯანიანი. 1808

130 ფ.; 35×21; ქალაღი; ტყავადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული; 1808 წ. (128r); გადაშწერი — ერისთავი (128r); დაუწერელია: 128v, 129v, 130 გვ.

„ქარი ჰველი. აბესალომ ინდოთ მეფის ამბავი. — იყო ინდოთ მეფე აბესალომ მორჰმული და განგებანი და არა იყო შეჰრეგება(!) გულსა მისსა...“ 1r—127v.

შენიშვნები: 1. ტექსტი მისდევს გამოცემას (იხ. მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლილიათანელიშვილმა, 1967).

2. ტექსტს ახლავს სარჩევი, თორმეტივე კარის, სხვა ქალაღზე შესრულებული, რომელსაც ხელს აწერს „ნიკო ალმასხანი“ (129r).

ანდერძი: „მებრძანა ვისგან ერისთვის ძისგან, აღწერა წიგნთა ამბავთ თხრობისა, მე, მეტრეფმან მათის სამსახურისმან, აღვსწერე წიგნი აწ იმისთვისა, როსტომის ძეს სურს, ჰაბუკთ ომი სწყურს, ესე ხიღია ზედან განვლისა, და გონებას მტკიცელ კეთილ-ბედნიერ დანამყარებ ჰყ(!) სრულ კეთილისა. უქმად რამ ნამუშავევი არად სახმარი სულისა, მსმენელთა შესაქცეველი და გასართავი გულისა, ამირან დარეჯანისძის ამბავი ვისაც ჰსურისა, და სრულ იქმნა წერა ამისი, იენისის მთლად გასულისა. ამის წერის ქორონიკონს(!) უნი, ჟანი, ვინი ჯდისა, გვედრები საკითხავად ვის ეს წიგნი მოგერთვისა, სულისათვის უსარგებლო ნაშრომია ერისთვისა, და შენდობასა მიბძანებდეთ, სული ცეცხლზე ნუ მერთვისა“ (128r).

მინაწერები:

1. „Печатать позволяется с тем чтобы по отпечатании представлено было в Цензуравй (!) Комитет узаконенное число экземпляров, Январь 21 го 1852 года. Исправляющий должность цензора Ив. Кайтмазов“ (ზედა ყდის შიღა მხარე).

2. „გრიგოლ ჩოლოყოვის ასული დიბადა ოცდახუთს ემეენს(!) თვესა, ქქს უეთ“ (128r).

3. „Господину князь Горгий(!) Еристову“ (128v).

4. „Туманову Григорий“ (128v).

(1966)

5311

ქართლის ცხოვრება. XIX

110 ფ.; 16,8×10; ქალაღი; მუყაოს ყდა; მხედრული; ყვაილოვანი ორნამენტი (5r); [XIX ს.].

„შემდგომად წყლით რღუნისა. — „ნოეს ძის იაქეთისაგან იყო მესამე თაობა თარგამოს. ამას ესხნეს რუანი ძენი, რომელთაცა რუასა ნაწილსა მათსა ქუჩყანასა ეწოდა სახელებითა მათითა...“ 1r—110r.

შენიშვნები: 1. ტექსტი წარმოადგენს გამოკრებილ ქართლის ცხოვრებას (შდრ. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, II, 1959).

2. ტექსტში მოცემულია შტო „ვითარ აღორძნდენ ნოეს ძილამ იაფეთის თეს-ლიდამ, ვიღრ(!) უფლისადმდე“ (5v).

3. ამიებზე გადატანილია შენიშვნები.

(1967)

5312

კრებული. 1818

207 ფ.; 21×17; ქალაღი (ლურჯი); მუყაოს ყდა; მხედრული; 1818 წ. 21 იანვარი (205v); დაუწერელია: 1r—v, 137r, 207r—v.

1. „ხოროლოფი. — დასაბამად ჰქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანაჲ, ხოლო უკანასკნელ ყოველთასა დაბადა ადამ, ხოლო იცოცხლა ადამ წელნი ცხრაასოცდათი...“ 2r—136v.

შენიშვნები: 1. „ხოროლოფი“ იწყება დასაბამიდან სოფლისა, წყლება 1597 წელზე (შდრ. H ფონდის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. VI, ხელნაწერი № 3084).

2. ბიზანტიის ისტორია თავდება იოანე პალეოლოგის მეფობით: „სულთან მურად მივიდა ანდრეანაპოლის და იყო მშვიდობით და შემდგომად სამისა წლისა მოკუდა და იმეფა წელსა ოცდაროსა და ხუთთვე“ (127r).

3. ტექსტს მოსდევს: ა. „აჲ დაესწეროთ გამოწულილვით მოჰმადიანთა ნათესავთ-მეტყულებთა, ვითარ განდიდნა ნათესავ მათ და ვისგან ინებეს მეფობა თურქთა, ოდესცა აღიდეს სამეფო მანისის ნათესაობითგან და ვრ ბრძოლა ჰყვეს. — უწყებულ იყავნ, რამეთუ ისმაილისაგან ძისა აბრაამისა ჰშთამოვიდენ ისმაიტიენი...“ (127r—134r).

ბ. „ნოეს დიდმან კოსტანტინე ტრაპეზზე დაჯდომის რიგი განაწესა საეროს დარბაზის ერისა და სამღვდელსოსი. იმის შემდგომნი მეფენი ესრეთ ჰყოფდეს — პროთოპოპს, რომელსა უფროსი მღვდელი და ქართულად დეკანოზი კარისა და დიდისა საპატრიარხოს საყდრისა ამათ წინ დაისმიდენ, და კარის დეკანოს მარჯულ დასმიდენ, და უზესთაესს პატრისაცა ჰსცემდენ და ახლაც მოსკოვის კარის დეკანოზი უფროსი არის და უფროსი ხარისხიცა აქუს სობოროს დეკანოზზედ, როდესაც პატრიარხი იჯდა, კარის დეკანოზს მიტრა ხურვია და ისე სწირევდა თავის საყდარს. თუ პატრიარხთან მიტრას დაიხურევდა და ჯდომითაც სობოროს დეკანოზს ზეით დასემდენ და ხელმწიფისა და დედოფლის მოძღუარიც ისე უნდა იყოს, სხუა არ იქნება. როდესაც მივედით მოსკოვს, პეტრე ალექსის შვლის დროს, მიტრა აღარ ეხურა, ამად რომ პატრიარხი არ იჯდა და პატრიე ისევე ჰქონდა. ქელმწიფის მიცვალების რიგში და მათის შვილების მიცვალების რიგში მარჯულ კარის დეკანოზი მივიდოდა და მარცხულ მარცხულ(!) სობოროსა და სობოროს დეკანოზი თავშიშველი მივიდოდა და კარის დეკანოზს არახინი ეხურა, ესე იგი სკეფა და მისაცემიც იმის უფროსი მისცეს კარის დეკანოზს, ორი თუ მანი მისცეს და სობოროსას თუმანახევარი.

რუსეთში მოსკოვის რომ პატრიარხი დაუსუამთ — დასაბამითგან გარდასრულსა წელსა შვილიათას ოთხმეოც და ათშვიდმეტსა, ხოლო ქრისტესით ათას-ხუთასოცდარვასა.

წიგნი ებრაული სეითმა შემოიღო. ამან შეიტყო ბრუნება ცისა და შვდთვარსკულავთ ცთომილთ სახელები ამან ჰსდუა.

ნებროთ რომ გოდოლი აღაშენა — სიმაღლით იყო ოცდაექუსი წყრთა. ერთი წყრთა არს შვიდი თერაზი. ტერფი, რომელ არს შვიდი მტკაველი, ზრონოროფ-ში ასე ეწერა.

სერუხ მეშვიდე შვილი იყო. ამან შემოიღო კერპთთაყუანისცემა. საცთური-თა პლ^რთა გმირთაჲცა ზე გააკეთა, მერე ღ^რად თაყუანის-სცეს.

ისმაილ შუა აგარ აბრაამისგან, მაშინ იყო დასაბამითგან წელი სამიათას სა-მასოთხმეოცდათრუამეტი. ადამ ელინურად ქუჭყანასა ჰქვიან და ეწოდების აღ-მოსავლეთი, დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი.

შაბათი ელინურად დაცხრომასა ჰქვიან, საქმისაგან დასცხრა ღმერთი და გა-ნისუნა.

მექექუსესა დღესა შექმნა ღმერთმან ადამ, რომელ არს პარასკევ და ექუსს ჭამს იყო სამოთხეს, მეექუსესა ჰსცოდა და მეცხრესა გამოვარდა. იოანე ოქრო-პირი ასე ბრძანებს: რ^ა არა თ^ს უპყრიეს კუჭრთხი მღუღელმოთავარსა და რა ივა-ვიან აქუს მოე მაცხოვარსა მწყსიდა. ეჩუენა ღმერთი მაცხოვარსა და უბრძანა: განავდე სამწყსო კუჭრთხი ეგე, რომელსა საცხოვარსა და იქმნეს სასწაუ-ლი საკვირველი. განავდო და იქმნა გველი და კუალად ისრაველთ მწყემსობა უბ-რძანა და ამისთვის უპყრიესთ მათ კუჭრთხი, რამეთუ მწყემსნი არიან ღმრთისა მიერ დადგინებულნი და კუალად მწყემსნი რომ იყუნენ ბეთლემს, მათაც ეპი-რათ. იოსებ რომ ეგვიპტეს იფქლი შეინახა, თავიანი ყანა შეინახა და შვდს წელს გასძლო და რუსეთშიაც ისე შეინახუ^ნნ. ძველად პირველი თუ^შ არს მარტი.

გულსპირს რომ ახსენებს საღმრთო წერილი, აპრონს რომ ეგუფდი ეკიდა გულზე, ის იყო. ათორმეტი თუალი უჯდა, როდესაც ისრაილზედ ავი საქმე მოხ-დებოდა თუ კარგი, ის თვლები ფერს გამოიციკლიდენ და ამით ჰცნობდა. ძენი ღმრთისანი არიან სეთი, 6 შვილინი მისნი და ძენი კაცისანი კაინ და შვილინი მის-ნი. ადამ რომ მიიტყალა, იმის საფლავზედ დადგა სეთი და ასწავლიდა ერსა და უძღოდა სიმართლით, ასწავებდა მცნებასა ღმრთისასა, და მამისა თვისსა ადამისსა, ვითარმედ თაყუანის ეცით ღმერთსა ცათა და ქუეყანისასა და კაის(!) შვლებს ერიდნით. ეგრეთუ^შ მგავსად თითო მამამთავარი ჰსდგა ადამის საფლავზედ ნიუშლი. ნოე და შვილინი მისნი მექქისედემდე, მექქისედეც და შემდგომნი.

ერთს წიგნში ეწერა, რომ ქამის შვილები ეგვიპტელნი, აბაშნი და ჰინდნი არიან, ნოემ რომ დასწყევლა იმისი შვილები, ქამცა(!) კენის შვილებს მიემს-გავსა ცოდვითა და ამისთვის უფროსდა დაიწყევა.

ლეო ისაეროს ხატომბრძოლის დროს საზერძნეთს ეპისკოპოსი აღარ იყო მართლმადიდებელთაგანი და დავით თესალონიკელი აქ გამოგზავნეს ქართლსა, და აქაურმან კათოლიკოსმან აქურთხა მღუღელმოთავარად.

გიორგი მთაწმიდელი ვის დროს იყო კონსტანტინუპოლისი(!) რომანოზ კეისრის დროს და ქართლს ბაგრატ მეფე იჯდა. ამან ჰსთარგმნა: ა. ახ-ლად სენაქსარი. ბ. სახარება გამოკრებული საწელიწდო, გ. სრულიად სამოცი-ქულო, დ. ათორმეტთა თთუთა სავალბელი, ე. დიდი პარაკლიტონი, ვ. დიდი მარხუნი, ზ. ზადიცი(!), მ. წიგნი თეოდორე სტრატილატისა, თ. წიგნი დაბადე-ბისა, ი. დაბადების თარგმანი იოანე ოქროპირისა, ია. წიგნი მეექუსე კრებისა, იბ. წიგნი გრიგორის უმწინებრებისა, ივ. წიგნი ექუსთა დღეთა ვასილისი, იდ. ებისტოლე წმინდისა ეგნატისა, იე. ფსალმუნი.

ათნი წყლულბანი, რომელინი მოუვლინა ღმერთმან მეგვიპტელთა მისეს მიერ: ა. წყალი სისხლად გარდააქცია. ბ. აღმოვიდა მუჟარი, რომ სახლები აღე-სოთ. გ. მუშლი რომ ვერაით მოიშორეს. დ. ძაღლის მწერი რომ ავთებდათ. ე. სიკუდილი პირტუყუთა. ვ. ფაქლი, რომელ არს ღუჭლფი, თვლები დასწუათ. ზ. სეტყუა რომ კაცსა და პირტუყუს მოჰკლევდა. მ. მკალი. თ. მოსწყვიდნა პირ-მშონი ეგვიპტისანი შუალამ. ი. სამ დღე იქმნა ბნელი.

ორმოცს დღეს იქმნეს ესე ყოველნი: აბრაამის მამის წინათ მამის უწინა-რეს შვილი არ მოუტდება. უწინარეს მამა მოუტდებოდა და 6 შვილინი დარჩებოდენ. და-და-თუ აბეუ მოუტდა უწინარეს ადამისსა, გარნა ძალით კაინის მიერ და არიან მამა აბრაამისი, მამა ლოთისი, გარნა იგიცა სასჯელისაგან ღმრთისა, რამეთუ აღაგ-ზნა ცეცხლი აბრაამ და დასწუნა კერპნი. მივიდა, რეცათუ განარიონს კერპნი და დაიწუა მას შინა“ (134V—135V).

გ. სია რომაელთა მეფეების (135V—136V).

2. „პროკლესი დიადოხოსისა პლატონურისა ფილოსოფოსისა კავშირნი ღმრთისმეტყუშლებითნი. ნაკუჭთნი 211. — ყოველი სიმრავლე ეზიარების ერთსა. ხოლო უკეთუ არა ეზიარების, არა ყოველი ერთი იქმნების...“ 144v—205r.

შენიშვნები: 1. ტექსტს უძღვის: ა. „იოანეს მიერ ჯამბაკურიან ორბელიანისა ქართველთა ნამსაჯულევისა სიტყული პირუელი. — ეტრფიან ესურვიანო, მყოფნი ყოველნი კეთილსა და არათუ ურთიერთისა მის შორისებულისა კეთილსა...“ (138r—139r). ბ. „თუ რომლისა მიზეზისათვის ითარგმნა წიგნი ესე. — ვინაჲთა ფრიად ვწადნოდი სწავლად ამა ზესთა ღმრთისმეტყუშლებისა წიგნისა პროკლე ფილოსოფოსისასა...“ (139r—140v). გ. „ჯამბაკურიან ორბელიანს იოანეს, უკეთილფრადესს და უღმრთისმოყუარესს ეყარებოდრედ...“ (141r—v). დ. „სკვიმონისა გარნისა ეპისკოპოსისაგან განმარტებული წიგნი პროკლესი“ (142r—144r).

2. ტექსტი თარგმნილია სომხურიდან იოანე ჯამბაკურ ორბელიანის მიერ.

ანდერძები: 1. (ტექსტის ხელით): სრულ იქმნა ძალითა ღმრთისათა წიგნი ესე, რომელა თხზული პროკლესი დიადოხოსისა პლატონურისა ფილოსოფოსისა, კელითა უნდოხსა ...ქართუშლსა(!), ქალაქისაგან გორად წოდებულსა, სადიდებულად და აღსამაღლებულად ცათა სწორისა მადლითა და ძალითა სარწმუნოებისა ჩუენისა, რომლისა საგანი დაიკუთს იესო შეუძრველად და შეუმრღუშულად, ვიდრემდე მოიწოდეს დღე უანასკნელი სოფლისა ამის და დღე პირუშლი საუკუნოჲსა მის. ხოლო ჩუენისა სარწმუნოებისა და მწყარსა პატივი უსაზღვრო და თაყუანის ცემა სამარადისო უკუნისამდე, ამინ. ქრისტესითსა რიცხუსა 1818, თუშსა იანვარსა, 21 დღესა“ (205v).

2. „იესე აღსნა იქმნა სიტყუათა პროკლესა პლატონურისა სიბრძნის მოყუარისა რიცხუთა სომხურთა **ქ**, მცირისა სიმეონისი, გარნისა ეპისკოპოსისაგან, რომელ გვედრები მიმზებვეულთა, რათა შემინდოთ მე კელსებულეზა სიტყუათა ამით, რამეთუ იყოს რომელი მიმთუალული, რომელსა ღმერთი კდ უმარტივესი ხილვა მოგანიჭოს, არამედ მისგან ნიჭი აქუნდეს ნიჭთა მომნიჭებელისა ღმრთისა, რომლისა არს დიდება მიუწოთმელი მიუწოთმელობითა თვისითა, ამინ“ (206r).

3. „მოსახსენებელი მთარგმნელისა წიგნისა ამის. ითარგმნა წიგნი ესე პროკლესა დიადოხოსისა უკმარისა მღუღლისა და მონაზონისა ენათა ქართველთაგან სომხურსა ენასა ზედა ქუშყანასა შინა სომეხთასა, მონასტერსა ქართუშლთასა, რომელსა ეწოდების ლითონსპილენძისა, რიცხუთა დასაბამისაგან.

გვედრები თქუნ, ზ, ძმანო, რათა შემინდოთ მე, რამეთუ ფრიადითა შრომითა ვთარგმნე პირველ ესე, რამეთუ არა ვიყავ დირს ესევეთარისა მსახურებისა, რამეთუ აღრეულ ვიყავ ცოდვათა შინა. მეორედ, რამეთუ ფრიად მოჭუცებულ ვიყავ და მოუძღვრებულ თვალთაგან და გონებათა და ძალთაგან, რამეთუ სამეოცისა წლისა ვიყავ. გარნა, რამეთუ არა იყო ესე თარგმანებული ენასა ჩუენსა, ამისთვის ვთარგმნე, რათა არა დაკლებულ იყოს ნათესავთაგან ჩუშნისა. ხოლო აწ გვედრები, რომელთაცა აღმოიკითხოთ ანუ გარდაისახოთ, მომიხსენეთ ლოცვათა შინა თქუნეთა მე და მცირე სიტყუა ესე ჩემი აღსწერეთ შემდგომად და თქუშნ მოხსენებულ იქმნეთ ქრისტეს ღმრთისა ჩუენისაგან, რომელ არს კურთხეულ უკუნისამდე, ამინ“ (206v).

მიწაწერი: „ეტრფიან და ესურვიან, მყოფნი ყოველნი კეთილსა, არამედ მის შორისულთა, საკამოდ აიცისა ქმნილსა“

(ლექსი ეყუთუნის იოანე ჯამბაკურ ორბელიანს) (137v).

(1968)

5313

ოთხთავი. XV

259 ფ.; 14×10,5; ქალღალი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; ნუსხური; [XV ს.]; გადამწერი — სვიმეონ გროლაშვილი; დამკვეთი — მოძღუართ-მოძღუარი იოვაკიმ (236v); თავსამკაული 1r; დაუწერელია: 68 ფ., 110v, 183v, 184—185 ფფ.

„სახარება მათეს თავი. — წიგნი შობისა იესუ ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი...“ 1r—236v.

შენიშვნები: 1. ყოველი თავის დასაწყისში (გარდა ბირველი თავისა) გაშვებულია ცარიელი ადგილი კამარისათვის.

2. თითოეულ თავს ახლავს თავთა საძიებელი.

3. ტექსტს მოსდევს სახარების საძიებელი.

ანდერძი (ი ა მ ბ ი კ ო). —

„ოთხთა ყურეთა მზევებრ ნათელმყოფელნო,
 ოთხნო მნათობნო, ქრისტეს მახარებელნო,
 ოთხ მდინარეებრ მრწყველნო ცისკიდეთამდის,
 ოთხ ნიეთად ქმნილსა ედემსა ღმრთივ დასბმულსა,
 მეოხ ეყვენით წინაშე ქრისტეს ღმრთისა.
 რომელმან სურვილით აღმაწერინა წმიდათა
 ესე და უსასყიდლო დაცემული მარგალიტი
 მოძღუართ მოძღურად წოდებულმან იოვაკიმ,
 მე მწერალსა გროლაშვილსა სვიმეონს. აწ
 გვევდრები წმიდანო მამანო, რომელნიცა
 იკითხვიდეთ წა და სულთა განმანათლებელსა
 ამას სახარებასა, ლოცვასა ჰყოფდით მოძღურისა
 იოვაკიმისთვის, რომელმან დიდი შრომათა
 და გულსმოდგინება და დავა და აღმაწერინა
 მისითა საფასითა და ჩემთვისცა ღრვად ჰყავთ“ (236v).

მიწაწერი: „მღვდელი რაქდენ აფელაური“ (ზედა ყდის შიდა მხარე, ქიმიური მელნით).

(1969)

5314

ქართლის ცხოვრება (ვახტანგისეული). 1833—1834

379 ფ.; 33,5×20,5; ქალღალი; ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); 1834 წ. (361r); გადამწერი — მღვდელი დიმიტრი ოქრიაშვილი (361r), ქ. რიაზანი; დაუწერელია: 1, 1 გვ. 2v, 3r, 180v, 181r, 327v, 328r, 363v, 364—379 გვ. გვ.

«ქართლის ცხოვრება». — „პატრიოსანნო და დიდებულნო ქართველნო, ჟამთა ვითარებისაგან ქართლის ცხოვრება განრყენილ იყო რომელიმე მწერალთაგან და რომელიმე ჟამთა ვითარებისაგან არღარა წერებულ იყო. ხოლო მეხუთემან ვახტანგ ძემან ლეონისამან და ძმის წულმან სახელოანის გიორგისამან შეკრიბნა მეცნიერნი კაცნი და მოიხვნა საცა რამ ქართლის ცხოვრებაები ჰპოვნა და კუალად გუჟარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალნი“.

ვალთა ეკლესიათა და დიდებულთანი და შეამოწმეს და რომელიცა განრყენილ იყო, განმართეს და სხვათა წერილნი მოიხვენეს, რომელიმე სომეხთა და სპარსთა ცხოვრებისაგან გამოიხვენეს და ესრეთ აღაწერივნეს. — პირველად ვახსენოთ ესრეთ, რამეთუ სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკანელთა, ჭერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა...“ 4r—361r.

შენიშვნები: 1. „ქართლის ცხოვრების“ შედგენილობა: ა. ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა (4r—58r); ბ. ჯუანშერი, ცხოვრება და მოქალაქობა ვახტანგ გორგასალისა (58r—91v); გ. სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა (91v—127v); დ. ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისა (127v—144v); ე. ცხოვრება დიმიტრი მეფისა, დავითის ძისა (144v—145r); ვ. ცხოვრება გიორგი III-ისა (145r—154r); ზ. ცხოვრება თამარ მეფისა (154v—200v); თ. „უამთა აღმწერელი“ (200v—278r); თ. ქართლის ცხოვრების გაგრძელება, რომელიც 1744 წელს თეიმურაზისა და ერეკლეს ტახტზე ასვლის ამბებით მთავრდება (278r—360v).

2. ხელნაწერს მოსდევს მეფეთა საძიებელი: „მეფეთა ყოვლისა ივერისათა ანუ საქართველოსათა, გინა გიორგისათა, რომელთა ესე სამნი სახელნი ქუეყანასა ამას ეწოდა ყოველთა საქართველოთა და ვინცა პირველიდაგანვე მეფენი იყვნენ, ამას ქვეით აღწერება რიცხვით საძიებელად ცხოვრებისა მათისა...“ (361v—363r).

3. ხელნაწერი წარმოადგენს შევესებულ ქართლის ცხოვრებას (იხ. კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, 1954 წ., გვ. 185—188).

4. ხელნაწერი მომდინარეობს ნინო დედოფლისეულის ნუსხიდან: „პატრიარქო მკითხველნი! ცხოვრებასა ამას შინა საქართველოსასა მრავალსა იხილავთ შეცთომილებასა ლექსთა, რიცხვთა და აზრთასა. და ვინადაც მდგომარეობისა ძლით აწინდელისა არ ძალ მედვა მოპოვება სხვათაცა ქართლის ცხოვრებათა, შესასწორებელად და შესამოწმებელად და ვიხილე ესე ქართლის ცხოვრება დედოფლის ნინას ხლებასა შინა მეგრელისასა, მწირობასა შინა ქალაქსა რეზანისასა, როსიასა შინა. ამისთვის კელ-ყავა და გადამოვსწერე ცხოვრება ესე უმეტენაკლოდ, ვითარცა დედანსა შინა აღწერილ იყო, წელსა ჩულგ, თვესა იულისსა კვ დღესა. კელ-ყავა წერად რიზანს, მეგრელის დედოფლის ნინას მოძღვარი, მღუდელი დიმიტრი ოქრიანევილი“ (3v).

5. ხელნაწერი გადაწერილი ჩანს S ფონდის ხელნაწერიდან № 5316.

ანდერძი: „დიდება ღმერთსა სრულყოფელსა ყოველთასა, წელსა ჩულდ, თვესა მარტსა იე, რიზანს, ქალაქსა როსისასა, გარდამოვწერე მეფის ასულის ნინას, მეგრელის დედოფლის, კლებასა შინა, მღვდლის, დიმიტრის მოძღვრის ოქრიანევილის კელითა, მოსაკენებელად სულსა ჩემისა წამითხველთაგან“ (361r).

შინაწერები: 1. „ეს წიგნი ეყუთვნის მღუდელს, ან დრია ოქროპირიძე(!). თაჲს საკუთარს შრომით არის ნაყიდი. ვინც მოიპაროს ანუ წართვას(!), გაიწყურს წმინდა სამება და ყოველნი წმინდანი, ამინ“ (363r).

2. „მღვდელი რაქდენ აფელაური“ (ზედა ყდის შიდა მხარე).

(1970)

5815

ყარამანაინი. XIX

617 ფ.; 33X20; ქალღი; უყდო; მხედრული; [XIX ს.]; დაზიანებულია: 1—9 გვ., 610—614 გვ. დუწერელია: 6, 32—33 გვ. 40v, 41v, 123r, 164r, 252v, 253r, 356v, 357r.

„დასაწყისი პირველი და დიდი კელმწიფე ყარამანის მამისა თახმურად კელმწიფის. — პირველ ყამად სპარსეთს იყო ხელმწიფე დიდი, რომელსა სა-

ხელად ეწოდებოდა თახმურად. ეს იყო მაღალი და აღმატებული ყოველსა ზედან სპარსეთსა...“ 1r—615v.

წყდება: „...ყენითუნსარამ უთხრა ყნუსარს: შეილო, შეილო. ეს მერვე დღე არის, რომ ყარამან იბრძვის. არც უსვამს და არც უჭამია, ვხედამ რომ მიძღურდა. აწ მე გავლ და შეეგებმო და მე გაურთებ.“

შენიშვნები: 1. ხელნაწერის ტექსტი ნაბეჭდი ყარამანიანის VII კარის პირველ თავზე წყდება (იხ. ყარამანიანი, VII კარი, გამოცემული დავით ლაზარევისა და ნიკოლოზ კობალაძისაგან, 1875).

2. ტექსტი მისდევს დასახელებულ გამოცემას.

3. პირველი ხუთი ფურცელი შესრულებულია სხვა ხელით.

4. ტექსტს აქვს მდარედ შესრულებული ნახატები. 124r-ზე მოცემულია ფოთლოვანი ორნამენტი.

5. ყარამანიანის ტექსტს მოსდევს თურქული ტექსტი ქართული ტრანსკრიპციით და მისი ქართული თარგმანი (616r).

6. ხელნაწერს ახლავს ლურჯ ქაღალდზე დაწერილი ყარამანიანის ტექსტი, უწიგნური ხელით. ნაწყვეტია მეორე კარიდან 617r—v (იხ. ყარამანიანის დასახ. წიგნი, გვ. 140—141).

ანდერძი: ლექსად (დაზიანებული):

„როს მე ვიყავ ახალგაზრდა, მოვიდ[ომე]...“

დავქექ და ხელათ ვიღე ამავე ისტორია...“

შევასრულე აქამდინა, მე, ამისმა დამწერ[მა].“

ვინც იკითხობთ მომიხსენით მე ცოდვილი ლ^ათსა...“

ორსა ბროლსა ბურჯსა შვა შიგან უფასო თვალია,

გარემოს ჭალა ავლია, ვერ დასწვამს ნაპერწკალია,

და ყველა ამაზედ ვაჯისობს მეფე და მისნი სპანია.

ერთხელ მეც ვიყავ ვაჟაკი, მოვკრიფე ია და ვარდი,

მეიდანზედ რომ გავედი, ქორულზე შევექნე ნავარდი,

საცა რომ ომი გასჭირდა, თავს ვეცი ბოლოს გავარდი,

და უყურე ამ ცრუ სოფელსა, ბოლოს რა ჟამსა დავარდი.

წესია ამავე სოფლისა, ხანგრძლივ არვის გაყვება.

ვადაბრუნდება საწუთრო, კაცი ანაზღათ წახდება,

ჩაღმართსა აღმართი მოსდევს, ლზინსა ტირილი დახდება,

და ქონება საჭურჭლისა თან არავის წაყვება“ (616v).

მინაწერები: 1. „ეს წიგნი ვაჩუქე ვასილ ხოზიოვსა“ (124r).

2. სომხური მინაწერი ქართული ტრანსკრიპციით (252v).

(1971)

5316

ქართლის ცხოვრება (ვახტანგისეული). 1822

II+712 გვ.; 34×21,5; ქალაღი; ტყავდაყრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); 1822 წ. (698 გვ.); ვადაშწერი — როსტომ იოსელიანი, ქ. რიაზანი (698 გვ.); ტექსტს ახლავს ილუსტრაციები; ფურცლის კიდეები მოოქროვილია; დაუწერელია: I, 704—712 გვ.

«ქართლის ცხოვრება».—„პატრიოსანო და დიდებულნო ქართველნო, ჟამთა ვითარებისაგან ქართლის ცხოვრება განრყვნილ იყო რომელიმე მწერალთაგან და რომელიმე ჟამთა ვითარებისაგან არღარა წერებულ იყო. ხ^ე მეხუთემან ვახტანგ ძემან ლეონისმან და ძმისწულმან სახელოანის გიორგისამან შეკრიბნა მეცნიერნი კაცი და მოიხვნა საცა რამ ქართლის ცხოვრებაები ჰპოვნა და კვალად გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი და შეამოწმეს და რომელიცა განრყვნილ იყო,

განმართეს და სხვათა წერილნი მოიხსენეს, რომელიმე სომეხთა და სპარსთა ცხოვრებისაგან გამოიხსენეს და ესრეთ აღაწერინეს. — პირველად ვახსენოთ ესრეთ, რომ სომეხთა და ქართველთა რანთა და მოვაცნელთა, ჭერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა...“ 1—698.

შენიშვნები: 1. ტექსტს უძღვის: „პატოხანთო შეითხველნო! ცხოვრებასა ამას შინა საქართველოსასა მრავალსა იხილავთ შეცთომილებასა ლექსთა, რიცხვთა და აზრთასა და ვინადგან მდგომარეობისა ძლით აწინდელისა არ ძალმეღვა მოპოვება სხვათა ქართლის ცხოვრებათა შესასწორებლად და შესამოწმებლად და ვერ ურჩ ვექმენ ბრძანებასა მეგრელის დედოფლის ნინასა, ამისთვის გარდმოვსწერე ცხოვრება ესე უმეტეალოდ, ვა დედანსა შინა აღწერილ იყო წელსა 1822, თთვესა სექტემბერსა 1, რ ი ა ზ ა ნ ს, რ ო ს ტ ო მ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი“ (11v).

2. ტექსტს ერთვის: „მეფეთა ყოვლისა ივერიისა ანუ საქართველოსათა, გინა გიორგისათა, რომელთა ესე სამნი სახელნი ქუეყანასა ამას ეწოდა ყოველთა საქართველოთა და ვინცა პირველიდგანვე მეფენი იყვნენ ამას ქვევით აღიწერება რიცხვით სამიებულად ცხოვრებისა მათისა“ (699—702).

3. ტექსტს აქვს გვერდობლივი პაგინაცია.

4. ამ ხელნაწერიდან უნდა იყოს გადაწერილი S ფონდის ხელნაწერი № 5314.

5. ტექსტის შედგენილობისათვის იხ.: ა. S—5314 ხელნაწერის აღწერილობა;

ბ. კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, ახალი ქართლის ცხოვრება, 1954 წ., გვ. 186—188.

6. ტექსტის დასაწყისში ფერებით დახატულია თარგამოსი თვისი რვა ვაჟიშვილითურთ.

7. ხელნაწერს სათაურად უძღვის „მოთხრობა საქართველოსა“ (11r).

8. ხელნაწერს ახლავს საქართველოს რუკა: „ქართა საქართველოასა და მისთანა შერთულთა მკარეთასა, თარგმნილი რუსულთ ქართულად, თ. შ. ბ. ი. ძ. გრიგოლის მიერ, წელსა ჩუკა“ (703).

9. სათაურებთან გაშვებულია ცარიელი ადგილები ილუსტრაციებისათვის.

ანდერძი: „დიდება ღმერთსა სრულყოფელსა ყოველთასა, წელსა 1822 თთვესა სექტემბერსა 1, რ ი ა ზ ა ნ ს, გარღიწერა ქელითა რ ო ს ტ ო მ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ს ა თ ა“ (698).

მინაწერები: 1. „მოთხრობა ესე მშვენიერისა საქართველოასა, უმსხვერპლე ძმასა ჩემსა ბ ე ს ა რ ი ო ნ ს სასარგებლოდ ოჯახისა და განათლებისა, დარჩომილნი მიმინდეიეს მისდამი. ბიბა მისი გ ი ო რ გ ი“ (I).

2. „არხიმანდრიტი ბ ე ს ა რ ი ო ნ ი ს ა გ ა ნ მე მივიღე საჩუქრად. მე კი ველარ დაუკავე ჩემს გულითადი(!) მეგობარს და საყვარელს პეტრე ბ ა გ რ ა ტ ო ვ ა ნ ს, რომელსაც ვსთხოვ სახსოვრად ჩემდა იქონიოს მისი ქვეყნის მოთხრობა. ძმა და მეგობარი კ ო ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ლ ე ო ნ დ ა დ ი ა ნ ი ს ძ ე. 14 იანვარს, 1860 წელსა, პ ე ტ რ ე ბ უ რ ლ ი“ (1r).

5317—5326

ვაჟა-ფშაველა, წერილები და შენიშვნები.

გადატანილია ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა ს არქივში № № 1—191.

5321

წერილები სხვადასხვა პირთა ვაჟა-ფშაველას მიმართ.

გადატანილია ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა ს არქივში № № 192—194, 202—204, 210, 212—229.

5322

პ. რაზიკაშვილი, კრებული საეკლესიო მოძღვრებისა.

გადატანილია ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა ს ფონდში № 209.

5323

გ. შვედლიურის წერილი ვაჟა-ფშაველასთან და ბაჩანასთან.

გადატანილია ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა ს არქივში № 211.

(1972)

5324

ლოცვანი. 1803

191 ფ.; 10,5×7; ქაღალდი; ახლად რესტავირებული ტყავადაკრული ყდა; მხედრული (სათურები სინგურით); 1803 წ. (189v); გადამწერი — მეღვინე მღებრიშვილი (189v). თავნაკლული; მოხატული, წმიდა იერონიმეს გამოსახულება (57v); სურათებიანი.

„ლითანია ყოველი წმიდისა. — მცემლო ევედრე ჩვენთვის. წმიდაო მამა იოსებ ევედრე ჩვენთვის“... 1r—189r.

შენიშვნა: ტექსტი შეიცავს შემდეგ ლოცვებს: „ლითანია“ (1r—10r); „ღლის ლოცვა“ (10v—26v); „ლოცვა საღამოსი“ (27r—57r); „ლოცვა განდობის უწინ სათქმელი“ (58r—67r); „ლოცვა წმიდა ზიარების მიღების უწინ სათქმელი“ (67v—71r); „ლოცვა წმიდა ზიარების მიღების უკან სათქმელი“ (71v—76v); „ლოცვა წმიდა ზიარების მიღების უწინ და უკან სათქმელი“ (77r—83r); „ლოცვა შუალამისა, თქმული ნერსეს სომეხთა კათალიკოზისა“ (84r—96v); „ლოცვა ვინჩენციო წმიდა პაპისა“ (97r—98r); „ლოცვა იესოს სატანჯველისა“ (98v—100r); „ლოცვა განდობის უწინ სათქმელი“ (100r—116v); „ლოცვა ყოვლად წმიდისა“ (117r—119r); „ლოცვა შობისა“ (119v—120r); „ლოცვა გალობისა“ (120v—123v); „პირველად საქმე სარწმუნოებისა (123v—127v); „ლოცვა ტერ ამენაკალისა ქართულად ნათქვამი“ (128r—137r); „ლოცვა ფიქრისა სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“ (138r—186r). ტექსტს ერთვის ანბანური საძიებელი: „საძიებელი ანბანგანური, რომლითა ადვილად იპოვების, რადე რომ საკითხავად ეპირებოდეს“ (186v—189r).

ანდერძი: „ღმერთით საკითხავი სულიერი წიგნაკი ესე აღიწერა ხელითა ღმრთის მონა მღებრიშვილი მეღვინისითა წელსა უფლისა 1803-ში, თებერვლის დამლევსა, შენდობილი ქიშმიშანთ ტერ პოლოსის ძმის წულის პარუნ გრიქორასთვის. უფალმან მშვიდობაში მოახზაროს და თავისი მადლი შეაწიოს, ამინ“ (189v).

მიანაწერი: ტექსტისავე ხელით: „სრულ ბოლომდისინ გამოთავებია და და მისრულებია ღმრთისა ძალითა, ამინ“ (189r).

(1973)

5325

ლამპარი (საკვირაო სალიტერატურო გაზეთი). 1912—1913

24 ფ.; 35×21,5; ქაღალდი; უყუდო; მხედრული; 1912—1913.

„გაზეთი ლამპარი, საკვირაო სალიტერატურო გამოცემა. კვირა, 28 ღვინობისთვე, 1912 წელი, წელიწადი პირველი. — ს. ქვემოხეთი, 28 ღვინობისთვე. ოთხი წელიწადია ხეთში სკოლა არსებობს...“ 1r—24v.

შენიშვნები: 1. გაზეთი წარმოადგენს ს. ქვემო-ხვითის სკოლის ორგანოს.

2. შედგება 12 ნომრისაგან. იწყება 1912 წლის ოქტომბრიდან და თავდება 1913 წლის მარტის თვით.

3. გაზეთი შეიცავს შემდეგ სტატიებს: ა. მოწინავე; ბ. „ახალი ამბები“ (1რ, 3რ, 5ვ, 7რ, 9რ, 11რ, 13რ, 17რ, 21ვ, 23ვ); გ. „ჩვენი სოფელი“ (1რ—ვ, 3რ); დ. „ჩვენი სკოლის დამაარსებელი“ (1ვ—2რ, 3რ—3ვ, 6რ—ვ, 7რ—ვ, 9რ); ე. „ცოტა რამ ჩვენი წარსულიდან: დარნაოზის მეფობა, ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში, მეფე ვახტანგ გორგასლანი, მეფე დავით აღმაშენებელი“ (1ვ—2ვ, 3ვ, 5ვ—6რ, 7ვ—8რ, 9ვ—10რ, 11ვ, 13ვ, 15ვ, 21ვ, 23ვ); ვ. „იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილის მოკლე ბიოგრაფია“ (2რ—2ვ); ზ. „მოწერილი ამბები“ (2ვ); მ. „წელიწადის დრონი“ (4რ—ვ, 6ვ, 8ვ); თ. „მაყვალას დაობლება“, მოთხრობა (4რ, 8რ—ვ, 12რ—ვ); ი. „ჩემი მოგზაურობა სოფ. მერეთში“ (4ვ, 6ვ); ია. „ადამიანი“ (8რ, 10ვ, 11ვ, 13ვ, 15ვ, 20რ); იბ. „შავი ქვის მრეწველობა“ (8ვ, 10ვ); იგ. „ნინა ლაცაბიძის გარდაცვალება“ (9ვ—10რ); იდ. „პირველდაწყებითი სასწავლებელი დასავლეთ ევროპაში“ (10ვ, 20ვ); იე. „პაერში ფრენა“ (11ვ); ივ. „გეოგრაფია“ (12ვ, 14რ, 16ვ, 20ვ, 24რ); იზ. „სამშობლო ენა“ (12ვ); იშ. „მამულის ყიდვის საპირობაზედ“ (13რ, 15რ); ით. „ცოტა რამ სისუფთავეზე“ (13ვ, 15ვ, 20რ); იკ. „მიჯაჭული ამირანი. ლეგენდა კავკასიის ცხოვრებიდან რუსულით!“ (13ვ—14ვ); იკა. „ელექტრონი“ (14რ—ვ, 16ვ, 20ვ, 22ვ); იკბ. „წინეთი“ (16რ); იკგ. „სიბრძნე სოლომონ მეფისა“ (16ვ); იკდ. „შობის დღესასწაული სხვადასხვა ქვეყნებში“ (17ვ); იკე. „საახალწლო ამბავი“ (18რ); იკვ. „დღრმის ციხე“, ხალხური ლექსი (18ვ); იკზ. „როგორ გავატარეთ 14 იანვარი, ნინობა“ (19რ); იკშ. „თურქების დევნა საქართველოდან“ (19ვ—20რ); იკთ. „ტყე“, ლექსი (20რ); იკლ. „საბრალო ზაქრო“, მოთხრობა (22რ—ვ); იკლა. „არჩილ ჯორჯაძე“, ნეკროლოგი (24რ); იკლბ. „წითელი ხალათი“, მოთხრობა (24ვ).

4. გაზეთში მოთავსებულია მიმართვა რედაქტორისადმი, მადლობა გამოუცხადოს თავად მიხეილ ნიკოლოზის ძე დიასამიძეს, კნენია თ. დიასამიძეს და კნენია მარიამ გიორგის ასულ მაჩაბელს იმ საქველმოქმედო სამსახურისათვის, რომელიც ს. ქვემო-ხვითის სკოლას გაუწიეს (2ვ).

5326

ბუნების გლოვა (ვაჟს გარდაცვალებაზე), სიტყვები სოფრომ გლახაშვილისა. გადატანილია ვაჟ ა-ფ შ ა ე ე ლ ა ს არქივში № 208.

5327

გ. ორბელიანი, წერილები სხვადასხვა პირებთან.

გადატანილია გ. ორბელიანის არქივში № № 14, 30, 56, 71.

5328

დ. ბაქრაძე, უბის წიგნაკი.

გადატანილია დ. ბაქრაძის არქივში № 41.

5329

ი. ღუღუშაური, „მ. ზანდუკელი — აღ. ყაზბეგი, ორიგინალობა და დ. ყაზბეგი, კრიტიკული გამოკვლევა“, პასუხი.

გადატანილია აღ. ყაზბეგის არქივში № 294.

5337

დ. ყიფიანი, სხვადასხვა მასალები.

გადატანილია დ. ყიფიანის არქივში № № 133—137, 142—144, 146—151, 570, 616, 622, 623.

5338

დ. ყიფიანი, სხვადასხვა მასალები.

გადატანილია დ. ყიფიანის არქივში № № 240, 242, 245, 264, 298, 303, 550, 556, 571—572, 604, 613, 627, 628—629.

5339

დ. ყიფიანი, სხვადასხვა მასალები.

გადატანილია დ. ყიფიანის არქივში № № 33, 244, 278, 285—287, 290—291.

5340

მიმოწერა დ. ყიფიანისადმი

გადატანილია დ. ყიფიანის არქივში № № 128, 130—132, 152—155, 518—526, 529—532, 543—545, 560—561, 593, 602, 612, 615, 619.

5341

დ. ყიფიანი, მიმოწერა.

გადატანილია დ. ყიფიანის არქივში № № 156—158, 161, 177—178, 182, 185, 197, 243, 246, 247, 251, 253—254, 257, 260, 263, 268, 272—277, 282, 288—289, 292—293, 554, 559, 562—564, 595—597, 600—601, 603, 607, 611, 624, 626.

5342

XIX საუკუნის საბუთები.

გადატანილია დოკუმენტების კოლექციაში Sd № № 3042—3185, Rosd № № 2326—2367; ნ. წერეთლის არქივში № 250; ერთი ფურცელი შეუერთდა S კოლექციის ხელნაწერს № 5371.

5343

XIX ს. ციცივილების საბუთები.

